სახელმძღვანელო კურსისთვის:

სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში

პროექტს აფინანსებს
ევროკავშირი

პროექტს ახორციელებს
Human Dynamics Consortium

თბილისი
2014

სახელმძღვანელო კურსისთვის:

სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში

თბილისი
2014

სახელმძღვანელო მომზადდა და გამოიცა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის “სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში” მხარდაჭერით. სახელმძღვანელოზე პასუხისმგებელი არიან სახელმძღვანელოს ავტორები და მისი შინაარსი არ გამოხატავს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

პროექტს აფინანსებს
ევროკავშირი

პროექტს ახორციელებს
Human Dynamics Consortium

ავტორები: ენდრიუ ბერნჰარდტი
ანტონ ქელბაქიანი
სალომე ნამიჭეიშვილი
რანდელ ბაროუზი
ია შეყრილაძე
შორენა საძაგლიშვილი

რედაქტორი: ნინო ჯავახიშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ლალი ჩხეტია

აკრძალულია სახელმძღვანელოს სრულად ან ნაწილობრივ გადაბეჭდვა,
გამრავლება ანდა გავრცელება კომერციული მიზნით

© 2014, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

შესავალი 6

რატომ უნდა ვიმუშაოთ სამართალდამრღვევ პირებთან? 6

თავი 1. სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში: წარმოშობა და შემდგომი განვითარება 11

თავი 2. დანაშაულის მართვა და პრევენცია: სტატისტიკა, დამოკიდებულებები და მიდგომები 17

თავი 3. დანაშაულის მართვა (გაგრძელება): პოლიციის მუშაობა 26

თავი 4. სოციალური მუშაკი, სამართალდამრღვევი და სისტემა (1): რისკი და სოციალური სამუშაო 39

თავი 5. სოციალური მუშაკი, სამართალდამრღვევი და სისტემა (2): სასამართლოები და ციხეები. სასამართლოს ანგარიშები და საზოგადოებრივი სანქციები 49

თავი 6. პრობაციის, საპატიმრო და არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების საერთაშორისო სტანდარტები 55

თავი 7. მართლმსაჯულების განხორციელების პროცესი - ადგილობრივი სტანდარტები 66

თავი 8. პრობაციის, საპატიმრო და არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების ადგილობრივი სტანდარტები 74

თავი 9. სოციალური მუშაობის ინსტიტუტის განვითარება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში: ინსტიტუციური ჩარჩო, არსებული პროგრამები და მომსახურებები - ქართული კონტექსტი 84

თავი 10. სისხლის სამართლის პოლიტიკა და დანაშაული: კრიტიკული საერთაშორისო მიმოხილვა 106

თავი 11. სამართალდამრღვევებთან მუშაობის მეთოდები (1) - პრობაციის მეთოდების მიმოხილვა 117

თავი 12. სამართალდამრღვევებთან მუშაობის მეთოდები (2) - მოტივაციური ინტერვიუირება და მისი გამოყენება სამართლის სფეროში 126

თავი 13. სამართალდამრღვევებთან მუშაობის მეთოდები (3) 135

თავი 14. სამართალდამრღვევებთან მუშაობის მეთოდები (4) 145

თავი 15. სამართალდამრღვევებთან მუშაობის მეთოდები (5) 154

კურსის სილაბუსი 165

წინასიტყვაობა

წინამდებარე სახელმძღვანელო შეიქმნა სამაგისტრო არჩევითი კურსისთვის „სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში“, რომლის სწავლებაც 2014 წლის შემოდგომის სემესტრიდან დაინერგება სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას უნივერსიტეტში. კურსი მიმოიხილავს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში რეაბილიტაციისა და კეთილდღეობის თეორიის, პოლიტიკისა და პრაქტიკის მეთოდებს.

ევროპასა და მსოფლიოს სხვა რეგიონებში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის საკვანძო მიზნებია სამართალდამრღვევთა რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია. სასჯელის მიზანია სამართალდამრღვევთა დასჯა და დანაშაულებრივი ქცევის დათრგუნვა, მაგრამ ის, ასევე, მიმართული უნდა იყოს ადამიანებში იმგვარი ცვლილებების მოხდენაზე, რომ მათ შეწყვიტონ დანაშაულებრივ ქცევა და გახდნენ საზოგადოებაში პოზიტიური წვლილის შემტანი მოქალაქეები. ევროპულ ოჯახში მიმდინარე ინტეგრაციის პროცესში საქართველოში აქტიურად ხდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ამ ღირებულებების დამკვიდრება. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ილიას უნივერსიტეტი ეხმიანება დღეს საქართველოში მიმდინარე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში სოციალური მუშაობის როლის გააზრების მცდელობას, რომლის ნათელი დასტურიცაა ზემოაღნიშნული კურსის დანერგვა სოციალური მუშაობის სწავლების პროცესში.

სოციალური მუშაობის მეთოდებისა და აღიარებულებების სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში დანერგვა წარმატებული რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის სტრატეგიების საკვანძო ელემენტს წარმოადგენს. თუმცა ამ სფეროში სოციალური მუშაობა საჭიროებს სპეციალიზებულ ცოდნას და მიდგომას, რომელიც აღიარებს კანონის უპირატესობას.

სახელმძღვანელო „სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში“ მოამზადა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას უნივერსიტეტისა და ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ (2012-2015 წწ) წარმომადგენლების გუნდმა.

სახელმძღვანელოს მომზადება სასიამოვნო და ამავდროულად მეტად საპასუხისმგებლო პროცესი იყო თითოეული ჩვენგანისთვის, ჩვენ ბევრი რამ შევიძინეთ ერთმანეთისგან. მადლობას ვუხდით ენდრიუ ბერნჰარდტს, სალომე ნამიჭეიშვილს, შორენა საძაგლიშვილს, ია შეყრილაძესა და ანტონ ქელბაქიანს დაუღალავი შრომისთვის და მრავალი საათისთვის, რაც ამ სახელმძღვანელოს მომზადებას და გადახედვას დაუთმეს; ასევე, ლალი ჩხეტიას, ზემოაღნიშნული პროექტის მენეჯერს პრობაციის მიმართულებით, ჩვენი შრომის მოთმინებით ორგანიზებისა და სახელმძღვანელოს გამოსაცემად მომზადებისთვის.

ვიმედოვნებთ, რომ სახელმძღვანელო სტუდენტებს შესთავაზებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში თეორიის, პოლიტიკისა და პრაქტიკის შედარებითი ანალიზის ნათელ სურათს და ხელს შეუწყობს კრიტიკულ აზროვნებას. ამ კურსმა შესაძლოა ბევრი სტუდენტი შეაგულიანოს, კარიერა სწორედ ამ სფეროს დაუკავშირონ და ამით წვლილი შეიტანონ უსაფრთხო და ინკლუზიური საზოგადოების განვითარებაში.

რანდელ ბაროუზი,

ძირითადი ექსპერტი პრობაციის მიმართულებით, ევროკავშირის დაფინანსებული პროექტი „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“

იაგო კაჭკაჭიშვილი,

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შორენა საძაგლიშვილი,

სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივლისი, 2014 წელი

Foreword

This course book has been developed to support the elective course on Criminal Justice Social Work that is being offered at the Social Work Master Programme at Ivane Javakhishvili Tbilisi State University and Ilia State University from Autumn 2014. The course syllabus aims to provide a mixture of theory, policy discourse and practice methods in the field of criminal justice rehabilitation and welfare.

One of the key objectives of Criminal Justice systems in Europe and many other parts of the world is to rehabilitate and re-integrate people who have been sanctioned for criminal behaviour. Sentencing may be intended to punish wrong doers and deter criminal behaviour but it also aims to bring about changes in those people so that they desist from further crime and become productive and contributing citizens. As part of the continuing integration into the European family of nations these Criminal Justice values are being pursued actively in Georgia. Ivane Javakhishvili State University and Ilia University support the process of understanding the role of social work as a part of the reform of the Criminal Justice System in Georgia and the introduction of the present course in the social work studies reflects proves this approach.

The application of social work methods and social work values has been a key element of successful rehabilitation and re-integration strategies in the criminal justice sector. Social work in this sector does however require specialist knowledge and an approach that recognises the primacy of the law .

This Criminal Justice Social Work Coursebook has been prepared by a team drawn from the two Tbilisi universities and the EU funded project " Support to the Reform of the Criminal Justice System in Georgia" (2012-2015) implemented by Human Dynamics KG.

It has been an enjoyable but sometimes demanding task to prepare this course book and a learning experience for all of us. Thanks are due to Andrew Bernhardt, Salome Namicheishvili, Ia Shekriladze, Tato Kelbakiani and Shorena Sadzaglishvili who put in many hours to write and edit their chapters and to Lali Chkhetia, Project Manager for Probation, for collating, proof reading and translating the material and patiently organising our work. It has been a great pleasure to work with this team.

We hope that it will offer students a good understanding of comparative theory, policy and methodology and encourage critical thinking. It may encourage some graduates to pursue careers in this sector and thus to make a direct contribution towards a safer, more inclusive society.

Randel Barrows

Key Expert for Probation , EU funded project "Support to the Reform of The Criminal Justice System in Georgia"

Iago Kachkhachishvili

Head of the Sociology and Social Work Department at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shorena Sadzaglishvili

Head of the Social Work Master Programme, Ilia State University

July 2014

შესავალი

ენდრიუ ბერნჰარდტი
ლექტორი სოციალურ მუშაობაში, გაერთიანებული სამეფო

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია არჩევითი კურსისთვის „სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში“.

ვინაიდან, ეს სახელმძღვანელო აღნიშნული კურსის კონკრეტულ მიზანსა და შინაარსზეა მორგებული, იგი აკადემიურ სახელმძღვანელოს არ წარმოადგენს. მასში კურსის ფარგლებში მიმოხილულ საკითხებსა და ინტერესის სფეროებზეა გამახვილებული ყურადღება და, იმავდროულად, წამოყენებულია რიგი მოსაზრებები, დასმულია აქტუალური კითხვები და მითითებულია კვლევის დამატებითი სფეროები.

ვინაიდან, სამართალდამრღვევ პირებთან სოციალური მუშაობა გაერთიანებულ სამეფოში, ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპის გარკვეულ ნაწილში უკვე მრავალი ათწლეულის მანძილზე კარგად განვითარებულ დარგს წარმოადგენს, ამ სფეროში არსებული მოსაზრებებიცა და ჩამოყალიბებული პრაქტიკაც სწორედ ამ რეგიონებიდან მოდის. თუმცა, რადგან საქართველოში ამ დარგის განვითარება სულ ახლახან დაიწყო, ეს ახალი იდეების, აზროვნების ახალი სტილისა და ახალი პრაქტიკის განვითარების შესაძლებლობას იძლევა. საქართველო ევროპისა და ყოფილი საბჭოთა ბლოკის იმ ქვეყნებს შორისაა, რომლებიც ამჟამად საკუთარი სისხლის სამართლის სისტემის განვითარებისა და გადახედვის პროცესში იმყოფებიან. ამ ქვეყნების მიზანია ბევრი იმ მოსაზრებისა და მეთოდის დანერგვა, რომლებიც წინამდებარე წიგნში უნდა განვიხილოთ. ვიმედოვნებთ, რომ წიგნის წაკითხვის შემდეგ დამატებითი საკითხავი ლიტერატურის გაცნობის სურვილი გაგიჩნდებათ. ასევე, იმედია, წიგნი დებატების გამართვასაც შეუწყობს ხელს კვლევისა და პრაქტიკის ამ დარგში, რომელიც იდეებითა და შესაძლებლობებით ძალიან მდიდარია. ჩვენი მიზანია, კურსის დასრულების დროისთვის სოციალური მუშაობის ამ საინტერესო და მნიშვნელოვან დარგში ცოდნა გაიღრმავოთ და აზროვნებისა და პრაქტიკის არეალი გაიფართოვოთ.

რატომ უნდა ვიმუშაოთ სამართალდამრღვევ პირებთან?

სოციალური მუშაობა სამართალდამრღვევ პირებთან შედარებით ახალი დარგია. ყველაზე მეტი გამოცდილება ამ კუთხით გაერთიანებულ სამეფოში არსებობს, სადაც ამ სფეროს პრობაციის სახელით იცნობენ. აქ ამ მიმართულებით უკვე 100 წელზე მეტი ხანია მუშაობენ. ევროპის სხვა ქვეყნებსა და მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში სამართალდამრღვევ პირებთან მუშაობის სხვადასხვა სისტემა განვითარდა, რომელთა უმრავლესობა იმავე მოსაზრებებსა და ფილოსოფიას ეფუძნება, რასაც სოციალური მუშაობა. ეს სწორედ ის მოდელია, რომელიც, საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთა უახლესი განცხადებების მიხედვით, საქართველოში სამართალდამრღვევ პირებთან მუშაობის სფეროში არსებულ მიდგომას უდევს საფუძვლად.

სანამ სამართალდამრღვევ პირებთან სოციალური მუშაობის საწყისებს განვიხილავდეთ, ჯერ სოციალური მუშაობის *განმარტებით* უნდა დავიწყოთ. შეიძლება გამოგვადგეს შემდეგი სამუშაო განმარტება: სოციალური მუშაობა არის სისტემა იმ ადამიანთა დასახმარებლად, რომლებიც ეკონომიკურად, სოციალურად და/ან ფსიქოლოგიურად მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფებიან. სოციალური მუშაობის პირდაპირი მიზანი ამ ადამიანების პრობლემების აღმოფხვრა ან შემცირებაა. ეს პროფესია თავისი არსით ადამიანების კეთილდღეობაზეა ორიენტირებული.

სოციალური მუშაობის პრაქტიკის ამ საბაზისო განმარტებით შეგვიძლია, არგუმენტირებულად დავასაბუთოთ ჩვეულებრივი მოქალაქეების ცხოვრებაში ჩარევასთან დაკავშირებული ხარჯებიც და ამ ჩარევის დონეც. აღნიშნულის დასაბუთება მორალურ, ეთიკურ, ფინანსურ

და პოლიტიკურ ნიადაგზე შეგვიძლია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგის მტკიცებით, სოციალური მუშაობა მხოლოდ სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი ფორმაა, ამ პროფესიის წარმომადგენლების მოტივაცია იშვიათად არის სოციალური კონტროლის აგენტებად გახდომის სურვილი. გაერთიანებულ სამეფოში თავად ვასწავლი სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამას და როდესაც ჯგუფს ვუსვამ კითხვას – „რატომ გსურთ გახდეთ სოციალური მუშაკი?“ – მათგან მრავალგვარ პასუხს ვიღებ. თუმცა, ძირითადად, პასუხები ისეთ ფრაზებსა და მოსაზრებებს მოიცავს, რომლებიც სხვების დახმარებაზე, სოციალური ცვლილების ხელშეწყობასა და ჩვენს საზოგადოებაში არსებული უსამართლობის გამოსწორებაზე აკეთებს აქცენტს. ამ პასუხებში, როგორც წესი, იგულისხმება, რომ ის ადამიანები, ვისთანაც სტუდენტებს მუშაობა სურთ, მათ დახმარებას რამე კუთხით იმსახურებენ.

თუმცა, სამართალდამრღვევებთან მუშაობისას, დამატებით სირთულესთან გვაქვს საქმე. სამართალდამრღვევმა, საკუთარი არსით, „რაღაც ცუდი ჩაიდინა“ და ამით გადაწყვიტა, ის წესები დაერღვია, რომლებიც საზოგადოებას აერთიანებს. წესებს, რომელთაც უნდა დავემორჩილოთ, ძალიან მკაფიოდ განსაზღვრული სასჯელიც ახლავს თან, რაც საზოგადოების მხრიდან კანონის დარღვევის ფაქტის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას ასახავს. მოკლედ რომ ვთქვათ, სამართალდარღვევას სასჯელი მოსდევს.

თუ სისხლის სამართლის სისტემა სამართალდამრღვევებთან გასამკლავებლად ფლობს ისეთ შესაბამის საშუალებებსა და დაწესებულებებს, როგორებიცაა: ციხეები, პოლიცია და სასამართლო, რისთვისღა გვჭირდება სოციალური მუშაკების ჩართვა? ეს კითხვა დღეს ისეთივე აქტუალურია, როგორც 100 წლის წინ. როგორ მოხდა, რომ საქართველო იმ თანამედროვე ქვეყნების გრძელ ჩამონათვალს შეუერთდა, რომლებიც მზად არიან, ხარჯები გაიღონ და სოციალური მუშაკები სამართალდამრღვევებთან სამუშაოდ მოამზადონ? ბოლოსდაბოლოს, არც ერთი პოლიტიკოსი არ აურჩევიათ თანამდებობაზე იმის გამო, რომ იგი სამართალდამრღვევებს სოციალური მუშაკის მომსახურების, ან ნებისმიერი სხვა სახის მხარდაჭერის გაწევას და ამით მათ ცხოვრების გამარტივებასა ან გაუმჯობესებას დაჰპირდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, მოქალაქეთა უმრავლესობა სახელმწიფოსგან მოელის, რომ ეს უკანასკნელი გარკვეულ ბაზისურ დონეზე მაინც ჩაერევა სამართალდამრღვევების ცხოვრებაში და, იმავდროულად, ეს ჩარევა მხოლოდ არადამსჯელობითი კი არა, პოტენციურად სასიკეთოც იქნება მათთვის. ეს მოლოდინი სამართალდამრღვევების მიმართ უბრალოდ „ბრმა კეთილმოსურნეობის“ გამოვლინება არ არის. მას მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური შედეგები ახლავს თან. ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ თუ სამართალდამრღვევევებთან მუშაობა არ ამცირებს დანაშაულის ან სამართალდამრღვევთა მხრიდან საზოგადოების წინაშე არსებული რისკის დონეს, მაშინ რა საჭიროა ეს მუშაობა?

კურსის ფარგლებში იმ ძირითად მოლოდინებსა და რწმენის სისტემებს განვიხილავთ, რომელთა წყალობითაც სამართალდამრღვევებთან სოციალური მუშაობა მყარი საფუძვლის მქონე მზარდ პროფესიას წარმოადგენს. ასევე, გავეცნობით, რა ფილოსოფიური, სოციალური და პოლიტიკური საწყისებიდან მომდინარეობს ის მრავალი განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება, რომელიც სამართალდამრღვევებთან თანამედროვე სოციალურ მუშაობას უდევს საფუძვლად. მიმოვიხილავთ იმ იდეებსაც, რომლებთან ჭიდილმაც განსაზღვრა, თუ როგორ აღვიქვამთ დღეს სამართალდამრღვევებსა და სამართალდარღვევას და თითოეული ჩვენგანი ამ გაცხარებულ კამათს, რა თქმა უნდა, საკუთარი იდეებით შევუერთდებით. ასევე, განვიხილავთ ძირითად მოსაზრებას, რომელიც, ალბათ, განსაზღვრავს, თუ როგორ ვმუშაობთ დღეს სამართალდამრღვევებთან: ეს არის ზრუნვა კონტროლის წინააღმდეგ, რაც ცნობილია, როგორც რეაბილიტაცია დასჯის წინააღმდეგ და, ასევე, ვიმსჯელებთ იმაზე, თუ რამდენად მართებულია საკითხის ასე პოლარიზებულად წარმოჩენა.

კურსის ფარგლებში ვისაუბრებთ ზემოთ აღნიშნული და სხვა იდეების თანმიმდევრული სისტემის სახით სინთეზის მცდელობაზეც. ამ სისტემის მიზანი სამართალდამრღვევების

უკეთ გაგება და მათთან უფრო ეფექტურად მუშაობაა. მიმოვიხილავთ რიგ თეორიებს, რომელიც კანონდარღვევის წარმოშობის ახსნას სოციალურ, ეკონომიკურ ან ფსიქოლოგიურ ჭრილში ახდენს. სწორედ ამ თეორიების გათვალისწინებით განვიხილავთ პოლიტიკასა და მეთოდებს, რომელთა შემუშავებისა და პრაქტიკაში გამოყენების პირდაპირი მიზანია, შემცირდეს დანაშაულის დონე და/ან ის საფრთხე, რომელსაც დანაშაული უქმნის საზოგადოებას. ამ კუთხით ჯერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პრობაციის თანამედროვე მომსახურებას მიმოვიხილავთ, რაც სისხლის სამართლის სისტემის ძირითადი ტიპების მიმოხილვასაც მოიცავს. იმავდროულად, ვნახავთ, როგორ განვითარდა სისხლის სამართლის სისტემა თითოეულ ქვეყანაში და როგორ ჩამოაყალიბა ამ სისტემამ ადგილობრივ დონეზე სამართალდამრღვევებთან სოციალური მუშაობის ამჟამინდელი პრაქტიკა.

ზემოაღნიშნულის შემდეგ კრიტიკულად მივუდგებით იმ თეორიების განხილვას, რომლებიც დანაშაულის ახსნას ფსიქოლოგიური, პოლიტიკური ან სოციალური კუთხით ახდენს და იმაზეც ვიმსჯელებთ, თუ რა როლს თამაშობს ეს თეორიები თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში. განვიხილავთ „ახალი რეალიზმის“ თეორიასაც, რომელიც ევროპაში პოპულარობას ახლა იძენს და ვიმსჯელებთ, აქვს თუ არა მას რამე საერთო სამართალდამრღვევებთან თანამედროვე სოციალური მუშაობის პრაქტიკასთან.

სხვა მოდელებს შორის ნიუ-იორკის მოდელსაც განვიხილავთ და ვნახავთ, როგორ უჩვეულოდ და შემოქმედებითადაც კი უდგებიან პოლიტიკოსები დანაშაულის მაღალი დონის შესამცირებლად პრაქტიკაში საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სოციალური მეთოდების გამოყენებას. კურსის ფარგლებში შევეხებით იმასაც, რომ ზოგადად, რისკის მართვის და, კონკრეტულად, ახალგაზრდა სამართალდამრღვევებთან მუშაობის სისტემა ამჟამად მრავალუწყებრივ თანამშრომლობაზე გადადის. აქ კი სოციალური მუშაობის ისეთი მოდელებია აქტუალური, რომლებიც ძველ დაყოფას – ზრუნვა კონტროლის „წინააღმდეგ“ – სცდება და თითოეული ასპექტის ელემენტებს ახლებურად და კონსტრუქციულად აჯვარებს ერთმანეთთან.

კურსის ფარგლებში განვიხილავთ, რა როლს თამაშობს სოციალური მუშაკი სამართალდამრღვევთა ცხოვრებაში და, ასევე, იმასაც, თუ როგორ შეიძლება სოციალური მუშაკის ჩარევა სამართალდამრღვევის ცხოვრებაში იმ ფაქტორების განუყოფელი ნაწილი გახდეს, რომელსაც დანაშაულის დონის შემცირება ან აღმოფხვრაც კი შეუძლია. „დანაშაულის ჩადენის შეწყვეტის (დეზისტანსის)“ კვლევა ყურადღებას იმაზე გაამახვილებს, თუ როგორ ხდება ადამიანი სამართალდამრღვევი და როგორ წყვეტს იგი დანაშაულებრივ ქცევას. განვიხილავთ სოციალურ, ეკონომიკურ და ასაკობრივ ფაქტორებსაც, რომლებმაც შეიძლება, დანაშაულის ჩადენა განაპირობოს და მათ იმ ფაქტორებთან დავაკავშირებთ, რომლებიც დანაშაულებრივი ქცევის შეწყვეტის მიზეზი შეიძლება გახდეს. ასევე, მიმოვიხილავთ სამართალდამრღვევების „ღირებულებათა სისტემას“ და ვნახავთ, რა გადაფარვები და განსხვავებებია საზოგადოების არაკანონდამრღვევი წევრების ღირებულებებთან მიმართებით.

ტერმინების – „კრიმინოგენული“ და „არაკრიმინოგენული“ გამოყენებით სამართალდამრღვევის ცხოვრების ასპექტებს შევაფასებთ და განვსაზღვრავთ იმ ასპექტებს, რომლებზე მუშაობაც ყველაზე მეტი სარგებლის მომტანი შეიძლება იყოს. ამის შემდეგ სამართალდამრღვევებთან სოციალური მუშაობის იმ თანამედროვე მიმართულებას მიმოვიხილავთ, რომელიც ამჟამად ჩამოყალიბების პროცესშია და რომლის მთავარ ასპექტს სამართალდამრღვევთა პიროვნული და სოციალური „რესურსების“ განსაზღვრა წარმოადგენს. აღნიშნულის მიზანია, სოციალურმა მუშაკმა საკუთარი ძალისხმევა, ძირითადად, კანონდამრღვევების ცხოვრების „პროსოციალურ“ და „არაკრიმინოგენულ“ ასპექტებზე მიმართოს.

სხვა მოდელებთან ერთად „კარგი ცხოვრების მოდელსაც“ განვიხილავთ და კრიტიკულად შევაფასებთ, კრიმინალურად და არაკრიმინალურად მიჩნეულ ღირებულებებსა და

მისწრაფებებს შორის არის თუ არა იმდენად დიდი განსხვავება, რამდენადაც ჩვეულებრივ გვგონია.

სახელმძღვანელოში განვიხილავთ „იარლიყის მიწებების“ პრობლემასაც: სასამართლო სისტემაში სამართალდამრღვევის მიერ გასავლელ პროცედურებს სოციალური სტიგმატიზაციის სისტემადაც აღიქვამენ, რაც სასამართლო სისტემის მიერ დასახულ მიზანს თავადვე ეწინააღმდეგება. შემდეგ სისხლის სამართლის თანამედროვე პროცედურული სისტემების ანალიზზე გადავალთ; ვისაუბრებთ იმ ინოვაციურ და შემოქმედებით მიდგომებზე, რომელიც ამჟამად ვითარდება, რათა პოტენციური სამართალდამრღვევები დანაშაულის ჩადენას ავარიდოთ და, ასევე, კრიმინალური სისტემის *შიგნით* მოხვედრილი სამართალდამრღვევები სისტემას განვარიდოთ. განვიხილავთ არასასამართლო სასჯელებისა და რეპარაციული სამუშაოს გამოყენებასთან დაკავშირებულ უპირატესობებსა და სადავო საკითხებსაც.

ასევე, მიმოვიხილავთ ციხეებში, სასამართლოებსა და სისხლის სამართლის სისტემის სხვა დაწესებულებებში მომუშავე სოციალური მუშაკების როლს, რათა განვსაზღვროთ, რამდენად შესაძლებელია სოციალური მუშაობის ეთოსის (მისი ძირითადი მახასიათებლების) ისეთ დაწესებულებებში შენარჩუნება, რომელთა დღის წესრიგი და მიზნები ჩვენი პროფესიისგან აშკარად განსხვავდება.

ბევრ ქვეყანაში, რომელშიც სამართალდამრღვევებთან სოციალური მუშაობის პრაქტიკა არსებობს, ამჟამად ხშირად იყენებენ წინასწარი პატიმრობის ანგარიშებს. სახელმძღვანელოში განვიხილავთ, რამდენად განსხვავებულია ამ ანგარიშების შინაარსიცა და ტონალობაც სხვადასხვა დროის პოლიტიკური და კულტურული კონტექსტის შესაბამისად.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში სოციალური სამუშაოს ეფექტურად წარმოებისთვის, აუცილებელია იმ საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე არსებული სტანდარტების ცოდნა, რომელიც მართლმსაჯულების განხორციელების სხვადასხვა ეტაპს შეესაბამება. პირველ ეტაპზე განვიხილავთ პატიმრებთან და პრობაციონერებთან მოპყრობისა და არასაპატიმრო სანქციების გამოყენების თაობაზე არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს. მიმოხილული იქნება საერთაშორისო (გაეროს) და რეგიონალურ დონეზე (ევროსაბჭოს) არსებული დოკუმენტები. ძირითადი აქცენტები გაკეთდება იმ მთავარ პრინციპებზე, მიდგომებსა და სამართლებრივი დაცვის გარანტიებზე, რაზეც უნდა იყოს აგებული კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა მიმართ მოპყობა, როგორც საპატიმრო, ისე არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების დროს.

საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვის შემდეგ აქცენტი გაკეთდება ადგილობრივ სტანდარტებზე. პირველ ეტაპზე შევეხებით სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს; გავიგებთ, თუ რა არის დანაშაული და რა არის სასჯელის მიზანი; გავეცნობით სასჯელის სახეებს, რომელსაც ადგილობრივი კანონმდებლობა იცნობს; განხილული იქნება სისხლის სამართალწარმოების ყველა ეტაპი - პოლიციის მიერ დაკავება, აღკვეთი ღონისძიებების გამოყენების წესი და პირობები, გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპები.

ადგილობრივი სტანდარტების მიმოხილვისას ცალკე აქცენტი გაკეთდება საპატიმრო და არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების პროცესზე. განვიხილავთ საქართველოში არსებულ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის სისტემას, თუ რა უფლებები და მოვალეობები აქვთ ამ სისტემაში განთავსებულ პირებს, შევეხებით ისეთ სენსიტიტიურ საკითხებს, როგორიც არის: პატიმრების მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გამოყენება და გასაჩივრების უფლების რეალიზება. პრობაციისა და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების პროცესი ცალკე იქნება განხილული ისევე, როგორც პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურა და მისი უფლებამოსილება არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების პროცესში. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის პენიტენციური სისტემიდან პრობაციის სისტემაში გადასვლის - ე.წ. „გარდამავალი მენეჯმენტის“ პროცესისა და ამ პროცესში სოციალური მუშაკების როლზე.

საქართველოში სოციალური მუშაობა ახალბედა პროფესიაა. იგი ვითარდება ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების პარალელურად. სახელმძღვანელო მოკლედ მიმოიხილავს სოციალური მუშაობის ინსტიტუტის განვითარებას საქართველოში; სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებს, მათ ძირითად მანდატსა და საქმიანობის მიმართულებებს, ასევე, სოციალური მუშაობის როლს პრობაციის, სასჯელაღსრულების და დანაშაულის პრევენციის სფეროებში. აღსანიშნავია, რომ ის ინსტიტუციური გარემო, რომლებიც არეგულირებს სოციალური მუშაობას ამ სფეროში ახალბედაა. ზოგადად ინსტიტუციური გარემო იშვიათადაა გაყინული და განიცდის ცვლილებასა და განვითარებას. მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებების კონტექსტში ყველა აქტორისთვის მთავარ ამოცანად რჩებოდეს მართლმსაჯულების პროცესში ადამიანზე ორიენტირებული მხარდამჭერი მექანიზმების ეფექტურად განხორციელებისთვის აუცილებელი ინსტიტუტების ადეკვატურობა და ამ ინსტიტუტების განვითარებისათვის საჭირო მექანიზმებისა და რესურსების განვითარება.

ჩვენ დავუბრუნდებით პატიმრობის მაჩვენებლების შედარებას საერთაშორისო დონეზე და მიმოვიხილავთ სხვადასხვა იურისდიქციებში ამ მაჩვენებლების მნიშვნელოვანი განსხვავებულობის პოლიტიკურ ფაქტორებს და შევისწავლით დანაშაულსა და სისხლის სამართლის პოლიტიკას შორის ურთიერთმიმართებას. ჩვენ დავასრულებთ თეორიებისა და იდეების მიმოხილვას სამართალდამრღვევებთან სოციალური და პრობაციის მუშაობისა და ევროპული გადმოსახედიდან დანაშაულის შემცირების თვალსაზრისით „შედეგებისაკენ“ მზარდი სწრაფვის გათვალისწინებით. მხოლოდ ამგვარად შევძლებთ, რომ ამჟამად განვითარების პროცესში მყოფი ქართული სისტემა შესაბამის საერთაშორისო კონტექსტში დავინახოთ.

ბოლოს, სამართალდამრღვევებთან მუშაობის კონკრეტულ მეთოდებს განვიხილავთ და სტუდენტს/პრაქტიკოსს „ველზე“ სამუშაოდ საჭირო ინსტრუმენტებს მივაწვდით. იმ პოლიტიკური და ეკონომიკური ქარიშხლების მიმოხილვა, რომელიც ბოლო 30 წლის მანძილზე პრობაციისა და სოციალური მუშაობის ბევრ სისტემას დაატყდა თავს, გვაჩვენებს, რამდენად შეცვალა „მტკიცებულებებზე დაფუძნებულ“ მიდგომაზე მკვეთრმა გადანაცვლებამ და, იმავდროულად, რისკებზე აქცენტის გაკეთებამ, სოციალური მუშაობის/პრობაციის სფეროს ღირებულებათა ბაზაცა და მუშაობის მეთოდებიც.

ასევე, სახელმძღვანელოში კრიტიკულად მივუდგებით სოციალური მუშაობის უკან მდგარი ძირითადი იდეის – „ცვლილების“ იდეის განხილვას და ვნახავთ, რომ სამართალდამრღვევებთან მუშაობისას სოციალურ მუშაკებს ერთი კონკრეტული მოვლენა კი არა, მთელი პროცესი აინტერესებთ; ამ პროცესის სწორად გაგება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ვიცით, როგორ განვახორციელოთ ჩარევა ცვლილების მოხდენით.

მართალია, ამ სახელმძღვანელოში განხილული მეთოდების ნაწილი უკვე ნაცნობი იქნება სოციალურ მუშაობაში თქვენი პრაქტიკიდან ან სასწავლო კურსებიდან, მაგრამ ჩვენ მათ კონკრეტულად სამართალდამრღვევ პირებთან მუშაობას მოვარგებთ. პოტენციური სამუშაო მეთოდების წარმოდგენისას ვეცდებით, ქმედებების ზუსტი სიის ნაცვლად შემოგთავაზოთ ვარიანტები, რომლისგანაც შესაბამისს თავად აირჩევთ თქვენს პროფესიულ განსჯაზე, კონკრეტული სამართალდამრღვევი პირის მდგომარეობაზე, იმ პოლიტიკასა და სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით, რომლებიც, გარკვეულწილად, ყველა სოციალური მუშაკის ქმედებებს ზღუდავს.

ჩვენი მიზანია, ამ კურსის დასრულების დროისთვის სტუდენტს/პრაქტიკოსს კარგად ესმოდეს ის ძირითადი ცნებები, რომლებიც სამართალდამრღვევებთან თანამედროვე სოციალურ მუშაობას უდევს საფუძვლად და ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს იმაზე, თუ რა ადგილს იკავებს ქართული სისტემა ცოდნისა და გამოცდილების ამ მუდმივად მზარდ საერთაშორისო დარგში. გულწრფელად გვჯერა, რომ სამართალდამრღვევებთან სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის სისტემაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს და რომ იგი კვლევისა და პრაქტიკის შთამბეჭდავ და ინტელექტუალურად დიდი ღირებულების მქონე სფეროს წარმოადგენს.

თავი 1

სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში: წარმოშობა და შემდგომი განვითარება

დანაშაულის ისტორიული და თანამედროვე ახსნა: ბიოლოგიური, სოციალური და პოლიტიკური მოდელები

ენდრიუ ბერნჰარდტი
ლექტორი სოციალურ მუშაობაში, გაერთიანებული სამეფო

სოციალური მუშაობა სამართალდამრღვევებთან რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში ან კონკრეტულ დროს არ წარმოშობილა. მართალია, თანამედროვე ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული და სისტემატური მუშაობა სამართალდამრღვევებთან მე-19 საუკუნეში დაიწყო, მაგრამ იქამდეც იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამ ჯგუფთან რელიგიური თუ საქველმოქმედო მოტივაციის გამო, როგორც წესი, ციხეებში მუშაობდნენ. თუმცა, ეს მუშაობა სრულიად ინდივიდუალურ დონეზე ხორციელდებოდა და, შესაბამისად, როგორც მასშტაბებში, ისე ფუნქციების მხრივაც, შეზღუდული იყო. სამართალდამრღვევებთან სამუშაოდ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული და კანონმდებლობით აღიარებული პირველი სისტემა 1907 წელს გაერთიანებულ სამეფოში „სამართალდამრღვევთა პრობაციის შესახებ აქტის“ მიღებით დაარსდა.

მცდარია მოსაზრება, რომ პრობაციის შესახებ ამჟამინდელ ბრძანებას ზემოთ აღნიშნულმა აქტმა დაუდო საფუძველი. რეალობა ცოტა უფრო საინტერესოა. პრობაციის აქტის მიღებამდე ლონდონის რამდენიმე სასამართლოში მოხალისეები ალკოჰოლზე დამოკიდებულ და უსახლკარო სამართალდამრღვევებთან მუშაობდნენ. ეს მოხალისეები ხშირად „ინგლისის ეკლესიის თვითკონტროლის საზოგადოების“ წარმომადგენლები იყვნენ და „ცოდვასთან“ ბრძოლის მტკიცე ევანგელისტური ვალდებულება ჰქონდათ დაკისრებული. ასეთი მიდგომა სრულიად განსხვავდება იმისგან, რასაც დღეს სოციალურ მუშაობას ვუწოდებთ. ქრისტიანული ორგანიზაციის *„ლონდონის მაგისტრატი სასამართლოების მისია“* მუშაკებს ამ ორგანიზაციაში მუშაობისთვის „მაგისტრატი სასამართლოს მისიონერები“ შეარქვეს. მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის სასამართლოების ნაწილს სასჯელის გადავადების არაოფიციალური პრაქტიკა ჰქონდა დამკვიდრებული. ამის მიზანი იყო, მოხალისეს/მისიონერს საშუალება ჰქონოდა, სამართალდამრღვევს საერთო ან სხვა ტიპის საცხოვრებლის პოვნაში დახმარებოდა. ასეთ შემთხვევაში სამართალდამრღვევი სამუშაოს პოვნას უფრო შეძლებდა და/ან ალკოჰოლიზმის პრობლემას უკეთ გაუმკლავდებოდა.

მაგისტრატი მოსამართლეების მცირე ნაწილი აცნობიერებდა, რომ ბევრი სამართალდამრღვევი ძალიან ღარიბი იყო, კანონს განმეორებით არღვევდა და მათზე საპატიმრო სასჯელს მცირე ან აბსოლუტურად არანაირი ეფექტი არ ჰქონდა. შესაბამისად, ისინი ენთუზიაზმით უდგებოდნენ მოხალისეების/მისიონერების მუშაობას არა მაინცდამაინც იმიტომ, რომ სოციალური მუშაობის ეთოსს იზიარებდნენ, არამედ გაცილებით უფრო პრაქტიკული მიზეზის გამო: „სამართალდარღვევების განმეორებით ჩამდენებზე“ დასჯის ჩვეული მეთოდები არ მოქმედებდა და, შესაბამისად, მათ გამო სასამართლოში ძალიან ბევრი საქმე გროვდებოდა.

„სამართალდამრღვევთა პრობაციის აქტმა“ ნება დართო სასამართლოებს, საერთოდ არ განეხილათ ის შემთხვევები, რომლებიც ძალიან უმნიშვნელოდ იყო მიჩნეული, ან რომელზე რეაგირებაც რამე მიზეზით სამართლის სისტემის ინტერესს არ წარმოადგენდა. *ავტომატურად* არ იგულისხმებოდა ის, რომ სამართალდამრღვევზე რამე ფორმით ზედამხედველობა დაწესდებოდა, ან ამის თაობაზე შესაბამისი ბრძანება გაიცემოდა, თუმცა მაგისტრატ მოსამართლეს ასეთი *პირობის* დაწესება *შეეძლო*.

დროთა განმავლობაში სასამართლოს მიერ მსგავსი პირობების დაწესებამ უფრო რეგულარული ხასიათი მიიღო. აღნიშნული პრაქტიკა უფრო მეტად აღიარებული გახდა და მისი განვითარებისთვის ხელსაყრელი კლიმატი და შეხედულებებიც ჩამოყალიბდა.

1912 წელს რობერტ ვოლასი (სასამართლოში დედოფლის მრჩევლის უმაღლესი წოდების მფლობელი) აცხადებდა, რომ მის სასამართლოში *„მას შემდეგ, რაც 4 წლის წინ სამართალდამრღვევთა პრობაციის აქტით სამართალდამრღვევებთან მუშაობის ახალი მეთოდი შემოიღეს, შემთხვევების რაოდენობა სტაბილურად იკლებს; მათგან კი, ვისთანაც ეს სამუშაო ჩატარდა, დანაშაული განმეორებით ძალიან ცოტამ თუ ჩაიდინა.“* (The Guardian, 2007 წ.).

დროთა განმავლობაში მაგისტრატი მოსამართლეების ზეგავლენითა და „ლონდონის მაგისტრატი სასამართლოს მისიის“ მხარდაჭერით, პრობაციის პრაქტიკის თაობაზე „წესები“ შემუშავდა. ამის მიუხედავად, ეს სფერო სრული სახელმწიფო კონტროლის ქვეშ გადავიდა1938 წელს, ანუ მაშინ, როდესაც სფეროს ოფიციალური დაფინანსება დაიწყო. ამ დროისთვის პრობაციის იდეას ფესვები უკვე ევროპაშიც ჰქონდა გამდგარი. ასევე, დიდი საკანონმდებლო და პოლიტიკური წინააღმდეგობის მიუხედავად, 1925 წელს პრობაციის მნიშვნელობა კანონმდებლობის დონეზე ამერიკაშიც აღიარეს.

სხვადასხვა ქვეყანაში ეს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სისტემები, ჩამოყალიბების პროცესში, მსგავსი სოციალური პრობლემების წინაშე დადგა: ბავშვების უგულებელყოფა, ალკოჰოლიზმი, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ძალადობა, სიღარიბე და რიგი სხვა საკითხებისა, რომელსაც დღეს სოციალური მუშაობის ინტერესის სფეროდ განვიხილავთ.

გაერთიანებულ სამეფოში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პრობაციის ოფიცრების სოციალურ მუშაობაში მომზადება ნორმად იქცა, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ სამართალდამრღვევებთან მუშაობა მათ კეთილდღეობაზე იყო ორიენტირებული. ეს მიდგომა 1948 წლის სისხლის სამართლის აქტშიც აისახა, რომელიც ხაზს უსვამდა, რომ სამართალდამრღვევებზე პრობაციის შესახებ გაცემული ბრძანების მიზანი „მათთვის რჩევის მიცემა, მხარდაჭერა და დახმარება“ იყო. თუმცა, სხვა ქვეყნებში „პრობაციის“ სამსახურს, როგორც მას უკვე იმ დროს მოიხსენიებდნენ, სამხედრო ძალების ან პოლიციის ქმედებებთან უფრო მეტი ჰქონდა საერთო. აშშ-ში, მაგალითად, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების ოფიცრები, როგორც მათ უწოდებდნენ, შეიარაღებულები იყვნენ. მათი ფუნქცია ზედამხედველობა და ნარკოტიკული საშუალების მოხმარების შემოწმება იყო. თანამედროვე რუსეთში ამ მუშაკებს(რომელთაც სასჯელაღსრულების მუშაკებს უწოდებენ), თავდაცვასა და იარაღის ხმარებას ასწავლიან. ისინი სამხედრო ფორმას ატარებენ და სამხედრო წოდებას ფლობენ (ოფიცერი, გენერალი და ა.შ.). ეს ყოველივე იმის გამოვლინებაა, რომ აღნიშნული სამსახური, ტრადიციულად, კონტროლსა და თავისუფლების შეზღუდვაზე იყო ორიენტირებული. საინტერესოა, რომ ბოლო წლებში, სასჯელაღსრულების სამსახურმა(რომელიც სამართალდამრღვევებზე ზემოთ აღნიშნული ზედამხედველობის განხორციელებაზეა პასუხისმგებელი) გაერთიანებული სამეფოდან და ევროპიდან სოციალური მუშაობის იდეების გადმოღება დაიწყო, თუმცა ამ იდეების მიმართ პოლიტიკურ და სასამართლო წრეებში ჯერ კიდევ დიდი წინააღმდეგობაა.

დღეს უკვე არსებობს საერთაშორისო შეთანხმებები სხვადასხვა კატეგორიის სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობისა და იმის მიხედვით, თუ რა ტიპის სასჯელი აქვთ მათ მისჯილი. ეს შეთანხმებებია: პატიმრების შესახებ (გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, 1955 წ.); არასრულწლოვანი დამნაშავეების შესახებ (1985 წლის გაეროს „პეკინის წესები“); საპატიმრო სასჯელების შესახებ (1990 წლის გაეროს „ტოკიოს წესები“). გაეროს წესები ევროპულ კონტექსტზე დაყრდნობით განავითარა და დაამტკიცა მინისტრთა საბჭომ. ასევე, აღსანიშნავია შემდეგ საკითხებზე შემუშავებული წესები: ალტერნატიული სანქციები 1992 წ.; პრობაციის სამსახურის კადრები 1997 წ.; ციხეების გადატვირთულობა, 1999 წ.; ალტერნატიული სასჯელების განხორციელება, 2000 წ.; ვადაზე ადრე გათავისუფლება, 2003 წ. და 2006 წ.; დაზარალებულები, 2006 წ.; წინასწარ პატიმრობაში

მყოფი პირები, 2006 წ.; არასრულწლოვანი სამართალდამრღვევები, 2008 წ.; საზოგადოებრივი სანქციები, 2010 წ. და ყველაზე ახალი – ელექტრონული მონიტორინგი, 2014 წ.

ამ სიისთვის თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ, როგორ გაფართოვდა ზემოთ ჩამოთვლილი წესების მოქმედების არეალი, ისევე, როგორც გაიზარდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის პროგრამები და, შესაბამისად, იმ ადამიანების რიცხვიც, რომლებიც ამ სისტემის მხრიდან რამე კონტროლის ქვეშ იმყოფებიან. თუ ადრე წესები მხოლოდ პატიმართა მართვას ეხებოდა, ახლა სულ უფრო მეტ და განსხვავებულ თემას მოიცავს.

ზემოთ ჩამოთვლილ წესებში ის ძირითადი მოსაზრებები ჩამოყალიბდა, რომლებიც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის პრაქტიკას განსაზღვრავს. ამ წესების პირდაპირი მიზანი პრობაციის პრაქტიკის, მართვისა და კადრებით დაკომპლექტების კუთხით მიდგომების შეთანხმება იყო, რათა ეს ასპექტები ევროპულ სისტემებში თანმიმდევრულად განვითარებულიყო. ერთ-ერთ ნაკლებად ცნობილ წესში საინტერესო რამ იყო ჩადებული: პრობაციის თითოეული სააგენტო ვალდებული იყო, დაეცვა საკუთარი საქმიანობა და მისი პოპულარიზაცია მოეხდინა, რათა საზოგადოებას უკეთ გაეგო, რას საქმიანობდა ეს სამსახური და რა იყო მისი მიზანი. „პრობაციის სამსახურის პოპულარიზაციის“ თაობაზე ვალდებულების ჩადება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ბევრმა სამსახურმა საკმაოდ გვიან გააცნობიერა, დაფინანსების მოპოვებისა და არსებობისთვის მათ საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა და ნდობა რომ სჭირდებოდა (პრობაციის ევროპული კონფედერაცია (CEP), 2011წ.).

ზემოთ მოცემული წესები პრობაციის ყველა ჩართული სამსახურისთვის სამართლის სისტემის ღიაობისა და ანგარიშვალდებულების ერთიან სტანდარტს აწესებს, რაც ჰუმანიტარულ და დემოკრატიულ პრინციპებს ეფუძნება. მაგალითად, ამ წესების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია „მინიმალური ჩარევა“, რომლის მიზანია სამართალდამრღვევების უფლებებისა და თავისუფლებების მხოლოდ ისეთ მინიმალურ დონემდე შეზღუდვა, რაც სასჯელის მიზნების მისაღწევადაა საჭირო.

როგორც ვნახავთ, პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები მუდმივად იცვლება და დროთა განმავლობაში, ეს წესებიც აუცილებლად შეიცვლება, თუმცა მხოლოდ მომავალი გვიჩვენებს, გამკაცრდება ისინი (სამართალდამრღვევთა უფლებების შეზღუდვის კუთხით) თუ შერბილდება (რეაბილიტაციის იდეალების გამყარების კუთხით). მე-10 თავში აქ დაწყებულ საერთაშორისო ანალიზს კიდევ უფრო ჩავუღრმავდებით.

მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ ზემოთ მოცემული წესები არ არის კანონები, რომლებიც რეალობაში შეიძლება გატარდეს და რომ ისინი მხოლოდ ევროპის საბჭოს წევრებს ეხება. ამ წესებზე შეთანხმებისას ღიად იყო გაცხადებული, რომ თითოეულ ქვეყანას საკუთარი სისტემა და პრაქტიკა აქვს და რომ მათი პატივისცემა აუცილებელია. როგორც შემდგომში ვნახავთ, სხვადასხვა ქვეყნის განსხვავებული სისტემისა და პრაქტიკის ელემენტები დეკორაციულ ხასიათს არ ატარებს და ძირეულ ფილოსოფიურ, ისტორიულ, კულტურულ და პოლიტიკურ შეხედულებებზე მიგვანიშნებს.

პრობაციის სფეროს „ინტერნაციონალიზაცია“ გრძელდება და თანაც, სწრაფი ტემპით. 2013 წელს ლონდონში პრობაციის სფეროში პირველი მსოფლიო კონგრესი შედგა, რომელსაც პოლიტიკოსები და დელეგატები მთელი მსოფლიოდან და, მათ შორის, საქართველოდანაც ესწრებოდნენ. ევროპული ვებგვერდების რიცხვი, რომლებიც პრობაციის დარგში პრაქტიკასა და განათლებას ეძღვნება, სულ უფრო იზრდება. იმ ქვეყნების წარმომადგენლებს, რომლებშიც სამართალდამრღვევებთან სოციალური მუშაობა ახლა ვითარდება, მეტად აქვთ შესაძლებლობა, საერთაშორისო პროფესიულ თემს შეუერთდნენ. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ პრობაციის პრაქტიკაში საერთაშორისოდ აღიარებული „ოქროს სტანდარტი“ არსებობს, რომელსაც სისხლის სამართლის ყველა სისტემა იცავს. ამის ნაცვლად გვაქვს ძალიან ბევრი სისტემა, რომელთაგან თითოეული „პრობაციის იდეის“ საკუთარი ვერსიის ჩამოყალიბებას

ცდილობს. ამგვარად, სულაც არ არის გასაკვირი, რომ როგორც სისტემებში, ისე სისტემებს შორისაც გარკვეული წინააღმდეგობა არსებობს.

აღნიშნული წინააღმდეგობები თითოეული ქვეყნის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისა და სასჯელაღსრულების ფილოსოფიის ძირეული ტიპოლოგიიდან მომდინარეობს. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემების კატეგორიზაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ არც ერთი ქვეყნის სისტემა არ არის „წმინდად“ რომელიმე ერთი ტიპის. სინამდვილეში, თითოეულ სისტემაში სხვა სისტემების ელემენტებიცაა გარეული. მაგალითად, ზოგი სისტემა რელიგიურ შეხედულებებს ეფუძნება, ზოგი პოლიტიკურ ელიტას ან ძალაუფლების მქონე სხვა ჯგუფს იცავს, ზოგიც კრიმინალის კონტროლს ისახავს მიზნად, სხვები კი სამართლიანობის ან კეთილდღეობის იდეების დანერგვას ცდილობენ. ბოლო ორი ტიპის სისტემა უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ევროპასა და ამერიკაში პრობაციის სფეროში განსაკუთრებით დომინანტურ როლს თამაშობს.

აქვე სასარგებლო იქნება, ვახსენოთ ამერიკელი მეცნიერის, ჰერბერტ პაკერის 1960-იანი წლების ნაშრომი *„სისხლის სამართლის სასჯელების ფარგლები“*, რომელშიც მან სისხლის სამართლის სისტემის ორი ფართო მოდელი წამოაყენა: „დანაშაულის კონტროლისა“ და „სათანადო სამართლებრივი პროცესის“ მოდელები (Packer, 1968 წ.).

„დანაშაულის კონტროლის“ სისტემა ყურადღებას იმაზე ამახვილებს, თუ როგორ ვმართოთ როგორც დანაშაულის დონე, ისე ის რისკი, რომლის წინაშეც დანაშაული საზოგადოებას აყენებს. „სათანადო სამართლებრივ პროცესზე“ დაფუძნებული სისტემა უფრო სამართლის სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებსა და კანონის სამართლიანად დანერგვის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. პაკერმა საკუთარ შედარებით ანალიზში აღნიშნა, რომ სხვადასხვა ქვეყანა, მისი ისტორიიდან და კულტურიდან გამომდინარე, სხვადასხვა აქცენტის გაკეთებას ირჩევს. თუმცა, ქვეყნების უმრავლესობა ეკონომიკური თუ პოლიტიკური არასტაბილურობის პერიოდში უფრო „დანაშაულის კონტროლის“ სისტემისკენ იხრება, ხოლო უფრო კეთილსაიმედო და ლიბერალურ პირობებში კი – „სათანადო სამართლებრივ პროცესზე“ დაფუძნებული სისტემისკენ. აღნიშნული მოსაზრებები სრულყოფილად რომ წარმოვაჩინოთ, „სამართლიანი მიზღვის“ და „რეაბილიტაციის“ მოდელებიც უნდა განვიხილოთ.

„სამართლიანი მიზღვის“ მოდელი სამართალდამრღვევისთვის ისეთი სასჯელის დაწესებას გულისხმობს, რომელიც *ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის* და *სამართალდამრღვევის ბრალეულობის* ზუსტად პირდაპირპროპორციულია. სასჯელი მკაცრად განსაზღვრული საზომით წესდება და მას არანაირი დამატებითი მიზანი არ ახლავს თან. მაშასადამე, სასჯელს არანაირი კავშირი არ აქვს სამართალდამრღვევის რეაბილიტაციასთან ან დანაშაულის ჩადენისთვის სამაგიეროს გადახდასთან.

რეაბილიტაციაზეორიენტირებული მოდელი სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის სკოლებიდან იღებს სათავეს. ამ სკოლებში კი დანაშაულის ჩადენის მიზეზად, ძირითადად, ეკონომიკური და/ან პიროვნული ან ფსიქოლოგიური ნაკლოვანებებია მიჩნეული, რომლებიც შეიძლება „გამოსწორდეს“. ეს მოდელი წმინდა ბიოლოგიურ/ფსიქოლოგიურ და დეტერმინისტულ მიდგომებს ეწინააღმდეგება, რადგან მასში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რწმენას, რომ ადამიანებს, შესაბამისი დახმარების, მითითების ან მოტივაციის არსებობის შემთხვევაში, შეუძლიათ, საკუთარი ქცევა შეცვალონ და უფრო კანონმორჩილები გახდნენ. მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამართალდამრღვევებთან სოციალური მუშაობის ფილოსოფიური საფუძველი დიდწილად (მაგრამ არა მთლიანად) რეაბილიტაციის მოდელზეა დაშენებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის საბჭოს პრობაციის წესები უმეტესად „სათანადო სამართლებრივი პროცესის“ მოდელს ეფუძნება, თუმცა წესების გარკვეული ელემენტები „დანაშაულის კონტროლის მოდელიდანაც“ მომდინარეობს. მაგალითად, მაშინ, როცა ბევრი წესი სამართალდამრღვევებისთვის გარკვეული საბაზისო სტანდარტის შესაბამისი მოპყრობის უფლებას აწესებს, იგივე წესები მაღალი რისკის სამართალდამრღვევებს პირადი ცხოვრებისა და გადაადგილების უფლებას მეტად უზღუდავს. ეს შეიძლება „ახალი

რეალიზმის“ გამოვლინებად აღვიქვათ, რომელიც კრიმინოლოგიური კონსენსუსის უფრო ლიბერალურ მხარეს დროდადრო ჩნდება ხოლმე.

მოგვიანებით ამ თანამედროვე მოძრაობის საწყისებსაც განვიხილავთ და ვნახავთ, როგორ არის მასში ასახული სამართალდამრღვევებთან სოციალური მუშაობის დარგში დიდი ხნის განმავლობაში არსებული პოლიტიკური და იდეოლოგიური წინააღმდეგობები. მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ ზემოთქმული მხოლოდ ერთი მაგალითია იმ დებატებს შორის, რომელიც სამართალდამრღვევებთან სოციალური მუშაობის ხასიათისა და მომავლის შესახებ ამჟამად გლობალურ დონეზე მიმდინარეობს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს სფერო იდეებს ხარბად ეტანება, თუმცა, ჩვენდა საბედნიეროდ, ვინც ამ სფეროში ვმუშაობთ და მისი შესწავლით ვართ დაკავებულნი, ვიცით, რომ ის თავადაც მრავალ იდეას ბადებს. ვიმედოვნებთ, რომ ეს სფერო სწორედ ამით დაგაინტერესებთ და ეს ინტერესი მთელი კურსის განმავლობაში არ გაგინელდებათ. წინამდებარე თავის მომდევნო ნაწილში სამართლის სისტემის მოდელებს განვიხილავთ და, ასევე, ვნახავთ, როგორ ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სისტემები ამ მოდელების სახეცვლილებისა და კომბინირების შედეგად.

სახელმძღვანელოს წინამდებარე ნაწილში პაკერის ნაშრომს დამატებით განვავითარებთ და უფრო სრულყოფილ სახეს მივცემთ. პაკერმა ორ სრულიად განსხვავებულ სამართლის მოდელს შორის მოგვცა არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. ესენია: „სათანადო სამართლებრივი პროცესისა“ და „დანაშაულის კონტროლის“ მოდელები. თუმცა, რეალობაში, როგორც პაკერის კრიტიკოსებიც აღიარებენ, ეს განცალკევებული და ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნული ცნებები კი არ არის, არამედ მხოლოდ ურთიერთსაწინააღმდეგო იდეებია. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემები სწორედ ამ იდეებს ეფუძნება და, თანაც, სისტემათა უმრავლესობაში აღნიშნული ორი იდეა სხვადასხვაგვარადაა ერთმანეთთან შერწყმული. პაკერის ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ მის მიერ წამოყენებული იდეების თაობაზე დებატები და ანალიზი მუდმივად მიმდინარეობს, რის შედეგადაც ეს იდეები კიდევ უფრო დაიხვეწა. დღეს სამართლის სისტემების მრავალი მოდელი არსებობს, მაგალითად: კეთილდღეობაზე, განრიდებაზე, დანაშაულის აღმოფხვრაზე, აღდგენით სამართალსა და უფლებებზე ორიენტირებული მოდელები. თითოეული მათგანი განსხვავებულ თემებზე აკეთებს აქცენტს. მაგალითად, განრიდებაზე ორიენტირებული მოდელი, პირველ რიგში, დანაშაულის პრევენციას და, ასევე, სასამართლო სისტემაში სათანადო პროცესის წამოწყების რისკის შემცირებას ისახავს მიზნად, რადგანაც ეს პროცესი, როგორც მოსალოდნელია, სამართალდამრღვევისთვის იარლიყის მიწებებით სრულდება.

უფლებებზე დაფუძნებული მოდელი სხვა საკითხებს შორის დაზარალებულის უფლებებზეც ამახვილებს ყურადღებას. ეს მოდელი სისხლის სამართლის ევროპულ და ამერიკულ სისტემებში მიმდინარე უფრო ფართომასშტაბიანი მოძრაობის ნაწილია, რომლის მიზანიც „დაზარალებულზე ცენტრირებული სისტემის შექმნაა“. მსგავს მოძრაობათაგან რამდენიმეზე ღირს შეჩერება, რათა მათი წინაისტორია და პოლიტიკაზე ზეგავლენა განვიხილოთ. უფლებებზე დაფუძნებულ მოდელში კეთილდღეობაზე ორიენტირი აქტუალობას კარგავს (კეთილდღეობაზე ორიენტირებული მოდელი დანაშაულს სამართალდამრღვევის სოციალურ და ფსიქოლოგიურ გარემოებებს უკავშირებს და ამ გარემოებებს კანონდარღვევის შემამსუბუქებელ გარემოებებადაც კი მიიჩნევს). უფლებებზე დაფუძნებული მოდელის მიხედვით, სისხლის სამართლის სისტემაში დაზარალებულის ხმა დაკნინებულია და ხშირად არც ისმის, რადგან ისინი, ვინც მკაცრი კანონმორჩილების იდეას ემხრობიან, ხმის ჩახლეჩამდე ეჯიბრებიან ყვირილში მათ, ვინც უფრო ლიბერალურ და კეთილდღეობაზე ორიენტირებულ მიდგომას ირჩევს.

აღდგენითი მოდელი ცდილობს, ერთმანეთს დაუკავშიროს სამართალდამრღვევის მორალური და იურიდიული პასუხისმგებლობები და დაზარალებულის უფლება, მისთვის მიყენებული ზარალი აღიარონ და აანაზღაურონ კიდეც. 1990-იანი წლების ბოლოს კერი როუჩი აღდგენითი მოდელების დასაცავად გამოსვლისას ამბობდა, რომ ისინი „დანაშაულის

კონტროლისა“ და „სათანადო სამართლებრივი პროცესის“ ურთიერთსაწინააღმდეგო ბაზისური მოდელების უფრო დახვეწილ ვერსიადაც შეიძლება აღვიქვათ (Terril, 2012 წ.).

მომდევნო თავში სამართლის სისტემების მოდელებიდან უფრო ფუნდამენტურ კითხვაზე გადავალთ, რომელიც დანაშაულებრივი ქცევის „მოდელებს“ შეეხება, კერძოდ: რა იწვევს დანაშაულს?

გამოყენებული ლიტერატურა:

Commentary to Recommendation CMRec/Probation 2010.

Guardian Newspaper, T. (2007). *Timeline: A History of Probation*. Retrieved April 8, 2014 from Guardian Online: http://www.theguardian.com/society/2007/may/02/crime.penal

Nations, U. (1955). *UN Standard Minimum Rules for the Treatemnt of Prisoners*. Retrieved April 10, 2014 from Refworld: http://www.refworld.org/docid/3ae6b36e8.html

Packer, H. (1968). *The Limits of the Criminal Sanction.* Stanford University Press.

Terril, R. (2012). *World Criminal Justice Systems: A comparitive survey.* Newnes.

თავი 2

დანაშაულის მართვა და პრევენცია: სტატისტიკა, დამოკიდებულებები და მიდგომები

ენდრიუ ბერნჰარდტი
ლექტორი სოციალურ მუშაობაში, გაერთიანებული სამეფო

რა იწვევს დანაშაულს?

სისხლის სამართლის სისტემებზე ზოგადი წარმოდგენა წინა თავიდან უკვე შეგვექმნა. ახლა დროა, ყურადღება დანაშაულებრივი ქცევის ძირითად ასპექტებზე გავამახვილოთ. აღსანიშნავია, რომ ამ ფუნდამენტურ კითხვას საკმაოდ მრავალრიცხოვანი პასუხი აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კითხვა ასე მომხიბლავად მიამიტურია და ასე მარტივადაა დასმული, იგი უმნიშვნელოვანესი საწყისი წერტილია ყველასთვის, ვისაც სურს, სამართალდამრღვევებთან სოციალური მუშაობის პრაქტიკა ჰქონდეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალური მუშაობის მიზანი ცვლილების მოხდენაა; „პოზიტივისტური“ შეხედულების მიხედვით, რომელიც ამ პროფესიას საფუძვლად უდევს, თუ დანაშაულის მიზეზებს გავიგებთ, შეგვიძლია, ამ მიზეზების აღმოსაფხვრელად მუშაობა დავიწყოთ და, იმავდროულად, დანაშაულებრივი ქცევა და ის რისკიც შევამციროთ, რომლის წინაშეც აღმოჩნდება საზოგადოება.

თუმცა, ლიტერატურის თვალის გადავლებითაც კი ვნახავთ, რომ ამ მარტივი კითხვის უკან მრავალი ბილიკი გადის, რომელთაგან თითოეულს სრულიად განსხვავებული მიმართულებით მივყავართ. მაშასადამე, უნდა შევთანხმდეთ, რომ ამ არჩევითი კურსის ფარგლებში, აღნიშნული საკითხის *„გადაწყვეტა“* და სწორი პასუხის პოვნა კი არა, არამედ ამ კითხვაზე არსებული მრავალი და განსხვავებული პასუხის *„გამოკვლევა“* გვჭირდება. ეს პასუხები დაგვეხმარება, გავიგოთ, თუ როგორ განისაზღვრება, ხორციელდება და „იმართება“ დანაშაული თანამედროვე საზოგადოებაში. თუ ამას შევძლებთ, და, იმავდროულად, არ დავივიწყებთ, რომ რა შეხედულებამდეც არ უნდა მივიდეთ, ეს შეხედულება სწავლისა და პრაქტიკის პროცესში თავისუფლად შეიძლება შეგვეცვალოს, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ნამდვილად მნიშვნელოვან მიზანს მივაღწიეთ.

ზოგად დონეზე დანაშაულის „მიზეზები“ სხვადასხვა კატეგორიებად შეგვიძლია დავყოთ, რომელთაგან თითოეული, თავის მხრივ, კიდევ შეიძლება შემადგენელ ნაწილებად დაიყოს. თუმცა, ამ ეტაპზე დანაშაულის მიზეზების მხოლოდ სამ კატეგორიად დაყოფაზე ვისაუბრებთ. ეს კატეგორიებია: ბიოლოგიური, სოციალური და ფსიქოლოგიური. კვლავ უნდა აღვნიშნოთ: მიუხედავად იმისა, რომ ეს კატეგორიები თეორიულიად განცალკევებულ ცნებებად განიხილება, რეალობასა და პრაქტიკაში ვნახავთ, რომ მათი შემადგენელი მოსაზრებები და თეორიები ერთმანეთს ვენის დიაგრამის მსგავსად გადაფარავს.

მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჩვენს ქცევას ბიოლოგიური ფაქტორები განსაზღვრავს, უძველესი დროიდან მოდის. ბერძენი, სპარსელი და რომაელი ექიმები „ოთხი სითხის“ მოდელს იყენებდნენ, რომლის მიხედვითაც ჩვენს სხეულსა და პიროვნულ თვისებებს შემდეგი ელემენტები განაგებდა: დედამიწა, ჰაერი, ცეცხლი და წყალი. ეს ელემენტები ერთმანეთთან კომპლექსურად იყო შერწყმული და სწორედ ეს განაპირობებდა თითოეული ადამიანის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ სისუსტეებსა და ძლიერ თვისებებს.

უილიამ შექსპირმაც იცოდა, რომ პუბლიკა ადვილად გაიგებდა მის ნაწერს:

კეისარი:

„ჩემს ირგვლივ მსუქანი კაცები მჭირდება..., ... კასიუსს მჭლე და მშიერი შესახედაობა აქვს; ის ძალიან ბევრს ფიქრობს; ასეთები საშიშნი არიან“.

მე-18 საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც რაციონალურ სამეცნიერო აზროვნებასა და მოდერნიზმს (როგორც მას ახლა ვუწოდებთ) ჩაეყარა საფუძველი, თითქოს ამ მოსაზრებებსაც აქტუალობა უნდა დაეკარგა. თუმცა, სწორედ რაციონალური „მეცნიერული კვლევის“, ანთროპოლოგიის, ევგენიკისა და ფსიქიატრიის (და, ასევე, ველური თეორიული დაშვების) ძლიერმოქმედმა ნაზავმა უბიძგა ჩეზარე ლომბროზოს, 1878 წელს თავისი ნაშრომი *„დამნაშავე“* გამოექვეყნებინა. ლომბროზოს მოსაზრებით, რომელსაც იმ დროს ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა, დამნაშავეობა მემკვიდრეობითი იყო. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ამავე შეხედულების მიხედვით, დამნაშავის ამოცნობა სხეულის, განსაკუთრებით კი - თვალების, თავისა და მხრების დათვალიერებით შეიძლებოდა. დღეს მსგავს იდეებს მარტივად უგულებელვყოფთ, რადგან მათ ძველმოდურად ან, უბრალოდ, ცრურწმენად მივიჩნევთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლომბროზო მე-20 საუკუნეშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, თანაც საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში და თუ კარგად მივაყურადებთ, „ჩურჩულით“ გაცხადებულ მსგავს მოსაზრებებს ლიტერატურაში, ჟურნალისტიკასა და პოლიტიკურ გამოსვლებში დღესაც შეიძლება გადავაწყდეთ.

დროთა განმავლობაში, რა თქმა უნდა, ეს მოსაზრებები სხვა მოსაზრებებმა ჩაანაცვლა. ალბათ, სწორედ იმ ზიანის გამო, რაც ლომბროზოს იდეებს მოჰყვა შედეგად, დანაშაულის ჩადენის ბიოლოგიური კუთხით ახსნას ამჟამად დიდი სიფრთხილით ეკიდებიან.

თუმცა, სანამ ამ სფეროს გავცდებით, ტვინის ფუნქციონირებასა და გენეტიკასთან მიმართებაში ამჟამად მიმდინარე მუშაობა უნდა განვიხილოთ, რომელიც ძალიან ღირებული და მნიშვნელოვანია.

ევგენისტებმა, ლომბროზოთი დაწყებული და ჰიტლერით დამთავრებული, დანაშაულებრივი ქცევის ბიოლოგიური ფაქტორებით ახსნის მოდელი თითქმის მთლიანად გააბათილეს და მას „პატივსაცემი კვლევის“ დარგის რეპუტაცია სრულიად დაუკარგეს. საკუთარ შეცდომებზე მოგვიწია გვესწავლა, რომ მსგავსმა იდეებმა მეორე მსოფლიო ომის, რასისტული დევნისა და გენოციდის საშინელებამდე შეიძლება მიგვიყვანოს. შესაბამისად, გასაგებია ტენდენციაც, რომ დანაშაულის მიზეზებს ახლა სოციალურ ფაქტორებში ეძებენ. თუმცა, ამ ეტაპზე არაფერს მოგვცემს დებატებში ჩართვა კლასიკურ თემაზე – „ბუნება აღზრდის წინააღმდეგ.“ ამის ნაცვლად უფრო სასარგებლო იქნება, ვისაუბროთ ეპიგენეტიკაზე, რომელიც დღესდღეობით მზარდ დარგს წარმოადგენს. ეპიგენეტიკა შეისწავლის, თუ როგორ მოქმედებს ჩვენი გარემო ზრდისა და ჩამოყალიბების პროცესში ჩვენს გენეტიკაზე. იგულისხმება, რომ ჩვენს გარემოსა (ემოციური, განათლებასთან დაკავშირებული, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორები) და ბიოლოგიურ (და, მაშასადამე, გენეტიკურ) მახასიათებლებს შორის რთული ურთიერთდამოკიდებულებაა. ეს უხეშ ბიოლოგიურ დეტერმინიზმს სცდება, რომელიც მხოლოდ საკუთარი თავის გამართლებაზეა ორიენტირებული.

დანაშაულის (და, ზოგადად, პიროვნების) წმინდა ბიოლოგიური ახსნიდან სოციალურ ახსნაზე გადასვლა, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, მკვეთრად უნდა გავარჩიოთ ლომბროზოს წმინდა გენეტიკური დეტერმინიზმისგანაც და სხვების მოსაზრებებისგანაც, რომელთა მიხედვითაც გენეტიკა „ქმნის“ დანაშაულს.

შემდეგ მტკიცებულებებს ისინიც კი დაეთანხმებიან, ვინც ყველაზე მგზნებარედ იცავს მოსაზრებას, რომ დანაშაულს სოციალური ფაქტორები განაპირობებს: გარემო ადამიანის განვითარებაზე დაბადებიდანვე მოქმედებს; განვითარებაში ტვინის ფუნქციონირებაც და პიროვნების ჩამოყალიბებაც მოიაზრება; გარემოსა და ადამიანის მზარდი ორგანიზმის ურთიერთობის პოტენციალიც სწორედ განვითარებაში დევს (რაც ეწინააღმდეგება მოსაზრებას, რომ პიროვნებას გენეტიკა ქმნის); გარემოსთან ურთიერთობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფსიქოლოგიური და ფიზიკური განვითარების კუთხით.

ზემოთ აღწერილი „განვითარებაზე დაფუძნებული ცხოვრების მოდელის“ სახელითაა ცნობილი და, რა თქმა უნდა, ეპიგენეტიკის მზარდ დარგთანაა კავშირში. ამ მოდელსა და დანაშაულს შორის დამოკიდებულებას ახალი ზელანდიის იუსტიციის მინისტრი შემდეგნაირად ხსნის:

„განვითარებაზე დაფუძნებული ცხოვრების მოდელის მიხედვით, დანაშაული განვითარების პროცესის შედეგია. ეს პროცესი დაბადებამდე იწყება და ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. ამ თეორიის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ბიოლოგიურ ფაქტორებს ადამიანის ცხოვრების ადრეულ ეტაპზე მეტი მნიშვნელობა ენიჭება, სოციალური ფაქტორების ზეგავლენა დროთა განმავლობაში მატულობს. განვითარებაზე დაფუძნებული ცხოვრების მოდელის ძირითად ასპექტს განვითარებაში გარდამტეხი მომენტების განსაზღვრა წარმოადგენს, რათა ჩარევა სწორედ აქ განხორციელდეს და ამით პოზიტიურ განვითარებას შევუწყოთ ხელი“. (ახალი ზელანდიის იუსტიციის სამინისტრო, 2009 წ.).

ბოლო წინადადება საინტერესოა იმ კუთხით, თუ რას შეიძლება ეს ნიშნავდეს მომავალი თაობებისთვის სოციალური მუშაკების ინტერვენციის, ბავშვზე ზრუნვისა და განათლების თვალსაზრისით.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ფსიქოლოგიაში ორი მოძრაობა იყო დომინანტური: ფსიქოანალიტიკური თეორია და ბიჰევიორიზმი. შემდგომში კარლ როჯერსისა და სხვების ნაშრომების საფუძველზე „მესამე ტალღა“- ჰუმანიზმი ჩამოყალიბდა, რომლის მიზანს აღნიშნული ორი მოძრაობის ელემენტების სინთეზი და კლინიკოსისა და პაციენტის ურთიერთობაში ახალი პერსპექტივის შემოტანა წარმოადგენდა. ჰუმანიზმი ყურადღებას იმაზე ამახვილებს, თუ როგორ აღიქვამს თითოეული პიროვნება საკუთარ სამყაროს (რაც სუბიექტური აღქმაა) და, ამავე დროს, „დამკვირვებლისა და დაკვირვების ობიექტის, მუშაკისა და კლიენტის“ ურთიერთობას ემპათიისა და სითბოს უმნიშვნელოვანეს ელემენტებს სძენს.

ამ მოძრაობებმა დანაშაულისა და დანაშაულებრივი ქცევის თეორიებს საკუთარი, უდავოდ გამორჩეული, კვალი დააჩნია. ფროიდი და სხვა ფსიქოანალიტიკოსები ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებას გარდაუვალი შინაგანი კონფლიქტის გადაწყვეტის მცდელობებს უკავშირებდნენ. საუბარია პიროვნების შემადგენელ სამ ელემენტს – იდენტობას, ეგოსა და სუპერეგოს შორის კონფლიქტზე. ამ სისტემის მიხედვით, დანაშაულებრივი თუ სხვა ანტისოციალური ქცევა შინაგანი კონფლიქტის მანიფესტაციაა და მისი აღმოფხვრა სამართალდამრღვევის/კლიენტის მიერ გარკვეული „თერაპიული გადაჭრის გზის“ პოვნით შეიძლება.

მეორე მხრივ, ბიჰევიორისტები ამტკიცებდნენ, რომ ქცევა (და საკუთარი არსით, დანაშაულებრივი ქცევაც) დასწავლილი იყო და მას სოციალური და ფსიქოლოგიური ჯილდოებისა და სასჯელების რთულ სისტემაზე რეაგირების პროცესი აყალიბებდა. ისინი იმედოვნებდნენ, რომ თუ დანაშაულებრივი ქცევა *დასწავლადი* იყო, ასევე, მისი *განსწავლაც* იქნებოდა შესაძლებელი.

ბიჰევიორიზმის ოპონენტები დაობდნენ, რომ ეს თეორია მეტი სასჯელის დაწესების მოწოდება იყო, თუმცა, ასევე, შეგვიძლია ვიდაოთ, რომ იგი ჯილდოების სტრუქტურიზებული სისტემის დაწესებისკენ მოუწოდებს. სამართალდამრღვევი მაშინ ჯილდოვდება, როცა მისი ქცევა პროსოციალურ ან სოციალურად მისაღებ ელემენტებს შეიცავს. გასათვალისწინებელია თითოეული აღნიშნული მიდგომის (ფსიქოანალიტიკური და ბიჰევიორისტული) ზეგავლენა პიროვნულ და პოლიტიკურ დონეზე: სამართალდამრღვევი ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე „პაციენტია“, რომელსაც ფსიქოთერაპია ესაჭიროება თუ კლინიკური „სუბიექტი“, რომელიც ჯილდოებისა და სასჯელების სისტემის მეშვეობით საზოგადოებისთვის მისაღებ წევრად უნდა ჩამოყალიბდეს?

ეს, რა თქმა უნდა, ამ ორი ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური მიდგომის ძალიან უხეში გამარტივებაა, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ ამ საკითხებზე დებატების გამართვას მაინც შეუწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ ეს თეორიებია, ისინი ორი ძალიან გავლენიანი იდეოლოგიის საფუძველიცაა, რომელიც სოციალური მუშაობის პრაქტიკაში კვლავ ძლიერ ძალას წარმოადგენს.

ჰუმანისტურმა მიდგომამ ყურადღება „კლიენტის სამყაროზე“ და მუშაკსა და კლიენტს შორის ურთიერთობაზე გაამახვილა. ამით ამ მიდგომამ სოციალური მუშაობის ახალ, თუმცა

ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობ ბევრ ტექნიკას მოუმზადა საფუძველი – მოტივაციური ინტერვიუ, კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია, ამოცანაზე ორიენტირებული მუშაობა შემთხვევის მართვის ფარგლებში და სხვები. ყველა მათგანის შემთხვევაში სამუშაო მეთოდიკის უმნიშვნელოვანეს ელემენტს კლიენტის მსოფლმხედველობის გაგება და აღიარება წარმოადგენს (Hohman, 2012 წ.).

სოციოლოგია, ფსიქოლოგიის „მონათესავე" დარგი, ვერ გამოაკლდებოდა დებატებს დანაშაულის საწყისების შესახებ. სოციოლოგიური თეორია პოლიტიკასა და ეკონომიკასთან განუყრელადაა დაკავშირებული მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ თავად დარგი ამას უარყოფს. როგორც ზემოთაც ვნახეთ, დანაშაულის თემას ისე ვერ განვიხილავთ, რომ იმ მრავალ კავშირსა და გადაფარვის ადგილს არ გავეცნოთ, რომელიც უამრავ ფილოსოფიურ და აკადემიურ დისციპლინას შორის არსებობს.

უფლებები, პასუხისმგებლობები, სოციალური ვალდებულებები, პირადი თავისუფლება და სხვა თემები უაღრესად მრავალფეროვანი სოციოლოგიური დებატების ინტერესის სფეროს წარმოადგენს. მაგალითად, გავიხსენოთ მარქსი, რომელიც ამტკიცებდა, რომ საზოგადოების სტრუქტურა „ღვთის მიერ ბოძებული"' კი არ იყო, არამედ სოციალურ კლასებს (განსაკუთრებით, საწარმოო საშუალებების მფლობელებსა და ამ უკანასკნელების სასარგებლოდ მშრომელებს) შორის კომპლექსური წინააღმდეგობის შედეგად ყალიბდებოდა. დანაშაულის მარქსისტული ხედვა, ძირითადად, იმაში მდგომარეობს, რომ თუ დანაშაული „კანონის" დარღვევაა, მაშინ საკითხავია, ვინ შეიმუშავა ეს კანონები და ვის ინტერესებს იცავს ისინი? ფრანგი ფილოსოფოსის - პრუდოს *(„მთელი სიმდიდრე ქურდობაა"!)* ნაშრომებზე დაყრდნობით, მარქსისტები ამტკიცებენ, რომ სიმდიდრისა და ცხოვრებისეული შესაძლებლობების უთანაბრო (და უსამართლო) გადანაწილება, რასაც ეკონომიკური ელიტის ინტერესებს მორგებული კანონები იცავს, არსობრივად, კანონის დარღვევასაც იწვევს და იმ მორალურ/პოლიტიკურ თავდაცვასაც, რაც კანონდარღვევას მოჰყვება.

დღეს ჩვენ მიერ სამყაროს აღქმას, დიდწილად, უმნიშვნელოვანესი ფაქტის გაცნობიერება განაპირობებს: რომ კანონები და სოციალური წესები ეკონომიკური და პოლიტიკური საწყისებიდან მოდის. აქ განვიხილავთ, მაგალითად, რობერტ მერტონის ნამუშევარს, რომელმაც 1950-იანი წლების ბოლოს ჩამოაყალიბა მოსაზრებები, რომლებიც თავდაპირველად მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ემილ დურკჰაიმმა, პიონერმა ფრანგმა სოციოლოგმა წამოაყენა. სწორედ დურკჰაიმმა დაამყარა კონცეპტუალური კავშირი საზოგადოებრივ სტრუქტურებსა (და მათ შორის არსებულ წინააღმდეგობებს) და დანაშაულს შორის. (Merton, 1962 წ.).

ამ შეხედულების მიხედვით, დანაშაული, მაინცდამაინც, დამნაშავის მორალური დაცემის ან ფსიქოლოგიური ნაკლის გამოვლინება კი არ იყო, არამედ, ზოგადად, საზოგადოების დისფუნქციას ასახავდა. შესაბამისად, *სოციალური ფუნქცია ეკისრებოდა.* დანაშაული არა პიროვნული ქცევის, არამედ საზოგადოების ნგრევის, გაუცხოების ან სხვა დისფუნქციის სიმპტომი იყო. სახელმძღვანელოს შემდგომ ნაწილში, ვნახავთ, როგორ განავითარეს ეს იდეები სოციალურმა თეორეტიკოსებმა. თეორიის უკან მოტოვების შემდეგ კი ე.წ. „უტყუარ მონაცემებს" განვიხილავთ და ვნახავთ, როგორ ხდება დანაშაულის „ფაქტების" „წარმოქმნა" და მართვა.

იმ იდეაზე დაყრდნობით, რომ დანაშაული „სოციალური" ფენომენია და არა გამოკვეთილად პიროვნული მოვლენა, რობერტ მერტონმა „დაძაბულობის თეორია" ჩამოაყალიბა. ამ თეორიის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოება მრავალშრიანი პირამიდაა, რომელშიც ეკონომიკურ და პოლიტიკურ ელიტას დომინანტური ადგილი უჭირავს ვიწრო კენწეროში, რომელიც თანდათან სულ უფრო ვიწროვდება. ნაკლები ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე და ღარიბი მოსახლეობა კი დაბალ, ფართო შრეებს იკავებს. მერტონის მოსაზრებით, ზოგადად, თითოეულ ჯგუფს ერთი და იგივე მიზანი ამოძრავებს: ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და/ან ძალაუფლების მოპოვება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება თითქოს „მაღალ ეშელონებში ასასვლელად"

ლეგიტიმურ „გზას“ ყველას სთავაზობს, კერძოდ, განათლებისა თუ ეკონომიკური/ფინანსური წარმატების სახით, თავად სტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ მხოლოდ მცირე ნაწილს შეუძლია საზოგადოების ღიად გაცხადებული მიზნების მიღწევა. თეორიის მიხედვით, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ხელმისაწვდომი შესაძლებლობების შეზღუდვა სოციალურ და ფსიქოლოგიურ წინააღმდეგობებს, ანუ დაძაბულობას იწვევს.

მერტონი აღნიშნავდა, რომ ზოგი „გზა მაღალ ეშელონებში“ სოციალური მობილობის ტრადიციულ გზებს – განათლებასა და თავდადებულ შრომას – გვერდს უვლიდა. ეს იყო: სპორტში წარმატების მოპოვება, ლატარეაში მოგება, ცნობილ ადამიანად გახდომა, მაგრამ ეს გზები ძალიან ცოტასთვის იყო ხელმისაწვდომი. კიდევ ერთი გზა, რომლითაც საზოგადოებრივ სტრუქტურასა და ადამიანების მისწრაფებებს შორის არსებული წინააღმდეგობისთვის გვერდის ავლა შეიძლებოდა, დანაშაულის ჩადენა იყო.

ზემოაღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე, გარდაუვალია, რომ ზოგი ადამიანი მიზნის მისაღწევად ლეგიტიმურ გზას გვერდს აუვლის და კანონს დაარღვევს. თუმცა, საინტერესოა, რომ ფინანსური და, განსაკუთრებით, საკუთრებასთან დაკავშირებული დანაშაული მთელი საზოგადოების სურვილებსა და მიზნებს ასახავს: განგსტერს იგივე უნდა, რაც ყველას – სიმდიდრე და ძალაუფლება, მაგრამ მათ მოსაპოვებლად საზოგადოების მიერ მიღებულ გზებს არ აღიარებს. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ გამოყენებულ მეთოდებს საზოგადოება გმობს, მისი მიზნები „ლეგიტიმური“ საზოგადოების მიზნებს სრულად ასახავს.

აღნიშნულ თეორიასთან მიმართებაში, ასევე, საინტერესოა კიდევ ერთი მცირე დეტალი, რომ „წინააღმდეგობასა თუ დაძაბულობაზე“ რეაქცია *ზემოთ აღნიშნული მიზნებისა და ღირებულებების* სრული უარყოფაც შეიძლება იყოს. ასეთი დამოკიდებულება ბოჰემურ/მეამბოხე/უარყოფაზე დაფუძნებულ სუბკულტურებში იჩენს თავს. დასავლეთის საზოგადოებაში 1960-იან წლებში ჩამოყალიბებული ჰიპების სუბკულტურა ამის ცხადი მაგალითია. ამ სუბკულტურის წევრებმა „კონტრკულტურა“ შექმნეს, რომელიც, ზედაპირულ დონეზე მაინც, სიმდიდრეს, ძალაუფლებასა და ეკონომიკურ მიღწევებს უარყოფდა და მათ ნაცვლად უფრო კოლექტივისტური და შემოქმედებითი ღირებულებები ამოძრავებდა. ამ ადამიანებისთვის „ჩვეულებრივი საზოგადოების“ ღირებულებები უვარგისი, სულელური ან „ჩარჩოებში ზედმეტად მოქცეული“ იყო.

საინტერესო მხილებას წარმოდგენს 1960-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში ჩამოყალიბებული კიდევ ერთი კონტრკულტურის, ბიტნიკების, ჰიპების მოძრაობის წინამორბედების, მოსაზრება: ისინი უარყოფდნენ, რომ განგსტერები ანტისოციალურად იყვნენ განწყობილნი ან „სისტემის“ გარეთ იმყოფებოდნენ. ამის ნაცვლად, ბიტნიკების აზრით, განგსტერები „ჩარჩოებში მოქცეული ადამიანები იყვნენ, რომელთაც ძალიან ეჩქარებოდათ,“ რაც იმას ნიშნავდა, რომ მათ ძალიან ტრადიციული თვალთახედვა ჰქონდათ და იგივე უნდოდათ, რაც სხვებს, უბრალოდ მათ ყველაფერი *ძალიან სწრაფად* უნდოდათ.

მოსაზრებას, რომ ბევრი დამნაშავე მიღებულ ღირებულებათა სისტემას კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ამ ღირებულებებს ენთუზიაზმით აღიარებს, კურსის ბოლოსკენ მივუბრუნდებით, როცა „კარგი ცხოვრების მოდელს“ და მის ძალიან საინტერესო თეორიულ „ტყუპს“, „დანაშაულის ჩადენისგან თავშეკავების“ თეორიას განვიხილავთ. კარგი ცხოვრების მოდელის მიხედვით, ბევრ სამართალდამრღვევს იგივე უნდა, რაც თქვენ და მე: „კარგი ცხოვრება“, რომელშიც ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა ექნება უზრუნველყოფილი. ისევ იმ კითხვამდე მივდივართ, რომელიც აქამდე ამ კურსის დიდ ნაწილს ედო საფუძვლად და დარჩენილ ნაწილებშიც იჩენს თავს: ზუსტად რა არის დანაშაული? ეს არის კითხვა, რომელიც ფილოსოფიურ/ეთიკურ და პოლიტიკურ კვლევა-ძიებაში საკმაოდ შორს წაგვიყვანს და, მაშასადამე, ამ კურსის ფარგლებსაც სცდება, მაგრამ კურსის ფარგლებში, მინიმუმ, შეგვიძლია ის ლანდშაფტი გამოვიკვლიოთ, რომელსაც ამ კითხვაზე პასუხი ქმნის.

უკვე ვნახეთ, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა „წესების“ ერთობლიობად შეიძლება აღვიქვათ, რომლის მიზანსაც ძალაუფლების მქონეთა და არმქონეთა შორის

მუდმივი კონფლიქტის მართვა წარმოადგენს (რაც, უხეშად რომ ვთქვათ, მარქსისტული შეხედულებაა). თუმცა, დანაშაულის აღქმა და გაგება ბევრი სხვა კუთხითაც შეიძლება: მორალური, რელიგიური, ნორმატიული და სხვა. მაგალითად, შეიძლება ვთქვათ, რომ დანაშაული ნებისმიერი ქმედებაა, რომელსაც საზოგადოება არასწორად აღიქვამს. ამ „საღ აზრს“ საკუთარი ხიბლი აქვს.

შეგვიძლია, რომ ცხადი და, ერთი შეხედვით, მარტივად გასაგები მაგალითი – ბავშვების მკვლელობა განვიხილოთ და უყოყმანოდ შევთანხმდეთ, რომ ეს ქმედება არასწორია და უკანონო უნდა იყოს. ასევე, შეგვიძლია შევთანხმდეთ, რომ სხვა ადამიანის სახლის განადგურება, ბავშვებისთვის მიზანმიმართულად ზიანის მიყენება და ომის დროს შეუიარაღებელი სამოქალაქო პირების მკვლელობა ისეთი ქმედებებია, რომლებზეც მკაცრი სასჯელი უნდა დაწესდეს. თუმცა, ყველა ეს ქმედება რაღაც დროს მიღებული კულტურის ნაწილი იყო (ბავშვების მსხვერპლად შეწირვა რელიგიურ რიტუალებში, ქვეყნების დაბომბვა ომის დროს და სხვა) და ყველა მათგანი დაშვებული და ზოგჯერ გამართლებულიც კი იყო.

გაერთიანებულ სამეფოში, ბოლო 60 წლის განმავლობაში, რასისტული დისკრიმინაციის მიმართ დამოკიდებულებამ ღირებულებათა ზოგად სისტემაში ადგილი შეიცვალა – ადრე ასეთი დამოკიდებულება, ზოგადად, მიღებული იყო, შემდეგ ეს დამოკიდებულება დაგმეს და ბოლოს – უკანონოდ ცნეს. ბოლო 30 წლის განმავლობაში, მსგავსი ცვლილებები აზროვნების, კანონიერებისა და ტოლერანტულობის კუთხით, სხვა საკითხთა შორის, ერთსქესიან ქორწინებებთან, ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვასა და საზოგადოებრივ ადგილებში მოწევასთან დაკავშირებით მოხდა.

მაშასადამე, თუ შუა საუკუნეებში ზოგ კანონდარღვევას, როგორიც მცირე ქურდობა იყო, ღვთისა და მეფის წინაშე დანაშაულად მიიჩნევდნენ და მათი ჩადენისთვის სიკვდილით სჯიდნენ, ახლა ამავე კანონდარღვევას იურიდიული და მორალური საზღვრების უმნიშვნელო გადაჭარბებად მივიჩნევთ და მოველით, რომ სასჯელიც, კანონდარღვევის მსგავსად, შედარებით მსუბუქი ხასიათის იყოს. ეს, რა თქმა უნდა, ლეგიტიმურობასა და პროპორციულობაზე ჩვენს შინაგან მოსაზრებებთანაა დაკავშირებული. ამ საკითხებს კურსის ფარგლებში მოგვიანებით მივუბრუნდებით.

პრაქტიკაში თანამედროვე ევროპული კანონმდებლობა ჩვეულებიდან, ისტორიული პრეცედენტიდან, სოციალური მოლოდინებიდან, ეკონომიკური საჭიროებიდან, მორალური დარელიგიურიღირებულებებიდან დაკომპლექსური, ჩახლართული, ურთიერთგადამფარავი და ცვალებადი მოსაზრებებიდან იღებს სათავეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ როცა სამართალდამრღვევებთან სოციალური მუშაობის პრაქტიკას ვეწევით ყოველთვის უნდა ვაკვირდებოდეთ და ვიკვლევდეთ, როგორც ჩვენს, ისე იმ ადამიანების ღირებულებებს, რომლებთანაც ვმუშაობთ და, ასევე, ღირებულებებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, „ცხად და ბუნებრივ“ კანონებსა და პოლიტიკას უდევს საფუძვლად.

ამ მოსაზრებებს მოგვიანებით მივუბრუნდებით. ასევე, მოგვიანებით განვიხილავთ იმ ინოვაციურ მეთოდებსაც, რომელთა მეშვეობითაც „იარლიყის მიწებების რიტუალს“ იყენებენ. „იარლიყის მიწებება“ მაშინ ხდება, როდესაც ბრალდებულს სასამართლო გაასამართლებს და ოფიციალურად დამნაშავედ ცნობს. ამის საპირისპირო მსგავსი პროცედურის გამოყენებით, შესაძლებელია, სამართალდამრღვევისთვის „იარლიყის და შესაბამისად, სტიგმის მოშორებაც“. (Herzog-Evans, 2011 წ.).

როგორ აღიქვამს სამართალდამრღვევი *საკუთარ თავს* და როგორ აღიქვამენ მას *სხვები* – ეს ის თემებია, რომლებიც დებატებისა და კვლევისთვის მდიდარ სფეროს წარმოადგენს. ახლა შეგვიძლია უფრო ზოგად საკითხზე გადავიდეთ, კერძოდ, როგორ აღიქვამს დანაშაულს *საზოგადოება* და ვნახოთ, როგორ ზეგავლენას ახდენს ეს პოლიტიკასა და პრაქტიკაზე სამართალდამრღვევებთან სოციალური მუშაობის დარგში. თუმცა, სანამ დანაშაულის *აღქმაზე* გადავიდოდეთ, ჯერ უფრო ბაზისური კითხვა უნდა დავსვათ: საერთოდ, რამდენი დანაშაულებრივი აქტის ჩადენა ხდება?

ამის გასაგებად, ცხადია, დანაშაულის დონის გარკვეული საზომი გვჭირდება, თუმცა დანაშაულის დონის დადგენა ძალიან რთული და სადავო საკითხია. ამ მიზნის მისაღწევად, როგორც *რაოდენობრივი*, ისე *თვისებრივი* მიდგომების გამოყენებაშეგვიძლია. რაოდენობრივი მეთოდებით ჩადენილი დანაშაულის „რაოდენობას“ დავადგენთ, თვისებრივი მეთოდებით კი განვსაზღვრავთ, რა ტიპისაა ჩადენილი დანაშაული, ე.ი. როგორია კანონდარღვევების ხასიათი, ვინ არიან დაზარალებულები და რა რისკის წინაშე აყენებს დანაშაულის ჩადენა საზოგადოებას. სასარგებლოა, გვახსოვდეს, რომ დანაშაული მყარი ფიზიკური ცნება არ არის, რომელსაც მარტივად გავზომავთ. დანაშაულის სტატისტიკა საკამათო თემაა და ხშირად იცვლება, რათა ასახოს დანაშაულის ახალი ტენდენციები, ახალი მოსაზრებები დანაშაულის შესახებ და მისი ახლებური აღქმა. ინტერნეტთან დაკავშირებული დანაშაულის ზრდა ახალი ტენდენციების ცხადი მაგალითია. ამ ტიპის დანაშაულის დონის მონიტორინგისთვის ახალი ტექნიკის შემუშავებაა საჭირო. ეს ტენიკა, ასევე, დაგვეხმარება, დავადგინოთ, ინტერნეტთან დაკავშირებული ზუსტად რა ტიპის დანაშაულების ჩადენა ხდება და სად.

მაგრამ თუ ავიღებთ დანაშაულის სტატისტიკას და შევადარებთ იმას, თუ როგორია საზოგადოების მხრიდან დანაშაულის აღქმა, შეუსაბამობებს აღმოვაჩენთ იმას შორის, რაც რეალურად ხდება (ოფიციალური მონაცემების მიხედვით) და როგორც *აღიქვამს* მომხდარს საზოგადოება. ცნობილია შემდეგი გამონათქვამი:

„თუ გსურთ დანაშაულის დონის კლება იხილოთ, ოფიციალურ სტატისტიკას გაეცანით, ხოლო თუ გსურთ მისი დონის მატება ნახოთ, ფანჯრიდან გაიხედეთ.“

გაერთიანებულ სამეფოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე სანდო სტატისტიკის მიხედვით, მძიმე ძალადობრივი დანაშაულების უმეტესობა (თუმცა არა ყველა სახე) *იკლებდა*, ეროვნულ დონეზე მაინც იყო შეგრძნება, რომ თითქოს დანაშაულის დონე *სწრაფად იმატებდა* (ბრიტანეთის დანაშაულის კვლევა, 2014 წ.).

მსგავსი შეუსაბამობა დანაშაულის დონის მაჩვენებლებლებსა და საზოგადოების მიერ დანაშაულის აღქმას შორის, ასევე, ევროპის სხვა ქვეყნებშიც გვხვდება. ამის სხვადასხვა ახსნა არსებობს, რომელთაგან ერთ-ერთის მიხედვით, დანაშაულს საზოგადოება საფრთხისა და დაუცველობის უფრო ფართო კონტექსტში აღიქვამს.

ამ თეორიის მიხედვით, რომელსაც ხშირად „აღმავალ ტალღას“ უწოდებენ, „რომელიც ყველა ნავს ჰაერში სწევს“, საზოგადოების მიერ დანაშაულის აღქმა *მსოფლიოში საფრთხისა და დაუცველობის მზარდ შეგრძნებასთან* არის დაკავშირებული – იქნება ეს ტერორიზმის, საერთაშორისო კონფლიქტის, კლიმატის ცვლილების თუ გლობალური არასტაბილურობის სხვა ფაქტორების გამო. სწორედ დაუცველობის ამ შეგრძნებას ასახავს და აზვიადებს მედია, რომელიც მცირედ მღელვარე პუბლიკის შესანარჩუნებლად ამ უკანასკნელს მუდმივად ოდნავ დაფეთებულ მდგომარეობაში ამყოფებს.

ეს კრიტიკული ხედვა მედიის მიერ დანაშაულის გაშუქებასთან დაკავშირებით ახალი არ არის. 40 წელზე მეტი ხნის წინ, სამხრეთ აფრიკაში დაბადებულმა სოციოლოგმა სტენლი კოენმა ამჟამად ცნობილი ნაშრომი - *„მორალური პანიკა“* გამოაქვეყნა, რომელშიც განხილული იყო, როგორ აშუქებდა პრესა და ტელევიზია აქტუალურ სოციალურ და კრიმინალურ ფენომენებს. კოენმა ნაშრომში სოციალური ფენომენების მთელი სპექტრი განიხილა – მოზარდთა ბანდები, ბავშვზე ძალადობა, ნარკოტიკების მოხმარება და ა.შ. აღწერა, როგორ არაპროპორციულად მძაფრად და განგაშის ატეხით რეაგირებდა მედია ამ მოვლენებზე, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებას მღელვარებითა და შიშით ავსებდა. საზოგადოების სწორედ ამ რეაქციას უწოდა კოენმა მორალური პანიკა. საზოგადოების რეაქცია, უცილობლად, პოლიტიკურ რეაქციასაც იწვევდა, რაც, ყველაზე ცუდ შემთხვევაში, გაცხადებულ, სავარაუდო პრობლემასთან გასამკლავებლად ახალი პოლიტიკური კურსის მიღებით გამოიხატებოდა. ეს კურსი კი ცუდად იყო დაგეგმილი და აწონ-დაწონილი (Cohen 2002 წ.).

კოენის ნაშრომში შემდგომში ცვლილებებიც შეიტანეს და იგი კრიტიკის საგანიც გახდა, მაგრამ მისი მთავარი მტკიცება, რომ დანაშაული შეიძლება *სოციალურ ქმნილებას* წარმოადგენდეს,

ე.ი. მას საზოგადოება შეიძლება ქმნიდეს; რომ შესაძლებელია, მისი გაზვიადებაც მოხდეს და მას პოლიტიკური რეაქციაც მოჰყვეს – მნიშვნელოვანი კონცეფციაა, რომელიც თანამედროვეობის უახლეს, შიშის მომგვრელ ფენომენებთან შეჯახებისას უნდა გვახსოვდეს. ეს მოსაზრებები გაერთიანებულ სამეფოში ჯოკ იანგსა და სხვებს ეკუთვნით, რომლებიც გვაფრთხილებენ, რამდენად საშიშია კრიტიკის გარეშე დანაშაულის შესახებ მედიის მიერ შექმნილი ხედვის მიღება.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ შეიძლება ცდუნებას ვერ გავუძლოთ და დანაშაული წმინდა სოციალურ და პოლიტიკურ კონსტრუქტად აღვიქვათ. ბევრი კრიმინოლოგიც ამ გზას საკმაოდ დიდხანს მიჰყოლია. ეს ხედვა ხშირად პოლიტიზირებულია და გულისხმობს, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის საშუალებით დომინანტური ძალაუფლების მქონე ჯგუფები (რომლებიც სხვადასხვა კრიტიკოსისთვის განსხვავდებიან: მდიდრები, თეთრკანიანები, მამაკაცები) დანაშაულს ისე განმარტავენ, რომ საკუთარი ინტერესები დაიცვან და დაჩაგრონ ისინი, ვინც მათ ჯგუფს არ მიეკუთვნება. ამის ცხადი და რეზონანსული მაგალითია აპართეიდის სისტემა, რომლის მეშვეობითაც სამხრეთ აფრიკა მე-20 საუკუნის ბოლოს იმართებოდა. კანონმდებლობა, რომელიც, მაგალითად პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასა და რასას ეხებოდა, ისე იყო შედგენილი, რომ თეთრკანიან უმცირესობას შედარებით ღარიბ, მაგრამ რიცხობრივად უფრო დიდ შავკანიან უმრავლესობაზე კონტროლი შეენარჩუნებინა.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის კრიტიკული ხედვა, ძირითადად, მემარცხენეებთანაა პოპულარული. ამ ხედვას მრავალი კუთხით აკრიტიკებენ და დაობენ, რომ იგი დანაშაულს ლამის დომინანტური ელიტის მიერ გამოგონილ სოციალურ თუ პოლიტიკურ ცნებად აქცევს. ეს მაშინ, როცა უმრავლესობისთვის, მათ შორის, ღარიბთა და ძალაუფლების არმქონეთათვისაც, რომლებიც დანაშაულის მსხვერპლები ყველაზე ხშირად ხდებიან, დანაშაულებრივი ქმედებები მხოლოდ რეალური კი არ არის, არამედ უმნიშვნელოვანეს დამანგრეველ როლს თამაშობს მათ ისედაც რთულ ცხოვრებაში.

ის, რომ დაბალი სოციალური ფენის ბევრი წარმომადგენლისთვის დანაშაული რეალობას წარმოადგენს და, ზოგადად, მთელ საზოგადოებასაც დანაშაულის შიში აქვს, პოლიტიკური ძალებისთვის უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობას ქმნის. გაერთიანებულ სამეფოში პოლიტიკური სპექტრის ორივე მხარეს მყოფი ძალები დანაშაულის წინააღმდეგ იბრძვიან, რათა საზოგადოებას „დანაშაულის მიმართ მკაცრი დამოკიდებულება“ აჩვენონ. ცხადია, საზოგადოებას, ზოგადად, ეშინია დანაშაულის და ნებისმიერი ახალი პოლიტიკური მთავრობისგან მოელის, რომ ისინი დანაშაულის მართვას და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფას შეძლებენ.

აღსანიშნავია, რომ გაერთიანებულ სამეფოში 1990-იან წლებში, პოლიტიკოსისა და შემდგომში პრემიერმინისტრის, ტონი ბლერის წარმატების ერთ-ერთი ფაქტორი მისი შემდეგი ფრაზა იყო: *„სიმკაცრე დანაშაულის მიმართ, სიმკაცრე დანაშაულის გამომწვევი მიზეზების მიმართ“*. ეს ფრაზა მან მაშინ წარმოთქვა, როდესაც ჩრდილოვანი მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. ეს მიმზიდველი სლოგანი როგორც მემარჯვენეების, ისე მემარცხენეების ინტერესებს ეხმიანებოდა. თუმცა, იმავდროულად, ისინი, ვისაც კვლავ სჯეროდა, რომ დანაშაული, ძირითადად, „საზოგადოების მიერ შექმნილი მოვლენა“ და უსამართლო საზოგადოებაში კლასებს შორის გარდაუვალი წინააღმდეგობის შედეგი იყო, საზოგადოებრივ აზრსაც ასცდნენ, და, ზოგის თქმით, რეალობასაც ჩამორჩნენ.

ზემოთ აღნიშნულმა კრიმინოლოგებს შორის ბევრი შიდა დებატი გამოიწვია და ე.წ. „ახალი რეალიზმი“ დაბადა. ამ ახალ მიმართულებაში „დანაშაულის, როგორც სოციალური კონსტრუქტის“ ცნების ყოფილმა მომხრეებმა სამეცნიერო საზოგადოებაში (ჯოკ იანგი (Jock Young) ამის ცნობილი მაგალითია) პოზიცია შეიცვალეს და საზოგადოების იმ ჩვეულებრივი წევრების წუხილი და ყოველდღიური გამოცდილება აღიარეს, რომლებიც დანაშაულებრივი ქცევის შედეგებს იმკიან.

როგორც ვნახეთ, შეიძლება, დანაშაულებრივი ქცევის ახსნა უაღრესად მრავალფეროვანი იყოს და სათავეს მრავალი წყაროდან იღებდეს, მაშინ არ უნდა გაგვიკვირდეს იმის გაგებაც, რომ დანაშაულთან გამკლავების შემოთავაზებული გზებიც თანაბრად მრავალფეროვანი და კომპლექსურია. მომდევნო ნაწილში ვნახავთ, როგორ ერწყმის ერთმანეთს დანაშაულის საწყისებისა და მართვის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები და, შედეგად, როგორ ვითარდება პოლიციის მუშაობასა და სოციალურ მუშაობაში ახალი და საინტერესო მეთოდები.

გამოყენებული ლიტერატურა:

Cohen, S. (2002). *Folk Devils and Moral Panics.* London: Psychology Press

Crime Survey, B. (2014). *British Crime Survey 2010-11.* Retrieved April 20, 2014 from British Crime Survey report: http://www.crimesurvey.co.uk/previous-research.html

Herzog-Evans, M. (2011). Judicial Rehabilitation in France: Acknowledging Achieved Desistance. *Eurovista, 2* (3)

Hohman, M. (2012). *Motivational Interviewing in Social Work Practice (Applications of Motivational Interviewing).* (S. M. Rollnick, Ed.) London: Guildford Press

Merton, R. (1962). *Social Structure and Anomie.* New York: Harvard University.

New Zealand Ministry of Justice. (2009). *Justice Sector Drivers of Crime.* Retrieved April 20, 2014 from New Zealand Ministry of Justice: http://www.justice.govt.nz/justice-sector/drivers-of-crime/publications-and-background-information/documents/spb-theories-on-the-causes-of-crime.

თავი 3

დანაშაულის მართვა (გაგრძელება): პოლიციის მუშაობა

მრავალუწყებრივი თანამშრომლობა, სოციალური მუშაობის, ციხისა და პრობაციის სისტემის როლი

ენდრიუ ბერნჰარდტი
ლექტორი სოციალურ მუშაობაში, გაერთიანებული სამეფო

ეს კურსი, ძირითადად, დანაშაულებრივი ქცევის ერთ საკმაოდ ფართო ასპექტს ეხება, რომლის მართვა სოციალური მუშაკის ჩარევით შეიძლება. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ის ფართო კონტექსტი, რომელშიც სამართალდამრღვევებთან სოციალური მუშაობის პრაქტიკა ხორციელდება.

როცა ჩვენი კომპიუტერის კლავიატურიდან თუ წიგნიდან ავიხედავთ და ირგვლივ არსებულ სამყაროს შევხედავთ, მივხვდებით, რომ ჩვენი მუშაობა ყოველთვის ჩვენს კულტურასთან, დროსა და ცვალებად პოლიტიკურ ლანდშაფტთანაა დაკავშირებული. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სამართალდამრღვევებთან მუშაობის კუთხით არსებულ მიდგომებში საერთაშორისო დონეზე დიდი განსხვავებებია. ევროპის დიდ ნაწილში სამართალდამრღვევებთან მუშაობას დიდწილად სოციალური მუშაობის ეთოსი და ისტორია უდევს საფუძვლად. აშშ-სა და რუსეთში, როგორც უკვე ვნახეთ, უფრო მეტი აქცენტი კონტროლსა და შეკავებაზეა გაკეთებული. თუმცა, რაც არ უნდა ედოს საფუძვლად სამართალდამრღვევებთან სოციალურ მუშაობას, რაც ნამდვილად მუდმივია - ეს არის *ცვლილება*.

გაერთიანებულ სამეფოში, მაგალითად, ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ჩამოყალიბდა შეხედულება, რომლის მიხედვითაც სამართალდამრღვევებთან მუშაობის ეფექტურობისთვის, ეს მუშაობა კოორდინირებული უნდა იყოს. ეს, განსაკუთრებით, არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან მუშაობის სფეროშია მართალი. იმის გამო, რომ ამ სფეროში მრავალი მომსახურება შეიძლება იყოს ჩართული – სკოლა, პოლიცია, ჯანდაცვა, სოციალური მომსახურება და ა.შ. – ამან „ერთიანი აზროვნების“ ან უფრო სწორად, ერთიანი პრაქტიკის საჭიროება წარმოშვა. ძირითადი მიწოდებული მომსახურების მსგავსად კოორდინირება ახლა ზრდასრულებთან მუშაობაშიც იძენს აქტუალობას. ეს, ზოგადად, სამართალდამრღვევებთან მუშაობაში, არა მარტო გაერთიანებულ სამეფოში, არამედ საერთაშორისო დონეზეც, ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება იქნება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, გავიგოთ, რას აკეთებენ სხვა ძირითადი სააგენტოები. ასევე, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რა მოსაზრებები და რწმენათა რა სისტემა განსაზღვრავს პოლიტიკის ამ ახალ კურსს, რათა ამ საკითხის შესახებ უფრო ფართო ხედვა ჩამოგვიყალიბდეს.

რთული არ არის იმ მარტივი ჭეშმარიტების დამტკიცება, რომ დანაშაულთან გამკლავების საუკეთესო გზა მისი ჩადენის პრევენციაა. სახელმძღვანელოში განრიდებისა და პრევენციული მუშაობის თაობაზე მოსაზრებები უკვე განვიხილეთ სოციალური მუშაობის პოტენციური პრაქტიკის შემადგენელი ელემენტების სახით. ახლა შეგვიძლია ვიმსჯელოთ, როგორ ახდენს მსგავსი მოსაზრებები ზეგავლენას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში ჩართული სხვა სააგენტოების მუშაობაზე.

აქ ცოტა ხნით შევჩერდებით, რათა დანაშაულის ის ტიპები განვიხილოთ, რომლებსაც სახელმძღვანელოში შევეხებით.

დანაშაულის სახეები, რომლებიც ადამიანების უმეტესობას აფიქრდება და, ასევე, ყველაზე ხშირად გვხვდება, სწორედ ის არის, რომელსაც სოციალური მუშაკის მომსახურების მომხმარებელი სამართალდამრღვევების უმეტესობა ჩადის: მცირედან საშუალომდე სიმძიმის; არა შემაძრწუნებელი, თუმცა შემაწუხებელი; არა სიცოცხლისთვის საშიში, თუმცა მოკლევადიან პერსპექტივაში ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ზიანის მომტანი;

გაცილებით უფრო ხშირი, ვიდრე ის სერიოზული და დიდი საზოგადოებრივი ინტერესის გამომწვევი დანაშაულები, რომლებიც მედიასა და ლიტერატურაში ახალი ამბების სახით შუქდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როცა „ფანჯრიდან ვიყურებით“, არ ველით, რომ მკვლელობას ან ტერორისტულ აქტს ვიხილავთ, მაგრამ არ გაგვიკვირდება, თუ მცირე ვანდალიზმის ან დაბინძურების შემთხვევის, ახალგაზრდების ხმაურის და მისთანების მხილველები გავხდებით.

პოლიციას, ტრადიციულად, მკაფიოდ განსაზღვრული დავალება აკისრია, რომელიც დაპირისპირების ელემენტს მოიცავს: პოლიცია დამნაშავეების წინააღმდეგ, პოლიციელები ყაჩაღების წინააღმდეგ და კანონის დამცველები სამართალდამრღვევების წინააღმდეგ. პოლიციის როლი დანაშაულის გამოძიების, მტკიცებულებათა შეგროვების, ეჭვმიტანილთა გაუვნებელყოფის, კანონდამრღვევების დევნისა და დაკავების კუთხით ადვილად გასაგებიცაა და ემოციური თვალსაზრისითაც სრულიად ცხადი. ეს სიცხადე, თავისთავად, საკმაოდ სასიამოვნოცაა. ეს არის ის ძირითადი მოდელი, რომლის გამოყენებითაც პოლიციის ძალების უმეტესობა საჭირო კადრებს აკომპლექტებს და ტექნოლოგიასა და პრაქტიკას ავითარებს, რათა საკუთარი როლის განხორციელება შეძლოს. შესაბამისად, დღეს გვაქვს მონაცემთა საერთაშორისო ბაზები დანაშაულის, შეიარაღებული პოლიციის და პოლიციელთა სპეციალური რაზმების შესახებ, რომლებიც სერიოზულ და დიდი საზოგადოებრივი ინტერესის გამომწვევ დანაშაულთან საბრძოლველად არის შექმნილი (ნარკოტიკები, თაღლითობა, ტერორიზმი და ა.შ.). ასევე, არსებობს პოლიციის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პრაქტიკაც, რომელიც აღნიშნულ მიდგომას შეესაბამება. ეს მოიცავს საიდუმლო ინფორმაციის შეგროვებას, ფარულ თვალთვალს, დაპატიმრებას, დაკავებას, სწრაფი რეაგირების ერთეულებს და ა.შ. ჩამოთვლილთაგან ყველა ნაცნობი ასპექტია ტერმინისა: „პოლიციის მკაცრი კონტროლი“. თუმცა, რამდენად ღირებულიც არ უნდა იყოს აღნიშნული სამუშაო, არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტი, რომ ამ სამუშაოს ნამდვილად ძალიან გამოკვეთილი ღირებულება აქვს – იგი ნაკლებადაა კავშირში *დანაშაულის იმ სახეებთან, რომელთაც უმეტესობა ჩვენგანი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ვაწყდებით.*

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პოლიციის მკაცრი კონტროლის მოდელს ბოლო წლებში პოლიციის მუშაობის მხოლოდ ერთ-ერთ ელემენტად განიხილავენ. გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-სა და ევროპის გარკვეულ ნაწილში პოლიცია უკვე ადგილობრივ თემთან პირისპირ მუშაობაშია ჩართული. გაერთიანებულ სამეფოში ეს იმას ნიშნავს, რომ მეტი პოლიციელი საპატრულო მანქანებიდან ქუჩებში გადმოსხეს და მისცეს კონკრეტული ინსტრუქცია, რომ მხოლოდ კი არ „უთვალთვალონ და დააკავონ“, არამედ ადგილობრივ მაცხოვრებლებთან და ორგანიზაციებთან კავშირები დაამყარონ. ამან საინტერესო შედეგი გამოიღო. მაგალითად, შემუშავდა სამეზობლოს დაკვირვების სქემა, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობის მოტივაციას ზრდიან, რათა ფხიზლად იყვნენ და მათ სამეზობლოში ყოველგვარი შემაშფოთებელი ქცევის ან ქმედების შესახებ ადგილობრივ პოლიციას შეატყობინონ. პოლიციის ამ შედარებით მცირე, მაგრამ სასარგებლო როლთაგან ერთ-ერთის გადაცემას ადგილობრივი თემისთვის პოლიციის როლის ცვლილებაც სდევს თან. პოლიციამ ისეთი პასუხისმგებლობები აიღო საკუთარ თავზე, რასაც ადრე სხვები ასრულებდნენ, ან რაც საერთოდ არავის ვალდებულებას არ წარმოადგენდა. მაგალითად, პოლიცია ახლა უფრო აქტიურად მუშაობს დაზარალებულების ოჯახებთან და მოწყვლად ადამიანებთან. კრიტიკის საგანს წარმოადგენს პოლიციის მუშაობის უფრო „რბილი მიდგომა“, რომელშიც მისი როლი იზრდება და იგი მხოლოდ სამართალდამრღვევებზე კი არა, თემზეა ორიენტირებული. ასევე, ტრადიციონალისტები დაობენ, რომ პოლიციის როლი ბუნდოვანი ხდება და მათ ისეთი სამუშაოს შესრულებას სთხოვენ, რასაც უფრო ეფექტიანადაც და უფრო ეფექტურადაც არაერთი სხვა სააგენტო, მაგალითად, სოციალური მომსახურება შეასრულებდა.

თუმცა, გაერთიანებულ სამეფოში საზოგადოებას მოსწონს იმის შეგრძნება, რომ „ყოველდღიური დანაშაულის“ დიდ ნაწილს ადგილობრივ დონეზევე შეიძლება გაუმკლავდნენ. საინტერესოა, განვიხილოთ, რა შეიძლება იყოს ადგილობრივ დონეზე ჩართული პოლიციის ძალის

ალტერნატივა. ზოგის აზრით, აშშ-ში და სხვაგანაც ადგილობრივი დანაშაულის პრობლემის „გადაჭრა“ დაცული და დახურული თემების დაარსების გზით ხდება, რომელთაგან ზოგს საკუთარი დაცვაც ჰყავს.

სოციოლოგები და კრიმინოლოგები, ასევე, მონაწილეობენ დებატებში პოლიციის მკაცრ და რბილ მიდგომასთან დაკავშირებით და საკუთარ სათქმელსაც ამბობენ. განხილვა „ჩვეულებრივი“, ნაკლებად სერიოზული ვანდალიზმის დანაშაულით შეგვიძლია დავიწყოთ. ეს დანაშაული ბევრისთვის ნაცნობია. შეგვიძლია მარტივი კითხვა დავსვათ: რა ხდება დანაშაულის ჩადენის შემდეგ? ამ კითხვაზე პასუხი, როგორც ჩანს, ძალიან მნიშვნელოვან სოციალურ და პოლიტიკურ რეაქციას იწვევს.

რომელიმე ერთი თანამედროვე ქალაქის და ამ კითხვაზე მისეული პასუხის (უფრო სწორად, მრავალი განსხვავებული პასუხის) მაგალითზე ვხვდებით მოვლენებს, რომელთაგან ზოგი უკვე ნაცნობია, ზოგიც – ახალი. ამან შეიძლება საინტერესო ხედვა ჩამოგვიყალიბოს დანაშაულის კონტროლის თანამედროვე მეთოდების შესახებ.

1990-იანი წლების დასაწყისში მძიმე დანაშაულების მაღალი დონის გამო, ნიუ-იორკს ისეთი რეპუტაცია ჰქონდა, რომ ჰოლივუდის რამდენიმე კრიმინალურ ფილმში სიუჟეტის განვითარების ადგილად სწორედ ეს ქალაქი შეარჩიეს. ეს არ იყო დამახინჯებული ჰოლივუდური ხედვა, ეს რეალობა იყო. 2245 მკვლელობით ერთ წელიწადში, გასაგებია, რატომ დასვა ერთ-ერთმა კომენტატორმა შემდეგი კითხვა: „ნიუ-იორკის მართვა შეუძლებელია“? ასე რომ, დიდი საზოგადოებრივი ინტერესის გამომწვევი მძიმე დანაშაულების მაღალი დონე, არცთუ უსაფუძვლოდ, ამერიკის უმთავრესი ქალაქის სოციალური ნგრევის მაჩვენებლად აღიქმებოდა. თუმცა, ის, რაც შემდეგ მოხდა, გასაკვირიც იყო და სიუჟეტის დრამატულ განვითარებასაც წარმოადგენდა: ორი ათწლეულის განმავლობაში, მკვლელობების მაჩვენებელმა 79%-ით, გაუპატიურებების მაჩვენებელმა – 62%-ით, ყაჩაღობების მაჩვენებელმა – 82%-ით და ქურდობების მაჩვენებელმა კი – 84%-ით იკლო.

ნებისმიერი პოლიტიკოსი საზოგადოებას ამ მაჩვენებლების მიღწევას რომ დაჰპირებოდა, მას ნამდვილად დამსახურებულ სიცილს დააყრიდნენ. ეს ციფრები ძალიან მნიშვნელოვან რამეზე მეტყველებს. იმის მიზეზი, თუ რა მოხდა, ახალი ამბებისთვის საინტერესო სტატისტიკაზე უფრო ღრმად უნდა ვეძებოთ და პოლიციის მუშაობისა და სოციალური ჩარევის მცირემასშტაბიანი ღონისძიებები უნდა განვიხილოთ. აღნიშნულმა ღონისძიებებმა მხოლოდ დანაშაულის დონე კი არა, ციხეებში მოხვედრილი სამართალდამრღვევების რიცხვიც შეამცირა (რაც „იარლიყის მიწებების“ თეორიის დამცველებისთვის მნიშვნელოვანი მიღწევაა).

გრეგ ბერმანი საკუთარ მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველ კვლევაში იმაზე მსჯელობს, თუ რამდენად არარელევანტურია დანაშაულის ტრადიციული ახსნა ნიუ-იორკის დანაშაულის დონეში ცვლილებების ასახსნელად (Berman, 2012 წ.).

მაშასადამე, თუ ტრადიციულ მემარცხენე/ლიბერალურ მიდგომას ავიღებთ, რომელიც დანაშაულის დონეს ძირეულ სოციალურ პრობლემებს, უთანასწორობასა და დისკრიმინაციას უკავშირებს, ვნახავთ, რომ 1990-იან წლებში როგორი მდგომარეობაც არ უნდა ყოფილიყო ამ კუთხით, მომდევნო 20 წლის განმავლობაში ძირეული ცვლილებები ამ მიმართულებით არ მომხდარა.

ამის მსგავსად, ზომიერი მემარჯვენეების ტრადიციული მიდგომის, რაც დაპატიმრებების მაღალ მაჩვენებელთან ერთად პოლიციის მკაცრ კონტროლს გულისხმობს, მტკიცებულებებიც არ გვაქვს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაპატიმრებებისა და დანაშაულის დონემ *ერთად* იკლო.

რა შეიძლება იყოს ამ მოულოდნელი ცვლილებების ახსნა?

ამ კითხვის შემდეგი ფორმულირება უფრო სასარგებლო იქნება: „როგორი ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ ამ ცვლილებებს იმის გათვალისწინებით, რომ მათ ბევრი და ურთიერთდაკავშირებული ახსნა ექნებათ?“

სოციოლოგების აზრით, ზოგი, ერთი შეხედვით, ძალიან მცირე დანაშაული დიდი მნიშვნელობის მატარებელია. ესენი, ფაქტობრივად, „სასიგნალო დანაშაულებია“, რომლებიც სხვა მსგავსი ან უფრო მძიმე დანაშაულების ჩამდენებს გარკვეულ ნიშანს ან დანაშაულის ჩადენის „ნებართვას“ აძლევს, რითაც ამ დანაშაულებს გზას უკვალავს. მაგალითად, თუ საზოგადოებრივი ტელეფონი გააფუჭეს (მცირე ვანდალიზმის აქტი) და ორი კვირის შემდეგ ტელეფონი მაინც შეუკეთებელია, ეს ხელს უწყობს მოსაზრების ჩამოყალიბებას, რომ საზოგადოებრივი მოხმარების ამ ნივთს არც აფასებენ და არც უვლიან. ასევე, უფრო ფართო კონტექსტში, ზემოთ აღნიშნული ფაქტი საზოგადოებაში იმის შეგრძნებასაც ქმნის, რომ უბანს, რომელშიც ეს ტელეფონია, პატივისცემითაც ნაკლებად ეპყრობიან და ღირებულადაც არ მიიჩნევენ. მაშასადამე, არ იქნება გასაკვირი, თუ გავიგებთ, რომ ტელეფონის გაფუჭების შემდეგ ახლომდებარე სხვა ნივთებიც – მაგალითად, საგზაო ნიშანი, ფანჯარა, სადგომზე დაყენებული მანქანა, ასევე, ვანდალიზმის აქტის შედეგად დაზიანდა. ვანდალიზმის აქტის პოტენციური ჩამდენებისთვის საზოგადოებრივი ტელეფონი *ნიშანი* გახდა, რომელიც მათ ,,ეუბნება“: მართალია, თქვენი ქმედებები მიუღებელია, მაგრამ *დაშვებულია*. აღნიშნული, ასევე, ნიშანი ხდება ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვისაც: თქვენი საცხოვრებელი უბანი სახიფათოა და მასზე არ ზრუნავენ. ერთი გატეხილი ფანჯარა უკვე იმაზე მიუთითებს, რომ თემი ნელ-ნელა იშლება.

მაშასადამე, ზემოთ განხილული თეორიის მიხედვით, ტელეფონი მალე რომ შეკეთებულიყო და ვანდალიზმის აქტების მიმართ ყურადღება არ მოდუნებულიყო, აღარ ჩამოყალიბდებოდა ისეთი კულტურა, რომელიც უგულებელყოფას ეფუძნება და საზოგადოების დაშლას უწყობს ხელს. „გატეხილი ფანჯრების“ ამ თეორიამ მთელი რიგი ცვლილებები განაპირობა პოლიტიკასა და პრაქტიკაში ყოველდღიურ, მცირემასშტაბიან ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: შეკეთებები, ქუჩის განათება და გრაფიტისგან ქუჩების გასუფთავება.

სხვა კრიმინოლოგიურმა კვლევებმა დაადასტურა, რომ დანაშაული დიდ ქალაქში ხშირად არა ქალაქის მასშტაბით არსებული, არამედ ადგილობრივ უბანზე მიბმული მოვლენა იყო. ამ კვლევების საფუძველზე კიდევ უფრო გაფართოვდა დანაშაულის ერთ უბანზე ან ოლქზე მიბმული *კონტროლის* ცნება. დანაშაულის კონტროლი უკვე სათანადო ინფორმაციის შეგროვებასაც მოიცავდა, რაშიც დანაშაულის ტიპების დეტალური ანალიზი და ცნობილი დამნაშავეების ადგილმდებარეობის განსაზღვრა მოიაზრებოდა. აღნიშნულის შედეგად დანაშაულის ჩადენის „ცხელ წერტილებთან“ ბრძოლა უკვე ეფექტიანად და მიზანმიმართულად იყო შესაძლებელი. მაშასადამე, ნარკოტიკებით ღიად ვაჭრობა და პროსტიტუცია, რაც ადრე ერთ უბანში მაცხოვრებლების სხვა უბნებში გადასახლებას ან ამ უბნებში ცხოვრების ხარისხის სერიოზულად გაუარესებას იწვევდა, მუდმივად პოლიციის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. პოლიციის მსგავსი ჩარევა მანამ გრძელდებოდა, სანამ პრობლემა სრულად აღმოიფხვრებოდა. გასაოცარი აღმოჩენა ის იყო, რომ დანაშაულებრივმა ქმდებებმა სხვა უბანში კი არ *გადაინაცვლა*, რაც მიღებული მოსაზრება და წინასწარ მოსალოდნელი შედეგი იყო, არამედ დანაშაულის დონე, ზოგადად, შემცირდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნიუ-იორკის „ექსპერიმენტი“ მხოლოდ პოლიციის მიერ განხორციელებული ქმედებების სერიას კი არ მოიცავდა, არამედ კონკრეტული ოლქების მასშტაბით იმ ღონისძიებებსაც, რაშიც სასამართლოსა და მოსამართლეების, სათემო და მოხალისეობრივი ორგანიზაციების ფართო სპექტრის აქტიურად ჩართვა იგულისხმებოდა. შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დებატებს დანაშაულის მართვის შესახებ და, ასევე, არგუმენტებს დანაშაულის გამომწვევი ფაქტორებისა და სამართალდამრღვევების მოტივაციის თაობაზე, ახასიათებთ საზოგადოების შესახებ ყოვლისმომცველი განზოგადებები, ან კიდევ უფრო მკაცრი სასჯელების დაწესებისკენ გადამეტებულად მარტივი მოწოდებები. უმეტეს შემთხვევაში დებატები სასოწარკვეთილ ტონალობაში იმართება და შეთავაზებულ გადაწყვეტილებებს ან ძალიან ფართომასშტაბიანად და არაპრაქტიკულად, ან ძალიან არაპოპულარულად და მიუღებლად მიიჩნევენ.

ერთმა ჟურნალისტმა შემდეგნაირად აღწერა ის, რასაც ნიუ-იორკის გამოცდილება გვიჩვენებს:

„…. დანაშაულის შესახებ არსებული ლიტერატურისთვის რომ გადაგეხედათ მანამ, სანამ დანაშაულის დონე დაიკლებდა, დისტოპიურ სასოწარკვეთილებას იგრძნობდით: ჩვენ უნდა დავამარცხოთ სიღარიბე... გამოვაცხადოთ ომი ოჯახების დაშლის წინააღმდეგ და ა.შ., რათა დანაშაულის ტალღა დავამარცხოთ... [მაგრამ] დანაშაულის აღმოფხვრა „სასწაულმოქმედი წამლით“ არ მომხდარა. დანაშაულის დონე ათასი გონივრული მცირემასშტაბიანი ქმედების მეშვეობით შემცირდა.“

აღნიშნულ დებატებში საკუთარი წვლილი კრიმინოლოგიის დარგში სტატისტიკოსებმაც შეიტანეს ერთი უმთავრესი აღმოჩენით: სამართალდამრღვევთა მცირე რაოდენობა არაპროპორციულად დიდი რაოდენობის დანაშაულზეა პასუხისმგებელი. მართალია, მაჩვენებლები განსხვავდება სხვადასხვა კვლევისა და ევროპის ამა თუ იმ ქვეყნის მიხედვით, მაგრამ მთავარი ფაქტი იმაში მდგომარეობს, რომ ძალიან აქტიური სამართალდამრღვევების მცირე რაოდენობა, რომელთაც ზოგჯერ „ცოტა, მაგრამ კრიტიკულად მნიშვნელოვან სამართალდამრღვევებს“ უწოდებენ, საკუთარ თემს არაპროპორციულად დიდ ზიანს აყენებს (Garside, 2004 წ.).

სწორედ ზემოაღნიშნულიდან მომდინარეობს სხვადასხვა ინიციატივა პოლიტიკის დარგში. ამ ინიციატივების სამიზნეს სწორედ აღნიშნული სამართალდამრღვევები წარმოადგენენ. მსგავსი პოლიტიკა სამართალდამრღვევებს მეთვალყურეობასაც უწევს და მხარდაჭერასაც სთავაზობს დანაშაულთან დაკავშირებულ ისეთ ძირითად საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა: ნარკოტიკები, ალკოჰოლი, საცხოვრებელი და დასაქმება.

თუმცა, ნიუ-იორკის მოდელის წარმატება, რომელიც მრავალი სახის მიდგომისა და ჩარევის გამოყენებას გულისხმობს, არ ნიშნავს, რომ ვიპოვეთ „მაგიური ტყვია“, რომლითაც დანაშაულს მთლიანად ან თუნდაც ადგილობრივ დონეზე დავამარცხებთ. როგორც სხვა მოდელების შემთხვევაში, ამ მოდელის თაობაზეც არსებობს კრიტიკული ხედვა. მაგალითად, დანაშაულის „ცხელი წერტილების“ სამიზნეებად ამოღებით და იქ პოლიციის უფრო აქტიური ქმედებების: თვალთვალისა და სხვა ჩარევების განხორციელებით, კონკრეტული რასობრივი ან სოციალური ჯგუფის დემონიზაციისა და კონკრეტული უბნისთვის არასასურველი რეპუტაციის შექმნის საშიშროება არსებობს. ამის გამო კი თემის მეტი პროსოციალური წევრი ტოვებს ამ უბანს. აღნიშნულის მსგავსია გაერთიანებული სამეფოს შემთხვევა. აქ ვიდეოთვალთვალის კამერები თავდაპირველად დანაშაულის პრევენციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მოტივით დაამონტაჟეს. თუმცა, კამერების სიჭარბის გამო მათი მეშვეობით მხოლოდ მძიმე დანაშაულებზე აღარ გროვდება სასარგებლო მტკიცებულება. ინფორმაცია უფრო რუტინულადაც მუშავდება, მაგალითად, ქალაქების ცენტრებში დამონტაჟებული კამერებიდან: იქ პარასკევ/შაბათის ღამეს დათრობა და ანტისოციალური ქცევა ადრე პრობლემას წარმოადგენდა. თუმცა, კრიტიკოსები დაობენ, რომ რადგან გაერთიანებულ სამეფოში მეტი სათვალთვალო კამერაა, ვიდრე ევროპის სხვა რომელიმე ქვეყანაში, მოსახლეობაზეც გაცილებით მეტი რუტინული და არარეგულირებადი თვალთვალის წარმოება ხდება. მართალია, საზოგადოებას არწმუნებდნენ, რომ ეს „თვალები“ წესრიგის კონტროლისა და საზოგადოების დაცვის მიზნით დაყენდა, თუმცა, ამის მიუხედავად, ზოგი მათ როგორც მთავრობის, ისე კერძო კომპანიების მხრიდან პირად ცხოვრებაში უხეშ ჩარევად და პირადი ცხოვრების უფლების დარღვევად აღიქვამს. ამ ადამიანების აზრით, ამით მთავრობაც და კერძო კომპანიებიც სამოქალაქო თავისუფლების დაცვას საფრთხეს უქმნიან.

ამ და სხვა არაერთი მოსაზრების მიუხედავად, გაერთიანებულ სამეფოშიც და ევროპის სხვა ნაწილებშიც ძირითად ტენდენციად მაინც თემის დონეზე პოლიციის მეტი ჩართულობა და „პოლიციასთან დაკავშირებული სხვა არატრადიციული“ საქმიანობა რჩება. მაშინ რა მნიშვნელობა აქვს ამ ცვლილებებს სამართალდამრღვევებთან სოციალური მუშაობისთვის?

ზემოთ აღნიშნულის ყველაზე ხილული შედეგია მზარდი მოძრაობა დანაშაულის საპასუხოდ კოორდინირებული, მრავალუწყებრივი მუშაობის მხარდასაჭერად. ეს, განსაკუთრებით, სამართალდამრღვევთა ორ კონკრეტულ ჯგუფთან მუშაობას ეხება:

ახალგაზრდა სამართალდამრღვევები და მაღალი რისკის კატეგორიას მიკუთვნებული სამართალდამრღვევები.

მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში 16 წელს ქვემოთ სამართალდამრღვევებს ახალგაზრდა სამართალდამრღვევებთან მომუშავე სპეციალურ გუნდთან ამისამართებენ. მათი მუშაობა კოორდინირებული, მრავალუწყებრივი მუშაობის იდეის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. ამ გუნდების სამუშაო ოფისებში ყველა ძირითადი სააგენტოს მუშაკები – პოლიციიდან, პრობაციის სამსახურიდან, სოციალური მუშაკის მომსახურებიდან, ჯანდაცვის სექტორიდან, განათლების სფეროდან და ნარკოტიკებთან ბრძოლის სამსახურიდან – შემთხვევებზე ერთად მუშაობენ და ერთმანეთს ინფორმაციას უზიარებენ. ამ „360 გრადუსიანი“ მიდგომის მიზანია ახალგაზრდა სამართალდამრღვევის პროფესიონალთა გუნდით გარემოცვა, რომელთაც მონიტორინგის გაწევაც შეუძლიათ და მხარდაჭერაც. აღნიშნული ცვლილების მნიშვნელოვნება აუცილებლად სათანადოდ უნდა დავაფასოთ (Garside, 2004 წ.).

ისტორიულად, ისეთი სააგენტოები, როგორიცაა: პოლიცია, ციხე და პრობაცია, არა მარტო ცალ-ცალკე მუშაობდნენ, არამედ ხშირად ცალკე ორგანიზაციულ კულტურასაც ქმნიდნენ, რაც ამ სააგენტოების ერთმანეთის მიმართ ანტაგონისტურ დამოკიდებულებას ასახავდა. მაგალითად, 1980-იან წლებში ლონდონის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც თავად ვმუშაობდი, პრობაციის სამსახურის პერსონალი არაოფიციალურ პოლიტიკას მისდევდა - ცდილობდა, ადგილობრივ პოლიციასთან არავითარი კონტაქტი არ ჰქონოდა, რადგან პოლიციას კორუმპირებულად მიიჩნევდა. ასეთ სიტუაციაში დიდი რაოდენობით ინფორმაცია, რომლის გამოყენებაც ორივე სააგენტოს შეეძლო, მათ შორის არასდროს გაცვლილა. მთელი ქვეყნის მასშტაბით, პოლიციის, ციხისა და პრობაციის სამსახურების ეს „ქორწინება, რომელიც ჯოჯოხეთში იყო შემდგარი“, განწირული იყო კატასტროფისთვის. საბოლოოდ, ეს ასეც მოხდა. მთელი რიგი ტრაგედიების შემდეგ, რომლებიც მძიმე დანაშაულებთან და მოწყვლად დაზარალებულებთან (როგორც წესი, ბავშვებთან) იყო დაკავშირებული, ზემოთ აღწერილის მსგავსი ვიწრო თვალთახედვა, ნაწილობრივ მაინც, სამუშაოს ძალიან ცუდად წარმართვის მიზეზად იქნა მიჩნეული.

საბოლოოდ, თანამშრომლობის საჭიროება ყველა ჩართულმა მხარემ გაიაზრა და ამჟამად ახალგაზრდა სამართალდამრღვევებთან მომუშავე გუნდები, ზოგადად, სამართალდამრღვევებთან მუშაობის დარგში ძალიან წარმატებულ მოდელადაა მიჩნეული.

აღნიშნულის მსგავსად, პრობლემებმა, რომლებიც უწყებებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობამ და თანმხლებმა ტრაგედიებმა გამოიწვია 1980-იან და 1990-იან წლებში, სათანადო ოფიციალური პოლიტიკის შემუშავება განაპირობა. ამ პოლიტიკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ფასდება რისკი, რომელსაც სამართალდამრღვევი საზოგადოებას უქმნის. მათი შემთხვევები კი, ვინც ყველაზე მეტ რისკს ქმნის, მრავალუწყებრივ დამცავ საბჭოს გადაეცემა. ახალგაზრდა სამართალდამრღვევებთან მომუშავე გუნდებისგან განსხვავებით ეს საბჭო გეოგრაფიულად ერთ ოფისში კი არ მდებარეობს, არამედ ყველა ძირითადი უწყების წარმომადგენლების რეგულარული შეხვედრების სახით ფუნქციონირებს. ამ შეხვედრების მიზანია ინფორმაციის გაცვლა და მაღალი რისკის სამართალდამრღვევზე ზედამხედველობის სქემის განსასაზღვრად საუკეთესო პრაქტიკის განხილვა და გათვალისწინება როგორც ციხიდან მის გათავისუფლებამდე, ისე თემში ცხოვრების დროსაც.

გარდაუვალი იყო, რომ მრავალუწყებრივი მიდგომის გაფართოებამ განაპირობა ამ იდეის ზრდასრული სამართალდამრღვევების ზედამხედველობის საქმეში გადმოღებაც. სამართალდამრღვევების ქცევის მართვის ასეთი ინტეგრირებული მიდგომა, გაერთიანებული სამეფოს მასშტაბით პრობაციისა და პოლიციის ერთობლივი ოპერაციული ერთეულის სახით, ამჟამად გამოცდას გადის. ეს ერთეული „კრიტიკული მნიშვნელობის მქონე მცირე რაოდენობის სამართალდამრღვევზეა“ პასუხისმგებელი. ეს სამართალდამრღვევების ის მცირე პროცენტული წილია, რომლებიც ძალიან ბევრ დანაშაულზე არიან პასუხისმგებელნი და რომლებზეც ადრეც ვისაუბრეთ. კურსის ბოლოსკენ რისკების მართვას უფრო დეტალურად

განვიხილავთ, მაგრამ ახლა ორიოდე სიტყვით ტორონტოში, კანადაში ჩამოყალიბებულ მხარდაჭერისა და ანგარიშვალდებულების წრეებს შევეხებით. ამ წრეებს იყენებენ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებული და თემში მცხოვრები იმ სამართალდამრღვევების ქცევის სამართავად, რომელთაც სექსუალური ხასიათის დანაშაული აქვთ ჩადენილი. ფაქტობრივად, ეს მეთოდი გულისხმობს ადგილობრივი თემიდან შერჩეულ მოხალისეთა მცირე ჯგუფის დანიშვნას, რომელიც სამართალდამრღვევის ირგვლივ მხარდაჭერის (და ზედამხედველობის) მიზნით ქსელს ქმნის. ეს გუნდი მათ ზედამხედველ სოციალურ მუშაკთან/პრობაციის ოფიცერთან არის ანგარიშვალდებული. აქ კიდევ ერთხელ ჩანს, თუ როგორ საინტერესოდ რბილდება საზღვრები ადრე ერთმანეთისგან ტრადიციულად ძალიან გამოყოფილ შემდეგ ცნებებს შორის: პოლიციის მუშაობა, სოციალური მუშაობა და თემი.

შემდეგ ნაწილში დავიწყებთ იმის განხილვას, თუ კონკრეტულად რას აკეთებენ სოციალური მუშაკები სამართალდამრღვევებთან მუშაობის დროს და როგორ შეცვალა ზემოაღნიშნულმა უფრო „ჰოლისტურმა“ მიდგომამ სოციალური მუშაობის თანამედროვე პრაქტიკა. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ზემოთ აღწერილი მიდგომა ანგლო-ჩრდილო ამერიკულ სიახლეს კი არ წარმოადგენს, არამედ მთელ ევროპაში პოლიციისა და სოციალური მუშაკების მიერ კანონდამრღვევებთან წარმოებული მუშაობის თანდათან მზარდი ნაწილი ხდება. 2011 წელს ოთხ ევროპულ ქვეყანაში ზემოთ აღწერილის მსგავსი 80 წრე ფუნქციონირებდა: 65 – ინგლისსა და უელსში, 14 – ნიდერლანდებში და 1 – ბელგიაში (Hanvey & Hoing 2010 წ.).

უკვე ვიმსჯელეთ დანაშაულის შესახებ რამდენიმე ყველაზე დიდ ფილოსოფიურ და პოლიტიკურ საკითხზე, კერძოდ: რა არის დანაშაული? როგორია მისი ბიოლოგიური, სოციოლოგიური და ეკონომიკური საწყისები? რომელი პოლიტიკური კურსია ყველაზე ეფექტური დანაშაულის დონის შესამცირებლად? ახლა შეგვიძლია, უმნიშვნელოვანესი და ფრიად სასარგებლო საკითხის განხილვაც დავიწყოთ: კონკრეტულად, როგორ ვმუშაობთ სამართალდამრღვევებთან?

კურსის დარჩენილი ნაწილის უმეტეს დროს ამ კითხვას დავუთმობთ და კრიტიკულად განვიხილავთ იმ პასუხების ნაწილს, რასაც მეცნიერები, მკვლევარები და პრაქტიკოსები გვთავაზობენ. თუმცა, კურსის დასაწყისიდან მოგვდევს ერთი პასუხგაუცემელი კითხვა, რომელსაც უნდა მივუბრუნდეთ, რათა ამ კურსის ფარგლებში ჩვენ მიერ დასახული მიზანი კიდევ ერთხელ გავიხსენოთ: რატომ უნდა ვიმუშაოთ სამართალდამრღვევებთან?

ამ კითხვაზე ჩვენი პასუხი ის იყო, რომ დანაშაულისა და იმ რისკის შემცირება/აღმოფხვრა გვინდოდა, რომლის წინაშეც დანაშაული საზოგადოებას აყენებს. უკვე განვიხილეთ დანაშაულის უამრავი შესაძლო მიზეზი და მათგან „განკურნების საშუალებებიც“. თუმცა, გაერთიანებულ სამეფოში, ლივერპულში, 1980-იან წლებში მომუშავე ამერიკელის - შად მარუნას ორიგინალური აზროვნება დასჭირდა ამ ერთი შეხედვით ცხადი მოსაზრების ჩამოყალიბებას. ლონგიტუდურმა კვლევამ სამართალდამრღვევების შესახებ, რომელიც მათ ადრეული მოზარდობიდან აკვირდებოდა, აჩვენა, რომ მათი დიდი უმრავლესობა კანონდარღვევებს ყველაზე ხშირად შუა ასაკიდან გვიან მოზარდობის პერიოდში ჩადიოდა. ამ პერიოდის შემდეგ კი კანონდარღვევების ჩადენის სიხშირე სტაბილურად იკლებდა და 20-დან დაახლობით 25 წლამდე ასაკში სრულიად წყდებოდა.

დანაშაულის ჩადენის სიხშირის კუთხით აღნიშნული „პიკი და შემცირება“ იმ სამართალდამრღვევების შემთხვევაშიც ხდებოდა, რომლებთანაც სოციალური მუშაკის/ პრობაციის მუშაკის ან სხვა ინტერვენცია არ განხორციელებულა.

დანაშაულის ჩადენის კუთხით მატებისა და კლების ტენდენცია მაშინაც იყო შესამჩნევი, როცა სამართალდამრღვევს თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა შეფარდებული. მარუნას აინტერესებდა, რატომ იკლებდა დანაშაულის ჩადენის სიხშირე „თავისით, ყოველგვარი ჩარევის გარეშე“. დანაშაულებრივი ქცევის ამგვარი შეწყვეტა ან შემცირება „თავშეკავების“ (დეზისტანსის) ცნების სახელით იქცა ცნობილი (ინგლისურ ენაში ხშირად გამოყენებადი

ზმნიდან to desist, რაც „თავის შეკავებას“ ნიშნავს). მარუნას აზრით, თუ გავიგებდით, რა ფაქტორები განაპირობებდა მსგავსი დანაშაულის ჩადენისგან „თავშეკავებას,“ მაშინ ამ ფაქტორების გაღვივებასა და განვითარებას შევუწყობდით ხელს. ამით კი დანაშაულის ჩადენის სიხშირე უფრო სწრაფად დაიკლებდა. მოკლედ რომ ვთქვათ, მარუნამ სრულიად შემოატრიალა კითხვა: „რა იწვევს სამართალდარღვევის ჩადენას? და ამის ნაცვლად დასვა კითხვა: „რით შეიძლება თავიდან ავიცილოთ სამართალდარღვევა?“ (Maruna, Porter, & Carvalho 2004 წ.).

თუმცა, მხოლოდ ამ კითხვას კიდევ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში შეეძლო გამოეწვია დამატებითი აკადემიური დებატები, კვლევები და არგუმენტების წამოყენება. მარუნას შთამბეჭდავი სვლა იმაში მდგომარეობდა, რომ თავად სამართალდამრღვევების აზრით დაინტერესდა, რითაცდებატებიუფროგაამარტივა. მანაღმოაჩინა, რომსამართალდამრღვევებს ძალიან კარგად შეეძლოთ, თავად აეხსნათ საკუთარი მოგზაურობა დანაშაულის ჩადენისკენ მიმავალ გზაზე და უკან. მარუნა თავისი მუშაობის გამო, რაშიც სამართალდამრღვევებთან უამრავი საათის გატარება იგულისხმებოდა, „გიჟი ამერიკელის“ სახელით გახდა ცნობილი. თუმცა, მისმა მიგნებებმა „დეზისტანსის“ შედარებით მცირემასშტაბიანი დარგი კრიმინოლოგიისა და სოციალური მუშაობის თანამედროვე დებატების ყურადღების ცენტრში მოაქცია. მარუნამ აღმოაჩინა, რომ დანაშაულის ჩადენის სიხშირის შემცირებაზე ყველაზე მეტი ზეგავლენის მომხდენი ელემენტები 3 დიდ კატეგორიად შეიძლებოდა დაყოფილიყო: ასაკობრივი სიმწიფის მატება, სოციალური კავშირების გაძლიერება და საკუთარი თავის თუ საკუთარი „ცხოვრებისეული ისტორიის“ განსხვავებულად აღქმა.

ინტუიციურად, სწორი ჩანს ის, რომ მოზარდობიდან ადრეულ ზრდასრულობაში გადასვლისას ადამიანს სამყაროს მიმართ ემოციური და ფსიქოლოგიური დამოკიდებულება ეცვლება. მარუნა მეორე მწერლის დევიდ მატზას სიტყვებს იშველიებს და მოზარდების დახასიათებისას ამბობს, რომ მათ „ერთ მხარეს ზრდასრული ცხოვრების სოციალური კავშირები ექაჩება, მეორე მხარეს კი მათი თანატოლების დევიანტური სუბკულტურები; თუმცა, მათ არც ერთთან მჭიდრო მიჯაჭვულობა არა აქვთ.“ მარუნა აღნიშნავდა, რომ მომწიფების ჩვეულებრივ პროცესში საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება, საზოგადოებასთან კავშირის აღიარება, ქმედებების გრძელვადიანი შედეგების გაცნობიერება და მისთანანი იგულისხმება. ყველა ჩამოთვლილი კი, მარუნას აზრით, „დეზისტანსის“ პროცესში დამხმარე ფაქტორს წარმოადგენს.

აღნიშნულის მსგავსად და „დეზისტანსის“ პროცესთან კავშირში, მარუნა აღნიშნავდა, თუ რამდენად ხშირად საუბრობდნენ სამართალდამრღვევები საკუთარ ოჯახებთან, შეყვარებულებთან და მათ გარშემო სხვა ადამიანებთან ურთიერთობების მნიშვნელობაზე. ეს სოციალური კავშირები გაცილებით მნიშვნელოვანი ხდებოდა სამართალდამრღვევებისთვის მაშინ, როცა ყოფილი ანტისოციალური და დანაშაულთან დაკავშირებული ურთიერთობები უკანა პლანზე იწევდა. სოციალური მუშაობის პრაქტიკის კუთხით, გასათვალისწინებელია, როგორ შეიძლება სამართალდამრღვევის მხარდაჭერა ამ ორი ელემენტის – მომწიფების პროცესისა და სოციალური ურთიერთობების განმტკიცების ან განვითარების კუთხით. მოგვიანებით ვნახავთ როგორ იყენებენ სხვა ტექნიკებს შორის, მაგალითად, მოტივაციურ ინტერვიუსა და შემთხვევის მართვის ფარგლებში ამოცანაზე ორიენტირებული მუშაობის მეთოდს ზემოთ აღნიშნული მიგნებების პრაქტიკაში გადასატანად. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ყველა ეს მეთოდი „დეზისტანსის თეორიისგან“ დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა.

მესამე ელემენტი და, ალბათ, „დეზისტანსის თეორიის“ მიხედვით, ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტორი სამართალდამრღვევის თემში და საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესში იყო *იდენტობის, ანუ საკუთარი ცხოვრებისეული ისტორიის აღქმის შეცვლა.* მარუნა იყენებს ტერმინს „ცხოვრებისეული ისტორია“, რადგან მისი კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სამართალდამრღვევები თანმიმდევრული ისტორიის სახით აყალიბებდნენ თავიანთ მოგზაურობას დანაშაულისკენ მიმავალ გზაზე და უკან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეალობაში ცოტა ჩვენგანის ცხოვრება თუ არის ისეთი ისტორია,

რომლის სიუჟეტიც თანმიმდევრულად ვითარდება: ჩვენი ყოველდღიური გამოცდილება უფრო ფრაგმენტული და ეპიზოდურია. თუმცა, როცა ჩვენს ცხოვრებას სხვებს აღვუწერთ, მოვლენებს არცთუ ძალიან მჭიდროდ დაკავშირებული, მაგრამ მიზეზშედეგობრივი მიმდინარეობის სახით წარმოვაჩენთ. ჩვენს ცხოვრებისეულ ისტორიებს, როგორც წესი, გარკვეული თემები ამთლიანებს. ეს ისტორიები გარკვეულწილად თანმიმდევრულიცაა. სამართალდამრღვევების ცხოვრებისეული ისტორიებიც აღნიშნულის მსგავსია, მაგრამ მარუნას კვლევის მიხედვით, იმ სამართალდამრღვევების შემთხვევაში, ვინც დანაშაულის ჩადენისგან თავის არიდება შეძლო, რამდენიმე ტიპური ისტორია იკვეთება.

ამ ისტორიებს შორისაა, მაგალითად, „მონანიების ისტორია", რომელშიც სამართალდამრღვევი აღწერს, რომ სულ ქურდობით იყო დაკავებული, მაგრამ შემდეგ გააცნობიერა, რომ მისი საქციელი მის უმცროს ძმაზე ახდენდა გავლენას; მას კი არ უნდოდა, რომ ძმა მასავით კრიმინალური სამყაროსკენ მიმავალ გზას დასდგომოდა. ასეთმა სამართალდამრღვევებმა შეიძლება თქვან, მაგალითად: *„დანაშაულს ჩავდიოდი და ცხოვრება კარგად მქონდა აწყობილი, მაგრამ შევამჩნიე, რომ ბილის უნდოდა, ჩემთვის მოეგაძა. ვიცოდი, რომ მისთვის უკეთესი იქნებოდა, თუ ქურდობას თავს დავანებებდი."* ამ ისტორიების მეშვეობით, კანონდამრღვევები იმ დანაკარგს აღიარებენ და ეგუებიან, რაც ქცევის ცვლილებას მოჰყვება შედეგად. ეს ისტორიები, ასევე, მთხრობელს საკუთარი თავის გაუმჯობესებულ და სოციალურად მისაღებ ვარიანტს წარუდგენს.

მარუნამ ისიც შეამჩნია, რომ ის სამართალდამრღვევები, რომლებიც დანაშაულებრივ ქცევას თავს არ ანებებდნენ, ასევე, საკუთარ ცხოვრებისეულ ისტორიებს ჰყვებოდნენ. თუმცა, ეს ისტორიები, როგორც წესი, ნეგატიური და საკუთარი თავის წინააღმდეგ იყო მიმართული. მაგალითად, სამართალდამრღვევი, რომელიც 30 წლის ასაკში ჯერ კიდევ რეგულარულად ჩადიოდა დანაშაულს, ისეთ ცხოვრებისეულ ისტორიას ჰყვებოდა, რომ ამით პატიოსნად ცხოვრების შესაძლებლობას გამორიცხავდა:

„ყველა ქურდობს... პოლიტიკოსები, ბიზნესმენები. ყველანი გაიძვერები არიან. მე უბრალოდ ჩემს წილს ვიღებ. პატიოსნად ცხოვრებას აზრი არ აქვს".

მარუნას დაკვირვებით, ამ შემთხვევაში ფატალისტური და „ტოტალური" ენის გამოყენება უარყოფით კონტექსტში ხდებოდა: *„არასდროს... ყოველთვის... არაფერი..."*

სოციალური მუშაობის პრაქტიკაზე გავლენას აღნიშნულიც ახდენს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სამართალდამრღვევები, რომლებიც „გამოსწორებაზე" ფიქრობენ, მერყეობენ. ამ პროცესში შეიძლება, დაგვეხმაროს სამართალდამრღვევისთვის უკუკავშირის გაზიარება, მაგალითად: როგორ სასაუბრო ენას იყენებს იგი და რა დგას ამ სასაუბრო ენის უკან. ამ მოსაზრებას კურსის ბოლო ნაწილში უფრო განვავითარებთ, როდესაც მეთოდებს განვიხილავთ.

„დეზისტანსის თეორია" ფსიქოლოგიაში უფრო ფართო მოძრაობის ნაწილად შეიძლება აღვიქვათ, რომელსაც პოზიტიური ფსიქოლოგია ჰქვია. ეს მოძრაობა, ძირითადად, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა და საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ ადამიანებს ცვლილებისა და გამოსწორების პოტენციალი აქვთ. აღნიშნული მოძრაობა კარლ როჯერსის, აბრამ მასლოუს და სხვების მიერ წამოყენებული ჰუმანისტური ფსიქოლოგიის პირდაპირი შედეგია. პოზიტიური ფსიქოლოგია ზოგჯერ კარიკატურული სახით არის წარმოჩენილი, როგორც მიამიტური და პოპულისტური მიდგომა, რომლის მიზანიც ის არის, რომ თავი კარგად გვაგრძნობინოს. ეს მოძრაობა გადამეტებულ აქცენტს პირად ბედნიერებაზე აკეთებს და, ამის სანაცვლოდ, ადამიანის გამოცდილებათა უფრო ფართო სპექტრს უგულებელყოფს. თუმცა, მას გარკვეული ღირებული ელემენტებიც აქვს და სხვა მიდგომებთან ერთად *სამართალდამრღვევებთან* სოციალური მუშაობის პრაქტიკის ჩამოყალიბებაში საკუთარ როლს თამაშობს.

სამართალდამრღვევებთან მუშაობა იმ ადამიანების ჯგუფთან მუშაობას გულისხმობს, რომლებიც ისედაც სტიგმის მსხვერპლნი არიან და საკმაოდ ხშირად რთული სოციალური

და ფსიქოლოგიური მდგომარეობა აქვთ. ისინი შეიძლება დამნაშავეები იყვნენ ჩადენილი ქმედების გამო, თუმცა სამართალდამრღვევთა უმეტესობაზე ვერ ვიტყვით, რომ მათ ბედნიერი, დამაკმაყოფილებელი ან პოზიტიური ცხოვრება აქვთ. ზოგი სამართალდამრღვევი საკუთარი დანაშაულებრივი ქმედების მეშვეობით სიამოვნებას, ძალაუფლებას და (ხშირად დროებით) გარკვეულ სიმდიდრესაც კი მოიპოვებს და მათი როლიც სხვა სამართალდამრღვევების „შთაგონებაში“ სათანადოდ დასაფასებელია, მაგრამ ისინი მხოლოდ გამონაკლისებს წარმოადგენენ. რადგან ბევრი სამართალდამრღვევი ხშირად საკმაოდ შეზღუდულ და საკუთარი თავის დამაზიანებელ ცხოვრებას ეწევა, ალბათ ნებისმიერ რამეს უნდა მივესალმოთ, რასაც გარკვეული ცვლილების მოხდენა და დამატებითი შესაძლებლობების მოტანა შეუძლია მათთვის, მათი ოჯახებისა და მათი პოტენციური მსხვერპლებისთვის. რა თეორიას ან დოქტრინასაც არ უნდა მივდევდეთ სოციალურ მუშაობაში, გონივრულად არ მოვიქცევით, თუ ცვლილების ძალასა და ღირებულებას დავივიწყებთ. ცვლილებას, ასევე, შეგვიძლია ვუწოდოთ „იმედი, რომელიც ქმედებაშია გატარებული“.

პოზიტიური ფსიქოლოგია სოციალურ მუშაობაში „დეფიციტის მოდელის“ საპირისპიროა. დეფიციტის მოდელი კლიენტებს ისეთ ადამიანებად წარმოაჩენს, რომელთაც რაღაც „აკლიათ“. ეს შეიძლება იყოს განათლება, ფული, საკითხის არსში გარკვევის უნარი, შესაძლებლობა, საცხოვრებელი ან იმ პოტენციურ დეფიციტთა უზარმაზარი სპექტრიდან ნებისმიერი, რომელზე მუშაობაც სოციალური მუშაკის მიზანს წარმოადგენს. თუმცა, გონივრულია ვივარაუდოთ, რომ არც ერთი ადამიანი, სამართალდამრღვევი იქნება იგი თუ არა, პრობლემების ნაზავი არ არის. ასევე, გონივრულია ვივარაუდოთ, რომ იმ პრობლემებს შორის, რომელიც კლიენტებს აქვს, მოიაზრება (ფიზიკური თუ გონებრივი) შესაძლებლობები და იმ დაწესებულებებისა და ადამიანების ხელმისაწვდომობაც, რომელთაც პოზიტიური ან სასარგებლო როლის შესრულება შეუძლიათ სამართალდამრღვევის ცხოვრებაში. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს დაწესებულებები და ადამიანები შეიძლება ძალიან მცირე რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი.

პოზიტიური ფსიქოლოგიის პრაქტიკული გამოყენების ერთ-ერთი მაგალითია რესურსების რუკის შედგენის მეთოდი. ეს მშრალი, ტექნიკური ტერმინი მუშაობის იმ მეთოდს აღნიშნავს, რომელიც ბევრი გამოცდილი პრაქტიკოსის უნარებში თავისთავად მოიაზრება. თუმცა, როგორც გაცნობიერებული მეთოდი, იგი ხშირად არ ისწავლება და არც მისი ცოდნის შეფასება არ ხდება. ამ მეთოდის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ უბრალოდ „რუკაზე დავიტანოთ“, ჩამოვთვალოთ ან დიაგრამის სახით წარმოვაჩინოთ ის ფაქტორები, რომლებიც ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს სამართალდამრღვევზე და, ასევე, წარმოვაჩინოთ ის რესურსები, რომლებზეც მას ხელი მიუწვდება.

ჩვეულებრივ, როცა სამართალდამრღვევებს ვხვდებით, ისინი, ძირითადად, კონკრეტული პრობლემის ან პრობლემათა ნაკრების სახით წარმოგვიდგებიან. ასე, მაგალითად, მაიკლმა, რომელიც 15 წლისაა, პირველად ჩაიდინა ქურდობა, კრიმინალური ბანდის წევრია და მშობლებთან კონფლიქტი აქვს. პრობლემაზე ორიენტირებული ეს მიდგომა თანამედროვე სოციალურ მუშაობას დიდწილად უდევს საფუძვლად. მას ის უპირატესობა აქვს, რომ იმ სფეროებს გამოყოფს, რომელთაც ჩვენი ყურადღება და რესურსები ესაჭიროება. წინამდებარე სახელმძღვანელოში ეს სფეროები თუ საკითხები უკვე შევაფასეთ და კრიმინოგენულ და არაკრიმინოგენულ საჭიროებად დავყავით. თუმცა, თავისთავად, პრობლემის/საჭიროების ასეთი ჩამოთვლით პიროვნება მხოლოდ პრობლემების, რისკებისა და სირთულეების ნაზავამდე შეიძლება დავიყვანოთ, რაც ჩვენი ჩარევით უნდა დავძლიოთ.

„დეზისტანსის თეორიით“ და მისი მხარდამჭერი კვლევებით შთაგონებულებმა საფუძვლიანად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ როგორიც არ უნდა იყოს მაიკლი ამჟამად, ის 25 წლის ასაკისთვის ან 25 წლის შემდეგ უკვე შეცვლილი იქნება. ამ დროისთვის მაღალი სტატისტიკური ალბათობით, იგი საზოგადოების ზოგადად კანონმორჩილი, პროსოციალური წევრი გახდება. ასე რომ, კითხვა შემდეგში მდგომარეობს: როგორ დავეხმაროთ მაიკლს იმაში, რომ მივიდეს ამჟამინდელი მდგომარეობიდან იმ მდგომარეობამდე, რომელშიც ყველას გვინდა, რომ იყოს?

თუ ასაკობრივი მომწიფება ამ პროცესის ნაწილია, უბრალოდ ხომ არ დავსხდეთ და დაველოდოთ? ან თუ მაიკლის გაცნობას დროსა და მცდელობას არ დავაკლებთ, იქნებ შევძლოთ, ხელი შევუწყოთ მას, რომ თავად გააცნობიეროს, მისი ქცევის რა ასპექტები მიუთითებს მის მოუმწიფებლობაზე (ამისთვის მისთვის ქება არ უნდა დავიშუროთ და მის ქცევაზე ჩვენი უკუკავშირი მისთვის გასაგები ენით უნდა ავუხსნათ)? შეგვიძლია თუ არა მაიკლს მისი პოტენციური კრიმინალური იდენტობის ალტერნატივები შევთავაზოთ? შევძლებთ „მოვრწყათ ახალგაზრდა მცენარე“ „პოზიტიური ზრუნვით“, როგორც ჰუმანისტი ფსიქოლოგები ამბობენ, რათა მის უკეთ განვითარებას შევუწყოთ ხელი? ვისაც მოზარდი აღუზრდია, ან ამ ასაკში საკუთარი თავი ახსოვს, ნამდვილად დაგვეთანხმება, რომ ზემოთ ნათქვამი ადვილი საქმე არ არის! საინტერესოა, რომ როცა მოზარდები ყველაზე უარესად იქცევიან, ხშირად სწორედ ამ დროს არიან ისინი ყველაზე დაუცველები და ჩვენგან შექებასა და მოწონებას ყველაზე მეტად საჭიროებენ. ნათქვამია, რომ რთულად აღსაზრდელი მოზარდები გვიწვევენ, რათა დამოუკიდებლად გავუშვათ ისინი, თუმცა სინამდვილეში მხოლოდ ის უნდათ, რომ ხელი მაგრად ჩავჭიდოთ.

რესურსების რუკის შედგენა, რაც ხშირად დიაგრამის ან ჩამონათვალის სახით ხორციელდება, იწყება სოციალური მუშაობის ჩვეული მეთოდით, კერძოდ: საჭიროების, რისკისა და პრობლემის შეფასებით. ტერმინი „კაპიტალი“ ამ მეთოდში სამართალდამრღვევის ცხოვრების დადებით თუ უარყოფით ელემენტებს აღნიშნავს (Mills, 2008 წ.).

ამ მეთოდში პირველი ნაბიჯია საჭიროებისა და პრობლემის შეფასება, მათი უარყოფითი პიროვნული კაპიტალისა და უარყოფითი სოციალური კაპიტალის შემადგენელ ელემენტებად დაყოფა. მაშასადამე, მაიკლის „უარყოფითი *პიროვნული* კაპიტალის“ შემადგენელ ელემენტებად შეგვიძლია ჩავთვალოთ ძალაუფლების მქონეთა მიმართ უნდობლობა და ტენდენცია, იმპულსურად მოქცევა. უარყოფითი *სოციალური* კაპიტალის შემადგენელ ელემენტებად კი შეგვიძლია დავასახელოთ ანტისოციალური ბანდა, რომელთანაც მას ურთიერთობა აქვს და, ალბათ, თანაბრად დევიანტური ქცევის მქონე ძმაც.

აღნიშნულის საპირისპიროდ, შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ მაიკლს ჰყავს მზრუნველი მამა, შეწუხებული და, სანდო და ღირებული მეგობარი, რომელიც ბანდას არ ეკუთვნის და, ასევე, შეიძლება, შევამჩნიოთ, რომ მას მანქანის ხელოსნობის ნიჭი და მიდრეკილება აქვს. ჩამოთვლილი ელემენტები, რომლებიც მაიკლის დადებით პიროვნულ და სოციალურ კაპიტალს შეადგენს, სწორედ ის ნიადაგი გახდება, რომელშიც მისი მომავალი კანონმორჩილი ცხოვრება განვითარდება, როგორც ამას „დეზისტანსის“ თეორია გვეუბნება. მაშასადამე, ჩვენი საქმეა საჭიროების/პრობლემის გადასაჭრელად მუშაობა, მაგრამ, იმავდროულად, ნებისმიერი იმ დადებითი პიროვნული და სოციალური კაპიტალის გამოყენება, რის მოძიებასაც პიროვნებაში შევძლებთ.

სწორედ ამ ეტაპზე უნდა ვახსენოთ მაიკლის ცხოვრებაში დადებითი სოციალური კაპიტალის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტი, რომელიც ყურადღებით უნდა განვიხილოთ: ეს არის სოციალური მუშაკი, ანუ *თქვენ...*

შემთხვევების დიდი რაოდენობისა და დატვირთული გრაფიკის გამო, სოციალურ მუშაკებს შეიძლება ვაპატიოთ, რომ სხვა თანამშრომლებივით გადაღლილებად და არასათანადოდ დაფასებულებად გრძნობენ თავს. ასეთ დროს, მარტივია, დაგავიწყდეს მთელი არსი იმისა, თუ რას ნიშნავს, იყო სოციალური მუშაკი.

სოციალური მუშაკი სოციალური მოვლენების *ჩამწერი/აღმნუსხავი* ან საქმის მწარმოებელი არ არის. მას ხელფასს იმიტომ არ უხდიან, რომ საკუთარი კლიენტების პიროვნული, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური პრობლემების ფართო სპექტრის შესახებ ჩანიშვნები გააკეთოს. სოციალური მუშაობა სოციალური დაკვირვება კი არ არის, *არამედ სხვების ცხოვრებაში აქტიური და კონსტრუქციული სახით ჩარევას გულისხმობს.*

მაშ, ჩვეულებრივ, რა „დადებითი სოციალური კაპიტალის“ შეთავაზება შეუძლიათ სოციალურ მუშაკებს? სოციალური მუშაობის სწავლებასა და პრაქტიკას საფუძვლად ძირეული უნარებისა

და ღირებულებების სპექტრი უდევს, რომელიც ინდივიდუალური სოციალური მუშაკის კონკრეტულ პიროვნულ თვისებებსა და რწმენათა სისტემაზე არ არის დამოკიდებული. სრულიად სუბიექტურ და მოკლე ჩამონათვალში შემდეგი პუნქტები შეიძლება შევიყვანოთ: მოთმინება, ემპათია, ტოლერანტობა და სოციალური სამართლიანობის შეგრძნება. ასევე, ჩამოთვლილ ლიბერალურ ღირებულებებს ისეთი თვისებები შეგვიძლია დავუმატოთ, როგორიცაა: პუნქტუალობა, თვითკონტროლი, სანდოობა, პატიოსნება და, საჭიროების შემთხვევაში, მკაფიო საზღვრების დაწესების უნარი. ეს თვისებები შეიძლება იყოს იშვიათი ან არარეგულარული ხასიათის მქონე, ან სრულიადაც არ არსებობდეს ჩვენი კლიენტების ჯგუფში შემავალი ადამიანების ცხოვრებაში.

თუ ერთმანეთს შევადარებთ მაიკლის რესურსების რუკას, რომელიც თავდაპირველად შევადგინეთ და რუკას, რომელსაც მოგვიანებით უფრო სრულყოფილი სახე მივეცით, ვნახავთ, რომ თავდაპირველი ვერსია პრობლემებზე და დეფიციტზეა ორიენტირებული, ბოლო კი – შესაძლებლობებსა და რესურსებს გვთავაზობს.

ჩვენ მიერ ადრე განხილული მრავალუწყებრივი, თანამშრომლობითი მუშაობის მოდელებს თუ გავიხსენებთ, შეგვიძლია, შევადგინოთ რესურსების რუკის გამოყენებით მაიკლთან მუშაობის გეგმა, რომელიც მისი და მისი ოჯახის რესურსებს და, ასევე, კვალიფიციური სოციალური მუშაკის პიროვნულ და პროფესიულ რესურსებსაც გაითვალისწინებს.

მოგვიანებით ამ კურსის ფარგლებში მეთოდების შესახებ ნაწილში განვიხილავთ პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ხანმოკლე თერაპიის მეთოდს, რომელიც რესურსების რუკასთან ერთად სრულყოფილი შეფასების წარმოების საშუალებას მოგვცემს.

ამ ეტაპზე აქამდე განხილული საკითხების საფუძველზე შეგვიძლია, სოციალური მუშაკის/ პრობაციის ოფიცრის სხვადასხვა განსხვავებული როლის თაობაზე ვისაუბროთ. მაგალითად, რესურსების რუკის შედგენისას, სოციალური მუშაკი მენტორია, კლიენტს შესაძლებლობებს სთავაზობს და მისი ცხოვრების ზოგჯერ გაფანტულ და ფრაგმენტულ ნაწილებს აგროვებს, რათა მას უკეთესი ცხოვრების შენებაში დაეხმაროს. ამის მსგავსად, როცა „დანაშაულის ჩადენისგან თავის შეკავებაა“ მთავარი სახელმძღვანელო პრინციპი, სოციალური მუშაკი კარგი მსმენელია, რომელიც კლიენტის ცხოვრების ცალკეულ, ზოგჯერ ურთიერთსაპირისპირო ნაწილებს აკავშირებს *კლიენტის მიერ განცდილი და მოყოლილი ცხოვრების ისტორიის* საფუძველზე. ამით იგი სამართალდამრღვევს დანაშაულებრივი ქცევის შეწყვეტაში ეხმარება.

თუმცა აღსანიშნავია, რომ უფრო საშიშ სამართალდამრღვევებთან მუშაობისას, სოციალური მუშაკის როლი ზემოთ აღნიშნულ ელემენტებთან ერთად მისი ქცევისა და ადგილსამყოფელის მონიტორინგის ძალიან მკაფიო ვალდებულებასაც მოიცავს. ეს განსხვავებული აქცენტი უბრალო დეტალი კი არ არის, არამედ სამართალდამრღვევებთან სოციალურ მუშაობაში ტრადიციული დასავლეთ ევროპული ლიბერალური მიდგომის – „მხარდაჭერა, დახმარება და რჩევის მიცემა“ – ძალიან მნიშვნელოვანი თანამედროვე ცვლილებაა. სახელმძღვანელოს დასაწყისში ვახსენეთ, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სხვადასხვა სისტემა რამდენიმე მოდელიდან გადმოღებულ კონცეფციას აერთიანებს. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების იმ სისტემებს, რომლებშიც სოციალური მუშაკები სამართალდამრღვევებთან მუშაობენ, სხვადასხვა მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს სოციალური მუშაკის მიერ შესასრულებელი როლის მიმართ. სახელმძღვანელოს მომდევნო თავში რისკის განხილვაზე გადავალთ, რაც სისხლის სამართლის სფეროში სოციალური მუშაობის პრატიკაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია.

გამოყენებული ლიტერატურა:

Garside, R. (2004). Crime, Prolific Offenders and the Justice Gap.

Hanvey, S., & Hoing, M. (2010). Circles of Support and Accountability. *Eurovista , 2* (2).

Hohman, M. (2012). *Motivational Interviewing in Social Work Practice (Applications of Motivational Interviewing).* (S. M. Rollnick, Ed.) London: Guildford Press.

Justice, U. M. (2012). *Compendium of re-offending statistics and analysis.* London: HMSO.

Maruna, S., Porter, L., & Carvalho, I. (2004). The Liverpool Desistance Study. *Probation Journal , 51* (3), 221-232.

Merton, R. (1962). *Social Structure and Anomie.* New York: Harvard University.

Mills, A. (2008). Prisoners' Families And Offender Mangement: mobilising social capital. *Probation Journal , 55* (1), 9-24.

თავი 4

სოციალური მუშაკი, სამართალდამრღვევი და სისტემა (1): რისკი და სოციალური სამუშაო

ენდრიუ ბერნჰარდტი
ლექტორი სოციალურ მუშაობაში, გაერთიანებული სამეფო

პრევენცია, განრიდება, მედიაცია – სამართალდამრღვევი, დაზარალებული და თემი/ საზოგადოება

რისკის შეფასებაზე და საზოგადოების დაცვაზე აქცენტის გაკეთებამ, რაც გაერთიანებულ სამეფოში ბოლო 20 წლის მანძილზე დომინირებდა სამართალდამრღვევებთან მუშაობის დროს, პრობაციის სამსახურისა და მისი პერსონალის როლებში დიდი ცვლილება გამოიწვია. შესაძლოა, სწორედ აქცენტებზე ფუნდამენტური ცვლილება ვლინდება სოციალურ სამუშაოსთან პირველადი კონტაქტის მომენტიდან, როცა თანამედროვე კარგად მომზადებული პრობაციის ოფიცრის „სენსიტიური ანტენები“ კარგად არის მომართული იმაზე, რომ შეაფასოს ზიანის რისკისა და დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის ალბათობასთან დაკავშირებული საკითხები და პრიორიტეტი მიანიჭოს სწორედ ამ საკითხებს ნაცვლად „კლიენტის საჭიროებებისა“.

გაერთიანებულ სამეფოში კანონსა და პოლიტიკაში შეტანილმა ცვლილებებმა პრობაციის პერსონალს უბიძგა ყურადღების ფოკურისება, ძირითადად, ციხიდან ზედამხედველობის ქვეშ გათავისუფლებულ პატიმრებზე მოეხდინათ. ეს ჯგუფი განმარტების მიხედვით, ზოგადად, წარმოადგენს მაღალი რისკის მატარებელ ჯგუფს, რის გამოც რესურსები და ენერგია გამოთავისუფლებულ იქნა იმ სამართალდამრღვევთა ჯგუფებისგან, რომლებიც დაბალი რისკის მატარებლებად ითვლებიან. ეს ცნობილია, როგორც პრინციპი: „რესურსები მიჰყვება რისკს“ და იწვევს პრევენციის გარშემო სერიოზული საკითხების წამოჭრას, ვინაიდან არსებობს მოსაზრება, რომ რესურსების ადრეულად მიმართვა დაბალი რისკის მატარებელ ჯგუფებზე ხელს უშლის მოგვიანებით მათ მაღალი რისკის მატარებლებად გადაქცევაში.

ასევე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დამატებითი პრაქტიკული ფაქტორი: სისხლის სამართლის სხვადასხვა სისტემას შესაძლებელია ჰქონდეს არა მხოლოდ სხვადასხვა პრიორიტეტი, არამედ ძალზე განსხვავებული ბიუჯეტი და დატვირთვა. იმის მიხედვით, თუ რამდენად სპეციალიზებულია გაერთიანებულ სამეფოში პრობაციის ოფიცერი, მისი სამუშაო დატვირთვა შეიძლება მერყეობდეს მცირე 20 შემთხვევიდან (მაღალ სპეციალიზებულ ერთეულში) 80 ან 90 შემთხვევამდე, საშუალოდ 40-დან 60 შემთხვევამდე. თუმცა, რუსეთში და სხვა ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში იშვიათობას არ წარმოადგენს პრობაციის ოფიცრის/ სოციალური მუშაკის სამუშაო შემთხვევათა რაოდენობა რამდენიმე ასეულს მოიცავდეს.

პრაქტიკულ ცხოვრებაში ასეთი მაღალი რაოდენობის შემთხვევათა სუპერვიზიაზე პასუხისმგებლობა ხელს უშლის მაღალი ინტენსივობით საქმის მართვაში ჩართვას, რაც ტრადიციულად იყო დაკავშირებული სოციალური მუშაობის პრაქტიკასთან. ასეთ სიტუაციებში ოფიცერს/სოციალურ მუშაკს ხშირად მხოლოდ ზერელე შეფასებისა და ინტერვენციის განხორციელება შეუძლია. სამართალდამრღვევებთან სოციალური მუშაობის სამუშაო მეთოდების განხილვისას არსებითი მნიშვნელობა აქვს აღიარებულ იქნეს, რომ ზოგიერთ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში, სადაც რეალობა ძალიან მძიმეა, სოციალური სამუშაოს ნებისმიერი ტიპის მეთოდების პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობები ძალიან შეზღუდულია. ასე რომ, რისი გაკეთება შეიძლება?

ვთქვათ, სოციალური მუშაკი/პრობაციის ოფიცერი აწარმოებს სოციალურ სამუშაოს თუნდაც რაღაც ფორმით და არა - მხოლოდ საქმეებს ფორმალურად, მაგალითად: პრობაციონერების დასწრების აღრიცხვას და აკეთებს კიდევ ცოტათი უფრო მეტს, ჩვენ ვდგავართ მთავარი კითხვის წინაშე: რას მოელის კონკრეტული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების

სისტემა პრობაციის ოფიცრისა და სოციალური მუშაკისგან? როგორც კი ამ კითხვას ნათლად გავცემთ პასუხს, ჩვენ შევძლებთ ყურადღება მივაქციოთ შემთხვევათა საკმაოდ მაღალ და შემაშინებელ რაოდენობას. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში, სადაც რისკის შეფასება და საზოგადოების დაცვა პრიორიტეტს წარმოადგენს, დიდი რაოდენობის შემთხვევები დახარისხებულია ზიანის მიყენების ალბათობისა და რისკის დონის მიხედვით – მაღალი, საშუალო და დაბალი რისკის შემცველი საქმეები. შესაბამისად, არსებული დრო და რესურსები, ძირითადად, ფოკუსირებულია მაღალი და საშუალო რისკის შემცველ ჯგუფებზე. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემამ, რომელიც უფრო დიდ აქცენტს აკეთებს იმაზე, რასაც ჩვენ შეიძლება ვუწოდოთ ტრადიციული სოციალური სამუშაო, შესაძლოა ანალოგიურად შეაფასოს შემთხვევები სამართალდამრღვევების სხვადასხვა საჭიროების მიხედვით. შესაბამისად, პრიორიტეტი მიანიჭოს მათ, რომლებთან დაკავშირებითაც ყველაზე დიდი საჭიროება იკვეთება. ამის შემდეგ ისმება კითხვა, თუ რა საჭიროებას უნდა მივხედოთ. გაერთიანებულ სამეფოში 1980-იან წლებამდე სამართალდამრღვევთა საჭიროება რესურსების თვალსაზრისით არ გამოირჩეოდა სოციალური სამუშაოს სხვა კლიენტების საჭიროებისგან: სამართალდამრღვევს, რომელსაც ჰქონდა ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემები, ეპყრობოდნენ ასე თუ ისე იგივე ინტენსივობით, როგორც მომსახურების სხვა მიმღებს. თუმცა, რისკის შემცირებაზე აქცენტის გაკეთებასთან ერთად მოხდა აქცენტირება იმ საჭიროებებსა და საკითხებზე, რომლებიც განსაკუთრებულად კრიმინოგენულად მიიჩნეოდა. მოსალოდნელი იყო, რომ სამართალდამრღვევი, რომელსაც ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა, რაც მისი დანაშაულებრივი ქცევის მთავარ ელემენტად მიიჩნეოდა, გამხდარიყო უფრო მეტი ინტერვენციის (და, სავარაუდოდ, ჩარევის) მიმღები. ვინაიდან, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ხასიათი შეიცვალა, ასევე, შეიცვალა რესურსებისა და „წინა ხაზზე“ მომუშავეთა მიმართულებაც – რესურსებმა დაიწყო რისკებზე გაყოლა (Robinson, 1995).

იმის თქმა გვინდა, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე ნებისმიერი სოციალური მუშაკისთვის არსებობს საჭიროება, დასვას „ძირითადი კითხვები,“ რათა გაარკვიოს რა მიიჩნევა მათი სამუშაოს არსად. რა თქმა უნდა, შემთხვევების დიდი რაოდენობიდან გამომდინარე მაღალი დატვირთვა შეიძლება იყოს შემაშინებელი და დამქანცავი, თუ ნათლად არ იქნება გასაგები, რა წარმოადგენს კონკრეტული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის პრიორიტეტებს და რა მოლოდინი არსებობს თითოეული სოციალური მუშაკის/პრობაციის ოფიცრის მიმართ. სხვა შემთხვევაში რთული სამუშაო გადაიქცევა ნამდვილად შეუსრულებლად. პრაქტიკულ დონეზე ეს იდეები მჟღავნდება შეფასების პროცესში – ეს საკითხი ამ კურსში კიდევ ერთხელ მეთოდების სექციაში შეგვხვდება. ვინაიდან, ეს არის მომენტი, როდესაც ხდება ინფორმაციის შეგროვება და ჩვენს პრიორიტეტებზე დაყრდნობით (რომელიც, რა თქმა უნდა, ასახავს იმ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის პრიორიტეტებს, რომელშიც ჩვენ ვმუშაობთ) მომავალი სამუშაოს დაგეგმვა.

ჩვენ ამ კურსში უკვე მიმოვიხილეთ ძირითადი საფუძვლები და სხვადასხვაგვარი იდეა და თეორია. ახლა შეგვიძლია ამ „სოციალური სამუშაოს პოზიტიურ კაპიტალზე“ დაყრდნობით ზოგი იდეის უფრო ღრმად გამოკვლევა, რასაც ვიწყებთ ძალიან მარტივი კითხვით: როგორ უნდა ვიმუშაოთ სამართალდამრღვევებთან? ამ კითხვაზე პასუხია ის, რომ სამართალდამრღვევებთან მუშაობის ბევრი გზა არსებობს - რასაც ჩვენ ვაკეთებთ, გადაწყვეტილებების მიღებაა. შემდეგ თავში ჩვენ განვიხილავთ სამართალდამრღვევებთან მუშაობის ინოვაციურ მეთოდებს, რასაც დავიწყებთ მსგავსი საკითხების ერთად თავმოყრით: მრავალუწყებრივი მუშაობა, იარლიყების მიკვრა, განრიდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში და სისტემისგან და მედიაცია.

მრავალი კრიმინოგენული და სოციალური სამუშაო მართლმსაჯულების სისტემაში ეყრდნობა დამნაშავის „მოგზაურობას“ დანაშაულის სამყაროში და მის შესაძლო უკან დაბრუნებას. ეს კი იწყება დამნაშავის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან პირველი კონტაქტიდან და მოიცავს: დაპატიმრებას, სასამართლოს, განაჩენს, დასჯას და, შემდეგ, შესაძლოა, რეაბილიტაციასაც.

თუმცა, მე-20-ე საუკუნის ბოლოს სამართალდამრღვევებთან, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა სამართალდამრღვევებთან, მუშაობამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, თუ რამდენად ახერხებდა თავად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა დანაშაულებრივი ქცევის მართვას ყველაზე ეფექტური ან სოციალურად კონსტრუქციული მეთოდებით.

თავის დროზე ეს იდეები იპოვის ფორმას დასავლური (ფართოდ გაერთიანებულ სამეფოსა და ჩრდილოეთ ამერიკაში) სისხლის სამართლის სისტემაში კრიმინოლოგიური აზროვნების ორი დამატებითი მიმართულების განვითარების სახით: პრევენცია და განრიდება. ასევე, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორივე ცნება აშკარად ეწინააღმდეგება დანაშაულებრივი ქცევის მკაცრ ბიოლოგიურ-დეტერმინისტულ განმარტებას. რატომ უნდა განვახორციელოთ ინტერვენცია ნებისმიერ სამართალდამრღვევთან, თუ მათი გენები და სხვა ბიოლოგიური ბუნება მიუთითებს იმაზე, რომ ისინი წინასწარ არიან განწირულნი დაარღვიონ კანონი?

როგორც აქამდე უკვე ვნახეთ, მოიძებნა მრავალი სოციოკულტურული ახსნა, რომელიც ხაზს უსვამს ეკონომიკის, სიღარიბის, განათლებისა და სხვა ფაქტორებს (და რომელსაც შეგვიძლია თავისუფლად ვუწოდოთ ,,გარემო“), რომლებიც მთავარ როლს ასრულებს დანაშაულებრივი ქცევის სტიმულირებაში. იმას, რასაც ჩვენ ახლა ქცევას ვუწოდებთ და კიდევ - პირად თვისებებს ადრე „მორალური თვისების“ სათაურის ქვეშ აერთიანებდნენ. როგორც გაერთიანებული სამეფოს პრობაციის სამსახურის განვითარებისას ვიხილეთ, მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში არსებობდა შეუვალი რწმენა, რომ რომელიმე რელიგიური, საქველმოქმედო ან სოციალური კეთილდღეობის ორგანო შეიძლებოდა დახმარებოდა, გამოესწორებინა ან განერიდებინა სამართალდამრღვევი „დანაშაულებრივი ცხოვრებისგან“ (The Guardian, 2007).

ინტერვენცია მიმართული იყო დამნაშავის მორალური თვისებების გაუმჯობესებაში დახმარებისკენ, რათა ის გამხდარიყო „რესპექტაბელური“ საზოგადოების ნაწილი. თუმცა, ეს შეხედულება მალე გამოწვევების წინაშე დადგა.

ემილ დურკეიმის (Emile Durkheim) ნაშრომებმა მე-19 საუკუნის დასასრულს ხაზი გაუსვა სოციალური კავშირისა და კუთვნილების მნიშვნელობას ჩვეული მორალური თვისებების საწინააღმდეგოდ ქცევის განვითარებასთან მიმართებაში. სოციალური გარემოს მნიშვნელობით გატაცებამ და მის მიმართ ცნობიერების მომატებულმა ზრდამ საბოლოოდ დაამკვიდრა აზრი, რომ სოციალური გარემოს შეცვლითა და გამოსწორებით შესაძლებელია ზემოქმედების მოხდენა დანაშაულის დონეზე. ამ იდეებმა დაიწყეს შეღწევა ისეთ განსხვავებულ სფეროებში, როგორიცაა: ქალაქის დაგეგმარება, არქიტექტურა, ეკონომიკა, სოციალური პოლიტიკა და განათლება. სოციალურ სამუშაოში შემოთავაზებულ იქნა, რომ პიროვნულ დონეზე არსებული სოციალური პირობებისა და სამართალდამრღვევის ცხოვრებისეულ შესაძლებლობებზე მუშაობას ჰქონდეს პოტენციალი, შეამციროს დანაშული და მასთან დაკავშირებული რისკები. ეს იდეები, რომლებიც ხშირად ვიქტორიანული ფილანტროპიიდან იღებს სათავეს, სოციალისტურ და ლიბერალურ პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირების შედეგად გადაიქცა სოციალური და საკანონმდებლო ცვლილებების ძლიერ ძალად.

ამ იდეების ზრდისა და მათი სოციალურ სამუშაოზე ზეგავლენის მოხდენის ყველაზე ნათელი მაგალითები შეგვიძლია ვიხილოთ მე-20 საუკუნეში თანამედროვე ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში ახალგაზრდებთან მუშაობისას. 1907 წელს ლორდ ბადენ-პაუელის (Lord Baden-Powell) დროს, გაერთიანებულ სამეფოში მსოფლიო სკაუტების მოძრაობის ზრდიდან მოყოლებული, ახალგაზრდული კლუბებისა და მთელი რიგი მეორე მსოფლიო ომის ახალგაზრდული პროექტების განვითარებით დამთავრებული, შეიძლება გამომჟღავნებულ იქნეს, რომ ცხადად არსებობდა რწმენა, რომლის მიხედვითაც გააზრებული საქმიანობის გარეშე ახალგაზრდები მიდრეკილნი იქნებოდნენ ცუდი ქცევისკენ და დანაშაულისკენაც კი. ეს შეიძლება შეჯამებულ იქნეს ინგლისურ ფრაზაში ,,უსაქმური ხელების საქმეს ეშმაკი აკეთებს“, რომელსაც აშკარად დაჰკრავს მორალური და რელიგიური ელფერი.

„გააზრებულ საქმიანობას“, რომელიც, თავის მხრივ, უკვე საყურადღებო იყო, მიიჩნევდნენ ახალგაზრდებში დანაშაულის პრევენციის უფრო ფართო სქემის ნაწილად. თუმცა, ასეთ კონცეფციას ჯერ კიდევ ესაჭიროებოდა მიეღო ფორმა ახალგაზრდებისა და სისხლის სამართლის სისტემაში. ახალგაზრდა ადამიანებთან მუშაობის ყველაზე დიდი სტიმული გაჩნდა დემოგრაფიულ ცვლილებასთან ერთად. ეს გამოწვეული იყო თავდაპირველად მეორე მსოფლიო ომით, მას შემდეგ კი - 1950-იან წლებში აშშ-სა და მოგვიანებით დასავლეთ ევროპაში, თინეიჯერის ე.წ. „აღმოჩენის“ შედეგად.

კოენმა (Cohen) მედიის გაშმაგების შესახებ თავის ნაშრომში, ფაქტობრივად, ჩვენ მიერ უკვე განხილული რამდენიმე პირველი მორალური პანიკა აღწერა, რომელიც, როგორც ჩანს, თინეიჯერების საკითხის გარშემო წარმოიშვა. გარდა ამისა, აღწერა ის შესაძლო საშიშროებაც, რომელსაც ის ადრეულ 1960-იან წლებში წარმოადგენდა (Cohen, 2002).

მას შემდეგ მრავალ თანამედროვე ქვეყანაში ვითარდება სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად დაფინანსებული ახალგაზრდებთან მუშაობის პროცესი, რომელიც სხვადასხვა ფორმას იღებს, მათ შორის, ტრადიციული საქმიანობების ფორმას. ეს არის: განათლება, სპორტი, გარესპორტული და/ან სარეკრეაციო აქტივობები და სხვა; ასევე, ვითარდება ერთ კონკრეტულ საკითხზე ფოკუსირებული ისეთი სამუშაო პროცესი, როგორიცაა, მაგალითად, აქცენტი ბანდებთან მუშაობაზე ამჟამინდელ გაერთიანებულ სამეფოში.

ამ აქტივობებს შეიძლება ვუწოდოთ როგორც დანაშაულის პრევენციისადმი მიმართული სამუშაო, ასევე განრიდება, რადგან ახალგაზრდებთან მუშაობის მიზანია, მათ დანაშაულებრივ ქმედებაში ჩართულობას ხელი შეუშალოს და ისინი ააცილოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან ნებისმიერ კონტაქტს.

დავუბრუნდეთ უკვე განხილულ „ნიუ-იორკის ექსპერიმენტს“, რომლის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოს გარკვეული ნაწილი მოიცავდა პირდაპირ განრიდებას თინეიჯერებთან. საუკეთესო და აზრიანი კომბინაცია აღმოჩნდა სამიზნე ჯგუფად ბანდის ლიდერების შერჩევა და მათთვის ისეთი აქტივობების შეთავაზება, რომელიც ითვლებოდა ,,საკაიფოდ“ ან ღირებულად, მისაღებად დღის ან ღამის იმ მონაკვეთებში, როდესაც დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის პიკია. ეს კი ზოგ პოტენციურ სამართალდამრღვევს წარმატებით ეხმარებოდა, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრისგან თავი დაეღწია.

მაგალითად, 1980-იანი წლების შუა ხანებში ამერიკაში შუაღამის კალათბურთის ლიგამ დაიწყო ფუნქციონირება. ძირითადი პირობები, რომლით უზრუნველყოფაც საჭირო გახდა, იყო მხოლოდ მიწის ნაკვეთი, კალათბურთის ბურთი, განათება, რამდენიმე მოხალისე და უფასო უალკოჰოლო სასმელებით მომარაგება. ეს ლიგები იქცნენ კარიბჭეებად ან ხელმისაწვდომ პუნქტებად, რომელთა საშუალებითაც ლიგაში მონაწილეობის მიმღებ პირებს შესაძლებლობა ეძლეოდათ ჩაწერილიყვნენ მთელ რიგ დამატებით მომსახურებებზე: წერა-კითხვის სწავლება, CV-ის შედგენა, სმასთან ან ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე პირებისთვის რჩევების მიცემა და სხვ. ლიგები ამჟამად უკვე ევროპაშიც გავრცელდა და მათ სპონსორობას უწევენ დიდი კომპანიები, ხოლო პატრონაჟს – წამყვანი სპორტსმენები (Berman, 2012). რა თქმა უნდა, იდეა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ კალათბურთით ან სხვა ახალგაზრდა მამაკაცებისთვის პოპულარული ტრადიციული აქტივობებით, თუმცა საკითხავია, რამდენად შეიძლება ამ ტიპის სამუშაოს ჩატარება ახალგაზრდა სამართალდამრღვევი ქალებისთვის.

ეს პროექტები შეიძლება მივიჩნიოთ გარკვეული ფორმის „კულტურულ ჩანაცვლებად“, რომელშიც ღირებულებები და ქცევები, რაც დანაშაულებრივ სუბკულტურასთან ასოცირდება, ჩანაცვლებულია პროსოციალური, ჯანსაღი და სოციალურად კონსტრუქციული სუბკულტურით. კულტურული ღირებულებები ფართო გაგებით და უფრო კონკრეტულად კი სუბკულტურების ღირებულებები, ხსნის სამართალდამრღვევებთან მუშაობის არსებით ნაწილს. ეს კვლევის დიდი სფეროა, თუმცა, ამჯერად, ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ თავად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის სუბკულტურის ზეგავლენის საკითხი.

ერთი შეხედვით, ეს შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ. ბოლოს და ბოლოს, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა ნებისმირ ქვეყანაში გამიზნულია იმისთვის, რომ იყოს პროსოციალური და მხარს უჭერდეს ფართო საზოგადოების ღირებულებებს. შესაბამისად, ეს სისტემები, რომლებიც შექმნილია კანონის მხარდასაჭერად, უნდა ქმნიდეს და მხარს უჭერდეს პროსოციალურ, მისაღებ დამოკიდებულებებსა და ქცევებს. თუმცა, რამდენიმე კრიმინალისტმა კრიტიკულად განიხილა პროცესიც, რომელსაც ადგილი აქვს და შედეგიც, რომელსაც ადამიანის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრის შემთხვევაში ვიღებთ.

მოდით, წარმოვიდგინოთ თანამედროვე სისხლის სამართლის სიტემა, რომელიც დამყარებულია შეთანხმებული კანონის სამართლიანობის კარგად ცნობილ ცნებებზე, ორივეს - დამნაშავისა და დაზარალებულის უფლებებზე და სოციალურ სამართლიანობაზე, ზრუნვაზე. სისტემაში შედის 15 წლის ბიჭი მაიკლი, რომელმაც პირველად ჩაიდინა დანაშაული - მძიმე ქურდობა თავის მეგობრებთან ერთად, რომლებიც უკვე არიან ნასამართლევი მსგავსი დანაშაულებისთვის. მისი მშობლები ძალიან შეწუხებულნი არიან, რადგან მათი შვილი კრიმინალურ დაჯგუფებაში გაერია.

საწყის წერტილად ავიღოთ შეთანხმებული შეხედულება, რომ ეს ქურდობა შედარებით სერიოზული დანაშაულია და იმსახურებს გასამართლებას. ჩვენ არ გვაქვს არჩევანი, რომ მოვხსნათ ბრალი და კარგად ვიცით, რომ ადგილობრივი საზოგადოებაც და დაზარალებულიც სამართლიან განაჩენს მოითხოვს. მაიკლს აპატიმრებენ და ბრალს უყენებენ. წესისამებრ, ის თავს იცავს, მაგრამ მაინც ცნობენ სამართალდამრღვევად. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ იარლიყის მიკვრის სტიგმა შეაჩერებს მაიკლს მომავალში დანაშაულის ჩადენისგან. ნებისმიერი სასჯელი, რომელსაც მიუსჯიან, მხოლოდ განამტკიცებს აზრს, რომ საზოგადოება გმობს მის საქციელს. ამ შემთხვევაში შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემამ შეასრულა თავისი დანიშნულება.

თუმცა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ მაიკლი პიროვნებად ყალიბდება სწორედ თინეიჯერობის ასაკში, რამდენად შეიძლება დამნაშავის იარლიყმა იქონიოს მასზე გავლენა? მაიკლი, რომელსაც ამ მომენტამდე ნასამართლობის ისტორია არ ჰქონდა, ახლა უკვე თავისი ოჯახის, თემისა და მართლმსაჯულების სისტემის თვალში არის სამართალდამრღვევი.

ჰოვარდ ბეკერის (Howard Becker), დევიდ მათზას (David Matza), ირვინგ გოფმანისა (Irving Goffman) და სხვების მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლების ნამუშევარი მიუთითებს სულ სხვა შესაძლო შედეგზე. „იარლიყის მიკვრის თეორიის“ სახელით ცნობილ ნაშრომში წარმოშობილი იდეების მიხედვით შესაძლებელია, რომ მას შემდეგ, რაც ადამიანს მიეკვრება დამნაშავის იარლიყი, საზოგადოება მას სხვაგვარად მოეპყროს (n.b. იარლიყის მიკვრის თეორია, ასევე, ვრცელდება ბევრ სხვა სოციალურ ჯგუფზე: ფსიქიკურად დაავადებულ პირებზე, სექსუალურ და რელიგიურ უმცირესობებზე და სხვ.). იარლიყმიკრული ადამიანი ფიქრობს, რომ მას ნაწილობრივ მაინც აქვს მიკრული იარლიყი, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მის მიერ საკუთარი თავის აღქმაზე, ასევე, მის ცხოვრებისეულ შანსებზე (Becker, 1963).

ასე რომ, შეგვიძლია ვივარაუდოთ: მაიკლი, რომელსაც მიაკრეს დამნაშავის იარლიყი და ამით მას გადასცეს იდენტურობა (სოციალურად მიუღებელი იდენტურობა), დაიწყებს მის ,,გათავისებას“ და, შესაძლოა, სისრულეში მოყვანასაც კი.

აშკარაა, რომ ბრალდებულობამ და სამართალდამრღვევთან გაიგივებამ, შესაძლებელია, გარკვეული როლი ითამაშოს მაიკლის, ოჯახისა და რამდენიმე მისი თანატოლის მიმართ სოციალური მიმღებლობიდან გამოძევების საქმეში. ეს მაშინ, როდესაც მისი ბანდისთვის მაიკლის სამართალდამრღვევობა (ანუ ის, რაც აკავშირებს მათ ერთმანეთთან) ინკლუზიურ და ერთობ მისაღებ იდენტურობას წარმოადგენს. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ საზოგადოების უმრავლესობაში „სამართალდამრღვევი“ არის იარლიყი, რომელსაც ადამიანი სიცოცხლის ბოლომდე ატარებს.

ესუნებლიეიარლიყი,ყველათავისიუარყოფითიშედეგით,კრიმინოლოგიურიდააკადემიური

დებატების საგანს წარმოადგენს. შედეგად წარმოიშვა მთელი რიგი იდეები განრიდების ცნების ირგვლივ, ამოქმედდა პროცედურები და ინსტიტუციები, რომლებიც განკუთვნილია, პირველ რიგში, დანაშაულის ჩამდენისა თუ სამართალდამრღვევად გადაქცევის კანდიდატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისგან განრიდებისათვის.

განრიდების იდეამ შეაღწია ევროპისა თუ სხვა ქვეყნების სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებში და დაეხმარა პოლიტიკისა და ახალი პრაქტიკის შექმნაში. მას შემდეგ ახალგაზრდული და სოციალური მუშაობის სფეროების ნაწილი მზარდი გახდა.

,,იარლიყის მიკვრის" თეორიისა და თვით იდენტიფიკაციის შექმნის გარშემო იდეების განვითარების შემდეგ მხოლოდ პოსტმოდერნისტულ პერიოდში – მე-20 სააუკუნის ბოლოს მოხდა თავად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის დანახვა პოტენციურად უარყოფით ძალად. ეს იყო სისტემა, რომელსაც შეეძლო შეექმნა პროცესი, რომელშიც დანაშაულებრივი ქცევა მყარდებოდა და ხალისდებოდა. მაგალითად, მაშინ როცა ციხეები შეიძლება გამართლებული იყოს, როგორც დანაშაულებრივი ქმედების უხეში, მაგრამ ეფექტური შემბოჭველი, ბევრმა ისიც შეამჩნია, რომ შეიძლება მათი „დანაშაულის უნივერსიტეტებად" დახასიათებაც. ეს არ არის გამოწვეული მხოლოდ იმ პოტენციალით, რომელიც საშუალებას აძლევს სამართალდამრღვევებს, გაცვალონ იდეები და, შესაბამისად, ისწავლონ ერთმანეთისგან. ანტისოციალური დამოკიდებულება, რომელმაც სამართალდამრღვევი ციხემდე მიიყვანა, შესაძლებელია, წახალისებულ და მხარდაჭერილ იქნეს ციხის შიგნით „კრიმინალური სუბკულტურის" მიერ.

ასევე, გამოითქვა მოსაზრება, რომ თავად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში შესვლა შეიძლება იყოს დამნაშავის კრიმინალიზაციის ძლიერი საშუალება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „სამართალდამრღვევი" არის სიცოცხლის განმავლობაში მიკრული იარლიყი. ბოლოსდაბოლოს, „ერთხელ სამართალდამრღვევი, ყოველთვის სამართალდამრღვევია" – ეს არის საზოგადოდ მიღებული მოსაზრება, რომელიც, ასევე, წარმოადგენს იურიდიულ ფაქტს იმ მრავალ ქვეყანაში, სადაც პიროვნების დანაშაულებრივი ქცევის შესახებ მონაცემებს, მათ შორის, ყველაზე უმნიშვნელო დანაშაულზეც კი, ადამიანის მთელი სიცოცხლის განმავლობაში ინახავენ.

ამ სფეროსთან დაკავშირებით საინტერესო ევროპულ განვითარებას ჰქონდა ადგილი საფრანგეთში, სადაც დაარსდა „დაბრუნების სასამართლო". იღებდა რა თავის ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ სათავეს იარლიყის მიკვრისა და სხვა თეორიებიდან, განვითარებულ იქნა შემდეგი იდეა: თუ სამართალდამრღვევი უარყოფითად და მუდმივად იქნება იარლიყმიკრული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესის მიერ, მაშინ იგივე სისტემას უნდა შეეძლოს მას ეს იარლიყი ჩამოაშოროს. თუ სასამართლოში გამოჩენა შეიძლება მივიჩნიოთ ფორმალურ იურიდიულ რიტუალად, რომელიც სრულდება დამნაშავის გასამართლებითა და სტიგმატიზაციით, მაშინ შესაძლებელი უნდა იყოს იგივე რიტუალითა და მტკიცებულებებით მოხდეს „იარლიყის მოხსნა" დამნაშავისგან, რომელმაც წარმატებით გაიარა რეაბილიტაცია და შეინარჩუნა კანონისადმი მორჩილება დროის გარკვეულ მონაკვეთში. ამ გზით სამართალდამრღვევს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, წარდგეს მოსამართლის წინაშე და წარადგინოს მტკიცებულება მხარდაჭერილი მოწმეთა ჩვენებით, რათა გამოცხადებულ იქნეს, რომ ის აღარ წარმოადგენს სამართალდამრღვევს. თუ სასამართლო დათანხმდება, პირი ოფიციალურად იქნება დეკლასიფიცირებული. მასზე ნასამართლობის დოსიე ინახება, მაგრამ ნასამართლობების გაცხადების სამართლებრივი ვალდებულება ზოგ შემთხვევაში შეიძლება მოიხსნას (Maruna, 2003). უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური მუშაობა მხარს უჭერს იდეას, რომელიც ასაჩუქრებს და პოზიტიურ მოტივაციას ზრდის კარგად მოქცევასა და კანონმორჩილებაზე, რაც სამართალდამრღვევებთან მუშაობისას ნაკლებად გამოიყენება.

ამ სფეროში ამგვარი აზროვნებისგან წარმოიშვა კრიმინოლოგიური შეხედულების მეორე მიმართულება: განრიდება. აქ ეს ტერმინი გამოიყენება არა პრევენციული მნიშვნელობით, არამედ ეხება იმ სამართალდამრღვევებს, რომლებიც დააპატიმრეს დანაშაულის ჩადენის გამო

და პირველად არიან სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან კონტაქტში.

განრიდების კლასიფიკაცია აქ შეიძლება მოხდეს ორმხრივად: განრიდება სისხლის სამართლის სისტემისგან და განრიდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში. განრიდება სასამართლო სისტემისგან წარმოადგენს საშუალებას, რომელიც აძლევს პოლიციას და/ან სასამართლოს შესაძლებლობას, მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ფორმალურად არ დაადანაშაულოს სამართალდამრღვევი, ხოლო ამის ნაცვლად გასცეს გარკვეული ტიპის შეტყობინება, გაფრთხილება ან სიფრთხილის გამოჩენა. ეს შეტყობინებები შეიძლება განსხვავდებოდეს მათი იურიდიული სტატუსის მიხედვით. შესაბამისად, შეტყობინებებს ქვეტექსტები აქვს დამნაშავისათვის. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში სიფრთხილის გამოჩენაზე გაფრთხილების ერთხელ გაცემის შემდეგ გაკეთდება ჩანაწერი და შესაძლებელია, დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ მომავალში სუბიექტი კიდევ ჩაიდენს დანაშაულს. სიფრთხილის გამოჩენაზე გაფრთხილება, ასევე, შეიძლება შეიცავდეს პირობებს, თუმცა გაფრთხილებას არ აქვს ამგვარი იურიდიული წონა.

ამ პრაქტიკის გარდა, არსებობდა პროექტები, რომლებიც გამოცდილ იქნა პოლიციის განყოფილებებში, სადაც გარკვეული კატეგორიის სამართალდამრღვევები: წამალდამოკიდებულები, ალკოჰოლიკები და სხვა, ფასდებიან ავტომატურად და მათ სთავაზობენ სამედიცინო/სოციალური სამუშაოს საშუალებით ინტერვენციას, როგორც ალტერნატივას, სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში მიცემის ნაცვლად. რა თქმა უნდა, ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც სამართალდამრღვევი თავიდანვე მზად არის აღიაროს ჩადენილი დანაშაული.

მოსაზრება, რომელიც განრიდების უკან დგას, მდგომარეობს შემდეგში: პოლიციის მიერ ადრეულ ეტაპზე ნებისმიერი ტიპის ჩარევა, განსაკუთრებით კი იმ ტიპის ჩარევა, რომელიც არ მოიცავს დამნაშავისთვის ფორმალური იარლიყის მიკვრას, ამა თუ იმ პირისთვის წარმოადგენს მომავალში დანაშაულებრივი ქცევისაგან შემაკავებელ ეფექტურ ზომას. სისტემის კრიტიკოსები აცხადებენ, რომ ამ სისტემების განვითარების ერთ-ერთ მთავარ მოტივს ჩადენილ დანაშაულზე რამე მნიშვნელოვანი გზით რეაგირების მოხდენა კი არ წარმოადგენდა, არამედ უბრალოდ - სასამართლოსთვის წნეხის/დატვირთვის შემცირების საშუალება. სხვა კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ სამართლიანობის კუთხით საშიშია ასეთი გადაწყვეტილებების მიღება, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად ექვემდებარება ესა თუ ის მოქალაქე საქმის ფორმალურად აღძვრას იმ პირების მიერ, რომლებიც არ წარმოადგენენ მოსამართლეებს ან ზოგიერთ იურისდიქციაში პროკურორებს. გარდა ამისა, არსებობს მოსაზრება, რომ როცა განრიდებაზე, როგორც არჩევანზე, უფლებამოსილი ორგანოები პირს უარს ეუბნებიან, მიკერძოებულობამ და ცრურწმენამ შეიძლება გამოიწვიოს შევიწროებული ჯგუფების კიდევ უფრო მეტად კრიმინალიზაცია. დამატებითი კონტრასტული კრიტიკა მდგომარეობს შემდეგში: სამართალდამრღვევები, რომლებიც ექვემდებარებიან განრიდებას, რეალურად იღებენ „ადვილ გამოსავალს“, რომელმაც დაზარალებულთა მხრიდან შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული უკმაყოფილება. სწორედ დაზარალებულის ეს პოზიცია იქნება განხილული შემდეგ მედიაციის პროგრამების მიმოხილვისას.

როგორც ალბათ უკვე მიხვდით, საერთაშორისო პერსპექტივით, სამართალდამრღვევებთან მიმართებაში სოციალურმა მუშაობამ ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე რადიკალური ცვლილება განიცადა. ამის გასაგებად ერთ-ერთ გზას წარმოადგენს იმის დანახვა, თუ როგორ მოხდა აქცენტების გადატანა დამნაშავის გარემოებიდან და საჭიროებიდან ყველა ჩართული მხარის უფლებებსა და ვალდებულებებზე. ფილოსოფიაში შესული ეს ცვლილება აისახა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში ჩართული პირების გადამზადების პროგრამებსა და პრაქტიკულ მუშაობაში ცვლილებების შეტანით. ამან გამოიწვია სოციალური მუშაკების სამართალდამრღვევებთან სამუშაოს გაფართოება, დაზარალებულის მოსაზრებებისა და გრძნობების აღიარება და აქტიურად გათვალისწინება – იგულისხმება „დაზარალებულის პერსპექტივა“.

სასარგებლო იქნება განვიხილოთ, როგორ შეიძლება მოხდეს სისხლის სამართლის

მართლმსაჯულების სისტემის სოციალური მუშაკების განთავსება დაზარალებულებთან, რომლებიც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მრავალ სისტემაში ზრუნვის საგანი ხდებიან და როგორ უნდა შევადაროთ ეს პროცესი „ზოგად სოციალურ მუშაობას“.

სტანდარტული სოციალური სამუშაოს პრაქტიკაში, როგორც წესი, არსებობს კლიენტი/ მომსახურების მომხმარებელი და ერთი ან მეტი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების ამ მომხმარებელთან. შესაძლებელია, სხვებიც იყვნენ ჩართულნი პროცესში, თუმცა, არსებითად, სოციალური მუშაკი გვევლინება დახმარების მიმწოდებლის როლში, ხოლო მომსახურების მომხმარებელი – მიმღების როლში. დაზარალებულის ჩართვით დამხმარე/ მომხმარებლის დინამიკაში აქცენტებსა და მიზნებში აშკარა ცვლილება ხდება.

გაერთიანებულ სამეფოში ოფიციალური და პროფესიული პრობაციის სამსახური დაფუძნდა (დამნაშავის მიმართ თავდაპირველი სლოგანით „ურჩიე, დაეხმარე და დაუმეგობრდი“) ათწლეულებით ადრე - 1970-იან წლებში მსვერპლთათვის მოხალისეთა საქველმოქმედო მომსახურების დაფუძნებამდე. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რატომ მოხდა ამ საკითხის პოლიტიზირება, ისმებოდა რა მარტივი მაცდუნებელი კითხვა: რატომ ვაფინანსებთ სახელმწიფო მომსახურებას სამართალდამრღვევების დასახმარებლად, მაშინ როცა მათი მსხვერპლნი იძულებულნი არიან მიმართონ ქველმოქმედებას? საინტერესო და იმედის მომცემია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის სისტემა უკვე მუშაობს დაზარალებულთან მუშაობის განვითარებაზე. საერთაშორისო სტანდარტებით ეს ოფიციალური აღიარება გარკვეულწილად უჩვეულო, მაგრამ მისასალმებელი განვითარებაა.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ევროპაში პრობაციის პერსონალის ჩართულობა დაზარალებულებთან კონტაქტში საგრძნობლად გაიზარდა. ძალაში შევიდა სხვადასხვა გაიდლაინი, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს მხედველობაში მიიღოს დაზარალებულის ჩვენება/განცხადება განაჩენის გამოტანამდე და გამოტანის შემდეგ. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში დაზარალებულის ჩვენება/განცხადება, რომლის სახით დაზარალებული სასამართლოს აძლევს წერილობით განმარტებას იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქონია მის ცხოვრებაზე დანაშაულმა, იქცა მნიშვნელოვან ახალ (თუმცა, არა უნივერსალურად გამოყენებად) სისხლის სამართლის საქმის წარმოების მახასიათებლად.

2013 წელს გაერთიანებულ სამეფოში მიღებულ იქნა კანონები, რომლის მიხედვითაც, დაზარალებულებს უფლება მისცეს დასწრებოდნენ სასამართლოს, რათა თავად ხმამაღლა წაეკითხათ განცხადება. ეს მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალი პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ დაზარალებულის ხმა უკვე სისხლის სამართლის პროცესის აღიარებულ ნაწილს წარმოადგენს.

ეს ნაბიჯი, რომელიც აკავშირებს დამნაშავის „ცუდ მხარეს“ დაზარალებულის უფლებებთან, წარმოადგენს იმ მიდგომის ნაწილს, რომელიც ცნობილია, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულება.

1950-იან წლებში ალბერტ ეგლაშმა (Albert Eglash) მართლმსაჯულების სისტემა 3 მთავარ ტიპად გაყო: სამაგიეროს მიზღვა, რომელიც დამყარებულია დასჯაზე; დამთიშველი, რომელიც მოიაზრებს სამართალდამრღვევების თერაპიულ მკურნალობას; და აღდგენითი მართლმსაჯულება, რომელიც დაინტერესებულია დამნაშავის ქმედებებსა და დაზარალებულის გამოცდილებას შორის გააზრებული კავშირის დამყარებით. მისი ნაშრომი მოგვიანებით შერჩეული იყო ჰოვარდ ზერის (Howard Zehr) მიერ, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება წარმოადგენს დანაშაულის აღქმის გზას, რომლის მიხედვითაც დანაშაული მიმართულია არა სახელმწიფოს წინააღმდეგ, არამედ პიროვნებისა და თემის წინააღმდეგ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღდგენითობისა და რეპარაციის ცნებები თანამედროვე გამოგონებას კი არა, ზოგიერთი კულტურისა და რელიგიური საზოგადოების მართლმსაჯულების სისტემის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს (Terril, 2012).

მაგალითად, ახალ ზელანდიაში დანაშაულთან დაკავშირებით მაორის (Maori) კულტურაში

არსებობს გამონათქვამი: ,,სირცხილი ყოფილიყოს სასჯელი“. ეს მიუთითებს დანაშაულის მიმართ დამოკიდებულებაზე, რომელიც მას, ისევე, მიიჩნევს სოციალურ თემად, როგორც იურიდიულად. ამ შეხედულებამ გამოხატულება პოვა 1980-იან წლებში კანონში ოჯახის ჯგუფური კონფერენციის (Family Group Conference (FGC)) ჩამოყალიბებასა და დაფუძნებაში. ოჯახის ჯგუფური კონფერენციის დროს ოჯახი, თემის შესაბამისი წევრები, პოლიცია, დაზარალებული და სამართალდამრღვევი ერთად იკრიბებიან, რათა მოითხოვონ დასჯა და/ან რესტიტუცია. სასჯელის/რესტიტუციის დაკისრება ხდება კონკრეტულად ამ ჩართული პირების და არა - ოფიციალური პირის მიერ. ოჯახის ჯგუფური კონფერენცია ამჟამად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განუყოფელ ნაწილად იქცა.

შესაძლებელია, ახალი ზელანდია ძალიან შორს არის, მაგრამ, ამის მიუხედავად, კიდევ ერთხელ საქართველოსა და, შეიძლება ითქვას, ევროპის პერსპექტივით, არსებითი მნიშვნელობისაა იმის აღნიშვნა, რომ „იდეები მოგზაურობენ“ და მათი მარცვალი შესაძლებელია აღმოცენდეს სისხლის სამართლის მრავალ განსხვავებულ სისტემაში. აქტიური აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები უკვე არსებობს რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის, გაერთიანებულ სამეფოში, ბელგიაში, უნგრეთსა და ესტონეთში.

აღდგენითი მართლმსაჯულების შუაგულში დევს რამდენიმე ღირებულება, რომელიც ჩაქსოვილია განსხვავებულ სისხლის სამართლის ფილოსოფიებში და რომელსაც აერთიანებს რამდენიმე საერთო სწრაფვა: დაზარალებულის უფლებების აღიარება, დამნაშავისათვის ვალდებულების დაკისრება, რომ თვალი გაუსწოროს მის მიერ ჩადენილი ქმედებების შედეგებს და, ზოგ შემთხვევაში, ხელი შეუწყოს სამართალდამრღვევს ჩამოაყალიბოს ახლო კავშირი იმ თემთან თუ საზოგადოებასთან, რომლის წინაშეც ჩაიდინა დანაშაული(რასაც შეიძლება ძველმოდურად „მორალური განათლების“ კურსი ვუწოდოთ).

ასეთ შემთხვევაში აღდგენით მართლმსაჯულებას შეიძლება ვუწოდოთ მცდელობა, „აღადგინოს“ დაზარალებულისა და დამნაშავის ცხოვრების დანგრეული ან დაზიანებული ასპექტები. ამჟამად დაზარალებულის ხმის გაგება უკვე შესაძლებელია მრავალ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში. ჩვენ უკვე ვახსენეთ დაზარალებულის ჩვენება, რომელიც ზეგავლენას ახდენს გაერთიანებული სამეფოს სასამართლოების მუშაობაზე. იზრდება დაზარალებულთა მომსახურების რაოდენობაც, მათ შორის, თავად სასამართლო სისტემის შიგნითაც. დაზარალებულთა საკითხებზე მომუშავე პირები მხარში უდგანან, რჩევას აძლევენ და იცავენ დაზარალებულებს სასამართლო პროცესის დროსაც და სასამართლო პროცესის დამთავრების შემდეგაც.

მეორე პირდაპირ გზას, რომლის საშუალებითაც დაზარალებულის ხმა შეიძლება გავიგოთ, წარმოადგენს მედიაცია. ზოგადად მედიაცია არის, როდესაც კონფლიქტის ორივე მხარე ერთად არის მიწვეული მესამე გადამზადებული მხარის მიერ, რომლის როლია თითოეულ მხარეს უბიძგოს შეთანხმებით გადაწყვიტონ კონფლიქტი.

მედიაცია სისხლის სამართლის სისტემაში არის ფრთხილად მართული კონტაქტი სამართალდამრღვევსა და დაზარალებულს შორის, რომელშიც პრიორიტეტი ენიჭება დაზარალებულის ხმას. სამართალდამრღვევისგან მოელიან თავისი ქმედებების ახსნას და, იდეალურ შემთხვევაში, ბოდიშის მოხდას. მიიღებს თუ არა ბოდიშს, ეს მთლიანად დამოკიდებულია დაზარალებულზე, თუმცა აქ მთავარი იდეა მდგომარეობს შემდეგში: სამართალდამრღვევი პირისპირ ისმენს დაზარალებულისგან, თუ რას გრძნობს ეს უკანასკნელი და იძულებულია, შეიგნოს ის დარტყმა, რაც მისმა დანაშაულებრივმა ქმედებამ მიაყენა მსხვერპლს. რა თქმა უნდა, ეს არ არის პროცესი, რომელიც შეიძლება თავს მოვახვიოთ და ნაჩქარევად დავიწყოთ. ორივეს - სამართალდამრღვევსაც და დაზარალებულსაც უნდა ჰქონდეს სურვილი, დაესწროს ამ შეხვედრას. ასევე, საჭიროა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება ამ მომსახურების მიმწოდებლების (სოციალური მუშაკის ან გადამზადებული მოხალისის) მიერ, რათა დარწმუნდეთ იმაში, რომ ეს შეხვედრა დადებით შედეგს გამოიღებს. ამ პროცესის სხვა ვარიაციებში (განსაკუთრებით, არასრულწლოვნებთან მედიაციის დროს) ოჯახები და სხვა დაინტერესებული მხარეები შეიძლება იყვნენ მოწვეული. იქ, სადაც არსებობს

კონფლიქტის ალბათობა, მედიაციის ზოგიერთ შეხვედრაზე გამოიყენება სტუქტურირებული სცენარი, ხოლო დაზარალებული და სამართალდამრღვევი ხმამაღლა კითხულობენ თავიანთ განცხადებებს, რომლებიც მათ წინასწარ ჰქონდათ დაწერილი (Daniels, 2013).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განსხვავებულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებში მედიაცია შეიძლება იყოს დასჯის პირობა: ჩაანაცვლოს დასჯა, ან დაეკისროს როგორც სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებების დამატებითი პირობა, მაგალითად, საზოგადოებრივი სამუშაო და ჯარიმა. დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის მედიაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ახალ როლს, რომელსაც პრობაციის ოფიცერი/ სოციალური მუშაკი შეიძლება ასრულებდეს თავისი კარიერის განმავლობაში. სამართალდამრღვევსა და სამყაროს შორის „ხიდის“ როლის შესრულების უნარი ყოველთვის წარმოადგენდა სამართალდამრღვევებთან სოციალური მუშაობის განუყოფელ ნაწილს. საერთო ინტერესს წარმოადგენს ისიც, რომ სამართალდამრღვევებთან სოციალური სამუშაოს ახალი და განვითარების პროცესში მყოფი მომსახურებები უფრო მეტად იმედის მომცემ პრაქტიკას ირჩევს, რათა ისინი უფრო სწრაფად განვითარდეს, ვიდრე ინსტიტუციონალიზებული სისტემები. მაგალითად, ჩეხეთის რესპუბლიკას აქვს შედარებით ახალი მედიაციის სისტემა, რომელიც აცხადებს, რომ მისი დანიშნულებაა სამართალდამრღვევების ინტეგრაცია, საზოგადოების დაცვა და დაზარალებულთა მონაწილეობა. ასევე, საინტერესოა აღინიშნოს, რომ წარმატებულად განვითარებითვის მათ აირჩიეს პროფესიონალთა შორის თანამშრომლობა. მედიაციის სამსახური აცხადებს, რომ მათი სამუშაო „დამყარებულია ორი პროფესიის თანამშრომლობაზე – სოციალურ სამუშაოსა და სამართალს, განსაკუთრებით კი სისხლის სამართალს შორის თანამშრომლობაზე.“

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მრავალუწყებრივ სქემაში სოციალური მუშაკი/პრობაციის ოფიცერი იმუშავებს სხვა სააგენტოების გვერდით და, ხშირად, სწორედ ის იქნება სამართალდამრღვევისთვის მთავარი მომუშავე პირი. სანამ ის პასუხისმგებელია შემთხვევაზე, სოციალური მუშაკი და სხვა სააგენტოები უნდა თანამშრობლობდნენ ერთმანეთთან, ისე რომ არც ერთი სააგენტო არ ფლობდეს მაკონტროლებელ ძალაუფლებას.

არსებობს სხვა გარემოცვაც, სადაც შეიძლება სოციალური მუშაკის „ჩანერგვა“ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სადაც უფროსსა და დაქვემდებარებულ პირს შორის ურთიერთობები სოციალური მუშაკისგან მოითხოვს ეფექტურად ემსახუროს ამ დაწესებულებას. შემდეგ თავში ჩვენ განვიხილავთ სოციალური მუშაკის როლს სასამართლო სისტემასა და ციხეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

Becker, H. (1963). *Outsiders (PDF extract).* Retrieved 2014 from Personal Education: http://www.personal.psu.edu/exs44/406/becker_outsiders_from_weitzer.pdf

Berman, G. (2012). *A Thousand Small Sanities.* LOndon: Centre for Justice Innovation.

CPS, C. (2014). *Probation and Mediation Service Czech Republic*. Retrieved May 3, 2014 from PMS: https://www.pmscr.cz/en/

Daniels, G. (2103). Restorative Justice: Changing the Paradigm. *Probation Journal (UK) , 60* (3), 302-315.

Maruna, S. (2003). *Western Criminology Review.* Retrieved April 28, 2014 from Welcome Home?: Examining the French Re-entry Courts: http://wcr.sonoma.edu/v4n2/manuscripts/marunalebel.pdf

Robinson, G. (1995). *Sage Publications Vol 4 1 p9-25.* Retrieved April 20, 2012 from Exploring Risk Management in Probation Practice:

http://www.uk.sagepub.com/cavadino/exploring_risk.pdf

Terril, R. (2012). *World Criminal Justice Systems: A comparitive survey.* Newnes.

თავი 5

სოციალური მუშაკი, სამართალდამრღვევი და სისტემა (2): სასამართლოები და ციხეები. სასამართლოს ანგარიშები და საზოგადოებრივი სანქციები

ენდრიუ ბერნჰარდტი
ლექტორი სოციალურ მუშაობაში, გაერთიანებული სამეფო

ჩვენ ადრეც აღვნიშნეთ, რომ პრობაციის მომსახურება გაერთიანებულ სამეფოში სათავეს იღებდა რელიგიური მოხალისეებისგან, „სასამართლოს პოლიციის მისიონერებისგან“, რომლებიც მუშაობდნენ ადგილობრივ მაგისტრატ სასამართლოებთან და ჩართულნი იყვნენ ალკოჰოლიკი და ღატაკი სამართალდამრღვევების ცხოვრებაში. სასამართლოში მუშაობა ყოველთვის წარმოადგენდა გაერთიანებული სამეფოს პრობაციის სამსახურის არსებით ნაწილს. ადმინისტრაციულად ამას აქვს გამართლება, ვინაიდან მუშაკს შეეძლო დამნაშავის სასამართლოში ჩართვა განაჩენის გამოტანამდე ან გამოტანის შემდეგ. დღესდღეობით, პრობაციის ოფიცრები შეიძლება მუშაობდნენ ცალკე პრობაციისთვის განკუთვნილ ოფისებში და ასრულებდნენ სამეთვალყურეო ფუნქციებს სასამართლოსგან მოშორებით. მიუხედავად ამისა, „პრობაციის ყოფნა ადგილზე ჯერ კიდევ შენარჩუნებულია გაერთიანებული სამეფოს სასამართლოების უმრავლესობაში, ხოლო სასამართლო ვალდებულება წარმოადგენს პრობაციის ოფიცრის სამუშაოს რუტინას“.

სასამართლოს მომუშავე პრობაციის ოფიცრის სამუშაო ამჟამად მთელ რიგ როლებს მოიცავს. ჯერ კიდევ შენარჩუნებულია პრობაციის ოფიცრის „ადგილზე“ ყოლის ადმინისტრაციული შესაძლებლობა. ოფიცერს მოეთხოვება მონიტორინგი გაუწიოს შემთხვევებს, რომლის განხილვაც სასამართლოს მიერ მიმდინარეობს. გარდა ამისა, ამუშავებს შესაბამის დოკუმენტებს ნებისმიერ ბრალდებულზე, რომელიც ექვემდებარება საზოგადოებრივ სანქციებს, იმყოფება წინასწარ პატიმრობაში, მიუსაჯეს პატიმრობა ან დააკავეს ანგარიშისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ პრობაციის ოფიცერს შესაძლებელია ჰქონდეს თავისი ოფისი სასამართლოში, ის სამუშაო დღის დიდ ნაწილს ატარებს სასამართლოში მისთვის განკუთვნილ მოსამართლე/მაგისტრატისა და ადვოკატების მომიჯნავე ადგილას. სასამართლოში ყოფნის დროს პრობაციის ოფიცერი არა მხოლოდ ამუშავებს მოსამართლე/მაგისტრატის მოთხოვნებს ან სხვა ინფორმაციას, არამედ დროდადრო მას სთხოვენ გამოთქვას აზრი. ზოგ შემთხვევაში კი შესაძლებელია მოკლე დროით შეაჩერონ კიდეც საქმე, რათა პრობაციის ოფიცერს მიეცეს საშუალება გაესაუბროს ბრალდებულს და გაარკვიოს მეტი ინფორმაცია მის გარემოებებთან დაკავშირებით.

კრიტიკული განსხვავება სასამართლოში მომუშავე პრობაციის ოფიცერსა და მრავალუწყებრივ სისტემაში მომუშავე ოფიცერს შორის იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყოველთვის უნდა იყოს „სასამართლოს მოსამსახურე“. ვინაიდან სასამართლოს საქმის განხილვის ფორმალური მხარეები დაცული უნდა იყოს ნებისმიერ დროს და სასამართლოსთან კონტაქტი შეზღუდულია, პრობაციის ოფიცერი ასრულებს სასიცოცხლო როლს სასამართლო სისტემის ფუნქციონირებაში. ზოგი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა, მათ შორის გაერთიანებული სამეფოს სისტემაც, განაჩენის გამოტანამდე მსჯავრის განხილვის განუყოფელ ნაწილად მოითხოვს სასამართლოსთვის ბრალდებულის სოციალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სადაც რელევანტურია დანაშაულებრივი ფონის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

სხვადასხვა ქვეყანაში ბრალდებულთა კატეგორიები, რომელთა შესახებ მოპოვებულ უნდა იქნეს სასჯელის მისჯამდე წარსადგენი წინასასამართლო ანგარიში, ერთმანეთისგან განსხვავდება. თუმცა, მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში ამ კატეგორიებში შედიან: არასრულწლოვნები, ფსიქიკური ჯანმრთელობის, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის

მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე ბრალდებულნი და კიდევ, ნებისმიერი ბრალდებული სასჯელის მისჯამდე. იმისათვის, რომ ანგარიში დაიწეროს, სამართალწარმოება დროებით წყდება მაშინ, როდესაც სოციალური ან პრობაციის მომსახურების სოციალურ მუშაკებს (დამოკიდებულია ბრალდებულის ასაკზე) სთხოვენ დაამყარონ კავშირი ბრალდებულთან და დაწერონ წინასასამართლო ანგარიში. აღსანიშნავია, რომ მრავალ სამართლებრივ სისტემაში, რომელიც ემყარება რომაულ სამართალს, სამართალდამრღვევად ცნობას დაუყოვნებლად მოჰყვება სასჯელის მისჯა. გაერთიანებულ სამეფოში წინასასამართლო ანგარიში მოითხოვება სამართალდამრღვევად ცნობის შემდეგ, მაგრამ სასჯელის მისჯამდე.

წინასასამართლო ანგარიშის შინაარსი სხვადასხვა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში ერთმანეთისგან განსხვავდება. გაერთიანებულ სამეფოში მისი შინაარსი დროთა განმავლობაში დაიხვეწა. უკვე ნახსენებ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემების სხვადასხვა მოდელს თუ ისევ შევეხებით, წინასასამართლო ანგარიშები წარმოადგენს იმ სამართლის სისტემის საინტერესო ინდიკატორებს, რომელშიც ისინი არიან წარმოებული.

მაგალითად, 1970-იან და 1980-იან წლებში წინასასამართლო ანგარიშებში ირეკლებოდა პრობაციის სამსახურის სოციალური მუშაობის სულისკვეთება და მნიშვნელოვნად, მაგრამ არა ექსკლუზიურად ფოკუსირებული იყო ბრალდებულის სხვადასხვა სოციალურ, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ საჭიროებაზე. დანაშაული და დანაშაულის ისტორია განიხილებოდა, მაგრამ ანგარიში, ძირითადად, ფოკუსირებული იყო პრობლემაზე ან „დეფიციტზე“. თუმცა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დღის წესრიგში ზიანის მიყენების რისკსა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობაზე გაზრდილი ფოკუსისა და მსხვერპლსა და პოტენციურ დაზარალებულზე ახალი აქცენტების აღმოცენების შედეგად, სასამართლოსწინა ანგარიშის ტონი და შინაარსი მნიშვნელოვნად შეიცვალა. მიმდინარე სამართალდარღვევისა და ნებისმიერი სხვა წინა ნასამართლობის ბუნებას და კონტექსტს, რისკის ფორმალურ შეფასებასთან ერთად, უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დამნაშავის საჭიროებების მხედველობაში მიღება რელევანტურად ითვლება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათ რამე გავლენა აქვთ დანაშაულებრივ ქმედებაზე , რასაც ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ „კრიმინოგენული პერსპექტივა“.

ზოგადად, სადაც სასამართლოს აქვს საქმის წინაწარი მოსმენის ან განაჩენის წინა ანგარიშების მისთვისვე ხელმისაწვდომობა, ვრცელი საწყისი ინფორმაცია ფასდება, როგორც სასჯელის მისჯის პროცესის ნაწილი (მაგ. ჰოლანდია, გაერთიანებული სამეფო). თუმცა, იქ სადაც ანგარიშის მიწოდება ნორმას არ წარმოადგენს, მსგავსი ზომების მიღების შემოტანაზე გაკეთებული წინადადებები ხშირად წინააღმდეგობრივია (მაგ. ბულგარეთი, საქართველო, რუსეთი). ზოგ სასამართლო სისტემას მიაჩნია, რომ ასეთმა ანგარიშებმა შეიძლება გამოიწვიოს სასჯელის მისჯის პროცესის არა მარტო უსარგებლო დაგვიანება, არამედ სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელყოფა. ეს სიფრთხილე შეიძლება ზედმეტ თავდაცვით პოზიციად გვეჩვენებოდეს, თუმცა ის დამყარებულია სათანადო დაკვირვებაზე. გაერთიანებულ სამეფოში წინასასამართლო ანგარიშებს ორმაგი ფუნქცია აქვს: სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია და, ასევე, რეკომენდაცია სასჯელის მისჯასთან დაკავშირებით. ამ უკანასკნელ კომპონენტს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება წინასასამართლო ანგარიშების როლზე ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად და, ასევე, დავის საგანს წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, თუ პრობაციის მომსახურება მთლიანობაში სასამართლო სისტემისთვის წარმოადგენს „სასამართლოს სამსახურში მდგომ“ სამსახურს, მაშინ სამსახურის ნებისმიერი ზეგავლენა სასჯელის მისჯის პროცესზე ზედმიწევნით უნდა იქნეს გამოკვლეული.

სასამართლოსაც და პრობაციის სამსახურსაც კარგად ესმის, რომ პრობაციის ოფიცრის მიერ განაჩენთან დაკავშირებით გაკეთებულ ნებისმიერ რეკომენდაციას არ აქვს სამართლებრივი საფუძველი და უბრალოდ „პროფესიონალურად განხილულ შეთავაზებას“ ან ექსპერტის მოსაზრებას წარმოადგენს. რეკომენდაციები სიფრთხილით უნდა დასაბუთდეს და ისე ჩამოყალიბდეს, რომ გარკვევით აღიარებდეს სასამართლოს უფლებამოსილებასა და

განაჩენის გამოტანის სრულუფლებიანობას. წინასასამართლო ანგარიშით უზრუნველყოფის გაპროტესტება იმ მოტივით, რომ ამით უკანონოდ ერევიან მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის საქმეში, შესაძლებელია, ადვილად დაკმაყოფილდეს, თუ დაუშვებენ წინასასამართლო ანგარიშს, რომელიც სასამართლოს აწვდის ინფორმაციას ბრალდებულის შესახებ განაჩენთან დაკავშირებით კონკრეტული რეკომენდაციის გაკეთების გარეშე.

ერთი წუთით შეგვიძლია თავი დავანებოთ ფილოსოფიურ და იურიდიულ დებატებს და განვიხილოთ თუ რა ზეგავლენის მოხდენა შეუძლია წინასასამართლო ანგარიშს სოციალური მუშაკის სამუშაოსა და ბრალდებულის ცხოვრებაზე. სასამართლო პროცესის ნაწილად წინასასამართლო ანგარიშის შემოღების საინტერესო და წინასწარ განუჭვრეტელი შედეგი იყო ბრალდებულებთან წინასასამართლო სამუშაოს საინტერესო „სუბკულტურის“ განვითარება. ეს რომ უფრო კარგად გავიგოთ, ჩვენ შეგვიძლია კონცეფციის შეცვლა და ამის ნაცვლად „მსჯავრდების შემდგომი ანგარიშის“ შესახებ საუბარი. ეს ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ანგარიშებს მოითხოვენ სასამართლო განხილვამდე ან დამნაშავედ ცნობისთანავე და რომ გაერთიანებულ სამეფოში არასდროს იწერება ბრალდებულებზე, რომლებიც ბრალს არ აღიარებენ.

მსჯავრდებულად ცნობისთანავე მოსამართლე/მაგისტრატი საკითხს განიხილავს მიცემული დროის მონაკვეთში (გაერთიანებულ სამეფოში ეს შეიძლება იყოს რამდენიმე საათი, რამდენიმე დღე ან 3 კვირამდე პერიოდი). მოთხოვნა გადაეგზავნება ოფისს, რომელიც ყველაზე ახლოს მდებარეობს მსჯავრდებულის სახლთან და მსჯავრდებულს დაიბარებენ ინტერვიუზე. თუ სამართალდამრღვევი იმყოფება წინასწარ პატიმრობაში, ანგარიში დაიწერება ან ციხეში მომუშავე პრობაციის ოფიცრის მიერ (როლი, რომელსაც მოგვიანებით განვიხილავთ), ან მსჯავრდებულის საცხოვრებელ რაიონში მომუშავე ოფიცრის მიერ. მართლმსაჯულების ზოგ სისტემაში სახლში ვიზიტიც ევალებათ, ზოგში კი ეს არ არის სავალდებულო. როდესაც ინტერვიუს დედააზრი მდგომარეობს სასამართლოსთვის ინფორმაციის მოგროვებაში, უნდა აღინიშნოს, რომ მსჯავრდებულის აზრით, ბევრი რამ შეიძლება იყოს საფრთხის ქვეშ, ვინაიდან განაჩენი ჯერ არ არის გამოტანილი.

ისეთ დროს, როცა გადავადება გრძელდება სამ კვირამდე, სწორედ მაშინ „კლიენტის მოტივაციას“, ანუ სოციალური მუშაკის ალბათ ყველაზე ღირებულ რესურსს შეუძლია მიაღწიოს უმაღლეს გამოვლინებას. ჩვენ მოგვიანებით განვიხილავთ ისეთი მეთოდების შესაძლებლობებს, როგორიცაა დავალებაზე კონცენტრირებული ცხოვრების პირობების შესწავლა, რაც შესაძლებელია ცვლილების მოხდენის ძლიერი საშუალება გახდეს.

არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მუშაობის დროს ხშირად კონტაქტის დამყარება ოჯახთან მნიშვნელოვანია, რათა მშობლებმაც და სხვებმაც გააცნობიერონ, რომ მათ შვილს შესაძლებელია მიესაჯოს სასჯელი.

განაჩენის გამოტანის შემდეგ, რომელიც, ვთქვათ, მდგომარეობს საზოგადოებისთვის სასარგებლო აქტივობის განხორციელებაში, სასამართლოს/პრობაციის ურთიერთობაში არსებობს ასპექტი, რომელიც მზარდი დაკვირვების ქვეშ ექცევა. იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლოს მიერ მისჯილი სასჯელისა და სანქციების აღსრულება, როგორც წესი, არ ხდება თავად სასამართლოს მიერ, არამედ დელეგირებულია სხვა სააგენტოებისთვის: პრობაციის, (ახალგაზრდების) ციხის, იუსტიციის და სხვების მიმართ, ამიტომ ამ სააგენტოებსა და სასამართლოს შორის ურთიერთობა მთავარი წუხილის საგანს წარმოადგენს. სასამართლოები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ სასჯელი, რომელსაც ისინი მიუსჯიან სამართალდამრღვევებს, სისრულეში იქნება მოყვანილი. შესაბამისად, როდესაც სამართალდამრღვევთან პრობლემა წარმოიშობა, როგორც ეს ხდება ხოლმე ყველა საზოგადოებისათვის სასარგებლო მომსახურებასთან დაკავშირებული განაჩენების დროს – მაშინ სასამართლო დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სასჯელი აღსრულებული იქნება. პრობაციის ეთოსის „დასამძიმებლად“ გაერთიანებულ სამეფოში ბოლო 20 წლის მანძილზე ახლოს აკვირდებოდნენ სრულდებოდა თუ არა სასამართლოს განაჩენი. ახლა არსებობს მკაცრი პროცედურები საზოგადოებრივ სანქციებზე დასწრებასა და თანამშრომლობაზე. არსებობს

სქემა, რომლითაც (თუკი აღსრულებისთვის საჭირო იქნება იძულება) შესაბამისმა უწყებებმა მყისიერად უნდა იმოქმედონ, რათა სამართალდამრღვევი სასამართლოში სასჯელის განახლებისთვის დააბრუნონ. სასჯელის აღსრულება ამჟამად სამართალდამრღვევებთან მუშაობის მთავარ საკითხს წარმოადგენს.

მაშინ, როდესაც პრობაციის თანამშრომლის სასამართლოში ჩანერგვის კონტექსტი ნათელია – ოფიცერი ემსახურება ინსტიტუციას – სოციალური სამუშაოს პერსონალის მუშაობას ციხეებში უფრო ნაკლებად განსაზღვრული დაქვემდებარებითი ურთიერთობა აქვს და არც არის გასაკვირი, რომ ეს იწვევს საინტერესო დაძაბულობას.

მაშინ, როდესაც ციხეების მთავარი ფუნქციაა მსჯავრდებულების შეკავება, მსოფლიოს მრავალი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა, ასევე, აღიარებს სხვა მნიშვნელოვან როლებს, რომლებსაც ამ მთავარი დანიშნულების გვერდით უნდა ასრულებდეს. სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ზოგი თანამედროვე ციხე, ასევე, მოიცავს ფსიქოლოგიურ და სოციალურ სამსახურებს. ვინაიდან, სერვისები ციხის ფუნქციების დამატებით და არა განუყრელ ნაწილს წარმოადგენს, მათი გარედან „შესყიდვაც“ შესაძლებელია, მაგალითად ისე, რომ არ ჰქონდეთ არანაირი ოფიციალური ბაზა ან ოფისი ციხეში. თუმცა ზოგიერთ სისტემას ასეთი ერთეულები თავად ციხეში აქვთ ჩანერგილი. ამ გზით სოციალური მუშაკები დაფუძნდნენ ციხეებში სოციალური მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, რაც წარმოადგენს ხიდს პატიმარსა და გარესამყაროს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ, ვინაიდან, არსებობს სხვადასხვა ტიპის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა, ამიტომ მსოფლიოში სასჯელაღსრულების სისტემების ტიპები, პირობები და ეთოსიც განსხვავდება ერთმანეთისგან. სოციალური მუშაკის ციხეში განთავსება, თეორიულად საშუალებას უნდა აძლევდეს ციხეს, კონცენტრირება მოახდინოს თავის მთავარ ფუნქციაზე – უზრუნველყოს თავისუფლების აღკვეთა. ციხის თანამშრომლების პატიმრების პირადი და სოციალური საკითხებისგან გათავისუფლებით, უსაფრთხოებისა და შეკავების საკითხების მენეჯმენტი უკეთესად შეიძლება იქნეს უზრუნველყოფილი. თუმცა სისხლის სამართალში გლობალურმა ცვლილებებმა ციხის კედლებში შეაღწიეს, რითაც ციხეების როლისა და დაპატიმრების დანიშნულების ახალი პერსპექტივები იქნა განსაზღვრული. შეიძლება ითქვას, რომ მაშინ როდესაც ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე პრობაციის ოფიცრის როლი ზოგიერთ ქვეყანაში განზრახ იქნა „გამკაცრებული“, ციხის თანამშრომლების როლმა, იმის მიუხედავად, რომ არ შერბილდა, მაინც დაიწყო შეცვლა.

მაშინ, როდესაც ნებისმიერი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა ყველაზე სერიოზული ბრალდების მქონე და/ან განსაკუთრებით საშიში მსჯავრდებულების თავისუფლების მკაცრად აღკვეთის ელემენტს მოიცავს, ამ კატეგორიისთვის არსებობს სხვადასხვა ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულება. ზოგიერთი სასჯელაღსრულების სისტემა თავისი რესურსების ფოკუსირებას, ძირითადად, და თითქმის მთლიანად, ახდენს შეკავებასა და კონტროლზე, მაშინ როდესაც სხვები სხვადასხვა ხარისხით იყენებენ შეკავების ეთოსს რეაბილიტაციასთან კომბინაციაში. თანამედროვე მსოფლიოში სისტემების უმრავლესობა ამ ორი იდეის ელემენტებს აერთებენ სხვადასხვა დონეზე; მაგალითად, ინგლისი და უელსი, ციხეების სტრატიფიკაციას აკეთებენ უსაფრთხოების საჭიროების მიხედვით: კატეგორია A-დან, რომელიც განკუთვნილია ყველაზე საშიში და სერიოზული სამართალდამრღვევებისათვის, კატეგორია D-მდე, რომელიც რეალურად წარმოადგენს „ღია“ ტიპის ციხეებს, რომლებსაც არ აქვს კედლები და სხვა უსაფრთხოების ზომები. ამის ნაცვლად კი ემყარებიან პატიმრისადმი ნდობასა და მოტივაციას, დარჩეს სისტემაში სასჯელის მოხდამდე.

ხანდახან არაკომფორტული კავშირი შეკავებასა და რეაბილიტაციის შორის შესაძლებელია წარმოადგენდეს სოციალური სამუშაოს პერსონალსა და ციხის უსაფრთხოების პერსონალს შორის კონფლიქტის წყაროს. თუმცა, ამ ორი კულტურის აშკარა ოპოზიციური ბუნება – ციხე და პრობაცია -კონფლიქტამდე არ უნდა მივიდეს. გაერთიანებული სამეფოს სასჯელაღსრულების სისტემაში იყო ტენდენცია, რომ, მაგალითად, ციხის ოფიცრებს უფრო

ახლოს ემუშავათ სოციალური სამუშაოს კოლეგებთან და უფრო აქტიურად ჩართულიყვნენ პატიმრების სოციალურ და საგანმანათლებლო საჭიროებებში. მაგალითად, „რეაბილიტაციის იდეალის“ ზრდასთან ერთად პატიმრებს ახლა მოეთხოვებათ მონაწილეობა მიიღონ ჯგუფებში თავიანთი დანაშაულებრივი ქცევის გამოსასწორებლად.

ამ ჯგუფების გაძღოლა შესაძლებელია სოციალური მუშაკისა და ციხის უსაფრთხოების პერსონალის თანამშრომლობით. მთლიანობაში ხდება სასჯელაღსრულების სისტემის დატვირთვა, რათა მან შეასრულოს უფრო საზრიანი და კონსტრუქციული როლი, ნაცვლად სამართალდამრღვევთა „ჩაკეტვისა და გასაღების გადაგდებისა“. ზოგ იურისდიქციაში ეს აისახება აქცენტების ცვლილებაში, რომელიც დასჯისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფიდან რეაბილიტაციისა და რეციდივიზმის შემცირების განზრახვაზე (Cluely, 2009) გადაიტანება.

ციხეებში მუშაობისას სოციალური მუშაკების როლი, როგორც წესი, მოიცავს ჩამონათვალიდან ყველას ან უმეტესობას მაინც: მსჯავრდებულის ოჯახთან ურთიერთობის შენარჩუნება; პატიმრის მომზადება მომავალში გათავისუფლებისათვის; დანაშაულზე დაფუძნებული შესაბამისი ჯგუფის სამუშაოს ორგანიზება იქ, სადაც ხელმისაწვდომია; პატიმრების პირად და ფსიქოლოგიურ საკითხებზე რეაგირება და რეფერალის გაკეთება სხვა სააგენტოებთან – ნარკოტიკების, ალკოჰოლის, ფსიქიატრიული, სამედიცინო და სხვა საჭიროების შესაბამისად.

სასჯელაღსრულების სისტემაში რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებულ დატვირთვას საფუძვლად უდევს საერთაშორისო კვლევების განმეორებადი შედეგები, რომელთა მიხედვითაც, როდესაც ციხე დანაშაულის პრევენციის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს (დამნაშავის საზოგადოებისგან ფიზიკურად ჩამოშორების გზით), მას აქვს ძალიან მცირე, ან საერთოდ არ აქვს რეაბილიტაციური ღირებულება. მაშინ, როდესაც ციფრები იცვლება დროის მიხედვით და სისტემებს შორის, სურათი შესამჩნევად იგივე რჩება: გათავისუფლებული პატიმრების უმრავლესობა ისევ ჩაიდენს დანაშაულს. 2010 წელს გაერთიანებულ სამეფოში 14 ციხის პატიმრებს ჰქონდათ დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის 70%-ზე მაღალი დონე, ხოლო არასრულწლოვან მსჯავრდებულებს შორის დანაშაულის განმეორებით ჩადენის დონე კიდევ უფრო მაღალია (იუსტიციის სამინისტრო, 2012).

საჭიროა ამ ციფრების მხედველობაში მიღება, ვინაიდან, ცალკე კვლევა მიუთითებს, რომ ის, რასაც ჩვენ დანაშაულის განმეორებით ჩადენის დონეს ვუწოდებთ, წარმოადგენს თავად დანაშაულის სუსტ ინდიკატორებს (ისინი, უბრალოდ, მიუთითებენ იმ დანაშაულებრივი ქმედებების საზომებზე, რომელთა გამოც სამართალდამრღვევი დააკავეს და დამნაშავედ ცნეს). კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა იურისდიქციასა და დანაშაულის ტიპს შორის, თუმცა მიიჩნევენ, რომ ზოგიერთი დანაშაულისთვის, როგორიცაა წვრილმანი ქურდობა და ბინის ქურდობა, დანაშაულსა და სამართალდამრღვევად ცნობას შორის თანაფარდობა ასეთია: ყოველ 5-სა და 15-ში - ერთი. უცებ გაიფიქრებთ, რომ შეუძლებელია ყველა სამართალდამრღვევი ცნონ დამნაშავედ თითოეულ დანაშაულზე, რომელიც მას ჩაუდენია. მოტივაციის თეორიის მიხედვით სამართალდამრღვევები დანაშაულს ჩადიან იმიტომ, რომ უფრო ხშირად ისინი ამით იგებენ, ვიდრე აგებენ. ეს მოსაზრება იმსახურებს ყურადღებას: განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ოფიციალური სტატისტიკა, საუკეთესო შემთხვევაში, სათანადოდ ვერ აფასებს რეალურ სურათს, ხოლო უარეს შემთხვევაში - შევყავართ შეცდომაში.

როდესაც გაზეთი გვეუბნება, რომ „ნასამართლევმა სამართალდამრღვევებმა ჩაიდინეს 510 000 დანაშაული ერთ წელიწადში“ (The Guardian, 2011), ეს აშკარად შემაშფოთებელი სტატისტიკა, ფაქტობრივად, მნიშვნელოვნად და ჯეროვნად ვერ ასახავს რეალურ ციფრებს.

რა კავშირი აქვს ამას ციხეში მომუშავე სოციალური მუშაკის როლთან? მაშინ, როდესაც ციხეს აქვს სხვებისთვის შემაკავებელი ეფექტი, ხელახალი მსჯავრდების შემაძრწუნებლად მაღალი დონე ხაზს უსვამს, რომ დაპატიმრებულ სამართალდამრღვევებზე ციხეს მინიმალური შემაკავებელი ზეგავლენა აქვს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ციხეებში

ამჟამად მსჯავრდებულებთან სოციალური მუშაობის კომპეტენციისა და როლის გაზრდის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა არსებობს. ეს იდეა ორ მტკიცებულებაზეა დაფუძნებული: დანაშაულზე ფოკუსირებული სამუშაო (მნიშვნელოვნად, მაგრამ არა ექსკლუზიურად წარმოადგენს სოციალური მუშაობის სფეროს - პრობაცია) და დამნაშავის რეინტეგრაციის კვლევები.

მოგვიანებით შეგვიძლია, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ ლექციაში ვიხილოთ, თუ რამდენად სწორად ხდება დანაშაულზე ფოკუსირებული სამუშაოს მიზნობრიობის განსაზღვრა და განხორციელება და რამდენადაა შესაძლებელი განმეორებითი დანაშაულის ჩადენის დონის შემცირება.

დამატებით, სამართალდამრღვევების საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საზოგადოებასთან სოციალური კავშირები, რომლებიც მყარდება ციხიდან მათ გამოშვებამდე. თუ ჩვენ უკან დავუბრუნდებით შეწყვეტას, კარგად გავიგებთ, რომ „პოზიტიური სოციალური კაპიტალი“ ოჯახის სახით, ურთიერთობების, საცხოვრებლის, სამსახურის ან ტრენინგით უზრუნველყოფის სახით წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ საშუალებას, რომელზე დაყრდნობითაც სამართალდამრღვევები თავს აღწევენ დანაშაულებრივი ცხოვრების წესს. ამიტომ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამჟამად უფრო მკაცრი უსაფრთხოების სისტემის შექმნაზე, ან ციხის მოძველებულ საცხოვრებელ პირობებზე დახარჯული რესურსების უკეთ გამოყენება შეიძლება იმ საკითხებზე რეაგირებით, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მთავარ საკითხთან და რომელთან დაკავშირებითაც დამნაშავის მიმართ გამოტანილ იქნა განაჩენი: დანაშაულებრივი ქცევა.

მომდევნო თავებში ჩვენ გვერდს ავუვლით კრიმინოლოგიურ, სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და პოლიტიკურ სფეროებს და გადავალთ იურიდიულ, ინსტიტუციურ და საერთაშორისო სფეროებზე. ხოლო მე-10 თავში ჩვენ მიმოვიხილავთ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებისა და წესების იმ საერთაშორისო პერსპექტივებს, რომელთაც ისინი ეფუძნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

Cluely, E. (2009). Longitudinal survey of prisoners: problems and needs of newly sentenced prisoners. *56* (2), 183-184

Guardian, T. (2011). *Guardian Society*. Retrieved May 20, 2014 from Guardian Online: http://www.theguardian.com/society/2011/oct/27/convicted-offenders-crime-figures

MOJ. (2012). *Gov.UK.* Retrieved May 20, 2014 from Ministry of Justice: https://www.gov.uk/government/publications/compendium-of-reoffending-statistics-and-analysis.

თავი 6

პრობაციის, საპატიმრო და არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების საერთაშორისო სტანდარტები

ანტონ ქელბაქიანი
ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის

პრობაციის და არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენება 55

პატიმრობის მოხდის საერთო პირობები 59

ქვემოთ წარმოდგენილ გზამკვლევში მიმოხილულია მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არსებული საერთაშორისო სტანდარტები. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ევროსაბჭოს *(ეს არის ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები: (2006)2 ციხის ევრო-პული წესების შესახებ და (2010)1 პრობაციის ევროპული წესების შესახებ)* და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის *(იგულისხმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, ანუ ტოკიოს წესები და, ასევე, პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები)* შესაბამისი დოკუმენტების მიმოხილვაზე.

აღნიშნულ გზამკვლევში დეტალურად არის განხილული მართლმსაჯულების განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე საპატიმრო თუ არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების მიზანი, წესი და მიზანშეწონილობა როგორც წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის, ასევე სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე. მიმოხილულია ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების აღსრულების წესიც და ამ პროცესში მონაწილე პირთა სამართლებრივი და სხვა სახის დაცვის გარანტიებიც.

მიმოხილული იქნება კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე არსებული სამართლებრივი დაცვის გარანტიები, მათი ძირითადი უფლებები და მოვალეობები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმ ნორმებსა და რეგულაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს პენიტენციურ სისტემაში არაადამიანური და ღირსების შემლახველი წამებისა და დასჯის სხვა მეთოდების პრევენციას.

პრობაციის და არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენება

პრობაციისა და, ზოგადად, არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების შესახებ საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს ასეთი სახის ღონისძიებების გამოყენების მიზნებსა და პრინციპებს[115]. ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების პირველად მიზანს წარმოადგენს, ჩამოუყალიბოს კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებს რესოციალიზაციის პროცესის მიმართ ნდობა, განხორციელდეს ასეთი ღონისძიებების ეფექტური ორგანიზება, რის შედეგადაც მიღწეულ უნდა იქნეს უმთავრესი მიზანი - განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილება. ასეთი ტიპის ღონისძიებების დაგეგმვა უნდა განხორციელდეს თითოეული პირის დანაშაულთან დაკავშირებული ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პირის უფლებების

[115] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2010)1 პრობაციის ევროპული წესების შესახებ, მ.1-17/გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (ტოკიოს წესები), მ. 1.1.-1.5

პატივისცემას, დისკრიმინაციის დაუშვებლობას, მათ ჩართულობასა და თანხმობას კონკრეტული სახის არასაპატიმრო ღონისძიებების რეჟიმისა და პირობების შერჩევისას.

შესაბამისი ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს, ასევე, ასეთი გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და ასეთი სახის საჩივრის მიუკერძოებელი განხილვის შესაძლებლობა[116].

პრობაციისა და არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენებისას მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი კოორდინაცია, ურთიერთობა საზოგადოებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, გამჭვირვალეობა და საზოგადოების აქტიური წევრების ჩართულობა მოხალისეობრივ საწყისებზე[117], თუ ასეთი სახის ჩართულობა იქნება ეფექტური.

საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვისას, ასევე, მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას პრობაციისა და არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების არეალსა და ჩარჩოს[118]. არეალი უნდა მოიცავდეს როგორც აღკვეთი ღონისძიებების გამოყენებას, ასევე კონკრეტული სასჯელის შერჩევას ან უკვე შერჩეული ღონისძიების შეცვლას. გადაწყვეტილების მიმღებ პირებს *(გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე)* მართლმსაჯულების განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე უნდა ჰქონდეთ ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების ან ასეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობის დაყენების დისკრეციული უფლებამოსილება.

პრობაციისა და არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენებისას მნიშვნელოვანია, მიმოვიხილოთ თუ რა სახის სამართლებრივი დაცვის სტანდარტები უნდა იყოს დაცული[119]. აუცილებელია, ნებისმიერი სახის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენების თაობაზე პროცედურები დეტალურად აისახოს ეროვნულ კანონმდებლობაში. დეტალურად უნდა იყოს გაწერილი ის კრიტერიუმები, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს ამა თუ იმ ღონისძიების შერჩევა. კანონმდებლობა უნდა იძლეოდეს ასეთი სახის გადაწყვეტილების გადახედვისა და გასაჩივრების შესაძლებლობას. დეტალურად უნდა იყოს გაწერილი ის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მსჯავრდებულს გააჩნია ასეთი სახის ღონისძიებების შერჩევის, გამოყენების და აღსრულების პროცესში, ასევე - პერსონალური მონაცემების შენახვისა და დაცვის წესიც.

ცალკე აქცენტი უნდა გაკეთდეს წინასწარი გამოძიების ეტაპზე[120] არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას, რომ წინასწარი გამოძიების ეტაპზე, აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა უნდა გამოიყენებოდეს როგორც უკიდურესი ზომა, მაშინ როცა სხვა საშუალებები არაეფექტურია. გადაწყვეტილების მიმღებ პირებს/ორგანოებს უნდა ჰქონდეთ ასეთი ღონისძიებების გამოყენების ფართო დისკრეცია, რაც უნდა ემყარებოდეს ჰუმანურობის და ადამიანის ღირსების დაცვის პრინციპს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი მაინც მოხდა ასეთი სახის ღონისძიების გამოყენება, იგი უნდა იყოს მინიმალური ხანგრძლივობით, რაც აუცილებელია მოწმის, დაზარალებულის და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის მიზნით და, ზოგადად, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე.

ცალკე უნდა მიმოვიხილოთ არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების წესი და პირობები როგორც სასამართლო განხილვის, ასევე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების

[116] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2010)1 პრობაციის ევროპული წესების შესახებ, მ.85-87 / 99-103

[117] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (ტოკიოს წესები), მ. 17.1 – 19.3 / ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2010)1 პრობაციის ევროპული წესების შესახებ, მ.31, 34, 62

[118] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (ტოკიოს წესები), მ. 2.1.-2.7

[119] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (ტოკიოს წესები), მ. 3.1.-3.12

[120] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (ტოკიოს წესები), მ. 5.1.-6.3

ეტაპზე[121]. სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, განხილვის პროცესში, მნიშვნელოვანია, მიეწოდოს წინასასამართლო ანგარიში იმ პირის შესახებ, ვისი საკითხიც იხილება. სოციალური მოკვლევის ანგარიშში უნდა იყოს ასახული ინფორმაცია კონკრეტული პირის პირადი და ოჯახური გარემოებების, სოციალური გარემოს, განათლების, დასაქმების შესაძლებლობის, დამოკიდებულებების და სხვა სახის რისკისა და საჭიროების შესახებ. წინასასამართლო ანგარიში, ასევე, უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დანაშაულის შინაარსის, მისი ხასიათის და სავარაუდო გამომწვევი მიზეზების, დანაშაულთან დაკავშირებული რისკისა და საჭიროების შესახებ(როგორიცაა, მაგალითად:ნარკოტიკზე, ალკოჰოლზე ან რამე სხვა სახის დამოკიდებულება, დასაქმების ხელმისაწვდომობის პრობლემა და სხვა). ასეთი სახის ინფორმაცია საშუალებას მისცემს სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს ყველა ის სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორი, რის გამოც პირი კანონთან კონფლიქტში აღმოჩნდა. სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში უნდა მიიღოს პირის რისკები და საჭიროებები, დაზარალებულის და ზოგადად, საზოგადოების დაცვის ინტერესები. გარდა ამისა, კანონმდებლობით უნდა იყოს გათვალისწინებული არასაპატიმრო ღონისძიებების ფართო ჩამონათვალი, რაც მისცემს სასამართლოს შესაძლებლობას ზემოთ აღნიშნული ფაქტორების შესწავლის საფუძველზე გამოიყენოს ყველაზე უფრო რელევანტური გადაწყვეტილება.

ძალიან მნიშვნელოვანია და ცალკე განსახილველი საკითხია ის შემთხვევები, როცა საპატიმრო ღონისძიების შეცვლა ხდება არასაპატიმრო ღონისძიებით[122] (მაგ. მსჯავრდებულის ვადაზე ადრე გათავისუფლებისას), ასევე, როცა მსჯავრდებულის გათავისუფლების შემდეგ მას განსაზღვრული აქვს დამატებით პირობითი მსჯავრი. ამ პროცესში, რომელსაც ზოგადად „გარდამავალ მენეჯმენტს“ ეძახიან, მნიშვნელოვანია პენიტენციური და პრობაციის სისტემის ურთიერთთანამშრომლობა, მჭიდრო კოორდინაცია ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, რომ საპატიმრო დაწესებულებიდან გათავისუფლებამდე ეფექტურად მომზადდეს ნიადაგი კონკრეტული პირის საზოგადოებაში ინტეგრაციის კუთხით და გათავისუფლების შემდეგ გაგრძელდეს არასაპატიმრო ღონისძიების სწორად დაგეგმვა და განხორციელება.

ხშირ შემთხვევაში არასაპატიმრო ღონისძიების ამოწურვის შემდეგ, რომელიც პირს შეფარდებული ჰქონდა სასჯელის საფუძველზე , შეიძლება კიდევ არსებობს გარკვეული ინტერვენციების გაგრძელების საჭიროება[123]. სასურველია, კანონმდებლობის დონეზე არსებობდეს სპეციალური რეგულაციები, რომლებიც უნდა მოიცავდეს სასჯელის (საპატიმრო და არასაპატიმრო) მოხდის შემდგომ გარკვეული სერვისების მიწოდების ან სხვა სახის ჩარევების შესაძლებლობას. პრობაციისა და არასაპატიმრო ღონისძიებების აღსრულებისას, სპეციალური ინდივიდუალური გეგმების შემუშავება უნდა ხდებოდეს თითოეული პირის რისკისა და საჭიროების საფუძველზე. მიუხედავად განხორციელებული აქტივობებისა, ასეთი ღონისძიებების ამოწურვის შემდეგ ხშირად არსებობს იმის საჭიროება, რომ დაწყებული ინტერვენციები გაგრძელდეს და პირს ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო თუ სხვა სახის აქტივობაში; ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს სხვადასხვა სახის სერვისი, რაც მნიშვნელოვანია მისი საზოგადოებაში უმტკივნეულო ინტეგრაციისთვის. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, საკანონმდებლო დონეზე არსებობდეს იმის შესაძლებლობა, რომ არასაპატიმრო სასჯელის დასრულების შემდეგაც სახელმწიფომ შეძლოს იმ პირთა მხარდაჭერა, ვისაც ამის საჭიროება ექნება.

პრობაციისა და არასაპატიმრო ღონისძიებების აღსრულებისას მნიშვნელოვანია ასეთი

[121] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (ტოკიოს წესები), მ. 7.1.-8.2

[122] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2010)1 პრობაციის ევროპული წესების შესახებ, მ.59-61

[123] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (ტოკიოს წესები), მ. 9.1.-9.4 / ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2010)1 პრობაციის ევროპული წესების შესახებ, მ.62

სახის ღონისძიებების დაგეგმვისა და იმპლემენტაციის პროცესი[124]. ალტერნატიული ღონისძიებების აღსრულების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირობების განსაზღვრის წესს, ასეთი სახის ღონისძიებების ხანგრძლივობას და სარეაბილიტაციო პროცესს. პრობაციის და არასაპატიმრო ღონისძიებების აღსრულებისას, პირობების განსაზღვრისას, აქცენტი ერთობლივად უნდა გაკეთდეს როგორც დაზარალებულისა და საზოგადოების ინტერესზე, ასევე მსჯავრდებული პირის უფლებების სრულ პატივისცემაზე. ყველა სახის პირობის განსაზღვრა უნდა მოხდეს პირის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე. დადგენილი პირობების აღსრულებით პირის პოზიტიური უნარები კიდევ უფრო განვითარდება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ინტეგრაციას და, ზოგადად, განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას. პირობების დარღვევისა და შერჩეული ღონისძიებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, აუცილებელია, შესაძლო პასუხისმგებლობის საკითხის განმარტება მოხდეს გასაგები ფორმით და პირს წინასწარ განცხადებული ჰქონდეს თანხმობა ასეთი პირობების შესრულებაზე. ალტერნატიული ღონისძიებების აღსრულება ხორციელდება სხვადასხვა სახის პროგრამის მეშვეობით[125]. როგორც უკვე აღინიშნა, თითოეული პირის მიმართ შერჩეული გეგმა აუცილებლად უნდა ემყარებოდეს მის საჭიროებას, რომლის შესახებაც ინფორმაცია უნდა მივიღოთ სპეციალური შეფასების მეშვეობით. ალტერნატიული ღონისძიებების აღსრულების გეგმა შეიძლება მოიცავდეს საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებს, ფსიქოსოციალურ მომსახურებას, ჯგუფურ თერაპიას, ჯგუფურ მუშაობას, ტრენინგკურსების გავლას და ა.შ. აუცილებელია, რომ შეფასების პროცესი, სერვისების შერჩევა, იმპლემენტაცია და ჩარევები განხორციელდეს სპეციალური კვალიფიკაციისა და გადამზადების მქონე პროფესიონალების მიერ[126].

მნიშვნელოვანი პროცესია პრობაციისა და არასაპატიმრო ღონისძიებების აღსრულების სუპერვიზია და შეფასება[127]. სპეციალურად შერჩეული ალტერნატიული ღონისძიების შეფარდებისას აუცილებელია, მსჯავრდებულს განემარტოს ის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც აღსრულების პროცესში აკისრია. მან დეტალურად უნდა იცოდეს დაკისრებული პირობების და ამ პირობების დარღვევის შემთხვევაში შესაძლო პასუხისმგებლობის შესახებ. სუპერვიზია უნდა ხორციელდებოდეს ინდივიდუალურად შერჩეული გეგმის მიხედვით და მას უნდა ახორციელებდნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალები. სუპერვიზია უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ დაკისრებული პირობების კონტროლს, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, მაგალითად, პროცესში, შესაბამისი შეფასების საფუძველზე მსჯავრდებულებს ფსიქოსოციალურ და სხვა სახის კონსულტაციებს უნდა უწევდეს.

პრობაციისა და არასაპატიმრო ღონისძიების პირობების დარღვევა ავტომატურად არ უნდა იწვევდეს შეცვლას საპატიმრო ღონისძიებით. შესაძლებელი უნდა იყოს ამ გადაწყვეტილების მიღებამდე გამოყენებულ იქნეს სხვა სახის ღონისძიებები. ალტერნატიული ღონისძიების შეცვლა საპატიმრო ღონისძიებით უნდა მოხდეს უკიდურეს შემთხვევაში, როცა უკვე გამოყენებული ან არსებული სხვა ღონისძიებები არაეფექტურია მიზნის მისაღწევად.

პრობაციისა და არასაპატიმრო ღონისძიებების აღსრულების პროცესის შეფასება უნდა განხორციელდეს როგორც სუპერვიზიის პროცესში, ასევე ამ ღონისძიების ამოწურვის შემდეგ. შეფასება უნდა ხორციელდებოდეს წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. შეფასების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს მსჯავრდებულის მოსაზრებები და მას

[124] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (ტოკიოს წესები), მ. 10.1 – 14.6

[125] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (ტოკიოს წესები), მ. 13.1 – 13.6

[126] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (ტოკიოს წესები), მ. 15.1 – 16.3 / ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2010)1 პრობაციის ევროპული წესების შესახებ, მ.21-34

[127] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (ტოკიოს წესები), მ. 10.1 – 10.4/ 14.1 – 14.6/ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2010)1 პრობაციის ევროპული წესების შესახებ, მ.53-55/ 57-58/ 81-84 /

ხელი უნდა მიუწვდებოდეს საბოლოო შეფასების ანგარიშზე, რომელიც შეიძლება სადავოც კი გახადოს.

პრობაციის სამსახურის დამატებით ფუნქციას შეიძლება წარმოადგენდეს დანაშაულის მსხვერპლთან მუშაობა მათი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და სხვა სახის სერვისის მიწოდების კუთხით[128]. პრობაციის სამსახური შეიძლება მონაწილეობდეს, ასევე, აღდგენითი მართლმსაჯულებისა და განრიდების აღსრულების პროცესში, როგორც მენეჯმენტის განმახორციელებელი. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია სისტემის თანამშრომლებმა გაიარონ სპეციალური გადამზადება და ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია[129].

პრობაციისა დ არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების პროცესში, მათი პირადი საქმის წარმოება უნდა განხორციელდეს პირადი ცხოვრების სრული პატივისცემით, დაცული უნდა იყოს კონფიდენციალობის დაცვის პრინციპი[130]. ამა თუ იმ პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შენახვის, დამუშავების, გაცნობისა და გამოყენების წესი მკაცრად უნდა იყოს რეგულირებული კანონმდებლობის დონეზე. კონკრეტული პირის შესახებ ინფორმაციის გაცვლა უნდა მოხდეს მხოლოდ კომპეტენტურ ორგანოებთან, რომლებსაც საკანონმდებლო დონეზე ინფორმაციის შენახვისა და გამოყენების ერთი და იგივე ვალდებულებები გააჩნია.

საბოლოოდ, ხაზი უნდა გაესვას იმ საკითხს, რომ პრობაციისა და არასაპატიმრო ღონისძიებების დაგეგმვა, შერჩევა, სხვადასხვა პროგრამის ორგანიზება და, ზოგადად, პოლიტიკის განსაზღვრა უნდა იყოს მხოლოდ მტკიცებულებებზე დაფუძნებული[131]. ამ მიზნით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია განვლილი პროცესის სისტემატური ანალიზი და კვლევების ჩატარება, რაც შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს, შედეგზე ორიენტირებული ალტერნატიული ღონისძიებების დაგეგმვა და აღსრულება განახორციელონ.

პატიმრობის მოხდის საერთო პირობები

პატიმრობის მოხდის პირობების საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავიწყოთ ძირითად პრინციპებზე აქცენტის გაკეთებით[132]. კერძოდ, ნებისმიერი ფორმით თავისუფლებააღკვეთილ ადამიანს უნდა მოეპყრონ მისი უფლებების სრული პატივისცემით, აკრძალული უნდა იყოს ყოველგვარი დისკრიმინაციული მიდგომა. ციხის პირობები არ უნდა იყოს ღირსების შემლახველი და ციხეში ცხოვრება შეძლებისდაგვარად უნდა უახლოვდებოდეს საზოგადოებაში ცხოვრების პოზიტიურ ასპექტებს. მაქსიმალურად უნდა შეეწყოს ხელი თავისუფლებააღკვეთილ პირთა საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესს. დეტალურად უნდა მიმოვიხილოთ პენიტენციურ სისტემაში პატიმრის მიერ გასავლელი ყველა ეტაპი და მათი სამართლებრივი დაცვის გარანტიები.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესია პატიმრის პირველადი კონტაქტი პენიტენციურ სისტემასთან - დაწესებულებაში მიღება, განაწილება და განთავსება[133]. დაწესებულებაში მიღებისთანავე აუცილებლად უნდა მოხდეს სხვადასხვა საკითხის შემოწმება და დაფიქსირება. კერძოდ: უნდა შემოწმდეს პატიმრის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, კომპეტენტური პირის/ორგანოს გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც პირს თავისუფლება

[128] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2010)1 პრობაციის ევროპული წესების შესახებ, მ.93-98

[129] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (ტოკიოს წესები), მ. 15.1 – 16.3 / ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2010)1 პრობაციის ევროპული წესების შესახებ, მ.21-34

[130] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2010)1 პრობაციის ევროპული წესების შესახებ, მ.88-92

[131] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (ტოკიოს წესები), მ. 20.1 – 21.3 / ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2010)1 პრობაციის ევროპული წესების შესახებ, მ.104-108

[132] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.1-9 / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მ.6

[133] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.14-18.10 / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მ.7-14

აქვს შეზღუდული. ასევე, მიღების დრო და საათი, პირადი ნივთების ნუსხა, უნდა აღირიცხოს გარეგნული დაზიანებები და პირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. პატიმარმა უნდა გაიაროს დეტალური სამედიცინო შემოწმება. მიღებისთანავე პატიმარს უნდა განემარტოს უფლებები და მოვალეობები და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს უფასო იურიდიული კონსულტაციით[134].

პატიმართა განაწილება უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად მათ საცხოვრებელ სახლთან ახლოს. პატიმართა განაწილების დროს ყურადღება უნდა მიექცეს როგორც გამოძიების ინტერესებს, ასევე უსაფრთხოებისა და უშიშროების ყველა სახის საჭიროებას: პატიმართა საცხოვრებელი სადგომი არ უნდა იყოს პირის ღირსების შემლახველი; უნდა პასუხობდეს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის აუცილებელ მოთხოვნებს; საკანში უნდა იყოს საკმარისი ფართი ცხოვრების ნორმალური პირობებისთვის; უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბუნებრივი განათება და ვენტილაცია; როგორც წესი, პატიმრები უნდა იყვნენ განთავსებულნი ინდივიდუალურ საკნებში, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ისინი განთავსებულნი არიან საერთო საცხოვრებლებში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პატიმრების კატეგორიებს, რამდენად ეთავსებიან ისინი ერთმანეთს. ამ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს უშიშროებისა და უსაფრთხოების გარანტიები;

აუცილებლად ცალ-ცალკე უნდა განთავსდნენ მისჯილი და მიუსჯელი პატიმრები, მამაკაცი და ქალი პატიმრები, არასრულწლოვნები და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები (შშმ პირები, ფსიქოლოგიური პრობლემის მქონე პირები, დამოკიდებულებების მქონე პირები და სხვა სახის მოწყვლადი ჯგუფები).

როგორც უკვე აღინიშნა, ჰიგიენის დაცვას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს[135]. პატიმრებს უნდა ჰქონდეთ სანიტარულ სადგომებთან მუდმივი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა, რომელიც უნდა იძლეოდეს განმარტოების საშუალებას. ყველას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს შხაპი იმ პერიოდულობით, რაც აუცილებელია ჰიგიენის დასაცავად, კვირაში მინიმუმ ორჯერ მაინც. ადმინისტრაცია ვალდებულია პატიმრები მოამარაგოს ჰიგიენური საშუალებებით, ხოლო პატიმრები ვალდებულნი არიან დაიცვან სისუფთავე და ჰიგიენა.

პატიმრებს, რომლებსაც არა აქვთ სათანადო ტანსაცმელი, უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ სეზონის შესაფერისი სამოსით[136]; ტანსაცმელი არ უნდა იყოს ღირსების შემლახველი და პატიმარს კარგ მდგომარეობაში უნდა გადაეცეს; ყველა პატიმარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცალკე საწოლითა და ქვეშაგებით, რომელიც უნდა იცვლებოდეს ჰიგიენური მოთხოვნის შესაბამისად.

პატიმრები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ სამჯერადი კვებით[137]. საკვების რაციონი უნდა იყოს მორგებული თითოეული პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობას (დიეტური საკვები). ყურადღება უნდა მიექცეს რელიგიურ და კულტურულ თავისებურებებს. სასმელი წყალი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ნებისმიერ დროს.

პატიმრებს მაქსიმალურად უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ურთიერთობა იქონიონ გარესამყაროსთან პაემნების მეშვეობით, ასევე, წერილობით, ტელეფონით და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით[138]. ადმინისტრაცია უნდა დაეხმაროს პატიმრებს მაქსიმალურად შეინარჩუნონ ოჯახური ურთიერთობები. კომინიკაციების შეზღუდვა შესაძლებელია

[134] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.23.1-23.6

[135] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.19.1-19.7 / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მ.15-16

[136] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.20.1-21 / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მ.17-19

[137] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.21.1-22.6 / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მ.20

[138] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.24.1-24.12 / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მ.37-39

მხოლოდ წესრიგის, უსაფრთხოებისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის აღსაკვეთად და გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე. ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული უნდა იყოს იმ პირთა/ორგანოთა ჩამონათვალი, რომლებთან კომუნიკაციაც პატიმრებს არ უნდა შეეზღუდოთ. გარესამყაროსთან ურთიერთობა უნდა მოიცავდეს პაემნებს, სატელეფონო საუბრებს, შვებულებებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ხელმისაწვდომობას და ა.შ. უცხო ქვეყნის მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან შეხვედრის შესაძლებლობა.

ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს ყოველდღიურად მინიმუმ ერთი საათი სუფთა ჰაერზე ყოფნის შესაძლებლობა[139]. ყველა დაწესებულებაში უნდა არსებობდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ინვენტარი პატიმრების სპორტულ აქტივობებში ჩართვის მიზნით.

პატიმრებს, მათი ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამაზე[140]; პრიორიტეტი უნდა მიენიჭოთ იმ პირებს, ვისაც არ აქვს მიღებული საბაზისო განათლება; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა და სპეციალური საჭიროების მქონე პირებს; ახალგაზრდებისთვის საბაზისო განათლების მიღება სავალდებულო უნდა იყოს; პატიმართა განათლების სისტემა ინტეგრირებული უნდა იყოს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემასთან; ყველა დაწესებულებას უნდა გააჩნდეს ბიბლიოთეკა, რომელიც სათანადოდ იქნება აღჭურვილი სხვადასხვა სახის, მათ შორის, სამართლებრივი და რელიგიური ლიტერატურით; პატიმრებს, ასევე, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა პერიოდულად ჩაერთონ სხვადასხვა სახის რეკრეაციულ და კულტურულ ღონისძიებაში.

პატიმრის რეაბილიტაციისათვის, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობასთან ერთად, მნიშვნელოვანია მათი შრომით აქტივობებში ჩართვა[141]. პატიმრებისთვის ორგანიზებული შრომა არ უნდა იყოს პირის პატივისა და ღირსების შემლახველი. შესაძლებლობის შემთხვევაში პატიმრებს უნდა ჰქონდეთ საშუალება აირჩიონ საქმიანობის ტიპი. პენიტენციურ დაწესებულებაში მუშაობის ორგანიზაცია და მეთოდები მიახლოებული უნდა იყოს სამოქალაქო სექტორში არსებულ სტანდარტებთან. პატიმრები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი ადეკვატური სამუშაო და დასვენების საათებით/დღეებით, შრომის უსაფრთხოებით, ჯანმრთელობის დაზღვევით და კომპენსაციით საწარმოო ტრავმის შემთხვევაში. პატიმრებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა გამომუშავებული ანაზღაურების ნაწილი გამოიყენონ დაწესებულებაში, გაუგზავნონ ოჯახის წევრებს და ახლობლებს ან შეინახონ გათავისუფლებამდე. შესაძლებელია, მისჯილი პატიმრებისთვის დაწესებულებაში შრომა სავალდებულო იყოს. პატიმრები შეიძლება დასაქმდნენ სამუშაოზე, ასევე, დაწესებულების გარეთ.

პატიმრების გადაყვანისას ერთი დაწესებულებიდან მეორეში ან სხვა ადგილას[142] (სასამართლო, საავადმყოფო, საგამოძიებო მოქმედებებისთვის) დაცული უნდა იყოს პირის ანონიმურობა. ტრანსპორტირებისას საბადრაგო მანქანაში უნდა არსებობდეს ადეკვატური ვენტილაცია და განათება, რაც პირს ზედმეტ დისკომფორტსა და უხერხულობას არ შეუქმნის.

პატიმრის დაწესებულებიდან გათავისუფლებისას ადმინისტრაციას გააჩნია გარკვეული ვალდებულებები[143]. ყველა პირი დაუყონებლად უნდა გათავისუფლდეს სასამართლო გადაწყვეტილების ვადის გასვლის შემდეგ. გათავისუფლების დრო და თარიღი უნდა დაფიქსირდეს. პატიმარს უნდა დაუბრუნდეს ყველა ნივთი და ფული, რომელიც მას

[139] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.27.1-27.7 / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მ.21

[140] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.28.1-28.7 / 106.1 -106.7 / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მ.40, 77

[141] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.26.1-26.17/ 105.1-105.5 / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მ.71-76

[142] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.32.1-32.3 / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მ.45

[143] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.33.1-33.38

ეკუთვნის და რომელიც ჩამოერთვა დაწესებულებაში შემოსვლისას. გათავისუფლებისას პატიმრებს უნდა გააჩნდეთ საარსებო საშუალებები, სეზონის შესაფერისი ტანსაცმელი და დანიშნულების ადგილამდე მისასვლელი ხარჯები.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დაწესებულებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სხვადასხვა საჭიროების მქონე პატიმრებს, ისეთ მოწყვლად ჯგუფებს, როგორიცაა: არასრულწლოვანი, ქალი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები[144]. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალ პატიმრებს, რომლებსაც სპეციალური საჭიროება აქვთ ფიზიკური, პროფესიული, სოციალური და ფსიქოლოგიური კუთხით.

ქალ პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება იმშობიარონ დაწესებულების გარეთ. იმ შემთხვევაში, თუ ჩვილი ბავშვების დატოვება გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხდება დედასთან, პენიტენციურ დაწესებულებაში უნდა შეიქმნას შესაბამისი პირობები ჩვილი ბავშვების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. მათ არ უნდა ეპყრობოდნენ, როგორც პატიმრებს. ქალ პატიმართა სპეციალური საჭიროების გათვალისწინებით, საერთაშორისო დონეზე არსებობს შესაბამისი სპეციალური დოკუმენტები[145].

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ არასრულწლოვანი პატიმრები აუცილებლად უნდა იყვნენ განთავსებულნი განცალკევებით. იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვნები მოთავსებულნი არიან მოზრდილთა დაწესებულებაში, განთავსებულნი უნდა იყვნენ ცალკე განყოფილებაში, რომელიც არ უნდა იძლეოდეს სრულწლოვან პატიმრებთან ურთიერთობის შესაძლებლობას. არასრულწლოვან პატიმრებს უნდა გაეწიოთ სოციალური, ფსიქოლოგიური და საგანმანათლებლო მომსახურება. ისინი უნდა ექვემდებარებოდნენ სავალდებულო საბაზისო განათლებას. არასრულწლოვან პატიმართა სპეციალური საჭიროების გათვალისწინებით, საერთაშორისო დონეზე არსებობს შესაბამისი სპეციალური დოკუმენტები[146].

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს უნდა შეექმნათ შესაბამისი პირობები, რათა დაცული იყოს მათი კულტურული პრაქტიკა და რელიგიური მოთხოვნილებები. მათ უნდა მიეწოდოთ წერილობით ინფორმაცია მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ მათთვის გასაგებ ენაზე და ფორმით. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ისინი თარჯიმნის მომსახურებით.

ყველა პატიმრის აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება დაცული უნდა იყოს[147]. ყველა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელს შეძლებისდაგვარად უნდა შეექმნას პირობები მისდიოს თავის რელიგიასა და რწმენას. ამ მიზნით მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა შეხვდნენ სასულიერო პირებს და დაესწრონ ღვთისმსახურებას, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ რელიგიურ ლიტერატურასა და წიგნებზე.

პენიტენციურ სისტემაში პატიმართა ჯანდაცვის ორგანიზება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც დეტალურად უნდა განვიხილოთ[148]. პენიტენციურ დაწესებულებებში ორგანიზებული ჯანდაცვის სისტემა უნდა იყოს სამოქალაქო სექტორში არსებული სისტემის ნაწილი და უნდა ეთავსებოდეს ჯანდაცვის ერთიან პოლიტიკას. ყველა დაწესებულებას უნდა

[144] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.34.1-38.3 / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მ.5, 8, 23.

[145] გაეროს სტანდარტული წესები ქალი პატიმრებისადმი მოპყრობისა და ქალი სამართალდამრღვევების მიმართ არასაპატიმრო სასჯელის შეფარდების თაობაზე (,,ბანგკოკის წესები“).

[146] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2008)11სანქციებს და ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისათვის. / გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები“) / გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად / გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ იდანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებით.

[147] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.29.1-29.3 / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მ.41-42

[148] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.39-48.2 / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მ.22-26

ჰყავდეს კვალიფიციური და სათანადოდ მომზადებული სამედიცინო პერსონალი. ყველა პატიმრისთვის დაწესებულებაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს თერაპევტის, ფსიქიატრისა და სტომატოლოგის მომსახურება. საჭიროების შემთხვევაში, პატიმარი უნდა გაიყვანონ სპეციალიზირებულ ან სამოქალაქო სექტორის შესაბამისი პროფილის დაწესებულებაში, თუ დაწესებულებაში სათანადო მომსახურების გაწევა შეუძლებელია.

დაწესებულებაში შემოყვანისთანავე ყველა პატიმარს უნდა ჩაუტარდეს დეტალური სამედიცინო შემოწმება და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ საკითხებს: ფიზიკურ და ფსიქიკურ დაავადებებს *(განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თვითდაზიანების და სუიციდის რისკს)*; გარეგნული დათვალიერების შედეგად გამოვლენილ ძალადობის ნიშნებს; სხვადასხვა ნივთიერებაზე დამოკიდებულების შემთხვევაში აბსტინენციის სიმპტომებს; ინფექციურ და გადამდებ დაავადებებს, რის გამოც შესაძლებელია მოხდეს პირის განცალკევება; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და სხვა საკითხებს. სამედიცინო გამოკვლევების შედეგად გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე, სამედიცინო პერსონალი ვალდებულია, აცნობოს ადმინისტრაციას დროებითი ან მუდმივი ღონისძიებების გატარების აუცილებლობის შესახებ *(იზოლირება, ვიზუალური მეთვალყურეობა და ა.შ.).*

სამედიცინო პერსონალი დაწესებულებაში რეგულარულად უნდა ამოწმებდეს: საკვებისა და წყლის ხარისხს; დაწესებულებაში არსებულ ჰიგიენურ პირობებს; სანიტარულ მდგომარეობას; გათბობას და ვენტილაციას; პატიმართა ტანსაცმლისა და ქვეშაგების სისუფთავეს.

დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია წესრიგის დაცვა და ორგანიზება[149]. დაწესებულებაში წესრიგის შენარჩუნება უნდა მოხდეს უსაფრთხოების, უშიშროებისა და დისციპლინის მოთხოვნის გათვალისწინებით.

პატიმრების მიმართ გამოყენებული უშიშროების ღონისძიებები უნდა იყოს მინიმალური, რაც აუცილებელია მათივე უსაფრთხოებისთვის. დაწესებულებაში მიღებისთანავე უნდა მოხდეს პატიმრის შეფასება, რათა განისაზღვროს: დაწესებულებიდან გაქცევის რისკი, უქმნიან თუ არა საფრთხეს სხვა პატიმრებს, ციხის პერსონალს ან/და სხვა პირებს. ამ პრინციპით უნდა მოხდეს პატიმრების შემდგომი განაწილება. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს უშიშროების გაძლიერებული ღონისძიებები, რომლებიც კანონმდებლობით უნდა იყოს დარეგულირებული.

უსაფრთხოების დაცვის ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენს ჩხრეკისა და კონტროლის განხორციელება. ჩხრეკას შეიძლება დაექვემდებაროს: პატიმრის საცხოვრებელი ადგილი; პატიმრის სხეული; პატიმრების ახლობლები და მათი საკუთრება; დაწესებულების თანამშრომლები. ჩატარებული ჩხრეკა არ უნდა იყოს პირის პატივისა და ღირსების შემლახველი და აუცილებლად უნდა განახორციელოს იმავე სქესის წარმომადგენელმა. სხეულის ჩხრეკა შეიძლება ჩაატაროს მხოლოდ პრაქტიკოსმა ექიმმა.

პატიმრების წინააღმდეგ დისციპლინური ღონისძიებები უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც უკიდურესი საშუალება. დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება ჩაითვალოს ქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის წესრიგს, უსაფრთხოებას და უშიშროებას. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებამდე პატიმარს უნდა განემარტოს ინფორმაცია იმ გადაცდომის შესახებ, რაშიც ედება ბრალი. მას უნდა ჰქონდეს დაცვისათვის მოსამზადებლად ადეკვატური დრო, საჭიროების შემთხვევაში უნდა იყოს უზრუნველყოფილი ადვოკატის და თარჯიმნის მომსახურებით. კატეგორიულად იკრძალება კოლექტიური და სხეულებრივი დასჯები, აგრეთვე, დასჯა, რომელიც არის არაადამიანური და ღირსების შემლახველი. სასჯელი არ შეიძლება მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას. სასჯელი გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ გადაცდომის პროპორციულად. პატიმარი არ შეიძლება დაისაჯოს ორჯერ ერთი და იგივე გადაცდომისთვის.

[149] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.49-69.3 / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მ.27-34

დაწესებულების ადმინისტრაციამ შეიძლება გამოიყენოს ძალა პატიმრების წინააღმდეგ თავდაცვის ან გაქცევის მცდელობისას, ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევისას, როგორც უკიდურესი ზომა. ძალა უნდა იყოს გამოყენებული საფრთხის პროპორციულად და რაც შეიძლება მცირე პერიოდით. დეტალურად უნდა იყოს კანონმდებლობით დარეგულირებული: გარემოებები, როცა შეიძლება ძალის გამოყენება; ძალის გამოყენებაზე უფლებამოსილი პირები; გადაწყვეტილების მიმღები პირები/ორგანოები; სპეციალური საშუალებები, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული; სპეციალური საშუალებების გამოყენების წესი და პირობები; ბორკილებისა და ლითონის გამოყენება უნდა აიკრძალოს; პერსონალმა შეიძლება გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი გაქცევის აღსაკვეთად ან თავდასხმის მოსაგერიებლად; გაქცევის აღკვეთის მიზნით ქალებისა და არასრულწლოვნების მიმართ აკრძალულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება.

ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიმართოს საჩივრით ან თხოვნით დაწესებულების ადმინისტრაციას ან სხვა კომპეტენტურ ორგანოს[150]. მოთხოვნები და საჩივრები არ შეიძლება დაექვემდებაროს ცენზურას. პატიმარს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, ასევე, ზეპირად მიმართოს საჩივრით ან თხოვნით დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს.

პენიტენციური სისტემა უნდა იყოს დამოუკიდებელი სამხედრო, საპოლიციო და სხვა სახის საგამოძიებო სამსახურებისგან. სისტემის თანამშრომლები უნდა იყვნენ სათანადოდ შერჩეული და მომზადებული, უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ანაზღაურება და სოციალური დაცვის გარანტიები[151]. შერჩეულმა თანამშრომლებმა წინასწარ უნდა გაიარონ სპეციალური მოზადება. ის თანამშრომლები, რომლებმაც უნდა იმუშაონ სხვადასხვა სპეციფიკურ ჯგუფთან *(ქალები, არასრულწლოვნები, შშმ პირები და ა.შ),* დამატებით უნდა იყვნენ მომზადებულნი სპეციფიკურ საკითხებში. თანამშრომელთა ტრენინგები აუცილებლად უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებს.

პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა მიმართ მოპყრობაზე უნდა ხორციელდებოდეს მუდმივი მონიტორინგი ადგილობრივი და საერთაშორისო დამოუკიდებელი ორგანოების მხრიდან[152].

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ ხელი უნდა შეეწყოს პენიტენციურ დაწესებულებებში კვლევების ჩატარებას[153], რაც სახელმწიფოს სტრუქტურების წარმომადგენლებს შესაძლებლობას მისცემს დაგეგმონ და განახორციელონ შედეგზე ორიენტირებული ღონისძიებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

- *ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2010)1 პრობაციის ევროპული წესების შესახებ*
- *ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ*
- *ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2008)11 სანქციებს და ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისათვის*
- *გაეროს სტანდარტული წესები ქალი პატიმრებისადმი მოპყრობისა და ქალი სამართალდამრღვევების მიმართ არასაპატიმრო სასჯელის შეფარდების თაობაზე („ბანგკოკის წესები“)*

[150] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.70.1-70.3 / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მ.35-36

[151] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.71-89.2 / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მ.46-54

[152] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.92-93.3 / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მ.55

[153] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, მ.91

- *გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები“)*
- *გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად*
- *გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებით.*
- *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (ტოკიოს წესები)*
- *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები*

თავი 7

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესი - ადგილობრივი სტანდარტები

ანტონ ქელბაქიანი
ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის

დანაშაული 66
სასჯელის მიზნები და სახეები 68
პირობითი მსჯავრი 69
სისხლისსამართლებრივი დევნა 70
განრიდება 70
დაკავება, აღკვეთის ღონისძიებები და მისი გამოყენების წესი 71
სასამართლო ინსტანციები, გასაჩივრების წესი 72

ქვემოთ წარმოდგენილ გზამკვლევში მიმოხილულია მართლმსაჯულების განხორციელების ყველა ეტაპზე არსებული ადგილობრივი სტანდარტები. განხილული იქნება სასჯელის მიზნები და სახეები (როგორც საპატიმრო, ისე არასაპატიმრო), დანაშაულის კატეგორიები, დაკავების და აღკვეთი ღონისძიებების გამოყენების წესი, პირობები, სასამართლო განხილვის სტადიები და გასაჩივრების პროცედურები. მიმოხილული იქნება, ასევე, სხვადასხვა სახის ადგილობრივი ნორმატიული აქტი - საქართველოს კონსტიტუცია, სისხლის სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სხვა ნორმატიული აქტები.

დანაშაული

საქართველოს კონსიტუტუციის თანახმად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით[154].

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დანაშაული არის ამ კოდექსით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება[155].

კანონმდებლობით გათვალისწინებულია გარემოებები, რომლებიც შეიძლება იყოს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი. კერძოდ: აუცილებელი მოგერიება, დამნაშავის შეპყრობა, უკიდურესი აუცილებლობა და მართლზომიერი რისკი[156]. შესაძლებელია, ასევე, არსებობდეს სხვა გარემოებებიც, რომლებიც პირდაპირ არ არის განსაზღვრული კანონმდებლობით, თუმცა აკმაყოფილებს ქმედების მართლზომიერების პირობებს.

კანონმდებლობა, ასევე, ითვალისწინებს ბრალის გამომრიცხავ და შემამსუბუქებელ გარემოებებს, კერძოდ: შეურაცხაობა ასაკის გამო, შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების

[154] საქართველოს კონსტიტუცია, მ. 40 (1)
[155] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 7
[156] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 28-32

გამო, შეზღუდული შეურაცხაობა, შეცდომა და ბრძანების/განკარგულების შესრულება[157]. შესაძლებელია, ასევე, არსებობდეს სხვა გარემოებები, რომლებიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით, თუმცა აკმაყოფილებს ქმედების არაბრალეულობის პირობებს.

არსებობს ორი სახის დანაშაული: განზრახი და გაუფრთხილებლობითი[158]. განზრახ დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით. გაუფრთხილებლობით დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით.

ქართული კანონმდებლობა, ასევე, დანაშაულთა კატეგორიებს განსაზღვრავს თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის მიხედვით[159]. დანაშაულთა კატეგორიები იყოფა: ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიებად. ნაკლებად მძიმეა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელის მაქსიმალური ვადა არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას; მძიმეა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელის მაქსიმალური ვადა არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას; განსაკუთრებით მძიმეა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია ათ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

კანონმდებლობა განსაზღვრავს ერთიანი დანაშაულის სახეებს - დენადი და განგრძობადი.

<u>დენადია დანაშაული,</u> რომლის ჩადენა იწყება მოქმედებით ან უმოქმედობით და რომელიც შემდეგ უწყვეტად ხორციელდება[160].

<u>განგრძობადია დანაშაული,</u> რომელიც მოიცავს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ ორ ან მეტ ქმედებას[161].

ქართული კანონდებლობა, ასევე, იცნობს დანაშაულის სიმრავლის სხვადასხვა სახეს - არაერთგზისი დანაშაული, დანაშაულთა ერთობლიობა, დანაშაულის რეციდივი და რეკეტი.

<u>არაერთგზისი დანაშაული</u> ნიშნავს წინათ ნასამართლევი პირის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას[162].

<u>დანაშაულთა ერთობლიობა</u> ნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი ქმედების ჩადენას, რომელთაგან პირი არც ერთისთვის არ ყოფილა მსჯავრდებული. დანაშაულთა ერთობლიობად ითვლება, აგრეთვე, ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის ორი ან მეტი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ნიშნებს[163].

<u>დანაშაულის რეციდივი</u> ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას. დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, აგრეთვე, ნასამართლობა, რომელიც მოხსნილი ან გაქარწყლებულია[164].

<u>რეკეტი</u> არის შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის სისტემატურად მიღების მიზნით წარმოებული არაერთჯერადი და ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განზრახი დანაშაულის ჩადენასთან.[165].

---

[157] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 33-38

[158] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 9-10

[159] სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 12

[160] სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 13

[161] სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 14

[162] სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 15

[163] სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 16

[164] სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 17

[165] სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 17[1]

კანონმდებლობა განსაზღვრავს დაუმთავრებელი დანაშაულის სახეებს - დანაშაულის მომზადება, დანაშაულის მცდელობა და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება.

<u>დანაშაულის მომზადებად</u> ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, როგორც წესი, დაწესებულია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების მომზადებისთვის[166].

<u>დანაშაულის მცდელობად</u> ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც, თუმცა, უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი[167].

ასევე, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი[168].

საქართველოს სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებულია დანაშაულში თანამონაწილეობის სახეები: ამსრულებელი, ორგანიზატორი, დამხმარე და წამქეზებელი. კანონმდებლობა ითვალისწინებს განსხვავებულ პასუხისმგებლობას დანაშაულის ჩადენაში თითოეულის მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით[169].

კანონმდებლობა იცნობს, ასევე, ჯგუფური დანაშაულის განმარტებას. დანაშაული ჯგუფის მიერ ითვლება ჩადენილად, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი. დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ითვლება ჩადენილად, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად, ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება[170].

სასჯელის მიზნები და სახეები

საქართველოს კანონმდებლობაში ამომწურავად არის განმარტებული სასჯელის მიზნები - სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია[171]. სასჯელის მიზანი არ უნდა იყოს პირისათვის ტანჯვის მიყენება ან ღირსების შელახვა. სასჯელის საბოლოო მიზნის მისაღწევად აუცილებელია ყველა მიზნის განხორციელება, როგორც ერთმანეთთან დაკავშირებული ფაქტორების.

ქართული კანონმდებლობა განსაზღვრავს სასჯელის სახეებს[172], რომლებიც შეიძლება დავყოთ საპატიმრო და არასაპატიმრო სასჯელებად.

არასაპატიმრო სასჯელებია: ჯარიმა, თანამდებობის ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, ქონების ჩამორთმევა, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა და თავისუფლების შეზღუდვა. არასრულწლოვნების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ შემდეგი არასაპატიმრო სასჯელი: ჯარიმა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო და თავისუფლების შეზღუდვა[173].

---

[166] სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 18

[167] სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 19

[168] სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 21

[169] სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 22-26

[170] სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 27

[171] სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 39

[172] სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 40-52

[173] სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 80 -89

საპატიმრო სასჯელებია: ვადიანი და უვადო თავისუფლების აღკვეთა, ხოლო არასრულწლოვნების შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გამოყენება.

სასჯელის სახეები იყოფა ძირითად და დამატებით სასჯელებად. გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, თავისუფლების შეზღუდვა, ვადიანი და უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დანიშნულ იყოს მხოლოდ ძირითად სასჯელად. ჯარიმა, თანამდებობის ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება დანიშნულ იყოს როგორც ძირითად, ასევე დამატებით სასჯელად. ქონების ჩამორთმევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ როგორც დამატებითი სასჯელი.

ჯარიმის მინიმალური ოდენობა უნდა იყოს 2000 ლარი, ხოლო თუ მუხლის სანქცია ითვალისწინებს 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები. თუ არასრულწლოვანი პირი გადახდისუუნაროა, ჯარიმის გადახდა შეიძლება დაეკისროს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს.

თანამდებობის ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ძირითადი სასჯელის სახით ინიშნება ერთიდან ხუთ წლამდე, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ექვსი თვიდან სამ წლამდე ვადით. არასრულწლოვნების მიმართ საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთიდან სამ წლამდე ვადით.

სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახეს განსაზღვრავს პრობაციის ბიურო. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება ორმოციდან რვაას საათამდე ვადით, ხოლო არასრულწლოვნების შემთხვევაში - ორმოციდან სამას ოც საათამდე ვადით.

გამასწორებელი სამუშაო ინიშნება ერთი თვიდან ორ წლამდე ვადით, ხოლო არასრულწლოვნების მიმართ - ორი თვიდან ერთ წლამდე ვადით.

სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა ინიშნება სამი თვიდან ორ წლამდე ვადით.

თავისუფლების შეზღუდვა ინიშნება ერთი თვიდან ხუთ წლამდე ვადით, ხოლო არასრულწლოვნების მიმართ - ოთხ წლამდე ვადით.

ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, როგორც წესი, ინიშნება ექვსი თვიდან ოც წლამდე ვადით. დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის საბოლოო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 წელს, ხოლო განაჩენთა ერთობლიობის დროს - 35 წელს. თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე არასრულწლოვნებისთვის სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს, ხოლო თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნებისთვის - 15 წელს.

უვადო თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება დაინიშნოს არასრულწლოვნების მიმართ და იმ პირთა მიმართ, ვისაც განაჩენის გამოტანის დროისათვის შეუსრულდა 60 წელი.

პირობითი მსჯავრი

პირობითი მსჯავრი სასამართლოს მიერ შეიძლება დაენიშნოს პირს, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება[174]. ამ შემთხვევაში პირს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი ჩაეთვლება პირობითად. პირობითი მსჯავრი არ გამოიყენება, თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა მძიმე ან განზრახ მძიმე დანაშაული, ან წარსულში იყო ნასამართლევი ორი ან მეტი განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის. გამონაკლისს წარმოადგენს არასრულწლოვანი პირი, კერძოდ, მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, თუ მან პირველად ჩაიდინა დანაშაული, შესაძლებელია პირობითი მსჯავრის განსაზღვრა.

პირობითი მსჯავრის დროს სასამართლოს შეუძლია დააკისროს მსჯავრდებულს გარკვეული მოვალეობის შესრულება: პრობაციის ბიუროს თანხმობის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; არ ჰქონდეს ურთიერთობა გარკვეულ პირებთან; არ მოინახულოს

[174] სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 63-67

განსაზღვრული ადგილი; ჩაერთოს სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო და სამკურნალო პროგრამაში და ა.შ. სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში პირს შეიძლება დაეკისროს გარკვეული დისციპლინური სახდელები ან პირობითი მსჯავრი შეეცვალოს თავისუფლების აღკვეთით.

სისხლისსამართლებრივი დევნა

სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალეულად ცნობისთანავე. დევნის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება ან მასზე უარის თქმა ან დაწყებული დევნის შეჩერება, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, განეკუთვნება პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას[175]. პროკურატურა, ზოგადად, წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს და ამ ფუნქციის შესასრულებლად ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას, სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას და სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას[176]. პროკურორი, ასევე, უფლებამოსილია - მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში ან თვითონ აწარმოოს გამოძიება; შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს აღკვეთი ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების, ასევე, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების თხოვნით; შეცვალოს ბრალდება; ბრალდებულთან დადოს საპროცესო შეთანხმება, შეწყვიტოს ან შეაჩეროს სისხლისსამართლებრივი დევნა და სხვა.

განრიდება

მართლმსაჯულების სფეროში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ფაქტზე და განარიდოს პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. კანონმდებლობა განსაზღვრავს პირობებს, თუ რა შემთხვევაში შეუძლია პროკურორს ამ უფლებამოსილების გამოყენება[177]. ეს პირობებია: უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება; დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა; ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება; სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი; საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე.

გარდა ამისა, პროკურორს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება, არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა და გააფორმოს არასრულწლოვანთან ხელშეკრულება განრიდებისა და მედიაციის შესახებ[178]. ამ წესის გამოყენების პირობები განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით[179]. არასრულწლოვნების მიმართ ეს პირობები შეიძლება იყოს ამგვარი: პირმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული; პირს მანამდე არ მიუღია მონაწილეობა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში; იგი აღიარებს დანაშაულს და მზად არის ბოდიში მოიხადოს დაზარალებულის წინაშე; არასრულწლოვანი ან მისი ოჯახი მზად არის აანაზღაუროს ზიანი (გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაზარალებული უარს ამბობს ანაზღაურებაზე). პროკურორის შინაგანი რწმენით, არასრულწლოვნის ჭეშმარტი ინტერესების გათვალისწინებით არ არსებობს დევნის დაწყების ან გაგრძელების საჯარო

[175] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 166-167

[176] სისხლის სამართლის კოდექსი, მ.32-33

[177] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 105 (4), 167-168

[178] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 105 (5),

[179] საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N216 განრიდებისა და მედიაციის შესახებ, პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე

ინტერესი. დაკისრებული ვალდებულება უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული. გაფორმებული ხელშეკრულება შესაძლებელია ითვალისწინებდეს არასრულწლოვნის ვალდებულებებს, მისი ქცევის შეზღუდვას, სხვადასხვა პროგრამაში ჩართვას, დაზარალებულის და მშობლის უფლება-მოვალეობებს. ყველა ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს 12 თვემდე ვადით.

ზოგადად, განრიდებისა და მედიაციის მთავარი პრინციპებია - ალტერნატიული მექანიზმების მაქსიმალურად ხელშეწყობა, ნებაყოფლობითობა, პროპორციულობა, კონფიდენციალობა, სტიგმატიზაციის დაუშვებლობა, არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინება.

დაკავება, აღკვეთის ღონისძიებები და მისი გამოყენების წესი

საქართველოში უზენაესი კანონის - კონტიტუციის დონეზე არის განსაზღვრული ის სამართლებრივი დაცვის მექანიზმები, რაც პირს დაკავებისას გააჩნია. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე[180].

ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არაუგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლად უნდა გათავისუფლდეს[181]. ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს[182].

დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა, რომლის ვადა, ზოგადად, არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს. დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში პირს უნდა გადაეცეს დადგენილება ბრალდებულის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ. დაკავების ვადა ითვლება თავისუფლების აღკვეთის ვადაში[183]. დაკავების უფლება აქვს გამოძიების ჩატარების თაობაზე უფლებამოსილ პირს/ორგანოს, რომელიც ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობებს, აწარმოებს გამოძიებას ან ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას (მაგ. პოლიცია). დაკავება განსხვავდება პატიმრობისგან, რომელიც გამოიყენება აღკვეთის ღონისძიების სახით და აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

გამოძიების მიმდინარეობის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების წესი და პირობები[184]. აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, არ გაანადგუროს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია და აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა.

აღკვეთის ღონისძიებების სახეებია: გირაო; არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა; შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ; პირადი თავდებობა; სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა და პატიმრობა. პირს აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა უნდა შეეფარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ აღნიშნული მიზნების მიღწევა შეუძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენებით. აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

[180] საქართველოს კონსტიტუცია, მ.18 (2)

[181] საქართველოს კონსტიტუცია, მ.18 (3)

[182] საქართველოს კონსტიტუცია, მ.18 (6)

[183] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 170-176

[184] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 198-207

გირაო შეიძლება იყოს ფულადი თანხა ან უძრავი ქონება. გირაოს თანხა არ შეიძლება იყოს 1000 ლარზე ნაკლები. გირაოს შეტანის წინ მისი შემტანი წერილობით უნდა გააფრთხილონ ვალდებულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის შესაძლო შედეგების შესახებ. პირობების დარღვევის შემთხვევაში გირაოს თანხა ჩაირიცხება ბიუჯეტში.

არასრულწლოვანი ბრალდებული შეიძლება გადაეცეს მშობლის, მეურვის, მზრუნველის ან სხვა პირის მეთვალყურეობის ქვეშ. აღნიშნულ პირებს უნდა ეცნობოთ იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც შეიძლება დაეკისროთ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი პირი კვლავ ჩაიდენს ქმედებას, რომლის აღსაკვეთადაც გადაეცა მეთვალყურეობაში. ასეთი პირობის დარღვევის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ მათ დაეკისრებათ ჯარიმა.

პირადი თავდებობისას სანდო პირები იღებენ წერილობით ვალდებულებას, რომ ისინი კისრულობენ პასუხისმგებლობას ბრალდებულის სათანადო ქცევაზე - გამოცხადდება თუ არა ის გამომძიებელთან, პროკურორთან და სასამართლოში. თუ ბრალდებული ჩაიდენს ქმედებას, რომლის აღსაკვეთადაც გამოყენებულ იქნა თავდებობა, თავდებ პირს/პირებს დაეკისრება ჯარიმა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამხედრო მოსამსახურე მისი ქცევისადმი მეთვალყურეობის მიზნით შეიძლება გადაეცეს სამხედრო ნაწილის, შენაერთის, სამხედრო დაწესებულების სარდლობის მეთვალყურეობაში. ზემოთ აღნიშნული არასაპატიმრო აღკვეთი ღონისძიებების პირობების დარღვევის შემთხვევაში, ბრალდებულს შეიძლება შეეფარდოს უფრო მკაცრი ფორმის აღკვეთის ღონისძიება.

აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, თავიდან იქნეს აცილებული ბრალდებულის მიმალვა, ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა და ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა. პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.

სასამართლო ინსტანციები, გასაჩივრების წესი

სასამართლო წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების ერთადერთ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი[185].

საქართველოში არსებობს 3 დონიანი სასამართლო სისტემა, რომელიც ერთიანი საერთო სასამართლოების სისტემის ნაწილია. საქართველოს საერთო სასამართლოებია: რაიონული (საქალაქო) სასამართლო (პირველი ინსტანცია), სააპელაციო სასამართლო და უზენაესი სასამართლო[186].

თუ პირველი ინსტანციით საქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ განიხილავს, მას განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არსებობს მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტი, რომლის ძირითად კომპეტენციასაც განეკუთვნება: ადამიანის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვისა და იძულებით ღონისძიებასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოტანა; ბრალდებულის მიმართ აღკვეთი ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა; გამომძიებლის ან/და პროკურორის უკანონო ქმედების გამო საჩივრის გადაწყვეტა და ა.შ[187]. მსჯავრდებულს უფლება აქვს, სააპელაციო წესით სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანიდან 1 თვის ვადაში. სააპელაციო საჩივარს განიხილავს სააპელაციო სასამართლოს

[185] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ.19

[186] ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მ. 2, 14-33

[187] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ. 20

სააპელაციო პალატა. გასაჩივრების წესსა და პროცედურებს განსაზღვრავს კანონი[188].

მსჯავრდებულს უფლება აქვს, გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 თვის ვადაში საკასაციო წესით უზენაეს სასამართლოში გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც, კასატორის აზრით, უკანონოა. საკასაციო საჩივარს განიხილავს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა. გასაჩივრების წესსა და პროცედურებს განსაზღვრავს კანონი[189]. ასევე, შეიძლება, სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს მიერ გადაიხედოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო[190].

სასამართლო უფლებამოსილია, განაჩენი საპროცესო შეთანხმების საფუძველზე საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოიტანოს. საპროცესო შეთანხმების საფუძველია შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე. სასჯელზე შეთანხმებისას ბრალდებული არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალს, თუმცა ეთანხმება პროკურორს სასჯელის ზომაზე ან მისგან სრულად გათავისუფლებაზე, ხოლო ბრალზე შეთანხმებისას ბრალდებული აღიარებს დანაშაულს[191]. საპროცესოშეთანხმებაიდებაზემდგომპროკურორთანწინასწარიწერილობითიშეთანხმებით. დაუშვებელია საპროცესო შეთანხმების დადება ადვოკატის უშუალო მონაწილეობისა და მის დადებაზე ბრალდებულის წინასწარი თანხმობის გარეშე. დაუშვებელია ისეთი საპროცესო შეთანხმების დადება, რომელიც უზღუდავს ბრალდებულს უფლებას წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევაში მოითხოვოს შესაბამის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება[192]. კანონმდებლობით გათვალისწინებულია საპროცესო შეთანხმების გამოყენების დეტალური პროცედურები[193].

გამოყენებული ლიტერატურა:

- *საქართველოს კონსტიტუცია*
- *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი*
- *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი*
- *საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ*
- *საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N216 განრიდებისა და მედიაციის შესახებ, პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე*

[188] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ. 292-299

[189] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ. 300-309

[190] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ. 310-314

[191] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ. 209

[192] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ. 210

[193] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ. 209-218

თავი 8

პრობაციის, საპატიმრო და არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების ადგილობრივი სტანდარტები

ანტონ ქელბაქიანი
ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის

პრობაციისა და არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების სისტემა, პრობაციისა და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულება 74

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის სისტემა 75

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებები და მოვალეობები 75

პენიტენციური დაწესებულების ტიპები და პატიმართა კატეგორიები 78

დისციპლინური წარმოება, ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების წესი და გასაჩივრების პროცედურები 80

თავისუფლების აღკვეთის სასჯელის მოხდისგან გათავისუფლება 81

გარდამავალი მენეჯმენტი 82

ქვემოთ წარმოდგენილ გზამკვლევში მიმოხილულია პრობაციის, საპატიმრო და არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების ადგილობრივი სტანდარტები, ასევე,

სხვადასხვა სახის ადგილობრივი ნორმატიული აქტი - საქართველოს პატიმრობის კოდექსი, საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ და სხვა ნორმატიული აქტები.

პრობაციისა და არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების სისტემა, პრობაციისა და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულება

პრობაციისა და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების ეროვნული სააგენტო (შემდგომში - პრობაციის ეროვნული სააგენტო) არის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი[194]. პრობაციის ეროვნული სააგენტო შედგება სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოებისგან - პრობაციის ბიუროებისგან, რომელთა მეშვეობით სააგენტო თავის უფლებამოსილების განხორციელებას უზრუნველყოფს[195].

პრობაციის ეროვნული სააგენტო აღასრულებს შემდეგი სახის არასაპატიმრო სასჯელებს - თანამდებობის ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო და თავისუფლების შეზღუდვა. ასევე, პრობაციის ეროვნული სააგენტო აღასრულებს პირობით მსჯავრს (როგორც სასამართლოს პირდაპირი გადაწყვეტილების საფუძველზე, ასევე, მსჯავრდებულის პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებისას) და სასჯელის მოხდისგან გადავადებას (ორსული ქალების მიმართ). გარდა ამისა, პრობაციის ეროვნული სააგენტო ახორციელებს კონტროლს განრიდების სუბიექტის მიერ საზოგადოებისათვის უსასყიდლო სამუშაოს სრულფასოვნად შესრულებაზე.

[194] საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის შესახებ, მ.2-7, 25-44

[195] საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N903 - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესახებ

პირობითი მსჯავრის აღსრულების პროცესში მსჯავრდებული ვალდებულია, დაემორჩილოს სასჯელის მოხდის კანონმდებლობით დადგენილ წესებსა და პირობებს, შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობები და პრობაციის ოფიცრის კანონიერი მოთხოვნები[196]. დადგენილი რეჟიმი მოიცავს პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილ დროსა და ადგილას კვირაში ერთხელ გამოცხადების ვალდებულებას, ასევე, შესაძლოა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობების შესრულებას. ბიუროს უფროსის გადაწყვეტილებით შესაძლებელია უფრო შეღავათიანი რეჟიმის დადგენა.

მსჯავრდებულის მიერ დადგენილი რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში პრობაციის ბიუროს უფლებამოსილი პირი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მსჯავრდებულს დაეკისროს სხვადასხვა სახის სახდელი, რომელიც განსაზღვრულია კანონმდებლობით[197]. რეჟიმის ხშირი დარღვევის შემთხვევაში პირობითი მსჯავრი შეიძლება შეიცვალოს თავისუფლების აღკვეთით და ამის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო პრობაციის ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე.

ქართული კანონმდებლობა, ასევე, ითვალისწინებს პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის ვადაზე ადრე მოხსნის შესაძლებლობას. აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუდმივმოქმედი კომისია გამოსაცდელი ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ან სამოქალაქო შეთანხმების პირობების საფუძველზე. მუდმივმოქმედი კომისიის დაკომპლექტების და საქმიანობის წესს განსაზღვრავს კანონი[198].

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის სისტემა

საქართველოში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის სისტემაში შედის სასჯელაღსრულების დეპარტამენტი და მის დაქვემდებარებაში არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები. დეპარტამენტი არის სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება[199].

დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებებია: პატიმრობის დაწესებულება, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება. შესაძლებელია შეიქმნას შერეული ტიპის დაწესებულებებიც.

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებები და მოვალეობები

პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აქვთ უფლებები და მოვალეობები[200].

ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებებია: უზრუნველყოფილი იყოს საცხოვრებელი სადგომით, კვებით, პირადი ჰიგიენით, ტანსაცმლით, შრომით, შრომისა და პირადი უსაფრთხოებით; სამედიცინო მომსახურებით; ახლო ნათესავებთან შეხვედრით (პაემნით); დამცველთან, დიპლომატიური წარმომადგენლობის, საკონსულო დაწესებულებისა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებთან (უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის) შეხვედრით; სატელეფონო საუბრებითა და მიმოწერით; ამანათებისა და ფულადი გზავნილების მიღება-გაგზავნით; უფასო იურიდიული დახმარებითა და სამართლებრივი კონსულტაციებით.

[196] საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის შესახებ, მ.11

[197] საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის შესახებ, მ.12

[198] საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის შესახებ, მ.67[1]

[199] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ. 6-12

[200] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ. 13-46

მათ, ასევე, უფლება აქვთ: მიიღონ ზოგადი და პროფესიული განათლება; მონაწილეობა მიიღონ სპორტულ, კულტურულ, აღმზრდელობით და რელიგიურ ღონისძიებებში; მიიღონ ინფორმაცია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით; ისარგებლონ მხატვრული და სხვა ლიტერატურით; ეწეოდნენ ინდივიდუალურ საქმიანობას; შეიტანონ მოთხოვნა და საჩივარი; ყოველდღიურად არანაკლებ 1 საათისა იმყოფებოდნენ სუფთა ჰაერზე; განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით დროებით დატოვონ დაწესებულება; ცალკე მსჯავრდებულს დამატებით უფლება აქვს ისარგებლოს სარეაბილიტაციო პროგრამებით და დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით.

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მოვალეობას წარმოადგენს დაიცვან დაწესებულების დებულება და ადმინისტრაციის კანონიერი მოთხოვნები, პირადი ჰიგიენა, სუფთად და წესრიგში იქონიონ ტანსაცმელი, საწოლი და საცხოვრებელი სადგომი.

მიზანშეწონილია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ზოგიერთი უფლება უფრო დეტალურად მიმოვიხილოთ.

<u>პატიმართა საცხოვრებელი პირობები,</u> მათი სადგომი სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს უნდა შეესაბამებოდეს. საკანი უნდა იყოს იმ ზომის, რომ უზრუნველყოფდეს ბუნებრივ ვენტილაციას და განათებას. საქართველოს კანონმდებლობით თითოეული პატიმრის მინიმალური საცხოვრებელი ფართი დაწესებულების ტიპების მიხედვით უნდა იყოს 4 კვ.მეტრზე ნაკლები, პატიმრობის დაწესებულებაში ბრალდებულთა მიმართ კი - 3 კვ. მეტრზე ნაკლები. ორსულ ქალებს, მეძუძურ დედებს, არასრულწლოვნებს და სხვა მოწყვლად ჯგუფებს უნდა შეექმნათ გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები.

<u>მიმოწერის უფლება</u> გარესამყაროსთან ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა, რომლის შეზღუდვა დაუშვებელია. გამონაკლის შემთხვევაში, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, პროკურორს/გამომძიებელს უფლება აქვს ბრალდებულს შეუზღუდოს მიმოწერა. თუმცა, ადმინისტრაციას ეკრძალება შეაჩეროს ან შეამოწმოს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერმინისტრის, საქართველოს პარლამენტის წევრის, სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს, საერთაშორისო ორგანიზაციის, *(რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე),* საქართველოს სამინისტროს, დეპარტამენტის, საქართველოს სახალხო დამცველის, დამცველის, პროკურორის სახელზე გაგზავნილი ბრალდებულის/მსჯავრდებულის ნებისმიერი სახის მიმოწერა.

<u>პაემნის უფლება</u> ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა იმისთვის, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ჰქონდეს კავშირი გარესამყაროსთან. საქართველოს კანონმდებლობა იცნობს პაემნის სხვადასხვა ფორმას - ხანმოკლე პაემანი, ხანგრძლივი პაემანი[201], ვიდეოპაემანი[202] და საოჯახო პაემანი.

ხანმოკლე პაემანი ეწყობა 1-2 საათამდე ვადით და შეუძლია ისარგებლოს როგორც ბრალდებულმა, ასევე მსჯავრდებულმა. თუმცა ბრალდებულის მიმართ აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს პროკურორის/გამომძიებლის გადაწყვეტილებით. კანონმდებლობა განსაზღვრავს პირთა წრეს, ვისთანაც შეუძლია ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეხვედრა. დაწესებულების ტიპებისა და პატიმართა კატეგორიების მიხედვით, ასევე, გასაზღვრულია ყოველთვიურად ხანმოკლე პაემნების რაოდენობა.

ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ მსჯავრდებულს. ვიდეოპაემანი არის მსჯავრდებულის ურთიერთობა ნებისმიერ პირთან პირდაპირი ხმოვანი და ვიზუალური ტელეხიდის მეშვეობით. ვიდეოპაემნის ხანგრძლივობა არის 15 წუთი და წარმოადგენს ფასიან

[201] საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N42 მსჯავრდებულთა ხანგრძლივი პაემნის განხორციელების თაობაზე

[202] საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N55 მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნით სარგებლობის წესის დამტკიცების თაობაზე

მომსახურებას. ვიდეოპაემნით სარგებლობა ეზღუდებათ მხოლოდ იმ მსჯავრდებულებს, რომლებსაც აქვთ მოქმედი დისციპლინური ან ადმინისტრაციული სახდელი. ვიდეოპაემნით სარგებლობის წესი, ღირებულება და პროცედურები დარეგულირებულია მინისტრის ბრძანებით.

ხანგრძლივი პაემანი არის კანონმდებლობით განსაზღვრულ პირებთან ერთად მსჯავრდებულის ცხოვრება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. ხანგრძლივი პაემანი გრძელდება 23 საათი და წარმოადგენს ფასიან მომსახურებას. ხანგრძლივი პაემნით სარგებლობა ეზღუდებათ მხოლოდ იმ მსჯავრდებულებს, რომლებსაც აქვთ მოქმედი დისციპლინური ან ადმინისტრაციული სახდელი. ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის წესი, ღირებულება და პროცედურები დარეგულირებულია მინისტრის ბრძანებით. ასევე, დაწესებულების ტიპების და პატიმართა კატეგორიების მიხედვით კანონმდებლობით განსაზღვრულია ხანგრძლივი პაემნების რაოდენობა.

საოჯახო პაემანი არის კანონმდებლობით განსაზღვრულ პირებთან ქალი მსჯავრდებულების შეხვედრა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. საოჯახო პაემანი გრძელდება არაუმეტეს 3 საათისა. საოჯახო პაემნით სარგებლობის წესი და პროცედურები დარეგულირებულია მინისტრის ბრძანებით.

ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს <u>*სატელეფონი საუბრის უფლება.*</u> სატელეფონო საუბარი ხორციელდება საკუთარი ხარჯითა და ადმინისტრაციის კონტროლით. დაწესებულების ტიპებისა და პატიმართა კატეგორიების მიხედვით კანონმდებლობით განსაზღვრულია ყოველთვიურად სატელეფონო საუბრების რაოდენობა. ბრალდებულს შეიძლება შეეზღუდოს სატელეფონო საუბრის უფლება გამომძიებლის/პროკურორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს უფლება აქვთ გაეცნონ <u>*პრესას, ჰქონდეთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა*</u> <u>გამოყენების შესაძლებლობა.</u> დაწესებულებაში, როგორც წესი, ხდება რადიო და ტელეტრანსლაცია, ასევე, შესაძლებელია ინტერნეტით სარგებლობა. ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ გამოიწერონ სამეცნიერო, რელიგიური და მხატვრული ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები. მათ, ასევე, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ საკუთარი სახსრებით შეიძინონ ტელევიზორი და რადიომიმღები.

ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს უფლება უნდა ჰქონდეთ <u>დაიცვან *ჰიგიენა*</u> პატივისა და ღირსების შეულახავად. ისინი უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ შხაპის მიღებით (კვირაში მინიმუმ ორჯერ) და საპარიკმახერო მომსახურებით.

თუ მსჯავრდებულს/ბრალდებულს არა აქვს <u>*პირადი ტანსაცმელი,*</u> <u>მას უნდა გადაეცეს სეზონის შესაფერისი სამოსი,</u> რომელიც არ უნდა ლახავდეს პირის პატივსა და ღირსებას. ბრალდებულს/მსჯავრდებულს პირად სარგებლობაში უნდა ჰქონდეს *საწოლი და თეთრეული,* რომელიც უნდა იყოს სუფთა და დაუზიანებელი.

ბრალდებული/მსჯავრდებული ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ყოველდღიურად <u>*სამჯერადი კვებით.*</u> კვების ნორმები განისაზღვრება მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით[203]. ორსულ ქალებს, მეძუძურ დედებს, არასრულწლოვნებს, ავადმყოფებს, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ხანდაზმულებს უნდა შეექმნათ მათი მდგომარეობის შესაბამისი კვების პირობები. სუფთა სასმელი წყლის მიწოდება უნდა ხდებოდეს შეუზღუდავად.

ბრალდებულის/მსჯავრდებულის <u>*სამედიცინო მომსახურება*</u> უნდა ხორციელდებოდეს ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დადგენილი სამედიცინო მომსახურების

[203] საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N87-83/ნ - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ

მოთხოვნების შესაბამისად[204]. დაწესებულებაში მისვლისთანავე ბრალდებულმა/ მსჯავრდებულმა უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება. თუ პირის მკურნალობა არ შეიძლება განხორციელდეს კონკრეტული დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში, მაშინ იგი გადაყვანილ უნდა იქნეს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ან საერთო პროფილის სამოქალაქო საავადმყოფოში.

ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეიძლება მიეცეს უფლება, *განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით დატოვოს დაწესებულება*, თუ მიღებულია სარწმუნო ცნობა მისი ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სიცოცხლისათვის საშიში ავადმყოფობის თაობაზე[205]. მსჯავრდებულისთვის აღნიშნული უფლების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დეპარტამენტის თავმჯდომარე და არ უნდა აღემატებოდეს 3 დღეს, ხოლო ბრალდებულისთვის აღნიშნული უფლების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს გამომძიებელი/პროკურორი და არ უნდა აღემატებოდეს 2 დღეს. განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით დაწესებულების დატოვების წესი რეგულირდება მინისტრის ბრძანებით.

მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში და რომლის მიმართაც არ მოქმედებს დისციპლინური სახდელი ან ადმინისტრაციული პატიმრობა, უფლება აქვს, წელიწადში ორჯერ ისარგებლოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების *გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით.* არასრულწლოვნებს, აგრეთვე, ფეხმძიმე ქალებს და 3 წლამდე ბავშვების დედებს უფლება აქვთ, წელიწადში სამჯერ ისარგებლონ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით. ხანმოკლე გასვლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის აღსრულების წესი დეტალურად არის რეგულირებული მინისტრის ბრძანებით[206].

პენიტენციური დაწესებულების ტიპები და პატიმართა კატეგორიები

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში არის შემდეგი ტიპის დაწესებულებები - პატიმრობის დაწესებულებები, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებები. შესაძლებელია, ასევე, შერეული ტიპის დაწესებულებებიც შეიქმნას.

პატიმრობის დაწესებულება არის დახურული, განსაკუთრებულად დაცული, სასაკნე ტიპის დაწესებულება, რომლის მიზანია ბრალდებულის იზოლაცია აღკვეთი ღონისძიების აღსრულების მიზნით. პატიმრობის აღსრულების წესი და პროცედურები დეტალურად არის რეგულირებული კანონმდებლობით[207].

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებია: დაბალი რისკის თ/აღკვეთის დაწესებულება, ნახევრად ღია ტიპის თ/აღკვეთის დაწესებულება, დახურული ტიპის თ/აღკვეთის დაწესებულება, განსაკუთრებული რისკის თ/აღკვეთის დაწესებულება, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება და ქალთა სპეციალური დაწესებულება[208].

---

[204] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ. 119-122

[205] საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N160 პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებითი დატოვების, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის აღსრულების წესის განსაზღვრის თაობაზე

[206] საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N160 პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებითი დატოვების, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის აღსრულების წესის განსაზღვრის თაობაზე

[207] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ.73-79

[208] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ. 10 -12[3]

დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი და სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულის მოთავსება ხდება მისი წერილობითი თანხმობით. მსჯავრდებული თანახმა უნდა იყოს შეასრულოს დაწესებულებაში დადგენილი ვალდებულებები - ისწავლოს ან/და იმუშაოს, მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების მიერ შეთავაზებულ სარეაბილიტაციო აქტივობებში. ამ ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულთა უფლებები, მოვალეობები და სასჯელის აღსრულების წესი დეტალურად არის დარეგულირებული კანონმდებლობით[209].

ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულები განთავსებულნი არიან საერთო საცხოვრებელში, სადაც მათი ან სხვა პირების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/ და ელექტრონული მეთვალყურეობა. ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, როგორც წესი, სასჯელს იხდის: პირი, რომელიც მსჯავრდებულია ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულისათვის და რომლისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა არ აღემატება 10 წელს; ქალი, რომელსაც სასჯელის სახით შეფარდებული აქვს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში სასჯელის მოხდის წესი, მსჯავრდებულთა უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია კანონმდებლობით[210].

დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულები განთავსებულნი არიან სპეციალურ საკნებში, სადაც მათი ან სხვა პირების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/ და ელექტრონული მეთვალყურეობა. დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, როგორც წესი, სასჯელს იხდის: პირი, რომელიც პირველად არის მსჯავრდებული განზრახი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის და სასამართლოს მიერ განესაზღვრა 10 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა; განზრახი დანაშაულისათვის არაერთგზის ნასამართლევი პირი, უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი და ადრე ნასამართლევი პირი, რომლებსაც სასჯელის სახით განსაზღვრული ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა. ამ ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულთა უფლებები, მოვალეობები და სასჯელის აღსრულების წესი კანონით რეგულირდება[211].

ქალთა სპეციალური დაწესებულება არის განსაკუთრებულად დაცული და შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა. დაწესებულებაში განთავსებულნი არიან ქალი, მათ შორის, არასრულწლოვანი ქალი მსჯავრდებულები. არასრულწლოვან ქალ მსჯავრდებულებზე ვრცელდება იგივე პირობებები, რაც დადგენილია არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულებისათვის. ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მსჯავრდებულები, როგორც წესი, განთავსებულნი არიან სპეციალურ საკნებში. ქალთა სპეციალური დაწესებულება გათანაბრებულია ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებასთან. ქალ მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდის თავისებურებები განსაზღვრულია კანონმდებლობით[212].

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება განსაკუთრებულად დაცულია და სპეციალური დამცავი ზღუდეებით არის გარშემორტყმული. იქ უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არ შეიძლება შეიარაღებული დაცვის გამოყენება. არასრულწლოვანთა დაწესებულებაში სასჯელის მოხდის თავისებურებები კანონმდებლობით რეგულირდება[213].

---

[209] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ. 60^1-60^3

[210] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ. 61-63

[211] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ. 64-66

[212] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ. 72

[213] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ. 67-71^1

<u>განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება</u> არის განსაკუთრებულად დაცული, როგორც შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, ისე სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული. ამ დაწესებულებაში ტარდება უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები და უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელს იხდიან საშიშროების მაღალი რისკის მქონე პირები, რომელთა პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი ან/და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას ან მათ გარშემომყოფთ, აგრეთვე, საზოგადოების, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცავი ორგანოების უსაფრთხოებას. ამ ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულთა უფლებები, მოვალეობები და სასჯელის აღსრულების წესი დარეგულირდება კანონით[214].

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, როგორც წესი, განცალკევებით უნდა მოთავსდნენ: ქალები; არასრულწლოვნები; პირველადი მსჯავრდებულები; პირები, რომელთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეიძლება საფრთხე შეექმნას წარსული საქმიანობიდან გამომდინარე; განსაკუთრებით საშიში პირები, რომელთა პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისა და მათ გარშემომყოფთა უსაფრთხოებას[215].

დისციპლინური წარმოება, ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების წესი და გასაჩივრების პროცედურები

დისციპლინურ დარღვევად მიიჩნევა ქმედება, რომელიც არღვევს პენიტენციური დაწესებულების დებულებას, ზიანს აყენებს წესრიგსა და უსაფრთხოებას და არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. კანონმდებლობით განსაზღვრულია, ასევე, დისციპლინური დარღვევების კონკრეტული ჩამონათვალი[216]. გამოყენებული დისციპლინური სახდელი უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენება დაიშვება მხოლოდ დისციპლინური სამართალწარმოების საფუძველზე, სადაც კანონმდებლობით განსაზღვრულია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამართლებრივი დაცვის გარანტიები *(მისთვის გასაგებ ენაზე ეცნობოს დარღვევის არსი და საფუძველი, ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალება დაცვის მოსამზადებლად, ისარგებლოს იურიდიული დახმარებით და ა.შ.).*

დისციპლინური სახდელის სახეებია: გაფრთხილება; საყვედური; მუშაობის უფლების შეზღუდვა; ნებადართული ნივთებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა; ამანათისა და გზავნილის მიღების შეზღუდვა; საკნის ტიპის სადგომში გადაყვანა; სამარტოო საკანში მოთავსება; სატელეფონო საუბრის შეზღუდვა; ფულადი გზავნილების მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა და ხანმოკლე პაემნის აკრძალვა. ორსული ქალების, მცირეწლოვანი დედებისა და 65 წელს გადაცილებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმართ არ გამოიყენება საკნის ტიპის სადგომში გადაყვანა და სამარტოო საკანში მოთავსება, ხოლო არასრულწლოვნების მიმართ არ გამოიყენება სამარტოო საკანში მოთავსება.

დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში, *ადმინისტრაციული პატიმრობა*[217] შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მსჯავრდებულის მიმართ. ადმინისტრაციული პატიმრობა

[214] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ.66^{1}-66^{5}

[215] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ.50

[216] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ.80-89

[217] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ.90-94

ერთდროულად შეიძლება დაინიშნოს არაუმეტეს 60 დღე-ღამის ვადით, ხოლო 1 წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 90 დღე-ღამეს. ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება დაენიშნოთ ორსულ ქალებსა და არასრულწლოვნებს. ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო და იგი არ ითვლება მსჯავრდებულის სასჯელის ვადაში. კანონმდებლობით განსაზღვრულია ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების დეტალური პროცედურები, სადაც განსაზღვრულია მსჯავრდებულთა სამართლებრივი დაცვის გარანტიები[218].

ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს *მოთხოვნისა და საჩივრის* შეტანის უფლება[219]. მოთხოვნის საფუძველზე ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუძლია ისეთი უფლებების მინიჭების მოთხოვნა, რომლის მინიჭებაც ადმინისტრაციის დისკრეციას განეკუთვნება. საჩივრის შეტანის საფუძველი შეიძლება იყოს სასჯელაღსრულების სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი თანამშრომლის ქმედება, სამართლებრივი აქტი, გადაწყვეტილება ან უფლების სხვაგვარი ხელყოფა. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ გაგზავნილი საჩივარი არის კონფიდენციალური და მისი კონტროლი დაუშვებელია. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს მოთხოვნით ან საჩივრით მიმართოს დაწესებულების ადმინისტრაციას, დეპარტამენტის თავმჯდომარეს, სახალხო დამცველს ან სხვა ნებისმიერ უფლებამოსილ პირს/ორგანოს. წამებასთან, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრები განეკუთვნება განსაკუთრებულ შემთხვევას და განხილულ უნდა იქნეს დაუყოვნებლად. ყველა დაწესებულებაში უნდა განთავსდეს საჩივრის ყუთები, რომლებიც უნდა უზრუნველყოფდნენ მოთხოვნის/საჩივრის გაგზავნის კონფიდენციალურობას. კანონმდებლობით, ასევე, განსაზღვრულია მოთხოვნის/საჩივრის გაგზავნისას ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამართლებრივი დაცვის სხვა დამატებითი გარანტიები.

თავისუფლების აღკვეთის სასჯელის მოხდისგან გათავისუფლება

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან მსჯავრდებულის გათავისუფლება შესაძლებელია: სასჯელის მოხდის შემდეგ; სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას; სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლისას; ამინისტიით ან შეწყალებით; ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო; სასამართლოს მიერ განაჩენის აღსრულების გადავადების შემთხვევაში[220].

<u>სასჯელის მოხდის შემდეგ</u> მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდის დამთავრების წინა დღეს. თუ გათავისუფლების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მსჯავრდებული თავისუფლდება წინა სამუშაო დღეს.

<u>ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო</u> სასჯელის მოხდისგან მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა (შემდგომში - სამინისტრო) და შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ, საექიმო დასკვნის საფუძველზე. შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო ბრძანებით განსაზღვრავს ჩამონათვალს იმ დაავადებებისას, რომლებიც წარმოადგენს გათავისუფლების საფუძველს[221].

---

[218] საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N3 - მსჯავრდებულის მიერ ადმინისტრაციული პატიმრობის მოხდის წესის, მსჯავრდებულისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების ტიპური ფორმისა და მსჯავრდებულის მოძრაობის ბარათის ფორმის დამტკიცების თაობაზე

[219] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ.95-109

[220] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ. 37-40 / სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ.284-286 / სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 72-79

[221] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N01-6/ნ - იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელიც წარმოადგენს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საფუძველს

<u>მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების თაობაზე</u> გადაწყვეტილებას იღებენ სამინისტროს ადგილობრივი საბჭოები. ადგილობრივი საბჭოების საქმიანობაზე ზედამხედველობას აწარმოებს სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია. მუდმივმოქმედი კომისიის, ადგილობრივი საბჭოების საქმიანობისა და დაკომპლექტების წესს, ასევე, ადგილობრივი საბჭოების რაოდენობას განსაზღვრავს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი (შემდგომში - მინისტრი)[222].

მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მან, ფაქტობრივად, მოიხადა: *ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის* მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი; *მძიმე დანაშაულისათვის* მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი; *განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის* მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ სამი მეოთხედი.

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა შემთხვევაში კი მაშინ, თუ მან, ფაქტობრივად, მოიხადა: *ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის* მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი; *მძიმე დანაშაულისათვის* მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი; *განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის* მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.

მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთისგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან მოიხადა თავისუფლების აღკვეთის 25 წელი.

<u>სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის თაობაზე</u> გადაწყვეტილებას, ასევე, იღებენ ადგილობრივი საბჭოები კანონმდებლობით დადგენილი საერთო წესით.

<u>განაჩენის აღსრულების გადავადების თაობაზე,</u> სასამართლო-სამედიცინო კომისიის დასკვნის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. განაჩენის აღსრულების გადავადება შეიძლება შემდეგი საფუძვლების არსებობისას: მსჯავრდებული დაავადებულია მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას მის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე; მსჯავრდებული განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულადაა – მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე.

<u>ამინისტიას</u> აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ. ამინისტიის თაობაზე გადაწყვეტილებას პარლამენტი იღებს კანონის მიღების გზით.

საქართველოს პრეზიდენტი <u>შეწყალებას</u> ახორციელებს ინდივიდუალურად განსაზღვრული პირის მიმართ.

გარდამავალი მენეჯმენტი

როგორც უკვე აღინიშნა, სასჯელის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. რესოციალიზაცია მიიღწევა მსჯავრდებულების საჭიროებებიდან გამომდინარე, მათი საგანმანათლებლო[223], სარეაბილიტაციო[224], სპორტულ და დასაქმების[225] პროგრამებში აქტიური ჩართვით, რა დროსაც უნდა მოხდეს იმ რისკფაქტორების დაწევა, რის გამოც პირი აღმოჩნდა კანონთან კონფლიქტში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ

[222] საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N151 - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ / საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N185 - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

[223] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ.113-115

[224] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ.116-118

[225] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ.110-112

რესოციალიზაციის პროცესი არ მთავრდება პენიტენციური დაწესებულების კარებთან - არანაკლებ მნიშვნელოვანი პროცესი იწყება მისი გათავისუფლების შემდეგ. ზუსტად ამ მიზნით, მნიშვნელოვანია მსჯავრდებულის მომზადება გათავისუფლებისათვის, მისი გათავისუფლების შემდეგ პრობაციის სისტემაში *(იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება პირობითი მსჯავრი, ან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას)* რესოციალიზაციის და, ზოგადად, საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესის ეფექტურად გაგრძელება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- *საქართველოს პატიმრობის კოდექსი*
- *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი*
- *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი*
- *საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის შესახებ*
- *საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N903 - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესახებ*
- *საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N151 - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ*
- *საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N185 - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ*
- *საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N01-6/ნ - იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელიც წარმოადგენს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საფუძველს*
- *საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N3 - მსჯავრდებულის მიერ ადმინისტრაციული პატიმრობის მოხდის წესის, მსჯავრდებულისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების ტიპური ფორმისა და მსჯავრდებულის მოძრაობის ბარათის ფორმის დამტკიცების თაობაზე*
- *საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N87-83/ნ - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ*
- *საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N160 პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებითი დატოვების, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის აღსრულების წესის განსაზღვრის თაობაზე*
- *საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N42 მსჯავრდებულთა ხანგრძლივი პაემნის განხორციელების თაობაზე*
- *საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება N55 მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნით სარგებლობის წესის დამტკიცების თაობაზე*

თავი 9

სოციალური მუშაობის ინსტიტუტის განვითარება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში: ინსტიტუციური ჩარჩო, არსებული პროგრამები და მომსახურებები - ქართული კონტექსტი

სალომე ნამიჭეიშვილი, MSW, PhDc,
ასისტენ-პროფესორი სოციალური მუშაობის მიმართულებით,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, დამფუძნებელი

შესავალი 85

სოციალური მუშაობის ინსტიტუტის განვითარება საქართველოში 85

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის სახელმწიფო უწყებების მიმოხილვა და არსებული ინსტიტუციური ჩარჩო 86

- სასჯელაღსრულების დეპარტამენტი 86
- პრობაციის ეროვნული სააგენტო 87
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი 88
- დანაშაულის პრევენციის ცენტრი 88
- პროკურატურა 89

სოციალური მუშაობა პრობაციის სისტემაში 90

- სოციალური მუშაკის ძირითადი საქმიანობები და ფუნქციები 90
- რისკებისა და საჭიროებების შეფასება და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა ... 92
- სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება პრობაციის სისტემაში 93

სოციალური მუშაობა სასჯელაღსრულების სისტემაში 94

- არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რისკების შეფასება, სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა და სოციალური მუშაკის როლი 94
- რისკისა და საჭიროების შეფასებისა და ინდივიდუალური სასჯელის დაგეგმვის დანერგვა ზრდასრულ მსჯავრდებულებთან 96

სოციალური მუშაობა დანაშაულის პრევენციის მიმართულებით 98

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა და სოციალური მუშაობა 99

- პროკურორი 100
- სოციალური მუშაკი 100
- არასრულწლოვანი 101
- კანონიერი წარმომადგენელი 101
- მედიატორი 101
- დაზარალებული 102

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური 102

შესავალი

წინამდებარე თავი მოკლედ მიმოიხილავს სოციალური მუშაობის ინსტიტუტის განვითარებას საქართველოში: სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებს, მათ ძირითად მანდატსა და საქმიანობის მიმართულებებს, ასევე, სოციალური მუშაობის როლს პრობაციის, სასჯელაღსრულებისა და დანაშაულის პრევენციის სფეროებში. აღსანიშნავია, რომ ის ინსტიტუციური გარემო, რომელიც ამ სფეროში სოციალურ მუშაობას არეგულირებს, ახალბედაა. ზოგადად, ინსტიტუციური გარემო იშვიათადაა გაყინული და განიცდის ცვლილებასა და განვითარებას. მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებების კონტექსტში ყველა აქტორისთვის მთავარ ამოცანად რჩებოდეს მართლმსაჯულების პროცესებში ადამიანზე ორიენტირებული მხარდამჭერი მექანიზმების ეფექტურად განხორციელებისთვის აუცილებელი ინსტიტუტების ადეკვატურობა და ამ ინსტიტუტების განვითარებისათვის საჭირო მექანიზმებისა და რესურსების განვითარება.

სოციალური მუშაობის ინსტიტუტის განვითარება საქართველოში

საქართველოში უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა სოციალური მუშაკების როლის აღიარება. სოციალური მუშაკების ბენეფიციარები ბავშვთა კეთილდღეობის, პრობაციისა და სასჯელაღსრულების, ჯანდაცვის, განათლების, ოჯახური ძალადობისა და ტრეფიკინგის სფეროებში იბრძვიან სირთულეების გადასალახავად და მათი ცხოვრებისეული პერსპექტივების რეალიზებისთვის. სოციალური მუშაკებისა და მათი ბენეფიციარების ეს ძალისხმევა კიდევ უფრო გართულებულია ეკონომიკური კრიზისის, სიღარიბისა და უთანასწორობის გამო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სოციალური მუშაობა ახალბედა პროფესიაა. იგი განვითარდა ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების პარალელურად. საბჭოთა კავშირის დაშლამ შედეგად მოიტანა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის რღვევა. საერთაშორისო კონტექსტში სოციალური მუშაობა სიღარიბისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების ფონზე აღმოცენდა და, ამ მხრივ, არც ქართული რეალობა წარმოადგენს გამონაკლისს. 1990-იანი წლების მიწურულს არასამთავრობო სექტორმა საქართველოში დაიწყო სოციალური მუშაობის ცნების დანერგვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. სოციალური მუშაობის პრაქტიკის განვითარების მიმართულებით პიონერი სფეროა ბავშვთა კეთილდღეობა და დაცვა. სწორედ ბავშვზე ზრუნვის სისტემის დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმის ფარგლებში მოხდა სოციალური მუშაკის ინსტიტუტის დანერგვა და ბავშვებსა და ოჯახებთან მომუშავე სოციალური მუშაობის პილოტირება და განვითარება.

2004 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, რომელიც დაარსების დღიდან მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროფესიის განვითარებაში. შეიქმნა სოციალური მუშაობის პროფესიის ეთიკის კოდექსი და პრაქტიკის სტანდარტები. 2006 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ამოქმედდა აკადემიური (საბაკალავრო, სამაგისტრო) პროგრამები სოციალურ მუშაობაში. სოციალური მუშაობა ნელ-ნელა ვითარდება სხვადასხვა სფეროსა და მიზნობრივ ჯგუფთან.

რაც შეეხება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს, აქაც სწორედ ბავშვთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში დაიწყო სოციალური მუშაობის ინსტიტუტის დანერგვა 2009 წლიდან. 2012 წლის სექტემბერში ქვეყანაში განვითარებული მოვლენების საპასუხოდ (საქართველოს ციხეებში პატიმართა წამების ამსახველი ვიდეოკადრების გავრცელება, რასაც მოჰყვა მძლავრი საპროტესტო აქციები და ადამიანის უფლებები კვლავ პოლიტიკური დღის წესრიგის სათავეში მოექცა) საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა პოლიტიკის დღის წესრიგში დაეყენებინა პენიტენციური სფეროს ჰუმანიზაცია, რაშიც სოციალური მუშაობის ინსტიტუტის დანერგვა-განვითარების მნიშვნელობის აღიარება გარდაუვალი გახდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოში სასჯელთა აღსრულების სისტემა ათეულობით წლების მანძილზე გამოირჩეოდა მკაცრი სადამსჯელო ბუნებით, ქვეყანაში არ არსებობს სასჯელის მოხდისას სარეაბილიტაციო და რესოციალიზაციის მიდგომების ტრადიცია და გამოცდილება. განსაკუთრებით მძიმე პრაქტიკა არსებობდა საპატიმრო სასჯელთა აღსრულების სისტემაში. მხოლოდ დასჯაზე ორიენტირებულმა პრაქტიკამ დაამკვიდრა უნდობლობაზე დამყარებული გარემო, მძიმე ტრავმული გამოცდილება როგორც პატიმრებს, ისე სასჯელის აღმასრულებელი ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის და შექმნა რთული გამოწვევები უკანასკნელ წლებში სასჯელაღსრულების სისტემაში მოხვედრილ პირთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისთვის.

საქართველო აღიარებს საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ სისხლის სამართლის სფეროში სარეაბილიტაციო მიდგომების დამკვიდრებასა და გაძლიერებასთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობამ გამოხატა მზადყოფნა შექმნას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. საქართველო, როგორც გაეროსა და ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა, ისწრაფვის, სრულად გაითვალისწინოს ამ საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი ქვეყნების მიერ აღიარებული რეკომენდაციები პატიმრობის აღსრულების, პრობაციის, ამ სფეროში დასაქმებული პერსონალის მომზადებისა და დაცვის შესახებ.

ევროპული სტანდარტების შესაბამისი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია სოციალური მუშაობის ინტეგრირება ამ სფეროში. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში ნელ-ნელა ხდება სოციალური მუშაკის როლის გააზრება სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე. ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების პროცესებში ადამიანზე ორიენტირებული მხარდამჭერი მექანიზმების ეფექტურად ასამუშავებლად. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სოციალური მუშაკის ინსტიტუტის დანერგვა სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემაში გამოწვევებით აღსავსე პროცესია, რადგან ამ ინსტიტუტის მთავარი ამოცანაა სისტემის ჰუმანიზაცია, ხოლო სისტემაში არსებული მძიმე ტრადიციებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რთულად ხდება სოციალური მუშაობის პროფესიული მანდატის გათავისება და მისთვის კუთვნილი ადგილის მინიჭება პროფესიული ღირებულებებისა და პრინციპების დაცვით.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის სახელმწიფო უწყებების მიმოხილვა და არსებული ინსტიტუციური ჩარჩო

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მთავარი სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებია: საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო და პროკურატურა.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაქვემდებარებაში, თავის მხრივ, შედის: ა) სასჯელაღსრულების დეპარტამენტი; ბ) პრობაციის ეროვნული სააგენტო; გ) სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი.

იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალი ერთ-ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირია დანაშაულის პრევენციის ცენტრი.

საყურადღებოა თითოეული ამ სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიმოხილვა.

- **სასჯელაღსრულების დეპარტამენტი**

სასჯელაღსრულების დეპარტამენტი წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საქვეუწყებო დეპარტამენტს. დეპარტამენტის სტრუქტურაში შედის

ცენტრალური აპარატი და სასჯელაღსრულების დაწესებულებები. სასჯელაღსრულების დაწესებულებები კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის, კერძოდ: ა) პატიმრობის დაწესებულებები; ბ) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები - დახურული ტიპის, ნახევრად ღია ტიპის, ქალთა სპეციალური და არასრულწლოვანთა სპეციალური; გ) სამკურნალო დაწესებულებები.

სასჯელაღსრულების სისტემაში დღესდღეობით 15 სხვადასხვა ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულება შედის, მათ შორის: 2 სამკურნალო, 1 არასრულწლოვანთა სპეციალური და 1 ქალთა სპეციალური დაწესებულება. დაწესებულებების უმრავლესობა წარმოადგენს შერეული ტიპის დაწესებულებას, რომელიც განლაგებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. მათი უმეტესობა განთავსებულია აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც 12 დაწესებულებაა, ხოლო 3 დაწესებულება დასავლეთ საქართველოშია.

აღკვეთი ღონისძიების სახით (პატიმრობისა და სასჯელის სახით) სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ფუნქციას წარმოადგენს, მის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებების მეშვეობით, ვადიანი და უვადო თავისუფლების აღკვეთის აღსრულება.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ შემდეგი დოკუმენტები: სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დებულება; სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები; პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრის დებულებები.

- **პრობაციის ეროვნული სააგენტო**

არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც შექმნილია „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საზედამხედველო ფუნქცია, ასევე, პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია და დანაშაულის პრევენცია.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს პრობაციის სისტემის სრული რეფორმირება წარმოადგენს. რეფორმის მიზანია პრობაციის სისტემის გაძლიერება არასაპატიმრო სასჯელების ინტენსიური და ეფექტური გამოყენების, პრობაციონერების რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის გზით. აღნიშნულ პროცესში სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად პრობაციონერთა რეაბილიტაციის პროგრამებში აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო საზოგადოება, არასამთავრობო სექტორი და ეკლესია.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს შემადგენლობაში შედის ტერიტორიული ორგანოები - პრობაციის ბიუროები. საქართველოს ყველა რეგიონში ფუნქციონირებს პრობაციის ბიუროები.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ შემდეგი დოკუმენტები: არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულება; პრობაციის ბიუროს ტიპური დებულება; პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრატეგიული განვითარების გეგმა, 2014.

- **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის მიზანია სამინისტროს სისტემაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის ხელშეწყობა, სამინისტროს სისტემაში დასაქმებული საჯარო მოხელეების, პერსონალის ან დასაქმების სურვილის მქონე პირთა მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. სასწავლო ცენტრის ძირითადი ფუნქციებია: სამინისტროს სისტემაში დასაქმებული პერსონალის ან დასაქმების სურვილის მქონე პირთათვის შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავება, მათი გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება; სასწავლო პროგრამების მონაწილეთა ტესტირება; ტრენერთა ჯგუფის ჩამოყალიბება და კოორდინირება; ტრენერთა პერიოდული გადამზადება როგორც მოწვეული სპეციალისტების მიერ, ასევე მომზადება და სტაჟირება საზღვარგარეთის ანალოგიურ სასწავლო ცენტრებში; მეთოდური და დამხმარე ლიტერატურის შემუშავება და გამოცემა; სამინისტროს სამოქმედო სფეროსათვის შექმნილი უცხოური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა; სასწავლო ცენტრის ბიბლიოთეკის განახლება და ფუნქციონირება; სამინიტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან, სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებთან, სამინიტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან თანამშრომლობა მათდამი დაქვემდებარებული პერსონალის მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო პროგრამების შემუშავების მიზნით; ურთიერთობა და თანამშრომლობა უცხოეთში მოქმედ ანალოგიურ სასწავლო ცენტრებთან, საზოგადოებრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის წესდება.

- **დანაშაულის პრევენციის ცენტრი**

დანაშაულის პრევენციის ცენტრი ახალბედა ინსტიტუტია, რომელიც 2012 წელს შეიქმნა. ის არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ცენტრის მიზნები და ფუნქციებია:

- საქართველოში დანაშაულის პრევენცია და ამ მიზნით დანაშაულის პირველად პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება. ასევე, რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფებთან მუშაობა;
- ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია. არსებული პროგრამების ფარგლებში რეფერალის სისტემის შემუშავება, შესაბამისი დახმარების აღმოჩენა და დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილების ხელშეწყობა;
- სამინისტროს მიერ დასახული მიზნების მისაღწევად დანაშაულის პრევენციის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და მსჯავრდებულების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით საგრანტო პროგრამის განვითარება და კოორდინაცია;
- განრიდების პროგრამის მართვა და განვითარება;
- მედიაციის ინსტიტუციონალური განვითარება;
- სამინისტროს სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე და ინოვაციური პროექტების განხორციელება თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დებულება.

- **პროკურატურა**

საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია: კანონიერება; ფიზიკური პირის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვა და პატივისცემა; პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა; ობიექტურობა და მიუკერძოებლობა; ერთიანობა და ცენტრალიზაცია; ყველა ქვემდგომი პროკურორის და პროკურატურის სხვა მუშაკის საქართველოს იუსტიციის მინისტრისადმი დაქვემდებარება; პოლიტიკური ნეიტრალიტეტი. საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სრული მოცულობით წინასწარი გამოძიების ჩატარება;
- ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობისას კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე ზედამხედველობა;
- სისხლისსამართლებრივი დევნა;
- სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველსაყოფად წინასწარი გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება;
- თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტების შემოწმება და საპროცესო მოვალეობების დაკავება წინასწარი პატიმრობის, თავისუფლების შეზღუდვის ან აღკვეთის ადგილებსა და სხვა დაწესებულებებში, რომლებიც აღასრულებენ სასჯელს ან სასამართლოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებით ღონისძიებებს;
- სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობა, როგორც მხარე - სახელმწიფო ბრალდება;
- დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაცია;
- ადამიანის უფლებათა დაცვის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა;
- უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე საგამოძიებო თუ სხვა საპროცესო მოქმედებებისა და ასეთი მოქმედებების უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების თხოვნით საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარება. ასევე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და სასჯელის მოხდის მიზნით უცხო სახელმწიფოდან საქართველოს მოქალაქის გადმოცემა და ამავე მიზნით უცხო სახელმწიფოსათვის მისი მოქალაქის გადაცემა;
- „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

2011 წლის აგვისტოდან საქართველოს პროკურატურის სისტემაში მოქმედებს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა სამსახურის მიზანია სისხლის სამართლის საქმის მსვლელობისას უზრუნველყოს მოწმეებისა და დაზარალებულებისადმი სამართლიანი და ღირსეული მოპყრობა. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის, რომლებიც განათლებით ძირითადად სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები ან იურისტები არიან, მთავარი ფუნქციაა სისხლის სამართლის საქმის მსვლელობისას მოქალაქესა და პროკურორს (სასამართლოს) შორის კომუნიკაციის გამარტივება და საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით მისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაჩნდა სივრცე სოციალური მუშაობის სისტემის განვითარებისათვის ამ სფეროში. ეს სამსახური 2011 წლის აგვისტოდან ამოქმედდა, თავდაპირველად ის პილოტურ რეჟიმში თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმში მოქმედებდა. შემდეგ კი მოხდა პროგრამის გავრცობა სხვა ქალაქებში - გორში, თელავსა და ზუგდიდში.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ.

სოციალური მუშაობა პრობაციის სისტემაში

სოციალური მუშაობის დანერგვა პრობაციის სისტემაში დაიწყო 2009 წლიდან არასრულწლოვან პრობაციონერებთან მუშაობის მიმართულებით ბავშვთა მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში.

ევროპული სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარება. რეფორმის მიზანს წარმოადგენს არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის სპეციალური მიდგომის შემუშავება, რომელიც განსხვავებული იქნება იმ მიდგომისგან, რაც სრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში გამოიყენება. აღნიშნული განსაკუთრებული მიდგომა მიზნად ისახავს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რეაბილიტაციას, რესოციალიზაციასა და მათ საზოგადოებაში სრულყოფილ წევრებად დაბრუნებას. თავდაპირველად სოციალურ მუშაკებსაც ამ სფეროში სწორედ არასრულწლოვნებთან მუშაობა დაევალათ. პრობაციის ბიუროებში მომუშავე სოციალური მუშაკები ინდივიდუალური გასაუბრებით ახდენენ არასრულწლოვან პრობაციონერების პრობლემათა და ძლიერ მხარეთა იდენტიფიცირებას და გამოკვეთილი საჭიროებიდან გამომდინარე აკავშირებენ მათ შესაბამის სერვისებთან.

დღეისათვის ნელ-ნელა ხდება სოციალური მუშაობის მიდგომების გააზრება სრულწლოვან პრობაციონერებთან მუშაობისას.

პრობაციის ეროვნულ სააგენტოში (აპრილი, 2014 წელი) დასაქმებულია დაახლოებით 30 სოციალური მუშაკი, რომლებიც განაწილებულნი არიან პრობაციის ყველა რეგიონულ ბიუროში და რამდენიმე რაიონულ ოფისში. აქვე აღსანიშნავია, რომ პრობაციის ოფიცრები ყველა რეგიონულ ბიუროსა და რაიონულ ოფისში არიან დასაქმებულები, ხოლო რაც შეეხებათ ფსიქოლოგებს, ისინი მხოლოდ პრობაციის რეგიონულ ბიუროებში მუშაობენ.

შესაბამისად, პრობაციის სისტემაში სოციალური მუშაკი დღეისათვის მულტიდისციპლინური გუნდის წევრია, რომელშიც შედიან პრობაციის ოფიცრები, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები. სოციალურ მუშაკებს ევალებათ როგორც არასრულწლოვნებთან, ასევე სრულწლოვნებთან მუშაობა.

- **სოციალური მუშაკის ძირითადი საქმიანობები და ფუნქციები**

პრობაციის სფეროში სოციალური მუშაკის ძირითადი საქმიანობის სფეროა პირობით მსჯავრდებულთა და მართლმსაჯულების სისტემისგან განრიდებულთათვის რეაბილიტაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა მათ მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სოციალური მუშაკები ჯერჯერობით ყველა რაიონულ ოფისში არ მუშაობენ. ისინი დაქირავებულნი არიან პრობაციის ყველა რეგიონულ ბიუროში და მხოლოდ რამდენიმე რაიონულ ოფისში, სადაც საქმეების რაოდენობა დიდია. ოფისები, რომელშიც არ არის სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი, შემთხვევის მიმდინარეობის ყველა სტადიაზე წამყვანი პრობაციის ოფიცერია, ხოლო განსაკუთრებით მწვავე საქმეზე ბიუროს უფროსთან შეთანხმებით ერთვებიან შესაბამისი რეგიონული ბიუროს სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი.

სრულწლოვანი პრობაციონერების შემთხვევის მენეჯერები არიან პრობაციის ოფიცრები. პრობაციის ოფიცრები საჭიროებიდან გამომდინარე საქმის მიმდინარეობაში რთავენ სოციალურ მუშაკებს, კერძოდ მაშინ, როდესაც გამოიკვეთება:

- ზიანის რისკი (სხვებისა და საკუთარი თავისადმი ზიანის მიყენების საფუძვლიანი ეჭვი);
- თავად მსჯავრდებულია ძალადობის მსხვერპლი;
- დამოკიდებულების (ალკოჰოლი, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები, აზარტული თამაშები) მწვავე შემთხვევა;
- თავისუფლების აღკვეთის შემდგომი პერიოდი;
- შეზღუდული შესაძლებლობა.

რაც შეეხებათ არასრულწლოვან პრობაციონერებს, იმ რაიონებში, სადაც მუშაობენ სოციალური მუშაკები, ისინი თავადვე არიან შემთხვევის მენეჯერები, ხოლო სადაც არ არიან სოციალური მუშაკები, იქ - პრობაციის ოფიცრები. არასრულწლოვანი პრობაციონერების შემთხვევაშიც სოციალური მუშაკების ჩართვა ხდება საჭიროებისამებრ ზემოთ აღწერილ შემთხვევებში.

სოციალური მუშაკი პრობაციის ოფიცერთან ერთად უზრუნველყოფს პრობაციაზე მყოფ და მართლმსაჯულების სისტემისგან განრიდებულთა საჭიროების შეფასებასა და შესაბამის მხარდაჭერას.

სოციალური მუშაკების ძირითადი მოვალეობებია:

- პრობაციის ოფიცერთან (და, სასურველია, ფსიქოლოგთან) შეთანხმების საფუძველზე პირობით მსჯავრდებულთა და მართლმსაჯულების სისტემისგან განრიდებულ პირებთან და მათ ოჯახებთან მუშაობა (ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაო, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები, ოჯახური კონფერენცია და სხვა);
- პირობით მსჯავრდებულთა და მართლმსაჯულების სისტემისგან განრიდებულთა პირველადი შეფასება საჭიროებისამებრ შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით;
- პირობით მსჯავრდებულთა და მართლმსაჯულების სისტემისგან განრიდებულ იმ პირთა სრული შეფასება, რომელთა პირველადი შეფასების შედეგად გამოიკვეთა სოციალური მუშაობის მომსახურების აუცილებლობა;
- საინფორმაციო ბაზის რეგულარულად განახლება არსებული პროგრამების/ პროექტების შესახებ პირობით მსჯავრდებულთა ან მართლმსაჯულების სისტემისგან განრიდებულთა დაკავშირების მიზნით;
- პირობით მსჯავრდებულთა დაკავშირება იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც ხელს შეუწყობს პირობით მსჯავრდებულების რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციას;
- აქტიური მონაწილეობა პრობაციის ბიუროს დონეზე მულტიდისციპლინური ჯგუფის ფუნქციონირებაში;
- მომსახურების მიწოდებისათვის გათვალისწინებული ფორმების დაწესებულ ვადებში შევსება;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკებთან თანამშრომლობა (საჭიროების შემთხვევაში);
- საჭიროებისამებრ საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება;
- საჭიროებისამებრ სოციალური მუშაობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკის სწავლების სტუდენტების ზედამხედველობა მათ უმაღლეს სასწავლებლებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში;
- საჭიროებისამებრ პირობითი მსჯავრდებულისათვის გამოსაცდელი ვადის შემცირებისა და პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხის გადასაწყვეტად შესაბამისი რეკომენდაციის მომზადება;

- მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის მიმართულებით პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობა;
- სამუშაო პროცესში გამოვლენილი პროფესიული საჭიროების იდენტიფიცირება და განხილვა სამმართველოს მმართველი გუნდის წარმომადგენლებთან;
- საჭიროების შემთხვევაში სამუშაოსთან დაკავშირებული სხვა დავალებების შესრულება.

საქმიანობის პროცესში სოციალურ მუშაკებს ევალებათ იმ პროფესიული ღირებულებებითა და პრინციპებით ხელმძღვანელობა, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ეთიკის კოდექსით.

- **რისკებისა და საჭიროებების შეფასება და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა**

სოციალური მუშაკის მიდგომების დანერგვა პრობაციის სისტემაში უკავშირდება რისკისა და საჭიროების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავებას, რომელიც მიმართულია დანაშაულის პრევენციისკენ. მეთოდოლოგია შეიქმნა დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით.

აღნიშნული მეთოდოლოგიით მუშაობის მიზანს წარმოადგენს:

- განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილება;
- პრობაციონერის რესოციალიზაცია;
- პრობაციონერისათვის სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობისათვის მოტივირების გაჩენა.

რისკისა და საჭიროების შეფასება გულისხმობს მსჯავრდებულთან გასაუბრების შედეგად ისეთი კრიმინოგენური ფაქტორების გარკვევას, როგორიცაა:

- დანაშაულებრივი გამოცდილება;
- საცხოვრებელი პირობები;
- განათლება და პროფესიული საქმიანობა;
- ეკონომიკური მდგომარეობა;
- ურთიერთობები და ცხოვრების წესი;
- დამოკიდებულებები (ნარკოტიკი, ალკოჰოლი, აზარტული თამაშები და ა.შ.);
- ჯანმრთელობისა და ემოციური მდგომარეობა;
- აზროვნება და ქცევა;
- ღირებულებები და დამოკიდებულებები.

პრობაციის ოფიცრები, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები გუნდური მუშაობის მიდგომების გამოყენებით მსჯავრდებულთან გასაუბრებისა და სხვა წყაროებიდან მოძიებული ინფორმაციების გაანალიზების გზით, აფასებენ დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს და, შესაბამისად, ინდივიდუალურად უდგენენ სასჯელის მოხდის გეგმას.

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა ითვალისწინებს რისკფაქტორების შემცირებისთვის აუცილებელ ღონისძიებებს, რომლებშიც პრიორიტეტების მიხედვით გაწერილია პრობლემური საკითხი და რეაგირების ზომა. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს პრობაციის ოფიცერსა და პრობაციონერს შორის დადებულ შეთანხმებას, რომლის შესრულებაზე ორივე მხარე ხელმოწერებით კისრულობს პასუხისმგებლობას.

აღნიშნული გეგმის მიხედვით პრობაციის ოფიცერი და სოციალური მუშაკი მსჯავრდებულებს აკავშირებს სხვადასხვა სერვისთან, ასაქმებს და რთავს მათ სარეაბილიტაციო პროგრამებში. საჭიროების მიხედვით და გარკვეული პერიოდულობით განმეორებით ხდება

რისკფაქტორების ცვალებადობის შეფასება და ახალ გარემოებათა გათვალისწინებით სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის გადახედვა და ცვლილება.

დღეისათვის ამ მეთოდოლოგიით მუშაობა ტარდება პრობაციის ეროვნულ სააგენტოში აღრიცხვაზე მყოფი არასრულწლოვნების, ქალთა კონტიგენტის და თავისუფლების აღკვეთის შემდგომი საპრობაციო ვადადანიშნული პირების 100%-ის, ასევე, პირობით მსჯავრდებულთა 75%-ის მიმართ.

- **სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება პრობაციის სისტემაში**

სულ ახლახან, 2014 წლის იანვრიდან, პრობაციის ეროვნულ სააგენტოში შეიქმნა სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო. სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო უზრუნველყოფს:

- პრობაციის ეროვნული სააგენტოს იურისდიქციაში მყოფ მსჯავრდებულთა, ასევე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განრიდებულთა კვალიფიციური ინდივიდუალური ბიოფსიქოსოციალური შეფასების ორგანიზებას;
- პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოებში ფსიქოსოციალური, საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამების მოდელების შემუშავება-ადაპტირებას, განხორციელებას და მართვას;
- რეაბილიტაციის სფეროში, საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით, შესაბამის საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას;
- სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების პერიოდული პროფესიული გადამზადების ორგანიზებას;
- მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის მიმართულებით პროფესიული სტანდარტების შემუშავებას და დანერგვას;
- რეაბილიტაციის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვა-ფუნქციონირებას;
- მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადებისა და რეაბილიტაციის მიმართულებით სასჯელაღსრულების სისტემასთან კოორდინირებული თანამშრომლობის ხელშეწყობას;
- საჭიროების შემთხვევაში, პირობით მსჯავრდებულისათვის გამოსაცდელი ვადის შემცირებისა და პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხის გადასაწყვეტად, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი საქმიანობის განხორციელებას.

სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს შექმნა მნიშვნელოვანი ეტაპია ზემოთ აღნიშნული მიმართულებების წარმატებულად განსახორციელებლად.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შემდეგი დოკუმენტები: არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის შესახებ კანონი; სრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკების შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპები, წესი და ფორმა პრობაციის სისტემაში; არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპები, წესი და ფორმები პრობაციის სისტემაში; არასრულწლოვნის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკისა და საჭიროების შეფასება - სახელმძღვანელო მითითებები სოციალური მუშაკის/სპეციალიზირებული პრობაციის ოფიცრისათვის; საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის სოციალურ მუშაკთა ეთიკის კოდექსი.

სოციალური მუშაობა სასჯელაღსრულების სისტემაში

სოციალური მუშაობის დანერგვა სასჯელაღსრულების სისტემაში დაიწყო 2009 წლიდან არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მუშაობის მიმართულებით ბავშვთა მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში. სწორედ არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მოხდა პირველად რისკისა და საჭიროების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალურად დაგეგმვის მეთოდოლოგიის დანერგვა. დღეს ზრდასრულ მსჯავრდებულებთან მუშაობა აღნიშნული მიდგომებით იგეგმება.

- **არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რისკების შეფასება, სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა და სოციალური მუშაკის როლი**

არასრულწლოვანთა დაწესებულებაში დანერგილია მულტიდისციპლინური საბჭოს მუშაობა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, ექიმი და მასწავლებელი. მულტიდისციპლინური საბჭოს ფუნქციას წარმოადგენს მსჯავრდებულის ბიოფსიქოსოციალური პორტრეტის შექმნა, გამოვლენილი საჭიროების გათვალისწინებით მსჯავრდებულისთვის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების მონიტორინგი.

არასრულწლოვანთა დაწესებულებაში სოციალური მუშაკის ძირითადი ფუნქციებია:

- ახორციელებს მსჯავრდებულის შეფასებას, ჩასატარებელი ღონისძიებების დადგენასა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას;
- უზრუნველყოფს ინდივიდუალური და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებისა და რეკომენდაციების შესრულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
- მონაწილეობას იღებს რისკების შეფასებაში;
- უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა დოკუმენტების მოწესრიგებას (პირადობის მოწმობა, პლასტიკური ბარათი, სკოლის დოკუმენტაცია და ა.შ.);
- საჭიროების შემთხვევაში ხვდება მსჯავრდებულის მშობელს ან მის კანონიერ წარმომადგენელს.

არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან შემთხვევის მენეჯერის ფუნქციას ასრულებს ეგრეთ წოდებული მსჯავრდებულის კოორდინატორი, რომელიც ზოგ შემთხვევაში სოციალური მუშაკია, ზოგში კი - ფსიქოლოგი. კოორდინატორი აწარმოებს შემთხვევის მართვას საქმის გახსნიდან მის დახურვამდე. კოორდინატორის ძირითადი საქმიანობებია:

- ზედამხედველობს და კონტროლს უწევს ინდივიდუალური და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას და დაგეგმილი შედეგების მიღწევას;
- აგროვებს და ანალიზს უკეთებს სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციას;
- ორგანიზებას უწევს მულტიდისციპლინური საბჭოს შეხვედრებს, მონაწილეობას იღებს მათ მუშაობაში და ხელს უწყობს დასახული მიზნების შესრულებას;
- აწარმოებს არასრულწლოვნის განვითარების, განათლებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს;
- საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს არასრულწლოვნის მონაწილეობას დაწესებულებაში არსებულ აქტივობებში;
- მსჯავრდებულთან ერთად აყალიბებს ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგის გეგმას და გეგმავს შესაბამის ინტერვენციებს;
- კოორდინაციას უწევს მსჯავრდებულის მიღწევებს და სამუშაო გეგმის შესრულების პროცესს;

- ინდივიდუალური გეგმით განსაზღვრული პერიოდის დასრულების შემდეგ, კოორდინატორი ორგანიზებას უკეთებს ინდივიდუალური გეგმის გადასინჯვას;
- ამზადებს რისკების შეფასების დოკუმენტს. რისკების შეფასების დოკუმენტზე მუშაობისას იგი ვალდებულია, მოითხოვოს წერილობითი ანგარიშების მომზადება მულტიდისციპლინური საბჭოს წევრებისგან და, ასევე, უფლება აქვს, მოითხოვოს წერილობით დამატებითი ინფორმაცია დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან;
- მსჯავრდებულის სასჯელის ვადის ამოწურვამდე 3 თვით ადრე ან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვამდე, კოორდინატორი შესაძლებლობის ფარგლებში მოიძიებს ინფორმაციას მსჯავრდებულის ოჯახის წევრების ან კანონიერი წარმომადგენლისა და იმ სოციალური გარემოს შესახებ, რომელშიც არასრულწლოვან მსჯავრდებულს მოუწევს ცხოვრება და მოღვაწეობა დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ.

რაც შეეხება არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკების შეფასებას, ამ პროცესის მთავარი ამოცანაა მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის მზაობისა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის შესაძლო ალბათობის შეფასება. რისკების შეფასება ორ ეტაპად ხდება. პირველი ეტაპია შუალედურად სასჯელის მოხდის პერიოდი, ხოლო მეორე ეტაპი - მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადება. ორ სხვადასხვა ეტაპზე რისკების შეფასების დოკუმენტი შეიცავს სხვადასხვა სახის ინფორმაციას.

სასჯელის მოხდის პერიოდში რისკების შეფასების დოკუმენტი უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- მსჯავრდებულის ანკეტური მონაცემები;
- სასამართლო გადაწყვეტილება;
- დანაშაულის ხასიათი;
- სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის დასჯა/წახალისების შესახებ;
- მსჯავრდებულის დაწესებულების თანამშრომლებთან და სხვა მსჯავრდებულებთან ურთიერთობის შესახებ;
- მსჯავრდებულის კრიმინალური სუბკულტურის შესახებ;
- მსჯავრდებულის სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვაში ჩართულობის შესახებ;
- მსჯავრდებულის ოჯახის შესახებ;
- განათლების შესახებ;
- მსჯავრდებულის ურთიერთობა კოორდინატორთან და სხვა მსჯავრდებულებთან;
- მსჯავრდებულის ფსიქოემოციური მდგომარეობის შესახებ;
- მსჯავრდებულის შემოქმედებითი უნარი, სარეაბილიტაციო, სპორტულ და რეკრეაციულ აქტივობებში ჩართულობა;
- მსჯავრდებულის წარსულში ჩადენილ დანაშაულთან დამოკიდებულების შესახებ;
- მსჯავრდებულის მოტივაციის შესახებ შეცვალოს ცხოვრების წესი.

მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადებისას რისკების შეფასების დოკუმენტი, ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციის გარდა, დამატებით შემდეგი სახის ინფორმაციას უნდა შეიცავდეს:

- მსჯავრდებულის გათავისუფლების შემთხვევაში მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არსებობის შესახებ, ასევე, საცხოვრებელი ადგილის პირობებისა და გარემოს შესახებ;

- გათავისუფლების შემდეგ საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამების ხელმისაწვდომობის შესახებ;
- მსჯავრდებულის გათავისუფლების შემდეგ მისი სავარაუდო სამუშაოსა და შემოსავლის წყაროს შესახებ;
- მსჯავრდებულის ოჯახის მიერ დაწესებულებიდან გათავისუფლებული არასრულწლოვნის მიღების მზაობისა და მოტივაციის შესახებ;
- სოციალური გარემოს (უბანი, მეგობრები და ა.შ.) შესახებ, რომელმაც შესაძლებელია არასრულწლოვანზე ნეგატიური გავლენა მოახდინოს;
- განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის შეფასების შესახებ;
- ნებისმიერი სახის სხვა ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელია სასარგებლო იყოს რისკების შეფასების დოკუმენტის შედგენისას.

რისკების შეფასების დოკუმენტს, მულტიდისციპლინური საბჭოს წევრებისა და დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფების (უსაფრთხოების განყოფილება, სპეციალური აღრიცხვის განყოფილება) მიერ მოწოდებული ინფორმაციის/ანგარიშების საფუძველზე, ადგენს მსჯავრდებულის კოორდინატორი.

- **რისკისა და საჭიროების შეფასებისა და ინდივიდუალური სასჯელის დაგეგმვის დანერგვა ზრდასრულ მსჯავრდებულებთან**

დღეისათვის არის მცდელობა ინდივიდუალური მუშაობის მიდგომები გავრცელდეს სრულწლოვან მსჯავრდებულებზეც. შესაბამისად, სასჯელაღსრულების დაწესებულებების სოციალური სამსახურის რეფორმა საწყის ფაზაშია. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი საკმაოდ რთული და მრავალი გამოწვევებითაა სავსე. სასჯელაღსრულების დაწესებულების სისტემის ორგანიზაციული კულტურიდან გამომდინარე, ძალზე რთულდება სოციალური სამსახურის რეფორმირება. სოციალური სამსახურის რეფორმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სოციალური მუშაკის მომსახურების დანერგვა. ამ პროცესებში ერთ-ერთი სირთულეა კვალიფიციურ სოციალურ მუშაკთა კადრების მოზიდვა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში. დღესდღეობით ამ სისტემაში დაახლოებით 120 სოციალური მუშაკი მუშაობს. მათი მხოლოდ ერთი მეოთხედია განათლებით სოციალური მუშაკი. დღეისათვის სოციალური მუშაკების საქმიანობას არაფერი აქვს საერთო პროფესიის მანდატთან და ხშირ შემთხვევაში პროფესიის პრინციპებსა და ღირებულებებთან კონფლიქტშიც კი მოდის. სოციალური მუშაკები მხოლოდ ადმინისტრაციული საქმიანობებით არიან დაკავებულნი.

სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესის დანერგვა. ამ პროცესში კი სოციალურ მუშაკებს მნიშვნელოვანი ფუნქციები უნდა დაეკისროთ. ამ ამოცანის მისაღწევად რამდენიმე დაწესებულებაში მსჯავრდებულთა რისკის, საჭიროების შეფასებისა და ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესის პილოტირება იგეგმება. რისკებისა და საჭიროების შეფასების მიზანია განსაზღვროს დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობა და მასზე გავლენის მქონე ძირითადი ფაქტორები; ასევე, გამოკვეთოს ის საჭიროება, რომლის დაკმაყოფილებაც აუცილებელია ზემოაღნიშნული რისკის შესამცირებლად და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შესადგენად. საპილოტე დაწესებულებებისათვის, სადაც მოხდება ახალი მიდგომების დანერგვის მცდელობა, შემუშავდა სოციალური მუშაკის სამუშაო აღწერილობა. ასევე, იგეგმება სოციალური მუშაკის ძირითადი საქმიანობები:

- უძღვება და ახორციელებს სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესს შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით;
- ატარებს მსჯავრდებულთან პირველად ინტერვიუს;

- ინდივიდუალური მუშაობის ფარგლებში ახორციელებს მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების შეფასებას შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით;
- ორგანიზებას უწევს და მონაწილეობს მულტიდისციპლინური ჯგუფის მუშაობაში;
- კონკრეტული საქმის განსაკუთრებული საჭიროების გათვალისწინებით, გარესოციალურ სამსახურებთან თანამშრომლობით, აფასებს მსჯავრდებულის ოჯახს და უზრუნველყოფს მათ შესაბამისი კონსულტაციებით;
- დაწესებულ ვადებში ახდენს მსჯავრდებულის ინდივიდუალური სასჯელის მოხდის გეგმის შედგენისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბების კოორდინაციას;
- მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრებთან ერთად გეგმავს და კოორდინირებას უწევს სასჯელის ინდივიდუალური მოხდის გეგმით გათვალისწინებულ შესაბამის ღონისძიებებს;
- აწარმოებს მსჯავრდებულებთან ინდივიდუალურ ფსიქოსოციალურ კონსულტაციებსა და ჯგუფურ მუშობას;
- მონაწილეობს დაწესებულებაში არსებული პროგრამების შესახებ მსჯავრდებულების ინფორმირებულობასა და საჭიროებათა მოკვლევის პროცესში;
- ამისამართებს მსჯავრდებულს შესაბამის სპეციალისტთან;
- კოორდინაციას უწევს მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მზადების (გათავისუფლება სასჯელის სრულად მოხდით, პირობით ვადამდე გათავისუფლება, შეწყალება) პროცესს შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით დადგენილი ვადების მიხედვით;
- თანამშრომლობს პრობაციის ეროვნული სააგენტოს, დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრის სოციალურ სამსახურებთან, ასევე, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სხვა სახელმწიფო ან/და არასახელმწიფო სექტორის სოციალურ მომსახურებებთან საჭიროების შემთხვევაში;
- მონაწილეობს მსჯავრდებულთან ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის ახალი მოდულების შემუშავებაში;
- ამზადებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის ბრძანება N 82-ის, დანართი N 18 -ის სოციალური მუშაკის მიერ მოსამზადებელ შესაბამის ნაწილს პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოსთვის წარსადგენად, ასევე, შეწყალების კომისიისა და სხვა კომპეტენტური ორგანოებისთვის წარსადგენ ინფორმაციას;
- უზრუნველყოფს მსჯავრდებულის სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვასთან დაკავშირებული საქმეების ან/და მის მიერ წარმოებული ნებისმიერი პროცესის შესახებ ინფორმაციის შენახვა/დაარქივებას;
- წარუდგენს ანგარიშს სოციალური განყოფილების უფროსს დადგენილ ვადებში;
- იცავს სასჯელაღსრულების ეთიკის კოდექსს და იზიარებს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ეთიკის კოდექსს;
- საჭიროებიდან გამომდინარე ახორციელებს სხვა აქტივობებს, რომლებიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მოცემული სამუშაო აღწერილობით, თუმცა არ ეწინააღმდეგება სოციალური მომსახურების მიზნებს.

დონორი ორგანიზაციების დახმარებით შემუშავდა რისკისა და საჭიროების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგია სრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის, რომელიც იმედია, უახლოეს მომავალში დამტკიცდება და რამდენიმე დაწესებულებაში მოხდება ამ მეთოდოლოგიის პილოტირება.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შემდეგი დოკუმენტები: პატიმრობის კოდექსი; არასრულწლოვან მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქცია სასჯელაღსრულებით სისტემაში; სრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის სახელმძღვანელო სასჯელაღსრულების სისტემაში, სამუშაო ვერსია; სრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების შეფასების ფორმა სასჯელაღსრულების სისტემაში, სამუშაო ვერსია; საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი; პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არასამთავრობო სექტორის ორგანიზაციების ეთიკის წესები.

სოციალური მუშაობა დანაშაულის პრევენციის მიმართულებით

დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრი ახორციელებს ყოფილი მსჯავრდებულების რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან გათავისუფლებული პირების რეაბილიტაციის ხელშეწყობას, მათ დაბრუნებას საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად. აღნიშნული პროგრამის განხორციელების მთავარი აქტორები არიან სოციალური მუშაკები. სოციალური მუშაკები მუშაობენ დანაშაულის პრევენციის სხვადასხვა დონეზე. აღსანიშნავია, რომ რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამაში ყოფილი მსჯავრდებულების ჩართულობა ნებაყოფლობითია. მათი მომართვის შემდეგ თითოეულ ბენეფიციართან მუშაობს დასახელებული ცენტრის სოციალური მუშაკი, რომელიც მათი საქმის მენეჯერია. ცენტრის სოციალური მუშაკის ძირითადი საქმიანობებია:

- მსჯავრდებულთა სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში მონაწილეობის მიღება; შემთხვევის მართვა (ბენეფიციარებთან მუშაობა, მათი საჭიროებების გამოკვეთა, საჭიროებებიდან გამომდინარე მათი რესოციალიზაცია - რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართვა; მუშაობის პროცესში სხვადასხვა აქტივობებში ჩართვა, რაც პროგრამის ეფექტურობას შეუწყობს ხელს; ყოფილი მსჯავრდებულის პირველადი/სწრაფი შეფასების და საჭიროების შემთხვევაში სრული შეფასების განხორციელება, როგორც დაწესებულებაში, ასევე, დაწესებულების დატოვების შემდეგ; ყოფილი მსჯავრდებულების ოჯახის, სოციალური გარემოს შესწავლა, მათი საჭიროების გამოკვეთა; შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასკვნა/რეკომენდაციების გაკეთება; ბენეფიციარის ინდივიდუალური მომსახურების გეგმის შედგენა, სერვისებთან დაკავშირება, მისი ჩართვა საჭირო აქტივობებში; პროცესის მუდმივი მონიტორინგი, შესრულებული სამუშაოს ანგარიშების წარმოება);
- ყოფილ მსჯავრდებულებთან ჯგუფური შეხვედრების ორგანიზება (ცენტრის თანამშრომლებთან ერთად ტრენინგ მოდულების შექმნაში მონაწილეობა; ყოფილი მსჯავრდებულებისთვის ჯგუფური აქტივობების ორგანიზება, სადაც მათი საჭიროებიდან გამომდინარე მოხდება მათთვის ინფორმაციის მიწოდება; ტრენინგ/სემინარების ორგანიზება და ჩატარება);
- ცენტრის ცხელი ხაზის აპარატთან მორიგეობა, შემოსული ზარების პასუხი, მოქალაქისთვის საჭირო და სწორი ფორმით ინფორმაციის მიწოდება;
- უმცროსი სოციალური მუშაკების სუპერვიზია;
- სსიპ დანაშაულის პრევენციის და ინოვაციური პროგრამების ცენტრის სხვა პროგრამებში მონაწილეობის მიღება.

დღეისათვის აღნიშნული პროგრამა მხოლოდ თბილისში ფუნქციონირებს, თუმცა იგეგმება პროგრამის გავრცობა საქართველოს რეგიონებში.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შემდეგი დოკუმენტები: სახელმძღვანელო მითითებები რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართული პროფესიონალებისთვის, დანაშაულის პრევენციის ცენტრი, 2013 წელი; რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სტრატეგია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში, 2014-2015, სამუშაო ვერსია.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა და სოციალური მუშაობა

2010 წლის ივლისში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით ამოქმედდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების განრიდებისა და მედიაციის მექანიზმი. განრიდებისა და მედიაციის პროგრამა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმია. პროგრამის მიზანია, იმ არასრულწლოვნის გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული. თუ ამ დრომდე არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება შეეძლო მხოლოდ სასამართლოს, ახლა უკვე პროკურორს აქვს უფლებამოსილება განარიდოს არასრულწლოვანი სისხლის სამართალწარმოებას და მის შედეგებს.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამას საფუძვლად უდევს სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობის პრინციპი, რომლის გამოყენებითაც პროკურორი უფლებამოსილია არ დაიწყოს/შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა. თუმცა, ახალი პროგრამის ფარგლებში დევნაზე უარი არ გულისხმობს არასრულწლოვნისთვის ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების „პატიებას“ და მის გათავისუფლებას ყოველგვარი ვალდებულებისგან – განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული არასრულწლოვნის პასუხისმგებლობა და უფლება-მოვალეობები განისაზღვრება სპეციალური ხელშეკრულებით.

პროგრამის მიზანია არასრულწლოვანს მიეცეს ერთი შანსი. პროგრამაში უკვე მონაწილეობს 574 არასრულწლოვანი. ისინი წარმატებით ასრულებენ განრიდების ხელშეკრულების პირობებს. აღსანიშნავია, რომ ბევრ შემთხვევაში განრიდების პირობები არასრულწლოვნებს დაეხმარა ახალი ინტერესის, ნიჭის აღმოჩენაში, ასევე, პროფესიულ განვითარებასა და დასაქმებაში.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამას მართავს დანაშაულის პრევენციის ცენტრი, ხოლო ამ პროცესში ჩართულნი არიან პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები.

განრიდებისა და მედიაციის პრინციპები შემდეგია:

- ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა – არასრულწლოვნის ინტერესისა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მაქსიმალურად ხშირად უნდა მოხდეს სისხლისსამართლებრივი დევნისა და საპატიმრო ღონისძიებების ალტერნატივების გამოყენება. თუ არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სისხლის სამართლის სისტემიდან მის განრიდებას;
- ნებაყოფლობითობა – განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება, რა დროსაც არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს. დაუშვებელია მხარეებზე ზეგავლენა მათი პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით. მხარეები უფლებამოსილნი არიან განრიდების/მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე უარი თქვან ნებისმიერ ეტაპზე;
- პროპორციულობა – არასრულწლოვნის ქცევის შეზღუდვა და ვალდებულებები ჩადენილი ქმედების პროპორციული უნდა იყოს. პროპორციული ღონისძიების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს არასრულწლოვნის ასაკი და სხვა

პირადი გარემოებები, ასევე, ჩადენილი დანაშაულის ბუნება, სიმძიმე, მიყენებული ზიანი და გავლენა საზოგადოებაზე;

- კონფიდენციალურობა – განრიდებისა და მედიაციის პროცესში მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაუშვებელია მისი გამჟღავნება, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ, ან თუ კანონმდებლობით სხვა წესი არ არის განსაზღვრული;
- სტიგმატიზაციის დაუშვებლობა – შეფარდებული ღონისძიება არ უნდა იწვევდეს არასრულწლოვნის სტიგმატიზაციას, მის მოწყვეტას ნორმალური სასწავლო პროცესისგან და არ უნდა ახდენდეს განსაკუთრებულ ზეგავლენას მისი ცხოვრების ჩვეულ რიტმზე;
- არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება – გადაწყვეტილება არასრულწლოვნის განრიდების შესახებ უნდა ეფუძნებოდეს არასრულწლოვნის ინტერესს. აქ უნდა შეფასდეს, თუ რა შესაძლო შედეგი ექნება არასრულწლოვნის ჩართვას პროგრამაში, როგორია განმეორებითი დანაშაულის რისკი და ა. შ.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მონაწილე მხარეები არიან: პროკურორი, სოციალური მუშაკი, არასრულწლოვანი, კანონიერი წარმომადგენელი, მედიატორი და დაზარალებული.

- **პროკურორი**

პროგრამა საშუალებას აძლევს პროკურორს, არ დაიწყოს/შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ზოგიერთ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესის არარსებობისპირობებშიდა,ამავედროს,არდატოვოსდანაშაულისფაქტიდადაზარალებულის ინტერესი რეაგირების გარეშე. ახალი პროგრამით პროკურორს შესაძლებლობა ეძლევა განარიდოს არასრულწლოვანი სისხლის სამართლის სისტემასა და ნასამართლობას, ამასთან, ხელი შეუწყოს რეციდივის თავიდან აცილებას, არასრულწლოვნის გამოსწორებასა და მის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას.

- **სოციალური მუშაკი**

პრობაციისეროვნულისააგენტოსსოციალურიმუშაკებიჩართულნიარიანარასრულწლოვანთა განრიდების პროგრამაში. სოციალურ მუშაკს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება განრიდების პროცესში.

განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის (საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №29 2011 წლის 22 თებერვალი, ქ. თბილისი) მიხედვით, სოციალური მუშაკი არის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) სისტემის თანამშრომელი, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი განათლება სოციალურ ან სხვა სფეროში და, იმავდროულად, გავლილი აქვს გრძელვადიანი ტრენინგი სოციალური მიმართულებით.

განრიდების პროცესში სააგენტოს სოციალური მუშაკი მას შემდეგ ერთვება, რაც პროკურორი დადგენილებით იღებს გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის განრიდების შესახებ და არსებობს არასრულწლოვნის, მისი კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა განრიდებაში მონაწილეობის თაობაზე.

ამ პროგრამაში სოციალური მუშაკის მონაწილეობა მიზნად ისახავს არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროების, მისი უნარებისა და სოციალური გარემოს შესწავლას, რაც საფუძვლად უდევს განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებების პირობების შემუშავებას. სოციალური მუშაკის საქმიანობა მიზნად ისახავს არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების

მონიტორინგს. სოციალური მუშაკი ეხმარება არასრულწლოვანს სოციალურ ინტეგრაციაში, რამაც მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი განმეორებითი დანაშაულის პრევენციას.

განრიდების მიზანია, საზოგადოებას დავუბრუნოთ სრულყოფილი მოქალაქე. ამიტომ არასრულწლოვნის რეაბილიტაციას და სოციალურ რეინტეგრაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამისათვის სოციალური მუშაკის მიერ შემუშავებული ბიოფსიქოსოციალური შეფასების შესაბამისად, არასრულწლოვანს გაეწევა მისთვის საჭირო სერვისები და დაეკისრება მოვალეობები დაზარალებულის ან საზოგადოების წინაშე. სერვისების თვალსაზრისით, არასრულწლოვანს დაეხმარება სახელმწიფო და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია. რაც შეეხება ვალდებულებებს, თუ დაზარალებული მხარე თანახმა იქნება მიიღოს მონაწილეობა განრიდების პროცესში, არასრულწლოვანს მიეცემა შესაძლებლობა თვითონ აანაზღაუროს მიყენებული ზარალი. ხოლო, თუ პირდაპირი დაზარალებული არ არის ან დაზარალებული უარს აცხადებს განრიდების პროცესში მონაწილეობაზე, ამ შემთხვევაში, არასრულწლოვანი ჩაერთვება საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობაში.

თუ არასრულწლოვანმა პირნათლად შეასრულა ხელშეკრულების ყველა პირობა, მას არ ემუქრება სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოთავსება და ნასამართლეობა.

- **არასრულწლოვანი**

პროგრამის ფარგლებში არასრულწლოვანს ეძლევა საშუალება დაეხმაროს იმ ადამიანს, რომელსაც ზიანი მიაყენა. მას მიეცემა შესაძლებლობა შეხვდეს დაზარალებულს და გაესაუბროს(მედიაციის შემთხვევაში), აუნაზღაუროს ზიანი. ასევე, ეძლევა შესაძლებლობა, რომ საზოგადოებისთვის გააკეთოს რამე კარგი, რადგან საზოგადოებრივი წესრიგი დაარღვია. ყველაფერთან ერთად პროფესიონალები ზრუნავენ მისი რეაბილიტაციის საჭიროებაზე.

განრიდებული არასრულწლოვნებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სერვისები, რომელიც მათ გონებრივ, ფიზიკურ თუ პროფესიულ განვითარებაში დაეხმარება.

ასევე, მნიშვნელოვანია ურთიერთობა დაზარალებულ მხარესთან. არასრულწლოვანი უნდა შეეცადოს, დაანახოს დაზარალებულს, რომ ღირსეული პიროვნებაა, რომ ნანობს ჩადენილ ქმედებას და უნდა მათთან ერთად მშვიდ გარემოში ცხოვრება, რომ იმსახურებს უკეთეს მომავალს.

განრიდებული არასრულწლოვნები ხალისიანად ასრულებენ განრიდების ხელშეკრულების პირობებს. ისინი თავად ირჩევენ ზიანის ანაზღაურების საშუალებებს.

- **კანონიერი წარმომადგენელი**

პროგრამის წარმატება არის დამოკიდებული არა მხოლოდ პროგრამაში მონაწილე არასრულწლოვანსა და პროფესიონალებზე, არამედ არასრულწლოვნის გარემოცვაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მშობლების როლი. მათი პროგრამაში ჩართულობა და თანადგომა, მნიშვნელოვნად ეხმარება არასრულწლოვანს წარმატების მიღწევაში.

- **მედიატორი**

მედიაციის მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება, დანაშაულით გამოწვეული ემოციური თუ მატერიალური შედეგების გამოსწორება და სამართლიანობის აღდგენა. მედიაციაში ცენტრალურ როლს ასრულებს მედიატორი - სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც წარმართავს მთელ პროცესს.

მედიაციის პროცესი ორი ძირითადი ეტაპისგან შედგება: წინასაკონფერენციო ეტაპი და მედიაციის კონფერენცია.

პირველ წინასაკონფერენციო ეტაპზე მედიატორის ფუნქციაა სპეციალური უნარ-ჩვევების გამოყენებით ხელი შეუწყოს მხარეებს შორის დიალოგის დაწყებას. ამ ეტაპზე მედიატორი ცალ-ცალკე უკავშირდება არასრულწლოვანსა და დაზარალებულს, ესაუბრება მათ მედიაციის არსის, მიზნებისა და წესების შესახებ, აწვდის დეტალურ ინფორმაციას ხელშეკრულების სავარაუდო პირობების თაობაზე, აგრეთვე, ათანხმებს ამ პირობებს მონაწილეებთან. მედიატორი ინდივიდუალურად აწარმოებს შეხვედრებს როგორც დაზარალებულთან, ისე არასრულწლოვანთან. ამ ეტაპზე მისი მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს მხარეთა ნებაყოფლობითი და ინფორმირებული მონაწილეობა მედიაციის პროცესში და მიაღწიოს მხარეთა შორის კონსესუსს მედიაციის ხელშეკრულების სავარაუდო პირობებთან დაკავშირებით.

მეორე - დასკვნით ეტაპზე მედიატორი წარმართავს კონფერენციას, რომლის მიზანია არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულისა და მისი შედეგების გაცნობიერება. კონფერენციაზე მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოთქვან საკუთარი მოსაზრება ჩადენილი ქმედებისა და მისი შედეგების შესახებ. ამ ეტაპზე მედიატორის როლი მდგომარეობს კონფერენციის წარმართვაში (ფასილიტაციაში).

კონფერენციის, ისევე როგორც ზოგადად მედიაციის, პროცესის მსვლელობისას მედიატორი ვალდებულია იყოს მაქსიმალურად მიუკერძოებელი, ობიექტური და დამოუკიდებელი, არ მიანიჭოს რამე უპირატესობა რომელიმე მხარეს. ამასთან, უმნიშვნელოვანესია მედიატორის უნარი შექმნას მხარეთათვის უსაფრთხო გარემო, გაამხნეოს მხარეები და ხელი შეუწყოს მათ საკუთარი აზრისა და პოზიციის გამოხატვასა და პირდაპირი დიალოგის წარმოებაში.

წარმატებული მედიაციის დასასრულია მედიაციის ხელშეკრულება, რომელშიც აისახება მიყენებული ზიანის ანაზღაურების შეთანხმებული გეგმა და მხარეთა სხვა უფლება-მოვალეობები.

- **დაზარალებული**

დაზარალებულისათვის ხდება ზიანის ანაზღაურება/შერიგება. განრიდების პროგრამაში ჩართული არასრულწლოვნები, რომელთა ქმედებასაც არ ჰყავს კონრეტული დაზარალებული, ასრულებენ საზოგადოებისთვის სასარგებლო აქტივობებს. საზოგადოებისთვის სასარგებლო აქტივობებიდან განრიდების ხელშეკრულებებში ხშირად გამოიყენება: დასუფთავება; გამწვანება; საქველმოქმედო აქციებსა და აუქციონებში მონაწილეობის მიღება; ხანდაზმულთა პანსიონატში დახმარება; სახალხო ტრანსპორტის დალაგება; თანასწორ განმანათლებელთა ტრენინგში მონაწილეობა და შეძენილი ცოდნის სხვა არასრულწლოვნებისთვის გაზიარება.

> დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლი და საქმიანობის წესი; სახელმძღვანელო მითითებები სოციალური მუშაკებისთვის და ოფიცრებისთვის განრიდების შესახებ; განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებები და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობები; არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორების საქმიანობის წესი და სამუშაო დოკუმენტაცია; მართლმსაჯულება ბავშვებისათვის - რეფორმის სტრატეგია, 2013.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური

2011 წლის აგვისტოდან საქართველოს პროკურატურის სისტემაში მოქმედებს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა სამსახურის მიზანია სისხლის სამართლის საქმის მსვლელობისას

უზრუნველყოს მოწმეებისა და დაზარალებულებისადმი სამართლიანი და ღირსეული მოპყრობა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი მნიშვნელოვანია სოციალური მუშაობის მიდგომების დანერგვა. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის(რომლებიც, ძირითადად, განათლებით სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები ან იურისტები არიან), მთავარი ფუნქციაა სისხლის სამართლის საქმის მსვლელობისას მოქალაქესა და პროკურორს (სასამართლოს) შორის კომუნიკაციის გამარტივება და საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით მისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაჩნდა სივრცე ამ სფეროში სოციალური მუშაობის სისტემის განვითარებისთვის.

პროკურატურის სისტემაში დღევანდელი მდგომარეობით მუშაობს მოწმისა და დაზარალებულის 16 კოორდინატორი: თბილისის (ქალაქის პროკურატურა, მთავარი პროკურატურა, ისანი-სამგორის, ვაკე-საბურთალოს, გლდანი-ნაძალადევის, დიდუბე-ჩუღურეთის, ძველი თბილისის), თელავის, რუსთავის, გორის, ქუთაისის, ზუგდიდისა და ბათუმის პროკურატურებში.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ფუნქცია-მოვალეობებში შედის შემდეგი მნიშვნელოვანი აქტივობები:

- მოქალაქისათვის ინფორმაციის მიწოდება მის მიერ შემოტანილ განცხადებასთან დაკავშირებით (ვის დაეწერა განცხადება, განხილვის რა ეტაპზეა იგი და რა შედეგი მოჰყვა მის განხილვას);
- სასამართლოსთან ურთიერთობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, მოწმისათვის სასამართლოსთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებზე (სასამართლო სხდომის ადგილის, თარიღის) და მოწმეთა უფლება-მოვალეობების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება;
- მოქალაქის სურვილის შემთხვევაში სასამართლო სხდომაზე მოწმესთან ერთად წასვლა და სასამართლო განხილვაზე დასწრება;
- მოწმის საგამოძიებო მოქმედებაში ან სასამართლო სხდომაში მონაწილეობის შემთხვევაში, მოქალაქესთან შეთანხმებით მისი სამსახურის ხელმძღვანელთან დაკავშირება და მისთვის ინფორმაციის მიწოდება მოწმის საპროცესო (საგამოძიებო) მოქმედებაში მონაწილეობის შესახებ, რათა მას საპატიოდ ჩაეთვალოს სამსახურიდან დათხოვნა;
- ბრალდებულის ან მისი ნათესავების მხრიდან მოწმის ან დაზარალებულის სიცოცხლის/ჯანმრთელობისთვის საფრთხის არსებობის შემთხვევაში პროკურორისთვის ინფორმაციის მიწოდება;
- პროკურორისა და მოქალაქის შეხვედრის ორგანიზება მოქალაქის ან პროკურორის სურვილის შემთხვევაში;
- დაზარალებულისთვის საპროცესო მოქმედებების შესახებ ისეთი ინფორმაციის მიწოდება, როგორიცაა: გამოძიების დაწყება, ბრალდებულის დაკავება, საქმის სასამართლოში გადაგზავნა, საპროცესო შეთანხმების გაფორმება, ზიანის ანაზღაურება და გამოძიებასთან ან პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ტიპის ინფორმაცია;
- დაზარალებულისთვის ძალადობრივი დანაშაულის ტრავმისგან გამოწვეულ სირთულეებთან გამკლავებაში დახმარება, მისი პიროვნულ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, პირველადი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა;
- საქმის მსვლელობისას მისთვის მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შექმნის მიზნით, მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი სერვისის შეთავაზება (მაგალითად: სარეაბილიტაციო ცენტრები, თავშესაფრები, იურიდიული დახმარების სამსახური),

ამ ორგანიზაციებთან დაკავშირება და მათ წარმომადგენლებთან შეხვედრის ორგანიზება;

- მოქალაქის გადამისამართება სხვა ორგანოსთან იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქის მოთხოვნა არ შედის პროკურატურის კომპეტენციაში;
- საქმის მსვლელობისას ნივთიერ მტკიცებულებებზე ყურადღების გამახვილება, რათა მაქსიმალურად დროულად იქნეს აღნიშნული ქონება დაბრუნებული მესაკუთრისთვის.

მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ ნებისმიერ დროს პირადად შეხვდნენ საქართველოს პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებს, გაესაუბრონ მათ და ერთობლივად დაგეგმონ მათი სირთულეების დაძლევის გზები.

2012 წლის განმავლობაში 18000-მდე მოქალაქემ ისარგებლა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის მომსახურებით. აქედან, 58% თავად კოორდინატორები იყვნენ ურთიერთობების ინიციატორები, 42% კი - მოქალაქეები აქტიურობდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

- მსჯავრდებულის რისკების შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპები, წესი და ფორმა, დამტკიცებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის #56 ბრძანებით, 7.04.2011 (პრობაციის სისტემაში მოქმედი აქტი)
- არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპები, წესი და ფორმა, დამტკიცებულია მინისტრის #9 ბრძანებით, 18.01.2012 (პრობაციის სისტემაში მოქმედი აქტი)
- სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქცია, დამტკიცებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის #19 ბრძანებით, 2.02.2012 (თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებთან სამუშაოდ)
- რისკისა და საჭიროების შეფასების და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის სახელმძღვანელო და შესაბამისი ფორმები (სამუშაო ვერსია);
- საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის სოციალური მუშაობის ეთიკის კოდექსი
- პატიმრობის კოდექსი
- საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი, დამტკიცებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის #183 ბრძანებით, 27.12.2010
- პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არასამთავრობო სექტორის ორგანიზაციების ეთიკის წესები, დამტკიცებულია მინისტრის #211 ბრძანებით, 19.08.2013
- სახელმძღვანელო მითითებები რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართული პროფესიონალებისთვის, დანაშაულის პრევენციის ცენტრი, 2013
- სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სტრატეგია, 2014-2015 წლებისთვის
- განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესი, დამტკიცებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის #29 ბრძანებით, 22.02.2011

- განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობები, დამტკიცებულია იუსტიციის მინისტრის #216 ბრძანებით, 12.11.2010
- სახელმძღვანელო მითითებები სოციალური მუშაკებისა და ოფიცრებისთვის განრიდების შესახებ
- არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორების საქმიანობის წესი და სამუშაო დოკუმენტაცია
- მართლმსაჯულება ბავშვებისთვის - რეფორმის სტრატეგია,2013
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულების - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დებულება, დამტკიცებულია მინისტრის #176 ბრძანებით, 17.12.2012
- საქართველოსსასჯელაღსრულებისადაპრობაციისსამინისტროსსასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების შესახებ მინისტრის ბრძანება #184, 27.12.2010წ.
- პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალოდაწესებულებებისადატუბერკულოზითდაავადებულმსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დებულებები, დამტკიცებულია მინისტრის #97 ბრძანებით, 30.05.2011
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის ქვეშ მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულება, დამტკიცებულია მინისტრის #903 ბრძანებით, 29.12.2009
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს ტიპური დებულება, დამტკიცებულია მინისტრის#74 ბრძანებით, 26.04.2011
- პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში, 2013-2017
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის წესდება, დამტკიცებულია მინისტრის #59 ბრძანებით, 25.02.2009
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დანაშაულის პრევენციის ცენტრის დებულება, იუსტიციის მინისტრის #16 ბრძანებით, 25.03.2014
- პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი
- არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონი
- პატიმრობის კოდექსი

თავი 10

სისხლის სამართლის პოლიტიკა და დანაშაული: კრიტიკული საერთაშორისო მიმოხილვა

რანდელ ბაროუზი
ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“ ძირითადი ექსპერტი პრობაციის საკითხებზე

შესავალი 106
პატიმრობის მაჩვენებელი: გაზომვა და ინტერპრეტაცია 107
პატიმრობა და დანაშაული 108
პატიმრობა და გვიანი თანამედროვეობა 109
ინგლისი და უელსი: ცვლილებები პატიმრობის მაჩვენებლებში 109
ფინეთში ციხის პოპულაციის შემცირება 111
პატიმრობა 21-ე საუკუნეში 112
დანაშაულის შემცირების თავსატეხი 113
დასკვნა 114

შესავალი

მას შემდეგ, რაც ციხეები არ გამოიყენება მხოლოდ მოვალეებისთვის და სასჯელაღსრულების დაწესებულებები სამართალდამრღვევთა დაპატიმრებისა და გამოსწორებისთვის არსებობს, პირველ რიგში, აშშ-ში და შემდეგ - ევროპასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში(Tuck 1988), ისინი ყველა მართლმსაჯულების სისტემაში დანაშაულზე რეაგირების საკვანძო, ხშირ შემთხვევაში კი ცენტრალური ელემენტებია. პატიმრობის მაჩვენებელი განსხვავებულია სხვადასხვა დროს სხვადასხვა იურისდიქციას შორის და თავად ერთი იურისდიქციის ფარგლებში. გონივრული იქნება ვარაუდი, რომ ეს განსხვავებები, პირველ ყოვლისა, ასახავს კონკრეტულ სოციუმში ან კონკრეტულ დროს დანაშაულის მაჩვენებლის განსხვავებას. თუმცა, ამ ორს შორის ურთიერთმიმართება მარტივი არ არის.

ამ თავში ჩვენ, პირველ ყოვლისა, შევისწავლით გაზომვისა და ინტერპრეტირების საკითხებს პატიმრობის მაჩვენებლების შედარებასთან და საზოგადოებაში დანაშაულის მაჩვენებლის კავშირთან მიმართებით. შემდეგ შევისწავლით და შევეცდებით ავხსნათ ინგლის/უელსში და ფინეთში პატიმრობის მაჩვენებლის ცვლილებები უკანასკნელ პერიოდში და მე-20 საუკუნის ბოლო მეოთხედში. ეს იურისდიქციები განსაკუთრებული ინტერესის საგანია ამ პერიოდში პატიმრობის მაჩვენებელში კონტრასტული ცვლილებების გამო. ასევე, მიმოვიხილავთ იმავე პერიოდში პატიმრობის მაჩვენებლებსა და ცვლილებებს სხვა იურისდიქციებში(კერძოდ, აშშ-ში პატიმრობის გამოყენებას)ზოგიერთი საკვანძო ზეგავლენის ფაქტორების ილუსტრირებისთვის. ეს ანალიზი მოიცავს 21-ე საუკუნესაც. და ბოლოს, ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში დასავლურ საზოგადოებაში დანაშაულის მკვეთრ კლებას, რამაც კრიმინოლოგები და პოლიტიკის დამგეგმავები ამ მოულოდნელი ფენომენის ახსნის ძიებაში დატოვა.

პატიმრობის მაჩვენებელი: გაზომვა და ინტერპრეტაცია

პატიმრობის მაჩვენებლის შედარებისას მნიშვნელოვანია დავრწმუნდეთ, რომ ერთგვაროვან მაჩვენებლებს ვადარებთ: არსებული მონაცემები შესაძლოა უთითებდეს ან შესახლების რაოდენობას, ან პატიმართა საშუალო რაოდენობას და მოიცავდეს წინასწარ პატიმრობას, ან მხოლოდ მსჯავრდებულთა რაოდენობას. ასევე, შესაძლოა, რომ მონაცემები არასრულწლოვნებზე არ იყოს ასახული და პატიმართა რაოდენობა დადგინდეს მსჯავრდების მომენტისთვის, ან გასაჩივრების ვადის ამოწურვის მომენტიდან. მონაცემები შეიძლება ასახავდეს სახელმწიფო ან ეროვნულ ციხეებს და გამორიცხავდეს ადგილობრივ ციხეებს. თუკი მონაცემების შედარება ხდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საზომ პარამეტრებში რამე ცვლილების გათვალისწინება აუცილებელია.

საყოველთაოდ მიღებულია პატიმრობის მაჩვენებლის გამოსახვა შემდეგი საზომით: პატიმართა დღიური საშუალო რაოდენობა 100 000 მოსახლეზე.

ველმსლი 1999 წლიდან რეგულარულად აქვეყნებს პატიმრობის მაჩვენებლებს 180 ქვეყანაში (Walmsley 2013). უკანასკნელ გამოცემაში ასახულია განსხვავებული მონაცემი, დაწყებული 30-დან (ინდოეთში) 716-ზე მეტით (აშშ) დასრულებული. რუსეთის ფედერაციის მაჩვენებელია 475, ხოლო ევროპის საშუალო მაჩვენებელი - 98.

საზომებთან დაკავშირებით ზემოთ აღნიშნული სირთულეების გათვალისწინებით არსებობს მოსაზრება, რომ იურისდიქციებს შორის შედარებები ნაკლებად ინფორმაციულია, ვიდრე პერიოდული შედარებები ერთი და იმავე იურისდიქციის ფარგლებში (Young 1986). თუმცა, კრისტი (Christie 2000) და სხვები ამტკიცებენ, რომ შედარებითი მაჩვენებლები სასარგებლოა იურისდიქციებს შორის სისხლის სამართლის პოლიტიკის ფართო შეფასებისას. თუმცა, ასევე, საჭიროა მონაცემთა დამატებითი განმარტება.

გარკვეული დროის მანძილზე პატიმართა რაოდენობაში განსხვავება შესაძლოა გამოწვეული იყოს პატიმრობის ხანგრძლივობით, შესახლებების მაჩვენებლის გაზრდის ან თავისუფლების აღკვეთის სასჯელად გამოყენების გარეშე. მაგალითად, ინგლისსა და უელსში 1938-დან 1968 წლამდე პერიოდში პატიმრობის მაჩვენებელი 360%-ით გაიზარდა შესახლების სტაბილური მაჩვენებლის პირობებში (Young 1986). ზრდა სრულად იყო განპირობებული სასჯელის ხანგრძლივობით. და მართლაც, პატიმრობის დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებში, როგორიცაა ნიდერლანდები, გერმანია და სკანდინავიის ქვეყნები (Downes 1988, Graham 1990), ზოგადად, მცირე ხანგრძლივობის სასჯელებია, თუმცა შესახლების მაჩვენებელი არ არის უფრო დაბალი.

ნებისმიერ იურისდიქციაში პატიმრობის კონკრეტული მაჩვენებლის მნიშვნელოვნების გააზრება სისხლის სამართლის პოლიტიკისთვის უნდა განვიხილოთ, ზოგადად, სასჯელის შეფარდების ფილოსოფიაში პატიმრობის მაჩვენებლის როლის ღრმა ცოდნით. სასჯელის მისჯის მიდგომა არის უტილიტარული და რეაბილიტაციური, თუ ეფუძნება მხოლოდ დასჯასა და სამაგიეროს მიზღვას? ის, რასაც კრისტი აღწერს როგორც პატიმრობის ,,ტკივილს" (Christie 2000), მნიშვნელოვან ზეგავლენას განიცდის რეჟიმის ხასიათიდან გამომდინარე. მაშინ, როცა ეს მონაცემები არ არის მარტივად მოპოვებადი ყველა იურისდიქციაში, არსებობს სხვა მარტივი ინდიკატორები რეჟიმის ტიპის განსასაზღვრად. მაგალითად, პერსონალის რაოდენობა პატიმრების რაოდენობასთან მიმართებით (Pease 1994) - რა ტიპის სწავლებას გადიან ისინი? რამდენად კარგად აშუქებს მედია სასჯელაღსრულების დაწესებულებებს? როგორია სუიციდის/სუიციდის მცდელობის მაჩვენებელი? კიდევ ერთი საინტერესო ინდიკატორი პატიმრობის პირობებთან და პატიმართა გამოცდილების შესახებ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიშებია. საქართველოს შესახებ უახლესი ანგარიში 2012 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა[226].

პატიმრობის მაჩვენებლის მკვეთრი ზრდა თავისთავად ართულებს რეაბილიტაციაზე

[226] http://www.cpt.coe.int/documents/geo/2013-18-inf-eng.pdf

აგებული რეჟიმის მართვას. მზარდი ხარჯები და იმ პირთა რაოდენობის ზრდა, ვისაც განსაკუთრებული ყურადღება და მართვა სჭირდება, განაპირობებს რეჟიმის დაცვის სტანდარტის მინიმიზებას. პატიმართა რაოდენობის შემცირებამ, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში 2013 წლიდან ამნისტიისა და პრეზიდენტის მიერ შეწყალების შედეგად, შესაძლოა შეამსუბუქოს გადატვირთულობა, მაგრამ ავტომატურად არ შეამსუბუქებს პატიმრობის ,,ტკივილს" ან რეჟიმში არსებული ბალანსის შედეგს დასჯას, კონტროლსა და რეაბილიტაციას შორის.

პატიმრობა და დანაშაული

კონკრეტულ იურისდიქციებში პატიმრობის მაჩვენებლის ცვლილება ჩვენი შემდგომი დისკუსიის საგანი იქნება, მაგრამ, პირველ ყოვლისა, მოკლედ მიმოვიხილავთ პატიმრობისა და დანაშაულის მაჩვენებლებში ცვლილებებს შორის კავშირს. პოლიტიკის განმსაზღვრელები ,,მკაცრ" სისხლის სამართლის პოლიტიკას ასაბუთებენ როგორც პასუხს დანაშაულის პრობლემებზე, მაგრამ რეალურად რას მიგვანიშნებს დანაშაულის მაჩვენებელი? ისევე როგორც პატიმრობის მაჩვენებლის შემთხვევაში, აქაც გაზომვის პრობლემა იკვეთება.

ოფიციალური ,,დანაშაულის მაჩვენებლები" (როგორც წესი, ემყარება პოლიციის სტატისტიკას გაცხადებული დანაშაულის შესახებ) საჭიროებს ყურადღებით შესწავლას, თუკი უნდა მოხდეს მათი შედარება გარკვეული პერიოდისთვის იურისდიქციებს შორის ან იურისდიქციის შიგნით. აღნიშნულ მონაცემებზე ზეგავლენა აქვს მთელ რიგ საკვანძო ფაქტორებს:

- სხვადასხვა სისხლისსამართლებრივი კოდის მინიჭება;
- დაზარალებულთა მიერ დანაშაულის გაცხადების სხვადასხვა მაჩვენებელი;
- პოლიციის ანგარიშგების პრაქტიკა;
- სახელმწიფო ბრალდების პოლიტიკა და შედეგები.

ინგლისისა და უელსის დანაშაულის კვლევა[227] (წარსულში ბრიტანეთის დანაშაულის კვლევა) 1982 წლიდან აქვეყნებდა წლიურ და ექვსი თვის მონაცემებს ადამიანთა დანაშაულის გამოცდილების კვლევაზე დაყრდნობით. ის ხაზს უსვამს განსხვავებას აღნუსხულ დანაშაულსა და დანაშაულის რეალურ გამოცდილებას შორის. რა თქმა უნდა, ესეც არ არის კრიტიკას მოკლებული, მაგალითად, ვერ ასახავს განმეორებით ვიქტიმიზაციას, მათ შორის ოჯახურ ძალადობას, მაგრამ მიჩნეულია, როგორც რეალური დანაშაულებრივი ტენდენციების ყველაზე სასარგებლო ინდიკატორი. (მსგავსი მონაცემები აშშ-ს შესახებ შეგიძლიათ იხილოთ დანაშაულის ვიქტიმიზაციის ეროვნულ კვლევაში (National Crime Victimization Survey)).

ინგლისისა და უელსის დანაშაულის კვლევა (2013) უთითებს, რომ ჩადენილი დანაშაულების 49%-ზე მეტი აისახება პოლიციის მიერ რეგისტრირებულ დანაშაულის მონაცემებში. ზოგიერთი დანაშაული, უბრალოდ, არ რეგისტრირდება, ზოგი ოფიციალურად არ არის რეგისტრირებული. როგორი მდგომარეობა შეიძლება იყოს საქართველოში? პოლიციაში გაცხადების მაჩვენებელი ისეთივეა, როგორც გაერთიანებულ სამეფოში?

დაზარალებულთა მიერ გაცხადებულ, ან პოლიციის მიერ რეგისტრირებულ დანაშაულის მაჩვენებელსა და პატიმრობის მაჩვენებელს შორის კავშირი არ არის სწორხაზოვანი. უდავოა, რომ პატიმრობას აქვს დროებითი გაუვნებელყოფის ეფექტი ადამიანებზე, რომლებიც სხვა შემთხვევაში შესაძლოა განმეორებითი დანაშაულის ჩამდენები იყვნენ, მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა დანაშაულის მაჩვენებელსა და პატიმრობის მაჩვენებელს შორის სუსტ მიზეზშედეგობრივ კავშირზე უთითებს (Rutherford 1986, Lappi-Seppälä 2008). უფრო მეტიც, ნებისმიერი მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა, როგორც წესი, მოზღვავებულ დანაშაულზე ან კონკრეტული სახის დანაშაულებზე, დაგვიანებულია: იმპლემენტაცია იწყება მას შემდეგ, რაც დანაშაულის მაჩვენებელი ეკონომიკურ ან დემოგრაფიულ გარემოებათა გამო

[227] http://www.crimesurvey.co.uk/

იწყებს შემცირებას (Mauer 1999). სხვადასხვა იურისდიქციებში პატიმრობის ტენდენციების შეფასებით ჩვენ მიმოვიხილავთ ურთიერთმიმართებას დანაშაულისა და პატიმრობის მაჩვენებლებს შორის.

პატიმრობა და გვიანი თანამედროვეობა

გვიანი თანამედროვეობის პერიოდი (1975-2000 წლები) აღინიშნა დასავლურ ქვეყნებში პატიმრობის მაჩვენებლის ზრდით, თუმცა ზრდის მაჩვენებლები მეტად არაერთგვაროვანია (Walmsley 2001). ყველაზე მაღალი ზრდა აშშ-ში დაფიქსირდა: 500% 1972 წლიდან 1997 წლამდე პერიოდში (Mauer 1999). მკვლევართა უმრავლესობა ამ უპრეცედენტო ზრდის მიზეზად სისხლის სამართლის პოლიტიკის არჩევანს ასახელებს. როგორც პოლიტიკის ამ მიმართულების განმაპირობებელი, მოხდა შემდეგი ფაქტორების იდენტიფიცირება: არჩევითი მართლმსაჯულების სისტემაში კანონისა და საზოგადოებრივი წესრიგის პოლიტიკური მნიშვნელოვნება; სიღარიბესთან, საკუთრების ჩამორთმევასთან და დანაშაულთან ბრძოლის კეთილდღეობის ღონისძიებებში ნდობის დაკარგვა და მათი ჩანაცვლება დანაშაულის კონტროლის ღონისძიებებით; უფრო ხანგრძლივი პატიმრობის დანიშვნის ტენდენცია, ასევე, ვადამდე გათავისუფლების შეზღუდვა; პრევენციული დაკავებების ზრდა, მაგ. ,,სამი ჩავარდნა და გავარდები"; ნარკოტიკულ საშუალებებთან ომის შედეგი; შეწყალებისა და პრობაციის პირობების დარღვევისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის ზრდა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესებული ეფექტიანობა სამართალდამრღვევთა დაკავებისას, მსჯავრდებისას და დასჯა/რეაბილიტაციისას; ახალგაზრდა აფრო-ამერიკელი მამაკაცების პატიმრობის მაღალი მაჩვენებელი და ციხის ინდუსტრიის ეკონომიკური ეფექტი, რამაც ზოგიერთ პერიფერიულ რეგიონებში მნიშვნელოვანი ეკონომიკური განვითარება და დასაქმების შესაძლებლობები განაპირობა. პატიმრობის მაჩვენებლის განსაკუთრებული ზრდა 1972 წელს დაიწყო და 2000 წლისთვის პატიმართა რაოდენობა აშშ-ში 2 მილიონს აჭარბებდა, რაც, თავის მხრივ, არის 700 პატიმარი 100 000 მოსახლეზე.

ინგლისი და უელსი: ცვლილებები პატიმრობის მაჩვენებლებში

სასურველია, მოკლედ მიმოვიხილოთ აშშ-ს გამოცდილება, რადგანაც განხილულ ფაქტორთაგან უმრავლესი სხვა ევროპულ ქვეყნებში პატიმრობის ზრდასთან მიზეზობრივ კავშირში მყოფი ფაქტორებია, განსაკუთრებით, ინგლისისთვის და უელსისთვის. თუმცა, არსებობს განსხვავებებიც: ერთ-ერთი ასეთია მასშტაბი. ამ პერიოდში შეერთებულ შტატებში პატიმრობის მაჩვენებლის წლიური ზრდა უხეში გაანგარიშებით უტოლდებოდა ინგლისსა და უელსში პატიმრების სრულ რაოდენობას. ინგლის/უელსში პატიმრობის მაჩვენებლისა და პატიმრობის ხანგრძლივობის მკვეთრი ზრდა 1993 წლიდან ბევრად გვიან დაიწყო, ვიდრე აშშ-ში. 2001 წლისთვის ის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გახდა დასავლეთ ევროპაში - 139 პატიმარი 100 000 მოსახლეზე და ზრდა მომდევნო წლებშიც განაგრძო. პირველი ცხრილი ამის ილუსტრაციაა (წყარო: პატიმრობის სტატისტიკა, 1999 წელი, შინაგან საქმეთა სამინისტრო):

დიაგრამა #1

1. სეზონური აქტივობები
2. CJA=სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ კანონი
3. CJ & PO Act = სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ კანონი
4. CP & I Act = სისხლის სამართლის პროცესისა და გამოძიების შესახებ კანონი

განმსაზღვრელი მოვლენები ასახულია დიაგრამაზე. პატიმრობის ხანგრძლივობის ზრდა დაუკავშირეს პოლიტიკის განმსაზღვრელების ,,დანაწევრების" პოლიტიკას. ეს მიდგომა სამართალდამრღვევებს ორ ჯგუფად ყოფს. პირველი ჯგუფის მართვა შესაძლებელია მთელი რიგი არასაპატიმრო სასჯელებით ან უკიდურეს შემთხვევაში მოკლევადიანი საპატიმრო სასჯელებით. მათ ახასიათებთ დეზისტანსი ასაკის მომატებასთან ერთად. ეს პროცესი შესაძლებელია განმტკიცდეს შესაბამისი არასაპატიმრო ღონისძიებებით. მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან მტკიცე, განმეორებითი დანაშაულების ჩამდენი და/ან საშიში სამართალდამრღვევები და საზოგადოება საჭიროებს მათგან დაცვას ხანგრძლივი პატიმრობით, რასაც მოსდევს პირობით ვადამდე გათავისუფლება და ლიცენზირება[228] საპატიმრო დაწესებულებაში დაუყოვნებელი დაბრუნების შესაძლებლობით.

მართალია, სასჯელის შეფარდების პრაქტიკა და ტენდენცია ზუსტად არ შეესაბამება ამ ტყუპი მიდევნების მოდელს, მაგრამ არსებობს მტკიცებულება, რომ გაერთიანებული სამეფოს პატიმართა მონაცემები შეიცვალა ამ მოდელის მიხედვით. მორგანმა (2002 წელს) გამოავლინა სასჯელთა ხანგრძლივობის ზრდა: საპატიმრო სასჯელების 21% 18 თვეს ან მეტს შეადგენდა. მსჯავრდებულ პატიმართა ნახევარზე მეტს შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა ოთხი წლით ან ოთხ წელზე მეტი ვადით - 2003 წლისთვის 7000 პატიმარზე მეტი იხდიდა სასჯელს უვადო პატიმრობის სახით ან ვადიანი თავისუფლების აღკვეთას ათი წლის ან მეტი ვადით.

არსებობდა გარკვეული ხარისხის პოლიტიკური კონსესუსის მტკიცებულება დანაშაულის რეალურ და აშკარა პრობლემასთან პატიმრობის გამოყენებით გამკლავების შესახებ. პოლიტიკური სპექტრის ორივე მხრიდან რიტორიკა მოიცავდა ,,დანაშაულთან სიმკაცრის" განცხადებებს და ახალ კანონმდებლობას. როგორც დიაგრამაზე ჩანს, განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა 1993 წლიდან 1998 წლამდე. თუმცა, ეს მოიცავდა მოკლევადიანი პატიმრობისთვის შესახლებების მნიშვნელოვან ზრდას, რასაც ხშირ შემთხვევაში იყენებენ დაბალი ინსტანციის სასამართლოები (მაგისტრთა სასამართლოები), რომელთა უფლებამოსილებაც შეზღუდულია ექვს თვემდე ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებით (პატიმრობის სტატისტიკა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, 1998 წელი). ეს ტენდენცია ნიშნავდა, რომ

[228] ლიცენზირებაში იგულისხმება ვალდებულებათა ერთობლიობა, რომელთა დაცვაც თავისუფლებაზე დარჩენის პირობაა.

სამართალდამრღვევებს, რომელთაც არ ახასიათებდათ განმეორებითი დანაშაულები და არც საშიშები იყვნენ, მეტი ალბათობით შეეფარდებოდათ თავისუფლების აღკვეთა.

ამ პროცესს შეგვიძლია დავაკვირდეთ ინგლისში ,,დატვირთული" ქალაქის სასამართლოში. გაბატონებული პოლიტიკური კლიმატი მიუთითებს, რომ ,,ციხე მუშაობს" (როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა, მაიკლ ჰოვარდმა გაავრცელა) და გამოიკვეთება პროცესი, რომელიც გიდენსმა (1984 წელს) აღწერა როგორც ,,სტრუქტურირება". ადგილობრივმა ანაზღაურებადმა მაგისტრმა მიიღო, როგორც თვითონ უწოდებდა: ,,საბრალდებო სკამის" პატიმრობის მისჯის პოლიტიკა (სამართალდამრღვევის საბრალდებო სკამი იმ ღამეს თავისუფალი იქნება და ეს მის თანამზრახველებს დანაშაულს განარიდებს, როდესაც ამ მარტივი ფაქტის შემსწრენი გახდებიან!). სასამართლოების მიერ საპატიმრო სასჯელების გამოყენება ორი წლის მანძილზე 150%-ით გაიზარდა (წყარო: სასჯელის შეფარდების გამოუქვეყნებელი მონაცემებები).

პირველ დიაგრამაზე მოცემული ციფრები მიუთითებს ათი წლის განმავლობაში თანმიმდევრულ ზრდაზე. 1993 წლამდე პერიოდში მაჩვენებელი იკლებდა. ეს კლების ერთადერთი პერიოდი იყო მე-20 საუკუნეში. გამონაკლისი იყო ორი მსოფლიო ომის ეფექტის პერიოდები, როდესაც გამოიკვეთა კლების მდგრადი მაჩვენებელი (ციხის სტატისტიკა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, 1999 წელი). გამოიკვეთა სამუშაო ადგილზე დემოგრაფიული ტენდენციები და მთელი რიგი ინიციატივები, კერძოდ: ბეილის აქტი, რასაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდა წინასწარ პატიმრობაში მყოფი პატიმრების რაოდენობაზე. ძირითადი ზეგავლენის მომხდენი კი იყო პოლიტიკური/პოლიტიკის დონეზე ინიციატივა, რომლითაც მიღებულ იქნა ,,სამართლიანი მიზღვის" სასჯელის მისჯის ჩარჩო.

,,სამართლიანი მიზღვის" მიდგომა დაეფუძნა ,,არაფერი მუშაობს" კონცეფციას (Martinson 1984), შემდგომ გაძლიერდა მზარდი ციხის პოპულაციის ხარჯების ზრდასთან დაკავშირებული შფოთვით და აისახა კანონმდებლობაში (სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კანონი, 1991 წლის). ეს კანონი სიხარულით მიიღეს პროპორციულობის თეორიის მიმდევრებმა, განსაკუთრებით ვონ ჰირსტმა (Von Hirsch 1993), მაგრამ მალე გახდა არაპოპულარული სასჯელის შემფარდებლებს შორის, განსაკუთრებით წინა ნასამართლობასთან მიმართებით, რის იგნორირებასაც მოითხოვდა სასამართლოებისგან 1991 წლის კანონი.

1991 წლის კანონი გაბატონებული დანაწევრების ეთოსის წინააღმდეგ მიდიოდა: წინა ნასამართლობები საუკეთესო ინდიკატორი იყო იმისა, უნდა მომხდარიყო თუ არა განმტკიცებული თუ განმეორებითი დანაშაულებრივი ქცევის გათვალისწინება. არ არის საკვირველი, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ 1993 წლის კანონმა აღადგინა წინა ნასამართლობის გათვალისწინების უფლებამოსილება და მოსთხოვა სასამართლოებს სასჯელის შეფარდებისას პირობითი გათავისუფლების პერიოდში დანაშაულის ჩადენა დამამძიმებელ გარემოებად მიეჩნია. 1993 წელს მოხდა 2 წლის ჯემი ბულგერის მკვლელობა, რომელიც სკოლის ორმა მოსწავლემ ჩაიდინა და ამან მორალური პანიკა გამოიწვია. ეს წყალგამყოფი იყო ციხის პოპულაციისთვის, რაც იმ დროისთვის ბოლო ხუთი წლის მანძილზე ყველაზე დაბალი იყო. ამის შემდეგ პატიმართა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა და ათი წლის განმავლობაში თითქმის გაორმაგდა. იგივე პერიოდში დანაშაული და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა ყველა პარტიის პოლიტიკოსებისთვის მთავარ თემად რჩებოდა.

ფინეთში ციხის პოპულაციის შემცირება

1976 წელს ფინეთში პატიმრობის მაჩვენებელი იყო 118 პატიმარი 100 000 მოსახლეზე. 1992 წელს მაჩვენებელი 70-მდე შემცირდა (Tornudd 1993), ხოლო 1997 წლისთვის - 55-ს შეადგენდა (Walmsley 2001). 2013 წლისთვის მაჩვენებელი 58 იყო, ყველაზე დაბალი ევროპაში,ისლანდიის გამოკლებით(Walmsley 2013). ფინეთში დანაშაულის მაჩვენებელი ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე დაბლა რჩებოდა 1990-იან წლებში (Aromaa 2000) და, მიუხედავად იმისა, რომ 21-ე საუკუნეში ის გაიზარდა, ეს არ გამოხატავდა მთავრობის პოლიტიკას ან სასამართლო

პრაქტიკას საპატიმრო სასჯელის გამოყენებასთან დაკავშირებით. როგორც ლაპი-სეპალამ აღწერა (Lappi-Seppälä 2008):

,,მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს ზოგად კრიმინოლოგიურ დასკვნას, რომ დანაშაულის მაჩვენებელი იმატებს და ეცემა კანონმდებლობის შესაბამისად და საკუთარი დინამიკის მიხედვით და სასჯელის შეფარდების პოლიტიკა, თავის მხრივ, ვითარდება და იცვლება საკუთარი დინამიკის მიხედვით; ეს ორი სისტემა ერთმანეთისგან საკმაოდ დამოუკიდებელია.“გვ.14

ტორნუდმა აღწერა სპეციალური ტექნიკური ღონისძიებები, რომელიც პატიმრობის შემცირების პერიოდში გაატარეს. ისინი მოიცავდა: პრევენციული დაკავების გაუქმებას საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენთა მიმართ (ძალადობრივ დანაშაულთა ჩამდენთა მიმართ გამოყენების საპირისპიროდ); პირობითი (გადავადებული) სასჯელების გამოყენების გაფართოებას; წინასწარი პატიმრობის ვადის ასახვას სასჯელის ვადაში; საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის შემოღებას მხოლოდ (და, ფაქტობრივად, წარმატებით) პირდაპირი პატიმრობის ალტერნატივად; მოკლევადიან სასჯელებს რეციდივისტებისთვის; უვადო პატიმრობის წილის შემცირებას; პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისთვის მოსახდელი ვადის შემცირებას და ვადამდე გათავისუფლების პირობების დარღვევისას, ასევე, მოსახდელი ვადის შემცირებას, თუკი პირს ახალი დანაშაული არ ჩაუდენია.

მართალია, ტორნუდმა აღიარა, რომ ამ ტენდენციას დემოგრაფიული ტენდენციები ამყარებდა, მაგრამ ღონისძიებათა ეს პაკეტი 20 წლის განმავლობაში თანმიმდევრულად გატარდა და ეფექტიანად შეამცირა პატიმართა რაოდენობა 50%-ით ფინეთში. მას შემდეგ ეს მონაცემი უცვლელია.

ამ მნიშვნელოვანი ცვლილებების განმარტებისას ტორნუდი აღწერს კრიტიკული ფაქტორების კომბინაციას. ფინეთს მეზობელ სკანდინავიურ ქვეყნებთან შედარებით პატიმრობის მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა, მაგრამ ამ ქვეყნებთან მზარდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ იდენტიფიცირებას ახდენდა (შესაბამისად, პატიმრობის მაჩვენებლების შედარებითი გამოქვეყნების სარგებლიანობა ყველა შეზღუდვებითა და კვალიფიკაციით დემონსტრირებულია ფინეთის გამოცდილებაში).

ფინელი კრიმინოლოგების თემი იზიარებდა, რომ პატიმრობის მაჩვენებლები მეტად მაღალი იყო და დანაშაულის შედარებით მაჩვენებლებთან ერთად ამ მონაცემების შესახებ, პოლიტიკოსებისა და პოლიტიკის განმსაზღვრელების ინფორმირება მოახდინა. გააზრებული დეკარცერიზაციის პოლიტიკის ირგვლივ პოლიტიკური და პოლიტიკის განსაზღვრის ალიანსი ჩამოყალიბდა და რამდენიმე საკვანძო ფიგურამ წინ წარმართა ეს პოლიტიკა. დანაშაული არ იყო მნიშვნელოვანი საარჩევნო თემა, არც პოლიტიკოსები და არც სასამართლო არ განიცდიდნენ მედიის მხრიდან კრიტიკას დანაშაულთან მიმართებით ,,მსუბუქი მიდგომისთვის“.

,,ფინეთშიგადამწყვეტფაქტორსწარმოადგენდასაჯარომოსამსახურეთა,მართლმსაჯულებისა და სასჯელაღსრულების მენეჯმენტის მზაობა, მიდგომების დონეზე ყველა შესაძლო საშუალება გამოეყენებინათ პატიმართა რაოდენობის შესამცირებლად“ (Tornudd 1993 გვ.12).

პატიმრობა 21-ე საუკუნეში

როგორც ჩვენთვის ხელმისაწვდომი მტკიცებულებებიდან ჩანს, პატიმართა რაოდენობა, მართალია, ნაწილობრივ დანაშაულის მაჩვენებლით არის განპირობებული, მაგრამ არსებითად პოლიტიკის დონეზე ,,არჩევანის“ საკითხია. 2000 წლიდან პოლიტიკის დონეზე და კანონმდებლობით ინგლისსა და უელსში პატიმრობის მაჩვენებლის ზრდა გრძელდებოდა (ციხის სტატისტიკა, იუსტიციის სამინისტრო, 2000-2013 წლები). კანონმდებლობა ასახავდა ,,საზოგადოების დაცვისა“ და ,,დაზარალებულთა“ დღის წესრიგს, მაგალითად, უვადო

პატიმრობის ავტომატური მოქმედებით მძიმე განმეორებითი დანაშაულის შემთხვევაში და მინიმუმ სამწლიანი თავისუფლების აღკვეთით ძარცვის მესამე შემთხვევისთვის. ეს ნაწილობრივ ასახავს განსვლას მიდგომებისგან ,,არაფერი მუშაობს" და ,,სამართლიანი გადაწყვეტები," იდეოლოგიისკენ ,,რა მუშაობს": რეაბილიტაციური სასჯელის შეფარდების რეცეპტი, რაც არა მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის პროპორციულია, არამედ ნაწილობრივ ეფუძნება კიდეც წარმატებული რეაბილიტაციის პერსპექტივას (Halliday Report 2001). ამან შესაძლოა მიგვიყვანოს საპატიმრო სასჯელამდე, თუკი არ არსებობს საზოგადოებრივი სანქცია, რომელიც შეამცირებს დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობას.

პატიმრობის მაჩვენებელზე ზეგავლენა აქვს, ასევე, უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს. თანასწორუფლებიანობის ხარისხი საკვანძო საზომია პატიმართა რაოდენობისთვის: რაც უფრო მაღალია სხვაობა შემოსავალსა და სიმდიდრეში, მით უფრო მაღალი იქნება სასჯელები. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია აშშ-სა და ინგლის/უელსისთვის და, შესაძლოა, ზეგავლენა ჰქონდეს საქართველოზეც და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზეც. მართლაც, თუ თანასწორუფლებიანობის კორელაცია სწორია, მრავალ ქვეყანაში მიმდინარე სოციალური და ეკონომიკური განვითარებები არ მიუთითებს, რომ პატიმრობა ნაკლებად პოპულარული გახდება უახლოეს თუ შუალედურ პერიოდში. ამის საპირისპიროდ, ფინეთს პატიმრობის დაბალი მაჩვენებლის მქონე სკანდინავიის სხვა ქვეყნებთან ერთად უფრო თანასწორუფლებიანი საზოგადოება აქვს.

ინგლისსა და უელსში კაუნცელმა (Councell 2002) იწინასწარმეტყველა, რომ პოლიტიკასა და კანონმდებლობაში მიმდინარე ცვლილებები გაზრდიდა პატიმართა რაოდენობას 90 000-დან 107 600-მდე 2008/9 წლებისთვის (Councell 2002). რეალური ზრდა ამაზე ნაკლებია (მაჩვენებელი 86 000-ზე შეჩერდა 2012 წლის ივნისისთვის, ხოლო 2014 წლის ივნისისთვის 85 000-სს გადააჭარბა), მაგრამ მაინც მნიშვნელოვან ზრდას წარმოადგენს იმ პერიოდისთვის, როდესაც დანაშაულის მაჩვენებელი თანმიმდევრულად ეცემოდა, რასაც, ასევე, განვიხილავთ.

საქართველოში 2012 წლის ბოლოს გამოცხადებული და 2013 წელს აღსრულებული ზოგადი ამნისტიის შედეგად პატიმართა რაოდენობა განახევრდა. ამნისტიის დანაშაულის მაჩვენებელზე ზეგავლენის შესახებ ზოგადი საუბრებია, მაგრამ არ არსებობს რამე მყარი მტკიცებულება. არ იკვეთება, რომ გათავისუფლებულებმა უმალ დანაშაულებრივ საქმიანობას მიჰყვეს ხელი, მაგრამ პატიმართა რაოდენობა კვლავ მატულობს. ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ პოლიტიკური დისკურსი უფრო რთული გახადა, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსში დაგეგმილი ცვლილებები და რეაბილიტაციურ მიდგომებზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პოლიტიკის მხარდაჭერა უთითებს, რომ პატიმრობის მაჩვენებელი შესაძლოა მკვეთრად არ გაიზარდოს. როგორც სხვა ქვეყნების მაგალითზე ვნახეთ, ამას ნაკლები კავშირი აქვს დანაშაულის მაჩვენებელთან და უფრო სისხლის სამართლის პოლიტიკის არჩევანია. საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაზე საზოგადოებრივი კონტროლი ნაკლებად არის კრიმინოლოგიური დასავლური ქვეყნებისგან განსხვავებით, მაგრამ შესაძლოა გაძლიერდეს, რადგანაც მეტი მონაცემების შეგროვება და შესწავლა ხდება და საჭირო იქნება რეაბილიტაციური მიდგომის წარმატების მტკიცებულება.

დანაშაულის შემცირების თავსატეხი

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში (2005-2014 წლები) უმრავლეს დასავლურ საზოგადოებაში დანაშაულის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი და მდგრადი შემცირება ფიქსირდება. მაგალითად, ინგლისისა და უელსის დანაშაულის უახლესი კვლევის (2013 წელი) მონაცემები უთითებს დანაშაულის ყველაზე დაბალ მაჩვენებელზე მას შემდეგ, რაც მონაცემების შეგროვება დაიწყო - 1981 წლიდან. ამას კრიმინოლოგები არ წინასწარმეტყველებდნენ, რადგანაც ამ პერიოდისთვის საპირისპირო შედეგების მოლოდინი არსებობდა. საბანკო კრიზისი - 2007 წლიდან დაწყებული ვარდნა მზარდი უმუშევრობით, დანაშაულის ზრდის, განსაკუთრებით

კი ეკონომიკური დანაშაულის მაპროვოცირებელი უნდა გამხდარიყო. უკანასკნელი 50 წლის მანძილზე მრავალმა კვლევამ დაადასტურა, რომ ყოველთვის არსებობდა პოზიტიური კორელაცია უმუშევრობასა და დანაშაულის მაჩვენებელს შორის. რატომ დადგა საპირისპირო შედეგი? უფრო მეტი ადამიანი იყო უმუშევარი და საშუალო ხელფასზე მომუშავე, თუმცა დანაშაულის მაჩვენებელი იკლებდა.

ამ ფენომენთან დაკავშირებით რამდენიმე თეორია განვითარდა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დანაშაულის 40 წლიანი ტალღის დასასრული, როგორც (წინააღმდეგობრივად) შემოგვთავაზეს, შესაძლოა, ნაწილობრივ უკავშირდებოდეს 1950-იან წლებში ავტომობილის საწვავში ტყვიის (ნეუროტოქსინი) დამატებას (Gesch 2007) და სამომხმარებლო საქონლის ფასების შემცირებას ჩინეთის ეკონომიკური ბუმის შედეგად, რამაც განაპირობა მოპარული საქონლის ,,ქუჩის" ფასის მკვეთრი შემცირება (დანაშაული არ არის იმდენად მომგებიანი) (Rosenfeld and Messner 2013). გარკვეული კავშირია ,,სამიზნის გართულებასთან" და ამას აშკარად ჰქონდა ზეგავლენა ავტომობილების ქურდობასა და მობილური ტელეფონების ქურდობაზე. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში ავტომობილის ქურდობა 2004 წელს 620 000-დან 2014 წლისთვის 5000-მდე შემცირდა. ამ პერიოდში მრავალ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას ჰქონდა ადგილი ავტომობილის უსაფრთხოების მიმართულებით (Hough 2013): მაგალითად, დაფიქსირდა ძალადობრივი დანაშაულის მნიშვნელოვანი შემცირება. შერმანმა (Sherman 2013) ეს დაუკავშირა დასავლური საზოგადოების დემოგრაფიას (დაბერება), მოხუცებულთა დამამშვიდებელ ზეგავლენას ახალგაზრდებზე, მომსახურების სექტორის ზრდას და საწარმოო სექტორის შედარებით შემცირებას, რაც ახალგაზრდა მამაკაცებს ,,მაჩოებად" (Hough 2013) ნაკლებად აქცევს. ასევე, მცირდება ნარკოტიკული საშუალებებისა და ალკოჰოლის მოხმარება ერთეულზე, მათ შორის ახალგაზრდებში.

შემცირების ერთ-ერთი შედეგია ის, რომ დანაშაულისა და სასჯელის შესახებ დებატი, რაც სამოცდაათიანი წლების შუა რიცხვებიდან მეოცე საუკუნის ბოლომდე და მერეც ყველა მიმდინარეობის პოლიტიკოსებისთვის მთავარი თემა იყო, ამჟამად დამცხრალია. ამ პერიოდში, როგორც ვნახეთ, დებატს საპირისპირო შედეგები ჰქონდა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: ფინეთი, გაერთიანებული სამეფო და, განსაკუთრებით, აშშ. გაუმჯობესება დაფიქსირდა პოლიტიკის განსაზღვრასა და სარეაბილიტაციო მომსახურებაში, რასაც ზეგავლენა ჰქონდა განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელზე.მნიშვნელოვანი გაუმჯობესება დაფიქსირდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ორგანოების კომუნიკაციისა და უფრო ეფექტიანი თანამშრომლობის მიმართულებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამჟამინდელი ,,დანაშაულის თავსატეხი" იშვიათად ხდება სისხლის სამართლის პოლიტიკის ჭრილში დისკუსიის საგანი. მართალია, კვლავ არიან პოლიტიკოსები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ პატიმრობის მნიშვნელოვანი მახასიათებლებია: დანაშაულებრივი ქცევის ,,უნარის ჩამორთმევა" და ,,გამიჯვნა", მაგრამ მათი ხმა ამჟამად ნაკლებად ისმის.საზოგადოდ მიღებულია, რომ ფართო სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს უფრო მეტი ზეგავლენა აქვს დანაშაულზე, ვიდრე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას.

დასკვნა

ამ თავში ჩვენ დავინახეთ, რომ იურისდიქციებს შორის და იურისდიქციის ფარგლებში გარკვეულ პერიოდში პატიმრობის მაჩვენებლის რეგისტრირებული ცვლილებები შედარებებისთვის საჭიროებს საზომების სრულ გააზრებას. მონაცემთა ინტერპრეტაცია ხდება სახელმწიფო პოლიტიკისა და სასჯელის შეფარდების ფილოსოფიის, რეჟიმისა და რესურსების ცოდნით. პატიმრობის მაჩვენებლებსა და გაცხადებული და რეგისტრირებული დანაშაულის მაჩვენებლებს შორის ურთიერთმიმართების განმარტება, ასევე, სიფრთხილეს საჭიროებს, მაგრამ მიზეზშედეგობრივი კავშირის მტკიცებულება ნაწილობრივია.

მე-20 საუკუნის ბოლოს პატიმრობის მაჩვენებლის მკვეთრი ზრდა აშშ-ში და შედარებით მცირე მასშტაბით ინგლისსა და უელსში მეტწილად უკავშირდება პოლიტიკის დონეზე

პასუხს, ასევე, არჩევნის, კანონმდებლობისა და საზოგადოებრივი წესრიგის პოლიტიზებას და ნაკლებად - დანაშაულის მაჩვენებლის ზრდას, მაგრამ რადიკალურად განსხვავებული შედეგებით. პატიმრობის მაჩვენებლის შემცირებით ხასიათდება ფინეთი, სადაც პოლიტიკის დონეზე გაკეთდა გააზრებული და მდგრადი არჩევანი მხარდაჭერისა და ფართო კონსენსუსის შესახებ. ნებისმიერ იურისდიქციაში დეკარცერაციის წარმატებული სტრატეგია მოითხოვს მდგრად პოლიტიკურ შემართებას, რაც, თავის მხრივ, ფრთხილ დაგეგმვასა და აღსრულებას საჭიროებს, განსაკუთრებით მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიასთან მიმართებით. ასევე, შესაძლოა, რომ საჭირო იყოს ხელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი. მაშინაც კი, როდესაც დანაშაულის რეალური მაჩვენებელი იკლებს, როგორც ეს ამჟამად ხდება ბევრ ქვეყანაში, მძიმე დანაშაულით გამოწვეული დანაშაულის შიშმა და მორალურმა პანიკამ შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს კანონმდებლებსა და მოსამართლეებზე პატიმრობის მეტად გამოყენების მიმართულებით.

ქართულ კონტექსტში პატიმრობის მაჩვენებლისა და პრობაციის დატვირთვის შემდგომი შემცირება (ამჟამად არსებული ზრდის შენელება) საჭიროებს მდგრად პოლიტიკურ ნებას. შეიძლება საჭირო გახდეს მეტი დებატი და გამჭვირვალობა იმის შესახებ, თუ რა არის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის საერთო მიზანი და ამ დებატის გასამყარებლად დანაშაულის მაჩვენებლებისა და სასჯელის ზეგავლენის შესახებ მტკიცებულების სისტემური შეგროვება.

გამოყენებული ლიტერატურა:

Aromaa, K. and Keiskanen, M. (2000) Crime Risks in Finland 2000. *Research Communication no.50.* National Research Institute of Legal Policy and Statistics, Finland

Christie, N. (2000) *Crime Control as Industry,* Routledge: London

Councell, R. and Simes, J. (2002) Projections of Long Term Trends in the Prison Probation to 2009, *Home Office Statistical Bulletin 14/02*

The Crime Survey for England and Wales, *http://www.crimesurvey.co.uk/*

Downes, D. (1988) *Contrasts in Tolerance*

Gesch, B. (2014) http://www.bbc.co.uk/news/magazine-27067615

Giddens, A. (1984) *The Constitution of Society,* Polity Press

Graham, J. (1990) Decarceration in the Federal Republic of Germany, *British Journal of Criminology 30:* 150-170

Halliday, J. (2001) *Making Punishments Work: A review of the sentencing framework for England and Wales.* Home Office. London

Hough,M. (2013) *Why is crime falling?* Criminal Law and Justice Weekly , Vol 177, No 20, Sutton, England

Lappi-Seppälä, Tapio (2008) Controlling prisoner rates:experiences from Finland, *UNAFEI Resource Material Series No. 74, P 3-19,* www.unafei.or.jp/english/pdf/RS_No74/No74_05VE_Seppala1.pdf

Martinson, R. (1984) What Works? Questions about prison reform. *The Public Interest 35* 22-54

Mauer, M. (1999) *Race to Incarcerate.* New Press, New York

Morgan, R. (2002) Imprisonment: Current concerns and a brief history since 1945 in M. Maguire, R. Morgan and R. Reiner (eds.) *The Oxford Handbook of Criminology* pp 1151 – 1162

Pease, K. (1994) Cross national imprisonment rates: Limitations of method and possible conclusions in R. D. King and R. Morgan (Eds) *Prisons in Context, Oxford, Clarendon Press.*

Rosenfeld R. & Messner S. 2013 *Crime and the Economy.* Sage Publications. New York

Rutherford, A. (1986) *Prisons and the Process of Justice.* Oxford University Press

Sherman, L.W. 2013 *The Rise of Evidence-Based Policing: Targeting, Testing,and Tracking. CEBCP, Fairfax , Va*

Tornudd, P. (1993) Fifteen years of decreasing prisoner rates in Finland, National Research Institute of Legal Policy and Statistics, Finland

Tuck, M. (1988) The Future of Corrections Research in David Biles (Ed) *Current International Trends in Corrections.* The Federation Press, Sydney

Von Hirsch, A. (1993) Censure and Sanctions, Clarendon Press, Oxford

(Walmsley, R. 2001) World Prison Populations in Dick Van Zyl Smit and Frieder Duake (Ed) *Imprisonment Today and Tomorrow.* Klower Law International ,The Hague

Walmsley, R. (2013) World Prison Population List (10th Edition) , ICPS , London

Young, W. (1986) Influences upon the use of Imprisonment. *Howard Journal 25* 125-136.

თავი 11

სამართალდამრღვევებთან მუშაობის მეთოდები (1) - პრობაციის მეთოდების მიმოხილვა

ია შეყრილაძე, MSW, LCSW, PhDc,
მოწვეული პროფესორი სოციალური მუშაობის მიმართულებით,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, დამფუძნებელი

,,დანაშაულებრივი ქცევა ინდივიდუალური პიროვნების მიერ შესრულებული ქმედებაა. იგი შეიძლება შემაძრწუნებელი იყოს, მაგრამ თავიდან ბოლომდე ადამიანურია.“
ენდრიუ მაკვინი

შესავალი 117

რეაბილიტაციური მიდგომის ციკლები: ერადან „არაფერი მუშაობს“ ერამდე „რა მუშაობს“ 117

მიდგომის ეფექტიანობის პრინციპები კორექციულ სფეროში 119

თანამედროვე მტკიცებულებაზე დაფუძნებული პერსპექტიული პრაქტიკების მაგალითები 122

პერსონალის უნარები და ქცევა 124

დასკვნა 125

შესავალი

ისტორიულად დანაშაულის ჩამდენთა მიმართ რეაქცია საზოგადოებათა უმრავლესობაში დასჯაზე ორიენტირებული იყო. დღესაც ფართოდ არის გავრცელებული არასწორი აზრი იმის შესახებ, რომ სასჯელი ამცირებს დანაშაულს. თუმცაღა, როდესაც დანაშაულს სასჯელს ვუთავსებთ, ციხეში სოციალურ პრობლემას კი არ ვათავსებთ, არამედ კონკრეტულ ინდივიდებს და ვიმედოვნებთ, რომ როგორღაც ისინი აღარ გაიმეორებენ ანტისოციალურ ქცევას. იმავდროულად, სამართალდამრღვევში საზოგადოება ხშირად დაბალი რანგის ადამიანს ხედავს და მას უპატივცემულოდ ეპყრობა. რამდენად შედეგიანი შეიძლება იყოს მსგავსი მიდგომა? რეალურად რა ტიპის მიდგომა ეხმარება ადამიანებს უკეთესი მოქალაქეები გახდნენ?

რეაბილიტაციური მიდგომის ციკლები: ერადან „არაფერი მუშაობს“ ერამდე „რა მუშაობს“

ადრეული პრობაციული სამუშაოები გაერთიანებულ სამეფოში, ჰოლანდიასა და სხვა ქვეყნებში ეფუძნებოდა მორალურ განათლებასა და პრაქტიკულ დახმარებას. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში ფოკუსმა გადაინაცვლა ეგრეთ წოდებულ რეაბილიტაციურ დასჯაზე და, მოგვიანებით, მიდგომებზე, რომელიც მიზნად ისახავდა დანაშაულის შემცირებასა და პრევენციას. ჰადსონის თანახმად (ციტირებული Chui, 2003), რეაბილიტაციური სასჯელების (მაგ. ნარკომანიის/ალკოჰოლიზმის მკურნალობის გავლა) რეფორმატორებს სწამდათ, რომ რეციდივიზმის შემცირების გასაღები იყო

,,სამართალდამრღვევში იმის გამოწვევა, რომ მას აღარ მონდომებოდა დანაშაულის ხელახალი ჩადენა“ (ნაცვლად იმისა, რომ მხოლოდ შიშის გამო აღარ ჩაედინა დანაშაული) (გვ. 58). შედეგად, არაერთი მიდგომა განვითარდა რეაბილიტაციის ფართო ჩარჩოში და ამან, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო ტერმინის - „რეაბილიტაცია“ ბუნდოვნებას.

1960-იან და 70-იან წლებში უამრავი კვლევა ჩატარდა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში, რომელმაც პოლიტიკის შემმუშავებლებს უკეთესი წარმოდგენა შეუქმნა მოცემულ საკითხზე. თუმცაღა, სისხლის სამართლის პოლიტიკის სფეროში ჩატარებულმა მარტინსონის, ლიპტონის და კოლეგების, ფოლკლენდის და კოლეგების და სხვა კვლევებმა (ციტირებული Chui, 2003) თითქოს აჩვენა, რომ სასჯელთა არსებულმა ზომებმა ვერ მოახდინა დანაშაულის რეციდივიზმზე გაზომვადი გავლენის დემონსტრირება. აქედან დაიწყო პესიმისტური ერა: „ვერაფერი მუშაობს“, რომელმაც შეასუსტა მანამდე არსებული, ციხესა და თემზე დაფუძნებული ფსიქოსოციალური პროგრამების რწმენა და გამოიწვია რეაბილიტაციური მიდგომის შედარებითი უკუსვლა. ამ მოვლენის გავლენა განსაკუთრებით საგრძნობი გახდა 1970-იან წლებში აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში და სხვა ინგლისურენოვან ქვეყნებში, სადაც დანაშაულის სიხშირე სწრაფად გაიზარდა და დანაშაულმა ბევრად უფრო პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა. თუ რეფორმამ ვერ იმუშავა და რეციდივიზმზე ვერაფერი ახდენდა გავლენას, მაშინ რაღატომ უნდა დახარჯულიყო კორექციულ სფეროში იმ მინიმუმზე მეტი, რომელიც მოიაზრებდა დაპატიმრებას? აქცენტი გადანაცვლდა სასჯელსა და მის პროპორციულობაზე და ბევრად იმატა დაპატიმრების სიხშირემ. ასევე, თემში არსებული მკურნალობის მოდელები, ძირითადად, ჩანაცვლდა „თემში დასჯით“ ანუ ისეთი პროგრამებით, როგორიცაა: თემის მომსახურება და სხვა შემზღუდავი მოთხოვნები (Chui, 2003; McWhinnie, 2006).

პრობაციის სააგენტოს ბევრი პრაქტიკოსი არ იზიარებდა იმ აზრს, რომ „ვერაფერმა იმუშავა“, მაგრამ თავიანთი პოზიციის გასამყარებლად მათ მხოლოდ კერძო ან მცირე მონაცემებზე დაფუძნებული მტკიცებულებების მოყვანა შეეძლოთ. მარტინსონის მნიშვნელოვანი კვლევებიდან 25 წლის შემდეგ კვლევათა მეტაანალიზმა აჩვენა, რომ რეაბილიტაციას შეუძლია შედეგის მოტანა. ამ ყოველივემ მკვლევარების, პრაქტიკოსების და, მოგვიანებით, პოლიტიკის შემმუშავებლების ყურადღება მიაპყრო სამართალდარღვევის მთავარ ფაქტორებს და აქცენტი გადაანაცვლა ისეთი მიდგომების შემუშავებაზე, რომლებიც რეციდივიზმს შეამცირებდა (Chui, 2003).

ენდრიუსის და ბონტას კვლევების (ციტირებული Chui, 2003, McWhinnie, 2006) საფუძველზე დადგინდა დანაშაულებრივი ქცევის ცვლადები ანუ „რისკფატორები“, რომლებიც ორ ჯგუფად დაყვეს: სტატიკურ ფაქტორებად (ფაქტორები, რომლებიც არ იცვლება, მაგ. სქესი, დანაშაულის ჩადენის ისტორია) და დინამიკურ ფაქტორებად (ფაქტორები, რომლებიც დროში ცვალებადია, მაგ. კრიმინალური ამხანაგები). დინამიკური რისკფაქტორები ცნობილია, როგორც კრიმინოგენული ანუ დანაშაულის გამომწვევი მოთხოვნილებები, რომლებიც განსხვავდება სხვა, არაკრიმინოგენული, ადამიანური მოთხოვნილებებისგან. დინამიკური ფაქტორები, თავის მხრივ, იყოფა ორ ქვეკატეგორიად, რომელთაც უწოდებენ ,,სტაბილურ“ და ,,მწვავე“ რისკფაქტორებს. სტაბილური ფაქტორები დროში ცვალებადი, თუმცა ცვლილებისადმი რეზისტენტული ფაქტორებია (მაგ. კრიმინალური მეგობრები, ანტისოციალური პიროვნება), რომლებიც უნდა წარმოადგენდეს გრძელვადიანი ინტერვენციის ფოკუსს. მწვავე ფაქტორები კი სწრაფად ცვალებადი ფაქტორებია (მაგ. სამსახურის დაკარგვა, პარტნიორთან დაშორება), რომლებსაც სწრაფი ეფექტის მოხდენა შეუძლია დანაშაულის ჩადენის რისკზე (ალბათობაზე) და, საჭიროების შემთხვევაში, უნდა წარმოადგენდეს გადაუდებელი ინტერვენციის ფოკუსს.

სამფსონმა და კოლეგებმა აშშ-ში დაადგინეს (ციტირებული McWhinnie, 2006), რომ თემებში ინდივიდუალური მოქალაქეების მაღალი ჩართულობით ადამიანები მეტად არიან მზად, პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარ და მეზობლების უსაფრთხოებაზე და ამით ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ პროსოციალური ქცევის ხელშეწყობა ზრდის პროსოციალურ ქცევას, ხოლო სუსტი სოციალური მხარდაჭერა კი ზრდის დანაშაულის ალბათობას.

ნიუ ბრუნსვიკის/კარლტონის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ჩაატარეს დანაშაულებრივი ქცევის კორელატების მეტაანალიზი ინგლისურ ენაში 1970 წლიდან და დაადგინეს მასთან დაკავშირებული ექვსი ფაქტორი (ციტირებული McWhinnie, 2006): (1) ანტისოციალური განწყობები და ამხანაგები; (2) ტემპერამენტი/ხასიათი/პიროვნება; (3) მშობლებთან დაკავშირებული/ოჯახური ფაქტორები; (4) საგანმანათლებლო და სამუშაო მიღწევები; (5) პირადი დისტრესი და ფსიქოპათოლოგია; (6) დაბალი სოციალური კლასის წარმომავლობა.

შემდგომმა კვლევებმა (McWhinnie, 2006) მოახდინა „დიდი რვა" რისკფაქტორის იდენტიფიცირება: (1) ანტისოციალური განწყობები; (2) ანტისოციალური ამხანაგები; (3) ანტისოციალური ქცევის ისტორია; (4) ანტისოციალური პიროვნების პატერნი; (5) პრობლემები სახლში/ოჯახში; (6) პრობლემები სასწავლებელში ან სამსახურში; (7) პრობლემური გართობის აქტივობები; (8) ნივთიერებათა ავადმოხმარება. ამ კვლევების თანახმად, თუ პროგრამირების ყოველ ეტაპზე, რომელიც გულისხმობს რეციდივიზმის შემცირებაზე მიმართულ ინტერვენციათა შექმნას, მიწოდებას და შეფასებას, არ მოხდა ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთა გათვალისწინება, რეაბილიტაციის შედეგები ნაკლებად იქნება მიღწეული.

1990-იან წლებში ჩატარებულმა კვლევებმა განაახლა რეაბილიტაციის ღირებულების შესახებ დისკუსია, საფუძველი შეურყია რა პესიმისტურ ერას - „არაფერი მუშაობს" და ბიძგი მისცა მოძრაობის ერის - „რა მუშაობს" დაწყებას (Chui, 2003; McWhinnie, 2006). მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომები დაეხმარა პრობაციის სერვისებს, თავი დაემკვიდრებინა „მსუბუქი" სასჯელების მიმართ მტრულად განწყობილ პოლიტიკურ კლიმატში. ამ კონტექსტში ბრიტანეთის პრობაციის სერვისმა დანერგა კარგად დაგეგმილ და აღჭურვილ მტკიცებულებაზე დაფუძნებული სამართალდამრღვევთა ზედამხედველობის ეროვნული მიდგომა, რომელმაც დაამკვიდრა დეტალური სტრატეგიული ჩარჩო, ახალი მეთოდოლოგიები, ხანგრძლივი ტრენინგი და ხარისხის უზრუნველყოფისა და მონიტორინგის სისტემები (Chui, 2003). ამგვარად ერის „რა მუშაობს" ინიციატივებმა ხელი შეუწყო არა მხოლოდ საპრობაციო ზედამხედველობის ეფექტიანობის ახლებურ განმარტებას, არამედ ადრინდელი კვლევების მიერ დადგენილი შეუთავსებლობების აღმოფხვრასაც. აღნიშნული შეუთავსებლობები მოიცავდა: სამართალდამრღვევთა საჭიროებისა და რეციდივიზმის რისკების გაუთვალისწინებლობას ზედამხედველობის დაგეგმვისას; პროგრამებში ჩართულობის დაბალ მაჩვენებლებს; პროგრამების მტკიცებულებაზე დაფუძნებულობის ნაკლებობას; გადამისამართების პროცესის სისუსტეს; პროგრამაში ჩართვის გაურკვეველ კრიტერიუმებს და შემთხვევათა მართვის სისუსტეებს.

მიდგომის ეფექტიანობის პრინციპები კორექციულ სფეროში

1990-იან წლებში ზემოსხენებულ კვლევათა შედეგებზე დაყრდნობით მრავალი მკვლევარი შეეცადა ეფექტიანი ინტერვენციების პრინციპების ჩამოყალიბებას (Chui, 2003). ენდრიუსმა და ბონტამ გამოყვეს ეფექტიანი ინტერვენციის სამი ფუნდამენტური პრინციპი: რისკის, საჭიროებისა და რეაგირების პრინციპები (ციტირებული McWhinnie, 2006; Chui, 2003).

რისკის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ კორექციული პროგრამები ყველაზე ფართოდ უნდა შეეხოთ მათ, ვისაც ყველაზე მაღალი ალბათობით შეუძლია დანაშაულის ხელახლა ჩადენა. დაბალი რისკის მქონე შემთხვევები ინტერვენციის სახით საჭიროებენ მხოლოდ მსუბუქ სანქციებსა და დახმარების პროგრამებს. რეალურად დაბალი რისკის მქონე სამართალდამრღვევის ინტენსიურ პროგრამაში მოთავსებას შეიძლება არასასურველი შედეგი მოჰყვეს და მაღალი რანგის კრიმინალურ პირებთან კონტაქტმა შესაძლოა გაზარდოს მის მიერ დანაშაულის ჩადენის რისკი (McWhinnie, 2006). ინტენსიური ჩარევის მოდელები, ასევე, საკმაოდ ძვირი ჯდება და ამიტომ ისეთ ინვესტიციას წარმოადგენს, რომ ტყუილად არ უნდა დაიხარჯოს, თუ რეალურად არ შეამცირებს რეციდივიზმს.

საჭიროების პრინციპი გულისხმობს, რომ ინტერვენციები მიმართული უნდა იყოს დინამიკურ (ანუ ცვალებად) ფაქტორებზე ან კრიმინოგენულ რისკფაქტორებზე (McWhinnie,

2006). ამგვარად, კრიმინოგენული საჭიროება კორექციული პროგრამების ფოკუსი ხდება. დანაშაულის ჩადენის მაღალი ალბათობის მქონე ადამიანები (დანაშაულის ჩადენის გაზრდილი ალბათობის გამო ზოგჯერ მათ მაღალი რისკის სამართალდამრღვევებს უწოდებენ), ჩვეულებრივ, ხასიათდებიან კრიმინოგენული საჭიროების მრავალფეროვნებით. შესაბამისად, პროგრამები მულტიმოდალური უნდა იყოს, რათა განსხვავებულ კრიმონოგენურ საჭიროებას პასუხობდეს. სხვადასხვა ინტერვენციის ეტაპობრივი მოწოდებაც მნიშვნელოვანია. მაგალითად, უსახლკარო სამართალდამრღვევი ნაკლებად შეძლებს „აზროვნების პროგრამის“ წარმატებულად გავლას თუ მას, პირველ რიგში, საცხოვრისის პრობლემა არ მოუწესრიგდა.

რელევანტურობის პრინციპი გულისხმობს ისეთი პროგრამებისა და მოდალობების არსებობას, რომელიც შეესაბამება სამართალდამრღვევთა შესაძლებლობებსა და ათვისების უნარებს/სტილს (McWhinnie, 2006). დაბალი ფუნქციონირების მქონე ადამიანები ვერ შეძლებენ კარგი შედეგების მიღწევას ისეთ პროგრამებში, რაც გულისხმობს მაღალი კოგნიტური უნარების გამოყენებას - ბევრ და ხანგრძლივ კითხვას, წერით მეტყველებას და რეფლექსიას. რელევანტურობის პრინციპი ორ ნაწილად იყოფა. ზოგადი რელევანტურობა გულისხმობს იმას, რომ პროგრამის გარემო ხელს უნდა უწყობდეს სწავლას და კეთილგანწყობილი უნდა იყოს მონაწილისადმი. აღნიშნული გულისხმობს სერვისის მიმწოდებლის მიერ არაგანსჯითი, თანამშრომლობითი და მეგობრული გარემოს შექმნას. კონკრეტული რელევანტურობა კი გულისხმობს სამართალდამრღვევის შესაძლებლობებისა და ათვისების სტილთან შესაბამისობას, რაც თავის თავში მოიაზრებს მისი ასაკის, სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, გონებრივი შესაძლებლობების, ძლიერი მხარეების, მოტივაციის და ა. შ. გათვალისწინებას.

ანალოგიურად მაკგირმა და პრისტლიმ (ციტირებული Chui, 2003) შეიმუშავეს პრობაციის სფეროში რეციდივიზმის შემცირების ეფექტიანი სარეაბილიტაციო პროგრამების ექვსი წამყვანი პრინციპი: *რისკთა კლასიფიკაცია, კრიმინოგენული რისკები, რელევანტურობა, თემზე დაფუძნებულობა, ჩარევის/მკურნალობის მოდალობა და პროგრამის მთლიანობა.* აღნიშნული პრინციპები დიდ ბრიტანეთში დანაშაულის შემცირების სტრატეგიებისა და პროგრამათა მოდერნიზაციის საფუძვლად იქცა.

რისკთა კლასიფიკაცია გულისხმობს ცალსახა შესაბამისობას სამართალდამრღვევის რისკის დონესა და მისი სერვისის/ზედამხედველობის ხარისხს შორის. რაც უფრო მაღალია რეციდივის ალბათობა, მით ინტენსიურია სერვისი და ზედამხედველობა.

კრიმინოგენული რისკები მოიაზრებს მუშაობისას კლიენტის იმ მახასიათებლებსა და პრობლემებზე ფოკუსირებას, რომელიც ხელს უწყობს ან ასოცირდება დანაშაულებრივ ქცევასთან. ავტორების თანახმად, რეაბილიტაციის პროცესი უნდა ეფუძნებოდეს დინამიკურ კრიმინოგენულ ფაქტორებს (მაგ. დანაშაულებრივი განწყობები, ნივთიერებათა ავადმოხმარება, კრიმინალი ამხანაგები და იმპულსურობა) და არა სტატიკურ არაკრიმინოგენულ ფაქტორებს (მაგ. დაბალი თვითშეფასება, შფოთვა და სხვა). რისკთა კლასიფიკაციის ფარგლებში ითვლება, რომ მომდევნო ცხრა ფაქტორი წარმოადგენს ყველაზე გავლენიან ცვლადს დანაშაულის განმეორებით ჩადენისათვის: (1) განათლება; (2) დასაქმება; (3) ნივთიერებათა ავადმოხმარება; (4) ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა; (5) განწყობები და თვითკონტროლი; (6) ინსტიტუციონალიზაცია და ცხოვრებისეული უნარები; (7) საცხოვრისი; (8) ფინანსური სტატუსი (შემოსავალი და ვალი); (9) ოჯახი და ნათესავები. თითოეულ ფაქტორს და მათ კომბინაციას მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობაზე.

რელევანტურობა გულისხმობს შესაბამისობას სამართალდამრღვევისა და მისი ზედამხედველი ოფიცრის ათვისების სტილში. აღნიშნული მოიცავს სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, სოციოეკონომიკური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებას. უპირატესობა ენიჭება მონაწილეობით მეთოდებს დიდაქტიკურთან შედარებით.

თემზე დაფუძნება მოიაზრებს სამართალდამრღვევთა ქცევითი პროგრამების თემში განთავსებას. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ მრავალი მიზეზის გამო თემზე დაფუძნებული პროგრამები უფრო ეფექტიანია, ვიდრე ინსტიტუციაზე დაფუძნებული პროგრამები და ერთ-

ერთი მიზეზი სწორედ ის არის, რომ მათი გარემო უფრო ახლოს დგას საშინაო გარემოსთან.

ჩარევის/მკურნალობის მოდალობა გულისხმობს განსხვავებული პერსპექტიული ინტერვენციების კომბინაციის გამოყენებას. ყველაზე ეფექტურად ითვლება უნარების განვითარებაზე ორიენტირებული პრობლემის გადაჭრის მეთოდი, სოციალური უნარების ტრენინგი და კოგნიტურ-ბიჰევიორალური მეთოდები, რომელიც მიმართულია დანაშაულის ხელშემწყობ ღირებულებათა სისტემაზე.

პროგრამის მთლიანობა მოიაზრებს გატარებული პროგრამების თეორიასა და მტკიცებულებაზე დაფუძნებულ პრაქტიკასთან შესაბამისობას. ამგვარი პროგრამები უნდა განახორციელოს კვალიფიცირებულმა პერსონალმა ადეკვატური რესურსებით და უნდა ექვემდებარებოდეს სათანადო მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას.

გარდა ამისა, შედეგთა შესანარჩუნებლად უაღრესად მნიშვნელოვანია გათავისუფლების შემდგომი პროგრამების არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს შემდგომ მხარდაჭერას, მონიტორინგსა და რეციდივის პრევენციას. პროჩასკას, დიკლიმენტეს და ნოკროსის ტრანსთეორიული მოდელის თანახმად (ციტირებული Velicer et al., 1998; Fleet & Annison, 2003), ინდივიდის მიერ ქცევის შეცვლა სხვადასხვა ეტაპის გავლას გულისხმობს. ეს ეტაპებია(იხ. ნახატი 1): ფიქრისწინა (როდესაც ადამიანი არც კი განიხილავს ცვლილების საჭიროებას); ფიქრის (როდესაც ადამიანი ფიქრობს ცვლილებაზე); მომზადების (როდესაც ადამიანს გადაწყვეტილი აქვს ცვლილების განხორციელება); მოქმედების (როდესაც ადამიანი კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს ცვლილების განხორციელების მიმართულებით); შენარჩუნების (როდესაც განხორციელებულ ცვლილებას გამყარება და შენარჩუნება სჭირდება).

ტრანსთეორიული მოდელის ავტორთა თანახმად, შენარჩუნების ფაზა გრძელდება ექვსი თვიდან ხუთ წლამდე და, შესაძლოა, მთელი ცხოვრებაც (Fleet & Annison, 2003). მიუხედავად იმისა, რომ ტრანსთეორიული მოდელი დიდ აქცენტს არ აკეთებს რეციდივსა და წაცდენას შორის სხვაობაზე, რეციდივის პრევენციის მიდგომის ფარგლებში მათ შორის ნათელი განსხვავებაა. წაცდენა განიმარტება როგორც ერთჯერადი დაბრუნება ადიქტიურ ქცევასთან მაშინ, როდესაც რეციდივი გულისხმობს ცხოვრების ადიქტიურ სტილთან დაბრუნებას (Gross, 2004). ხდება როგორც წაცდენები, ასევე, რეციდივიც. წარმატებული ცვლილების განხორციელებამდე ზოგიერთ ადამიანს რამდენიმე რეციდივის გავლა უწევს. შესაბამისად, რეციდივის პრევენცია უმნიშვნელოვანესია გათავისუფლების შემდგომი პროგრამისათვის და დანაშაულის შესამცირებლად აუცილებელია ინსტიტუციურ პირობებში დაწყებული პროგრამების გაგრძელება თემში.

ნახატი 1: ცვლილების ეტაპები



თანამედროვე მტკიცებულებაზე დაფუძნებული პერსპექტიული პრაქტიკების მაგალითები

დღესდღეობით დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, კანადაში, შვედეთსა და ბევრ სხვა ქვეყანაში მრავალი აკრედიტირებული დანაშაულის შემცირებაზე მიმართული პროგრამა არსებობს და კიდევ მეტი არის აკრედიტაციის მიღების პროცესში (Chui, 2003; McWhinnie, 2006). ამ თავში ჩვენ მიმოვიხილავთ ზოგიერთ პროგრამას, რომელიც არაერთ ქვეყანაში გამოიყენება, მათ შორის, გაერთიანებულ სამეფოსა და ჩრდილოეთ ამერიკაში და, რომლის შესახებაც დაგროვდა ეფექტიანობის გარკვეული მტკიცებულება, რაც გვაფიქრებინებს ამ პროგრამების პერსპექტიულობაზე მოცემულ სფეროში.

1990-იან წლებში უელსში დაინერგა კოგნიტური მიდგომა *Straight Thinking on Probation* (STOP), რომელმაც შეამცირა განმეორებითი დანაშაულის კოეფიციენტი და გაზარდა ცვლილების თვითანგარიში, რამაც, თავის მხრივ, კარი გაუხსნა დანაშაულის პრევენციის კონსტრუქციული მიდგომებისადმი ინტერესს (Chui, 2003). *აზროვნებისა და რეაბილიტაციის პროგრამა* და *აზროვნების გაძლიერებული უნარების* პროგრამა სამართალდამრღვევებთან მუშაობისას გამოიყენებს კოგნიტურ-ბიჰევიორალურ მეთოდთა კომბინაციას. ორივე პროგრამა მიზნად ისახავს კოგნიტური უნარების განვითარებას სასურველი ცვლილების ხელშესაწყობად, ხოლო მეორე, ასევე, გულისხმობს ინტერპერსონალური პრობლემების მოგვარების უნარების გაუმჯობესებას. კიდევ ერთი კარგი ასეთი მაგალითია *აგრესიის ჩანაცვლების ტრენინგ* (ART) პროგრამა, რომელიც მულტიმოდალური სესიებისგან შედგება და მოიცავს სოციალური უნარების, თვითკონტროლისა და მორალური აზროვნების ტრენინგს.

გამოსავალზე ფოკუსირებული მიდგომა არის მოკლევადიანი, პიროვნებაზე ცენტრირებული მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს, დაეხმაროს ადამიანს პიროვნული პრობლემების გადალახვაში, რომლებიც მუდმივად საფრთხეს უქმნის მას პროგრესის შენარჩუნებაში (Fleet & Annison, 2003). ამოსავალი წერტილია პიროვნებასთან მუშაობა და არა პრობლემასთან მუშაობა. მიდგომა წარმოადგენს აწმყოზე ორიენტირებულ მეთოდს, რომელიც წარსულში ქექვასა და პრობლემური ქცევის ფესვების აღმოჩენას კი არ გულისხმობს, არამედ მიმართულია იმის გარკვევაზე, თუ რა წარმოადგენს კონკრეტული ინდივიდისათვის მიღწევად გამოსავალს. სწორედ სამართალდამრღვევსა და პრაქტიკოსს შორის თანამშრომლობა არის გზა იმის გასარკვევად, თუ რა მომავალი სურს რომ ჰქონდეს ადამიანს და როგორ შეიძლება მისი მიღწევა. ინდივიდის ხედვა საკუთარი კომპეტენტურობის შესახებ უმნიშვნელოვანესია და, შესაბამისად, აქცენტი კეთდება მის მიერ ლიდერის როლის აღებაზე როგორც ამოცანების განსაზღვრის თვალსაზრისით, ასევე მათი მიღწევის გზების არჩევის თვალსაზრისით. ეს მიდგომა თავდაპირველად შემუშავდა, როგორც კონსულტირების მეთოდი მოკლევადიანი თერაპიების ჩარჩოში და დღესდღეობით იგი რეკომენდებულია სოციალურ მუშაობაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროშიც.

რეციდივის პრევენციის ტექნიკები თავდაპირველად განვითარდა ადიქციური ქცევის მქონე ადამიანებისათვის, მოგვიანებით კი გავრცელდა სამართალდამრღვევებთან მუშაობის ზოგიერთ სფეროზეც (Fleet & Annison, 2003). რეციდივის პრევენციის წამყვანი კონცეპტი არის ეგრეთ წოდებული „მაღალი რისკის სიტუაცია“, რომელიც უკავშირდება ზემოთ ნახსენებ მწვავე დინამიკურ ფაქტორებს. წახალისებულია ინდივიდის მიერ პოტენციური მაღალი რისკის მატარებელი სიტუაციების იდენტიფიცირება და შემდგომ მას ეხმარებიან ამგვარი სიტუაციების დაძლევის უნარების განვითარება-შემუშავებაში. მარლოტისა და გორდონის თანახმად (ციტირებული Fleet & Annison, 2003), მაღალი რისკის სიტუაციები შეიძლება იყოს ინტერპერსონალური ან ინტრაპერსონალური ხასიათის. წაცდენა გამიჯნულია რეციდივისგან და განიხილება, როგორც ერთჯერადი აქტი, რომელსაც აუცილებლად რეციდივამდე არ მივყავართ. შესაბამისად, რეციდივის პრევენცია მიზნად ისახავს რეციდივის ალბათობის შემცირებას იმის ხელშეწყობით, რომ ადამიანმა წაცდენა განიხილოს, როგორც პროგნოზირებადი სასწავლო გაკვეთილი, რომელიც მას ინფორმაციას აწვდის საკუთარ სისუსტეებზე. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ წაცდენა მისაღებია, არამედ ხაზს

უსვამს მოტივაციის შენარჩუნებაში გამხნევების უზრუნველყოფისა და თვითეფექტიანობის ხელშეწყობის მნიშვნელობას.

დასავლურმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ კრიმინალური ქცევის ფსიქოლოგიის გააზრება ამოსავალი წერტილია სათანადო ინტერვენციების შესამუშავებლად. აქედან გამომდინარე, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში კორექციული პროგრამები კანადასა და დასავლური სამყაროს სხვა ქვეყნებში დაეფუძნა და ხორციელდებოდა ამ ფილოსოფიის ფუნდამენტური მახასიათებლების შესაბამისად (McWhinnie, 2006). კანადაში განხორციელებული წამყვანი კორექციული პროგრამები მოიცავს: (1) ცხოვრებისეული უნარების პროგრამას; (2) ძალადობის პრევენციის პროგრამას; (3) პროგრამას სქესორბივი დანაშაულის ჩამდენი პირებისთვის; (4) ოჯახური ძალადობის პროგრამას; (5) ნივთიერებათა ავადმოხმარების პროგრამას; (6) მულტისისტემურ თერაპიას (პერსპექტიული პროგრამა არასრულწლოვნებთან).

ცხოვრებისეული უნარების პროგრამა ეხმარება სამართალდამრღვევებს, შეიძინონ კრიმინოგენულ ფაქტორებთან (დინამიკური, სოციოკოგნიტური) და კრიმინალურ ქცევასთან დაკავშირებული დეფიციტის დაძლევის უნარები. ამგვარი დეფიციტი თითქმის ყველა სამართალდამრღვევში მოიძებნება. პროგრამა მონაწილეებს ასწავლის, დაფიქრდნენ მანამ, სანამ იმოქმედებდნენ; გაიაზრონ, თუ რა პრობლემა ელით და დაგეგმონ მასზე რეაგირება; ფოკუსირდნენ გამოსავალზე, გაითვალისწინონ სხვა ადამიანების თვალსაზრისი; გახდნენ უფრო მოქნილები, რაციონალურები და რეფლექსურები. უფრო ზუსტად, პროგრამა მიმართულია ინტერპერსონალური პრობლემების მოგვარებაზე; თვითკონტროლისა და თვითმართვის (იმპულსურობა) გაძლიერებაზე; ასერტულობისა და სოციალურობის ხელშეწყობაზე; სოციალური პერსპექტივის დანახვასა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე. პროგრამის დასრულების შემდეგ ისინი, ვისაც კვლავ სერიოზული სოციოკოგნიტური დეფიციტი აქვს, გადამისამართდებიან სხვა პროგრამაში, რომელიც მიზნად ისახავს შეძენილი უნარების შენარჩუნებასა და გამყარებას.

ბრაზისა და ემოციების მართვის პროგრამა წარმოადგენს ცხოვრებისეული უნარების პროგრამათა ქვეტიპს, რომელიც ადამიანებს ასწავლის აზროვნების იმ პატერნების შეცვლას, დანაშაულებრივ ქცევასთან ასოცირებულ ემოციებს რომ იწვევს. პროგრამა მიმართულია იმ ფაქტორებზე, რომლებიც ახდენს ბრაზის, ეჭვის, დეპრესიისა და შფოთვის პროვოცირებას, რაც მათ უბიძგებთ დანაშაულისადმი და ცდილობს, ასწავლოს ადამიანს, თუ როგორ უნდა მართოს პრობლემურ ქცევასთან დაკავშირებული ემოცია, შეცვალოს ემოციის გამომწვევი აზროვნების პატერნი, შეიმუშაოს კონფლიქტის გადაჭრის უნარები და განავითაროს რეციდივის პრევენციის გეგმა.

ძალადობის პრევენციის პროგრამა არის ინტენსიური კოგნიტურ-ბიჰევიორალური და უნარებზე დაფუძნებული რეინტეგრაციის პროგრამა პატიმრებისათვის, რომელიც აგრესიასა და ძალადობრივ ქცევას მრავალგანზომილებიან ფენომენად განიხილავს. პროგრამა ეყრდნობა თანამედროვე თეორიასა და კვლევებს და ხორციელდება ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტისა და პროგრამის ოფიცრის მიერ. აღნიშნული პროგრამა აერთიანებს განსხვავებულ სარეაბილიტაციო მიდგომებს, ფოკუსირდება ძალადობრივ კანონდარღვევებსა და ინტერპერსონალურ აგრესიაზე და აქცენტს აკეთებს რეციდივის პრევენციაზე. ინტერვენციის ტექნიკების განმტკიცება ხდება თანმიმდევრული სტრატეგიით, რომელიც ხაზს უსვამს თვითკონტროლს, სოციალური პრობლემების გადაჭრას, განათლებას, თვითმართვას და იყენებს როლურ თამაშებსა და საშინაო დავალებებს. პროგრამის მიზანია მონაწილეთა უნარების გაუმჯობესება და მომავალი ძალადობის რისკის ამგვარად შემცირება.

სქესობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა პროგრამა არის პროგრამა სექსუალური ძალადობის ისტორიის მქონე ადამიანებისათვის და მიმართულია ქცევის ბუნების, პატერნის დადგენისა და იმ სტრატეგიების შემუშავებაზე, რომელიც ეფექტიანი თვითმართვის გზით შეამცირებს რეციდივის რისკს. აღნიშნული პროგრამა ფოკუსირდება კოგნიტურ დამახინჯებებზე, დევიანტურ აღგზნებასა და ფანტაზიაზე, ბრაზისა და ემოციების მართვაზე, ემპათიასა

და მსხვერპლის გაგებაზე. სქესობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა პროგრამა ჯგუფური სახისაა, ძირითადად, კოგნიტურ-ბიჰევიორალურ მიდგომას იყენებს და, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურ ინტერვენციასაც გულისხმობს. პროგრამა მიმართულია იმაზე, რომ ადამიანმა პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ ქმედებაზე, გაიაზროს სექსუალურ შეურაცხყოფასთან დაკავშირებული (წინმსწრები და მომდევნო) ქცევითი პროგრესია, დაადგინოს მისთვის მაღალი რისკის მქონე სიტუაციები და შეიმუშაოს რეციდივის პრევენციის სტრატეგიები.

ოჯახური ძალადობის პრევენციის პროგრამა, ძირითადად, მიმართულია მამაკაცებზე, რომლებიც ძალადობენ პარტნიორ ქალებზე. პროგრამა მონაწილეებს უხსნის ძალადობრივი ურთიერთობის დინამიკას და ასწავლის იმ კოგნიტურ-ბიჰევიორალურ ტექნიკებს, რომლებიც მათ მიეხმარება ძალადობრივი ქცევის იდენტიფიცირებასა და მისი ალტერნატიული უნარებით ჩანაცვლებაში, რათა დაამყარონ პოზიტიური, არაძალადობრივი ურთიერთობები. ამგვარი პროგრამები მრავალკომპონენტიანია და მოიცავს რამდენიმე ისეთ მოდალობას, როგორიცაა: განათლება, უნარების ტრენინგი, რეციდივის პრევენცია და ინდივიდუალური კონსულტირება. საბოლოო მიზანია ძალადობის გამომწვევი აზროვნებისა და ქცევების შემცირება და, შესაბამისად, ოჯახური ძალადობის შემცირება.

ნივთიერებათა ავადმოხმარების პროგრამა მიმართულია ნივთიერებათა ავადმოხმარებისა და კრიმინალური ქცევის მოდიფიცირებაზე. მის ამოცანას წარმოადგენს ადამიანის მომზადება უკეთ მართოს რეციდივისა და დანაშაულებრივი ქცევის ხელშემწყობი სიტუაციები. ეფექტიანობის გასაძლიერებლად ნივთიერებაზე დამოკიდებულების მკურნალობის მოდელი მონაწილეებს სთავაზობს მრავალ პროგრამას, რომელიც განსხვავდება ინტენსივობით და შეესატყვისება სამართალდამრღვევის ავადმოხმარების ხარისხს.

მულტისისტემური თერაპია (MST) არის პერსპექტიული პრაქტიკა არასრულწლოვნებთან და წარმოადგენს ინტენსიურ, ოჯახზე დაფუძნებულ ინტერვენციას სერიოზული ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდებისა და მათი ოჯახებისათვის. აღნიშნული თერაპიული მიდგომის მიხედვით ახალგაზრდა ადამიანების ცხოვრება მრავალ ისეთ „სისტემასა“ და „გარემოს“ მოიცავს, როგორიცაა: ოჯახი, სკოლა, თანატოლები. შესაბამისად, მიდგომა მიმართულია მოზარდის გარემოში არსებულ ყველა იმ ფაქტორზე, რომელიც ხელს უწყობს მის პრობლემურ ქცევას. ამგვარი ფაქტორები შეიძლება მოიაზრებდეს მოზარდის ინდივიდუალურ თვისებებს, მისი ოჯახის/ურთიერთობების სისტემას, თანატოლებთან ურთიერთობებს და სასკოლო მოსწრებას. მუშაობის ამოცანები ყალიბდება ოჯახთან თანამშრომლობით და ეყრდნობა ოჯახის ძლიერ მხარეებს. კონკრეტული ინტერვენციები კი ეფუძნება ემპირიულად დადასტურებულ მიდგომებს, როგორიცაა: კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია და პრაგმატული ოჯახური თერაპია. მიდგომის მთავარი მიზანია მოზარდის ანტისოციალური ქცევის შემცირება, სახლის გარეთ ყოფნის დროის შემცირება და ოჯახის გაძლიერება მომავალი სირთულეების გადალახვაში. მიდგომის წარმატებას ხელს უწყობს მისი ფოკუსი ოჯახის შენარჩუნებაზე, სერვისის მიმწოდებლის დავალდებულება ოჯახთან მჭიდრო მუშაობაში, შედეგთა რეგულარული შეფასება და აქცენტი მკურნალობის უწყვეტობის შენარჩუნებაზე.

პერსონალის უნარები და ქცევა

ტროტერის კვლევების საფუძველზე (Trotter, 2012; McNeill, 2003) მოხერხდა იდენტიფიცირება პერსონალის იმ უნარებისა, რომლებსაც შეუძლია ხელი შეუწყოს რეციდივიზმის შემცირების წარმატებულ შედეგებს. იგივე შედეგები გვაჩვენა სხვა კვლევებმაც. ეს უნარები მოიცავს პერსონალის უნარს: (ა) კარგად გააგებინოს კლიენტს თავისი როლი; (ბ) მოახდინოს პროსოციალური ქცევის მოდელირება; (გ) ხელი შეუწყოს კლიენტის თვითგანსაზღვრას; (დ) შეინარჩუნოს ფოკუსი კანონდარღვევის ქცევაზე; (ე) დაამყაროს თერაპიული ალიანსი; (ვ) განახორციელოს ჰოლისტური მიდგომა. აღნიშნული მიგნებები ძალიან ღირებულია,

ვინაიდან ხაზი ესმება იმ ფაქტს, რომ საბოლოო წარმატებისათვის გადამწყვეტია სათანადო კვალიფიკაციის, მოწოდებისა და ღირებულებების მქონე პერსონალის შენარჩუნება.

დასკვნა

სპეციალისტები, რომლებიც ცდილობენ დაეხმარონ სამართალდამრღვევებს დანაშაულის შემცირებაში, ყოველდღიურობაში ეკლექტურ მიდგომას იყენებენ. ცვლილების მიღწევა ადვილი არ არის და არ არსებობს ამის „ერთადერთი სწორი გზა“. განსხვავებულ ადამიანებთან განსხვავებული მეთოდებია შედეგიანი და ამიტომაც უმნიშვნელოვანესია პრაქტიკოსები ფლობდნენ მრავალმხრივ უნარებსა და ცოდნას მტკიცებულებაზე დაფუძნებულ განსხვავებულ მიდგომებზე.

ზოგადად, კვლევები გვაჩვენებს, რომ გარკვეული პროგრამები კარგად მუშაობს, თუ ისინი კარგადაა მოფიქრებული და აგებული (ეფუძნება სათანადო პრინციპებს), გამოიყენებს შეფასების ხარისხიან ინსტრუმენტებს, თანმიმდევრულად არის მიწოდებული კვალიფიციური პერსონალის მიერ და სათანადოდ პასუხობს სამართალდამრღვევთა საჭიროებასა და რისკს. მეტაანალიზის მიგნების მიხედვით, ყველაზე ეფექტიანია კოგნიტურ-ბიჰევიორალური სტრატეგიები. ასევე, პერსპექტიული პრაქტიკაა მოტივაციური ინტერვიუირება, რეციდივის პრევენცია, კრიზისის ინტერვენცია და გამოსავალზე ფოკუსირებული მიდგომები. აღნიშნული პრაქტიკა დეტალურადაა განხილული მომავალ თავებში.

კორექციული სფერო ვითარდება, იძენს ახალ გამოცდილებას და ნერგავს ახლებურ ხედვას, რომელთაც შესაძლოა წარმატების მიღწევამდე ახალი გამოწვევები და იმედგაცრუებები ახლდეთ თან. ამასობაში კი უფრო და უფრო მეტი მტკიცებულება გროვდება და გრძელდება მსჯელობა იმის თაობაზე, თუ როგორ გაუმჯობესდეს შეფასების და ინტერვენციის მეთოდები.

გამოყენებული ლიტერატურა:

Chui, W. H. (2003). What works in reducing re-offending: principles and programmes. In W. H. Chui & M. Nellis (Eds.) *Moving Probation Forward, Evidence*, *Arguments and Practice* (pp. 56-70). Harlow: Pearson Longman

Fleet, F. & Annison, J. (2003). In support of effectiveness: facilitating participation and sustaining change. In W. H. Chui & M. Nellis (Eds.) *Moving Probation Forward, Evidence*, *Arguments and Practice* (pp. 129-144). Harlow: Pearson Longman

Gross, S. J. (2004). *Growing Ourselves Up: A Guide to Recovery and Self-Esteem.* AuthorHouse

McNeill, F. (2003). Desistance-focused probation practice. In W. H. Chui & M. Nellis (Eds.) *Moving Probation Forward, Evidence*, *Arguments and Practice* (pp. 146-161). Harlow: Pearson Longman

McWhinnie, A. (2006). The Principles and Practices Related to What Works in Correctional

Programming. *International Center for Criminal Law Reform and Criminal Justice Policy* Retrieved from http://dspace.cigilibrary.org/jspui/bitstream/123456789/25466/3/Chapter%203.pdf?1

Trotter, C. (2012). Effective community-based supervision of young offenders. *Trends and Issues in Crime and Criminal Justice*, (pp. 441-460). Retrieved from http://www.aic.gov.au/publications/current%20series/tandi/441-460/tandi448.html

Velicer, W. F, Prochaska, J. O., Fava, J. L., Norman, G. J., & Redding, C. A. (1998) Smoking cessation and stress management: Applications of the Transtheoretical Model of behavior change. *Homeostasis*, 38, 216-233. Detailed Overview of the Transtheoretical Model. Retrieved from http://www.uri.edu/research/cprc/TTM/detailedoverview.htm

თავი 12

სამართალდამრღვევებთან მუშაობის მეთოდები (2) - მოტივაციური ინტერვიუირება და მისი გამოყენება სამართლის სფეროში

ია შეყრილაძე, MSW, LCSW, PhDc,
მოწვეული პროფესორი სოციალური მუშაობის მიმართულებით,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, დამფუძნებელი

შესავალი 126
მოტივაციური ინტერვიუირების ფილოსოფია 126
მოტივაციური ინტერვიუირება და ცვლილების ეტაპები 127
მოტივაციური ინტერვიუირების ოთხი ძირითადი პრინციპი 129
მოტივაციური ინტერვიუირების უნარები და სტრატეგიები 130
მოტივაციური ინტერვიუირების გამოყენება კორექციულ სფეროში 132

შესავალი

ამერიკელმა ფსიქოლოგმა უილიამ მილერმა და მისმა ბრიტანელმა კოლეგამ სტივენ როლნიკმა ალკოჰოლზე დამოკიდებულების მქონე პირებთან მუშაობის გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავეს ფსიქოლოგიური კონსულტირების მიდგომა სახელწოდებით მოტივაციური ინტერვიუირება. მოტივაციური ინტერვიუირება წარმოადგენს დირექტიულ, კლიენტზე-ცენტრირებულ და შედეგზე ფოკუსირებულ მიდგომას, რომლის მიზანიცაა კლიენტის დახმარება სასურველი ცვლილების (ძირითადად ქცევითი) განხორციელებაში მისი მოტივაციის გაღვივებით. მილერი და როლნიკი (2002) მოტივაციურ ინტერვიუირებას განსაზღვრავენ, როგორც ,,კლიენტზე ცენტირირებულ დირექტიულ მეთოდს შინაგანი მოტივაციის გასაღვივებლად ამბივალენტობის გააზრებითა და გადაჭრით"(გვ. 25).

მოტივაციური ინტერვიუირება დიდწილად ეფუძნება კარლ როჯერსის კლინტზე ცენტრირებულ თერაპიას. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის მსგავსად მილერსა და როლნიკს მიაჩნიათ, რომ ადამიანების დახმარების გასაღები პრაქტიკოსის მხრიდან ემპათიურ, არაგანსჯით და კლიენტზე ცენტრირებულ მიდგომაშია, რომელიც ადამიანს უზრუნველყოფს უპირობო კეთილგანწყობითა და თანამშრომლობით, რეფლექსურ და ძლიერ მხარეებზე ორიენტირებული კომუნიკაციის საშუალებით ხელს უწყობს მის ავტონომიასა და თვითგანსაზღვრას (შეყრილაძე, 2012; Hohman, 2012).

მოტივაციური ინტერვიუირების ფილოსოფია

მოტივაციური ინტერვიუირება წარმოადგენს კომუნიკაციის მეთოდს, რომელიც გულისხმობს ადამიანის ბუნების გაგებას და გააზრებას. შესაბამისად, მისი ფილოსოფია გულისხმობს <u>თანამშრომლობით</u> და არა ავტორიტარულ მიდგომას, კლიენტის შინაგანი მოტივაციის <u>გაღვივებას</u> და არა თავს მოხვევას და კლიენტის <u>ავტონომიის</u> პატივისცემას (Miller & Rollnick, 2002; 2010; Hohman, 2012). მიდგომის ამოსავალი წერტილია ქცევის ცვლილებასთან დაკავშირებული ამბივალენტობის დადგენა, გააზრება და გადაჭრა.

ამბივალენტობის არსებობა სრულიად ბუნებრივად ითვლება. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის თანამშრომლობითი საუბარი ცვლილებასთან დაკავშირებული ამბივალენტობის შესახებ.

<u>თანამშრომლობა</u> (და არა კონფრონტაცია) - კლიენტი და პრაქტიკოსი ამყარებენ ნდობაზე დაფუძნებულ, თანამშრომლობით ურთიერთობას, რომელშიც პრაქტიკოსი არ ევლინება კლიენტს „ექსპერტის“ როლში. მუშაობის პროცესის ფოკუსია ერთმანეთის ხედვის გაგება და არა სპეციალისტის „სწორი პოზიციის“ გაგება.

<u>გაღვივება</u> - მიდგომის სპეციფიკა მდგომარეობს კლიენტის აზრების გამოხატვის ხელშეწყობაში და ამ გზით მისი ცვლილებისადმი მზაობის განსაზღვრასა და მოტივაციის გაღვივებაში. ცვლილების მოხდენის ალბათობა ბევრად უფრო მაღალია იმ შემთხვევებში, როდესაც ადამიანი თავად აყალიბებს იმის საფუძველს, თუ რატომ უნდა განახორციელოს ესა თუ ის ცვლილება, ვიდრე მაშინ, როდესაც მას ეუბნებიან (თუნდაც ავტორიტეტები), თუ რატომ ჯობია, რომ შეიცვალოს.

<u>ავტონომია</u> - მოტივაციური ინტერვიუირების თანახმად, ადამიანი თავად წარმოადგენს ცვლილების მოხდენის წამყვან აქტორს. ამგვარი მიდგომა, ერთი მხრივ, ხელს უწყობს კლიენტში საკუთარ ძალებში დარწმუნებულობის ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, აძლიერებს საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის აღების ხედვას.

მოტივაციური ინტერვიუირება და ცვლილების ეტაპები

მოტივაციური ინტერვიუირება, ასევე, იყენებს პროჩასკასა და დიკლიმენტეს ტრანსთეორიული მოდელის ცვლილების ეტაპების თეორიას (როგორც ციტირებულია Velicer et al., Fleet & Annison, 2003). ამ მოდელის თანახმად, ადამიანი გადის განსხვავებულ ეტაპებს საკუთარი პრობლემური ქცევის სასურველი ჯანსაღი ქცევით შეცვლის გზაზე და ყოველი ეტაპი მას განსხვავებული დილემის წინაშე აყენებს, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს იმ სპეციალისტების მიერ, რომლებიც ეხმარებიან ამ ადამიანს ცვლილების განხორციელებაში. ეს ეტაპებია: ფიქრისწინა, ფიქრის, მომზადების, მოქმედებისა და შენარჩუნების ეტაპები. საგულისხმოა, რომ მოდელის ავტორთა აზრით, ცვლილებათა ეტაპებს სპირალური ხასიათი აქვს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ადვილად შესაძლებელია გვიანდელი ეტაპიდან ადრეულ ეტაპზე დაბრუნება. ცვლილების მიღწევის თვალსაზრისით წარმატებული ადამიანები ახერხებენ აღნიშნული სპირალიდან თავის დაღწევას.

დიაგრამა 1: ცვლილების ეტაპები

ფიქრისწინა ეტაპი - ტრანსთეორიული მოდელის თანახმად, ფიქრისწინა ეტაპზე ადამიანებს არ აქვთ სურვილი, ცვლილება მოახდინონ თავიანთ ქცევაში უახლოესი მომავლის განმავლობაში. ისინი ქცევის შეცვლაზე არცკი ფიქრობენ და, შესაძლოა, ვერც აცნობიერებდნენ, რომ ესა თუ ის ქცევა პრობლემას უქმნით. როგორც წესი, განსხვავებით გარეშე პირთაგან, მათ არ მიაჩნიათ, რომ თავიანთი ქცევა პრობლემურია. ამიტომ ასეთ ადამიანებს ხშირად ახასიათებენ, როგორც „ჯიუტებს“ ან „პრობლემის უარმყოფელებს“. ამ ეტაპზე „პრობლემას“ სხვადასხვა რამეში ხედავენ ადამიანი და ის პირი, რომელსაც მისი დახმარება სურს. შესაბამისად, არასწორია, მიზნად დავისახოთ მათი დაუყოვნებლად გადაბირება. უმჯობესია, მივაღწიოთ იმას, რომ ხელი შევუწყოთ მათი ცნობიერების ამაღლებას. ამ ეტაპზე ადამიანისთვის დახმარების ამოცანას ის წარმოადგენს, რომ დაიწყოს ფიქრი და გაუჩნდეს კითხვები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ეს უკვე წარმატებაა, რადგან ადამიანი იწყებს იმის გაცნობიერებას, რომ პრობლემა ან წუხილის მიზეზი არსებობს.

ფიქრის ეტაპი - ეს ის ეტაპია, რომლის დროსაც ადამიანი აცნობიერებს, რომ პრობლემა არსებობს და სერიოზულად ფიქრობს მის გადაწყვეტაზე, თუმცა კონკრეტული ქმედებები ჯერ განხორციელებული არ აქვს. ეს გახლავთ ცვლილების სტადია, რომლის დროსაც ადამიანს სურვილი აქვს პრობლემის გადაწყვეტის, თუმცა დამოკიდებულება ამ ყველაფრის მიმართ ამბივალენტურია და არ არის გამორიცხული ამ წინააღმდეგობრივი მდგომარეობის ქრონიკული გახანგრძლივება. სწორედ ეს ეტაპი წარმოადგენს მოტივაციური ინტერვიუირების მეთოდის გამოყენებისთვის საუკეთესო პერიოდს, რათა აღმოვაცენოთ და გავაღვივოთ ცვლილების მოტივაცია. თუმცა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ცვლილებაზე ფიქრი და მისით დაინტერესება ნიშნავს იმას, რომ ადამიანი მზადაა, შეიცვალოს. უმნიშვნელოვანესია, გაგრძელდეს მისი ინფორმაციითა და წამახალისებელი მექანიზმებით უზრუნველყოფა და ცვლილებაზე საუბრის ხელშეწყობა. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია კლიენტის პრესპექტივის გაგება და დახმარება პრობლემური ქცევისა და ამ ქცევის შეცვლის დადებითი და უარყოფითი მხარეების ფორმულირებაში. წარმატებულ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ის, თუ ადამიანი ღიად განაცხადებს, რომ მას სურს ქცევის შეცვლა და გარკვეულ დაპირებებსაც იძლევა ამ მიმართულებით.

მომზადების ეტაპი - ამ ეტაპზე ადამიანი უახლოვდება ქმედების სტადიას და იწყებს გარკვეული ნაბიჯების გადადგმას ამ მიმართულებით, ანუ სახეზეა განზრახვისა და მოქმედების ერთობლიობა. შეიძლება ითქვას, რომ ეს სტადია წარმოადგენს გარდამავალ ეტაპს, რომლის დროსაც ადამიანი მტკიცე გადაწყვეტილებას იღებს ქცევის შეცვლის თაობაზე. როგორც წესი, ასეთ დროს ადამიანთა უმრავლესობა დროის ხანმოკლე მონაკვეთში (დაახლოებით ერთი თვე) ავლენს ქცევის შეცვლის სერიოზულ მცდელობებს. მიუხედავად ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა, ცვლილება ავტომატურად არ ხდება. ამ ეტაპზე საკითხისადმი ამბივალენტური დამოკიდებულება მცირდება, თუმცა მაინც სახეზეა. ამიტომ მნიშვნელოვანია გავაგრძელოთ მოტივაციის გაძლიერებაზე მუშაობა და დავეხმაროთ ადამიანს სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. ამ ეტაპზე, ასევე, ღირებულია დახმარება დაძლევის/თავის გართმევის უნარ-ჩვევათა გაძლიერებაში და, იმავდროულად, გაფრთხილების მიცემა შესაძლო საშიშროების შესახებ. წარმატებას ამ სტადიაზე წარმოადგენს კარგად ფორმულირებული სამოქმედო გეგმის არსებობა.

მოქმედების ეტაპი - ამ ეტაპზე ადამიანი აცნობიერებს პრობლემის არსებობას და აქტიურად ცდილობს საკუთარი ქცევის შეცვლას. ადამიანის თავგანწირვა ამ მიმართულებით აშკარაა და სახეზეა მისი მხრიდან სერიოზული ძალისხმევა ცვლილების განხორციელებისთვის. ეს პერიოდი, ჩვეულებრივ, ერთიდან ექვს თვემდე გრძელდება და გულისხმობს მუდმივი ძალისხმევის დემონსტრირებას შედეგის მისაღწევად. ადამიანს აქვს სამოქმედო გეგმა და დაწყებული აქვს მისი განხორციელება. ამბივალენტობა და მოტივაციის შენარჩუნების საჭიროება კვლავ სახეზეა. მნიშვნელოვანია ადამიანის პროდუქტიულობის უნარის გაზრდა წარმატებულ ნაბიჯებზე ფოკუსირებითა და მათი მიზნის გაძლიერებით. სასარგებლო სტრატეგიებია: უნარების განვითარების ხელშეწყობა, ჯგუფური მუშაობა, რეციდივის პრევენცია, პრობლემის აქტიური გადაწყვეტა, უკუგანპირობებულობა, სტიმულის

კონტროლირება, შედეგის შენარჩუნების მართვა. წარმატებული შედეგია შეცვლილი ქცევის გახშირება და რეციდივის შემცირება.

შენარჩუნების ეტაპი - ეს არის ეტაპი, როდესაც ადამიანმა განახორციელა ცვლილება, ახალი ტიპის ქცევამ ჩაანაცვლა ძველი ქცევა და რეციდივის ალბათობაც შემცირებულია. შენარჩუნების ეტაპს ხშირად განიხილავენ როგორც პერიოდს, რომლის დროსაც ცოტა რამ ხდება, თუმცა იგი არ არის სტატიკური ფაზა. რეციდივი შესაძლებელია და ხდება კიდეც რიგი მიზეზების გამო. რეციდივთა უმრავლესობა ავტომატურ ხასიათს კი არ ატარებს, არამედ პირველად „წაცდენას“ მოჰყვება. ამ ეტაპზე მოსალოდნელია რეციდივის კრიზისი, რომლის დროსაც ადამიანი ან გრძნობს, რომ საშიშროება ახლოვდება და ცდუნებას ვეღარ გაუძლებს ან ეს უკანასკნელი უკვე მოხდა. ასეთ დროს, ასევე, სასარგებლოა იმის გაცნობიერება, რომ ცვლილების ეტაპებს სპირალური ხასიათი აქვს. წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანია: იმ ფაქტორების დადგენა და გარკვევა, რამაც მიგვიყვანა კრიზისამდე; ინფორმაციის და უკუკავშირის მიწოდება; ემპათია; რეციდივის ნორმალიზაცია ისეთ შემთხვევებში, რომელშიც ცვლილების მიღწევა რეალურად რთულია; ადამიანის წახალისება, რომ იგი გაკვეთილად გამოიყენოს; წარმატების მიღწევის გზების შეთავაზება; შექება წარმატებულ მცდელობათათვის და შემდგომი ძალისხმევის წახალისება. წარმატების შემთხვევაში ადამიანი გამოდის ცვლილებათა ეტაპების სპირალიდან, ანუ აღწევს დასასრულის ეტაპს, რაც იმაში გამოიხატება, რომ არანაირად აღარ განიცდის ცდუნებას და არავის დახმარება აღარ სჭირდება ჯანსაღი ქცევის შენარჩუნებაში. რეციდივის შემთხვევაში კი ადამიანი უბრუნდება ადრეულ სტადიებს.

რეციდივი - რეციდივი შესაძლებელია ცვლილების განხორციელების პროცესში. საბოლოო წარმატების მიღწევამდე ადამიანები ხშირად უბრუნდებიან წინა სტადიებს. რეციდივის შემდეგ ადამიანები ხშირად უბრუნდებიან ადრეულ ეტაპებს და იწყებენ თავიდან წინსვლას. რეციდივის კრიზისისას ადამიანთა შინაგანი ძალები შესუსტებულია და შფოთვა და შიში კი - გაძლიერებული. კრიზისის გადასალახად მათ სჭირდებათ თანადგომა, ნუგეში და გამხნევება. მნიშვნელოვანია კლიენტის დახმარება იმის გააზრებაში, რომ რეციდივს შეუძლია გვასწავლოს, თუ როგორ დავძლიოთ ახლებურად ძველი ქცევა და მომავალი მცდელობისას წარმატების ალბათობა მეტი იყოს.

მოტივაციური ინტერვიუირების ოთხი ძირითადი პრინციპი

მოტივაციური ინტერვიუირების მეთოდი ეფუძნება ოთხ ძირითად პრინციპს. ესენია: ემპათიის გამოხატვა, შეუთავსებლობის დადგენა, წინააღმდეგობასთან შერწყმა და თვითეფექტურობის ხელშეწყობა (Miller & Rollnick, 2002).

ემპათიის გამოხატვა - ემპათია გულისხმობს სამყაროს კლიენტის თვალებით დანახვისა და კლიენტის ტყავში თავის გრძნობის უნარს მისი ემოციების სრული გაზიარების გარეშე. ემპათიის გამოხატვას უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება მოტივაციური ინტერვიუირების პროცესში. როდესაც კლიენტი გრძნობს პრაქტიკოსის მხრიდან ემპათიას, იგი, ერთი მხრივ, მეტად იხსნება და იწყებს საკუთარი გამოცდილების გაზიარებას და, მეორე მხრივ, უფრო კონსტრუქციულად აღიქვამს პრაქტიკოსის მიერ განხორციელებულ ფაქიზ გამოწვევებს. იმავდროულად, კლიენტი უფრო ადვილად იწყებს ცვლილებასთან დაკავშირებული ამბივალენტობის გააზრებას, სცილდება პრობლემის უარყოფის სტადიას და იწყებს ცვლილებაზე საუბარს. ცვლილებაზე საუბარი გულისხმობს ისეთი განაცხადების გაკეთებას და არავერბალურ კომუნიკაციას, რომლებიც მიგვანიშნებენ ცვლილების შესაძლებლობაზე.

შეუთავსებლობის დადგენა - მილერის მიხედვით, ცვლილების მოტივაცია მაშინ იბადება, როდესაც ადამიანები აცნობიერებენ განსხვავებას იმას შორის, თუ რა მდგომარეობაში არიან ისინი და რა მდგომარეობაში სურთ ყოფნა. შესაბამისად, მოტივაციური ინტერვიუს დროს მათ ეხმარებიან, აღმოაჩინონ შეუთავსებლობა მათ აწმყო ქცევასა და სამომავლო მიზნებს შორის. შეუთავსებლობის დადგენა ეტაპობრივი და ფაქიზი პროცესია, რომლის დროსაც

ადამიანებს ეხმარებიან, გაიაზრონ, რომ არსებული ცხოვრების წესს შესაძლოა ისინი მიზნების საწინააღმდეგო მიმართულებით მიჰყავდეს. ამ უკანასკნელის გაცნობიერებისას კი ისინი უფრო მონდომებულნი ხდებიან, მოახდინონ ცვლილებები.

წინააღმდეგობასთან შერწყმა - მოტივაციური ინტერვიუირების მიმდევარნი კი არ ებრძვიან კლიენტის მხრიდან წინააღმდეგობას, არამედ ცდილობენ მათი წინააღმდეგობის გამოყენებას კლიენტის თვალსაზრისის უკეთ გასაგებად. ამ მიდგომის გამოყენება კი, ბუნებრივია, იწვევს წინააღმდეგობრიობის შემცირებას, ვინაიდან ადამიანებს არ სჭირდებათ თავიანთი მსჯელობის განმტკიცება და დამატებითი არგუმენტების მოშველიება. ამ პრინციპის გამოსახატავად ხშირად გამოიყენებენ მეტაფორას: „კი ნუ ეჭიდავები, არამედ ეცეკვე კლიენტს“. მოტივაციური ინტერვიუს პროცესში ადამიანი არავის ებრძვის/ეწინააღმდეგება, ვინაიდან მეთოდის მიზანია ინდივიდებმა მოძებნონ გამოსავლის მათეული გზა მათ მიერვე დანახულ პრობლემასთან მიმართებაში.

თვითეფექტურობის გაღრმავება - წარმატების მისაღწევად უმნიშვნელოვანესია ადამიანის რწმენა იმის შესახებ, რომ ცვლილება შესაძლებელია. შესაბამისად, ამ მიდგომის ფარგლებში ადამიანები თავად განიხილებიან ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ავტორებად და განმახორციელებლებად. პრაქტიკოსის მიზანი კი ის არის, რომ ხელი შეუწყოს მათი მოტივაციისა და ფოკუსის შენარჩუნებას საკუთარ ძალებში დარწმუნებულობის გაძლიერებით. მოტივაციური ინტერვიუ ხაზს უსვამს იმას, რომ არ არსებობს ცვლილების ერთადერთი „სწორი“ გზა და თუ არჩეული გზა არ ამართლებს, ადამიანს უნარი შესწევს მოძებნოს ალტერნატიული. თვითეფექტურობის გაძლიერება მოიცავს კლიენტის მიღწევებს, ძლიერ მხარეებზე აქცენტის გაკეთებასა და მსგავსი გამოცდილების მქონე ადამიანების წარმატების გაზიარებას.

მოტივაციური ინტერვიუირების უნარები და სტრატეგიები

კლიენტში სასურველი ცვლილების მოტივაციის გაღვივებასა და გაძლიერებას მოტივაციური ინტერვიუს მეთოდი რიგი ტექნიკების გამოყენებით ცდილობს. ცვლილებაზე საუბარი განმარტებულია კლიენტის მიერ ისეთი განაცხადების გაკეთებით, რომელიც მიგვანიშნებს კლიენტის ფიქრზე ან სურვილზე განახორციელოს ცვლილები (Miller & Rollnick, 2002; Hohman, 2012). ეს ტექნიკებია:

ღია კითხვები - ღია კითხვები ეს ის კითხვებია, რომლებზე პასუხიც ვერ იქნება „კი/არა“ ან ერთსიტყვიანი მოკლე პასუხი. ღია კითხვების დასმა ადამიანს ეხმარება ჩაუღრმავდეს საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ დახურული კითხვების დასმაც მნიშვნელოვანია შეფასების პროცესში (მაგ. ინფორმაციის დასაზუსტებლად), ღია კითხვები უკეთეს საფუძველს უქმნის კლიენტს გაიაზროს ცვლილების შესაძლებლობა, ხოლო პრაქტიკოსს - გაიგოს კლიენტის პერსპექტივა და გამოხატოს ემპათია. ამ მიზეზთა გამო მოტივაციური ინტერვიუირებისას ფართოდ გამოიყენება ღია კითხვები.

აფირმაცია - აფირმაცია არის პრაქტიკოსის განაცხადი, რომელიც ხაზს უსვამს კლიენტის ძლიერ მხარეებს და ღირსებებს. აფირმაციები ხელს უწყობს რაპორტის დამყარებას, კლიენტის მიერ საკუთარი თავის დადებით ჭრილში დანახვას და წამყვანი როლი ენიჭება საკუთარ ძალებში დარწმუნებულობის გაღრმავებაში. იმისათვის, რომ აფირმაცია ეფექტური იყოს, იგი უნდა იყოს გულწრფელი, ობიექტური და არაგადაჭარბებულად გამოყენებული. აფირმაციის გამოყენებამ შესაძლოა კლიენტს დაანახოს, რომ ცვლილების მოხდენა რეალურად არის შესაძლებელი. აფირმაცია ხშირად გულისხმობს ქმედების ახლებურად გააზრებას კლიენტის დადებითი თვისებების ჭრილში.

რეფლექსია - რეფლექსიური მოსმენა მოტივაციური ინტერვიუს ყველაზე მნიშვნელოვანი ტექნიკაა. იგი გულისხმობს კლიენტის ნათქვამის პრაქტიკოსის მხრიდან პერიფრაზირებას ზოგჯერ კლიენტის ემოციური მდგომარეობის ასახვით. რეფლექსია ორ ძირითად ფუნქციას

ასრულებს - ერთი მხრივ, ყურადღებით მოსმენითა და რეფლექსიური პასუხებით კლიენტი გრძნობს, რომ პრაქტიკოსს შეუძლია მისი პრობლემების მისი თვალთახედვიდან დანახვა. ხოლო, მეორე მხრივ, რეფლექსიური მოსმენით პრაქტიკოსი გეზს აძლევს კლიენტს, გადაჭრას ცვლილებასთან დაკავშირებული ამბივალენტობა. აგრეთვე, რეფლექსიური მოსმენა ემსახურება კომუნიკაციის პრობლემების თავიდან აცილებას იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკოსმა არასწორად გაიგო კლიენტის ნათქვამი.

შეჯამება - შეჯამება რეფლექსიის ცალკეული სახეობაა, რომლის დროსაც პრაქტიკოსი კლიენტთან ერთად აჯამებს სესიის მსვლელობას. შეჯამება სასარგებლოა, ვინაიდან იგი გულისხმობს საკითხის გაგებისადმი სწრაფვას და აყალიბებს მომავალი ნაბიჯებისკენ მზაობას. შეჯამების დროს პრაქტიკოსს საშუალება ეძლევა ხაზი გაუსვას კლიენტის ამბივალენტობის ორივე მხარეს და დაეხმაროს მას შეუთავსებლობის დანახვაში.

მოტივაციური ინტერვიუს გამოყენების პრაქტიკოსი ცდილობს, კლიენტი ცვლილებაზე საუბრამდე მიიყვანოს. გარკვეულ წყაროებში ასახული კვლევების თანახმად, ცვლილებაზე საუბარი პირდაპირპროპორციულია ამ ცვლილების განხორციელების შესაძლებლობასთან, ანუ რაც მეტს ლაპარაკობენ ადამიანები ცვლილების მოხდენაზე, მით მეტია მათ მიერ ამ ცვლილების განხორციელების ალბათობა (Miller & Rollnick, 2010). არსებობს კონკრეტული სტრატეგიები, რომელთა გამოყენებაც ხელს უწყობს კლიენტის მხრიდან ცვლილებაზე საუბარს. ეს სტრატეგიებია:

- **დასვით „გამომწვევი“ კითხვები** - დასვით ღია კითხვები, რომლებსაც შეუძლია მიგვიყვანოს ცვლილებაზე საუბართან.
- **წაახალისეთ აწონ-დაწონის პროცესი** - დასვით კითხვები ცვლილების მოხდენისა და არმოხდენის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ.
- **ითხოვეთ დაზუსტებები/განვრცობები** - ჩაეკითხეთ დეტალების შესახებ, დასვით ისეთი კითხვები, როგორიცაა: „ბოლოს ეს როდის მოხდა?“ „ზუსტად რას გულისხმობდით ამაში?“ „მეტი მითხარით ამის შესახებ?“
- **მიმოიხილეთ წარსული** - დასვით კითხვები შესაცვლელი ქცევის აღმოცენებამდელ პერიოდზე.
- **მიმოიხილეთ მომავალი** - იკითხეთ, თუ რა შეიძლება მოხდეს ცვლილების არარსებობის შემთხვევაში. იკითხეთ, თუ როგორი გინდათ, რომ იყოს თქვენი ცხოვრება 5 წელიწადში? დასვით „სასწაულებრივი“ კითხვა - 100%-ით რომ შეძლოთ ცვლილების მოხდენა, რა შეიცვლებოდა თქვენს ცხოვრებაში? სასწაული რომ მოხდეს თქვენს ცხოვრებაში, რა შეიცვლება? რაა საჭირო/რისი შეცვლაა საჭირო იმისთვის, რომ ეს მოხდეს? ....-ს რომ აღარ გააკეთებთ, როგორ წარმოგიდგენიათ რითი იქნებით დაკავებული? რა იქნებოდა იმის უმცირესი მანიშნებელი, რომ ეს ხდება?
- **შეეხეთ უკიდურესობებს** - დასვით ისეთი კითხვები, როგორიცაა: ყველაზე ცუდი რა მოხდება, ცვლილება რომ არ განახორციელოთ? ყველაზე კარგი რა მოხდება, ცვლილება რომ განახორციელოთ?
- **დასვით კითხვები ცვლილების შესახებ** - ... შეცვლილი ქცევის, მაგ. სიგარეტის მოწევის თავის დანებების შემდეგ ზოგჯერ ადამიანები დადებით შედეგებს გრძნობენ თავიანთ ცხოვრებაში. თქვენ შემთხვევაში რა იგრძენით? როგორ მიაღწიეთ ამას?
- **გამოიყენეთ სკალები** - იკითხეთ, 10 ბალიან სკალაზე, სადაც 1 შეესაბამება „სრულიად უმნიშვნელოს“, ხოლო 10 „უაღრესად მნიშვნელოვანს,“ რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ეს ცვლილება? რა უნდა მოხდეს იმისთვის, რომ თქვენთვის ეს ცვლილება - ...დან უფრო მაღალ ქულაზე ავიდეს?
- **გაარკვიეთ კლიენტის ღირებულებები** - იკითხეთ, თუ რა ღირებულებები ამოძრავებს ადამიანს და რა უნდა მას ცხოვრებაში.

- **მიჰყევით წინააღმდეგობას** - ხაზი გაუსვით ამბივალენტობის უარყოფით მხარეს „ალბათ თქვენთვის _____იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არ გიღირთ ამ ცვლილების განხორციელება.“
- **აქცენტი გააკეთეთ ძლიერ მხარეებზე და დაძლევის უნარებზე** - დასვით კითხვები, რომლებიც გულისხმობს/ხაზს უსვამს კლიენტის ძლიერ მხარეებსა და ღირსებებს. ბოლო დროს ყოფილა შემთხვევა, რომ პრობლემას არ ჰქონია ადგილი? ბოლოს როდის იყო, რომ ეს შეძელით (სასურველი ქცევის განხორციელება)? როგორ მოხდა ეს? ასეთი კარგი ბიჭი როგორ აღმოჩნდი ამ სიტუაციაში? როგორ მოახერხე ამ ყველაფრის დაძლევა? ყველაფერი შეიძლებოდა ბევრად უარესად დასრულებულიყო, რომ არა შენ/შენი... (ღირსება/ძლიერი მხარე).

მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებაზე საუბრისას პრაქტიკოსის მხრიდან რჩევის გაცემა კლიენტის დარწმუნების მცდელობას კი არ წარმოადგენდეს, არამედ შესაძლებლობას, სპეციალისტმა გამოხატოს ზრუნვითი და არაგანსჯითი დამოკიდებულება. რჩევის მიცემისას, პრაქტიკოსმა, უპირველეს ყოვლისა, ნებართვა უნდა აიღოს კლიენტისგან ალტერნატივის შეთავაზების შესახებ და, ამასთანავე, გამოიყენოს აფირმაცია, გაამლიეროს ოპტიმიზმი და უპირატესობა მიანიჭოს ადამიანის არჩევანს. თუმცაღა, არჩევანის პატივისცემა შესაძლოა რთული იყოს პრაქტიკოსისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი უცვლელობას ირჩევს და, გარკვეულ შემთხვევაში, არაეთიკურიც სისხლის სამართლის სფეროში. მიუხედავად ამისა, მოტივაციური ინტერვიუირება არ გულისხმობს კლიენტთან კამათს, მის დადანაშაულებას და ჩიხში მომწყვდევას, ექსპერტის როლის თამაშს, ცვლილების განხორციელებაზე ზეწოლას, კლიენტის პასიურ როლში მოთავსებასა და მზამზარეული რჩევების შეთავაზებას.

მოტივაციური ინტერვიუირების გამოყენება კორექციულ სფეროში

მიუხედავად იმისა, რომ მეთოდი შემუშავებულ იქნა ალკოჰოლიზმისა და წამალდამოკიდებულების სფეროში, დღესდღეობით იგი ფართოდ გამოიყენება როგორც არასასურველი ქცევის შემცირების, ასევე ჯანსაღი ქცევის გაზრდის მიზნით ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ჯანმრთელი ცხოვრების წესის ხელშეწყობა, ფსიქიკური ჯანმრთელობა, კრიმინალური სამართალი, აზარტული თამაშობები და სხვა. მრავალი ავტორის თანახმად (Feldstein & Ginsburg, 2006; Chui & Nellis, 2003; Scott, 2008), მოტივაციური ინტერვიუირების მეთოდი პერსპექტიულად ითვლება სასჯელაღსრულებით სფეროში და გამოიყენება კრიმინალური ქცევის პროსოციალური ქცევით შეცვლისა და რეციდივის შემცირების მისაღწევად. ტრადიციულად, სამართლის სფეროში თანამშრომლობითი მიდგომები არ გამოიყენებოდა. მილერი და როლნიკი (2002) თვლიან, რომ მიდგომას აქვს პოტენციალი, შეამციროს წინააღმდეგობა და გააუმჯობესოს ბენეფიციარებსა (მსჯავრდებულებს/ბრალდებულებს) და მომსახურე პერსონალს შორის ურთიერთობა. გარდა ამისა, მიდგომის მახასიათებლები (ღიაობა, გულწრფელობა და ემპათია) არასრულწლოვნებთან კარგად ერწყმის მოზარდის იდენტობისა და დამოუკიდებლობის განვითარების მოთხოვნილებებს და, სავარაუდოდ, ხელს უწყობს პიროვნული მომწიფების პროცესს. ზოგადად, სამართლის სფეროშიმსჯავრდებულთამოტივაციაპრიორიტეტიარეციდივისშემცირებისთვალსაზრისით და, შესაბამისად, მოტივაციური ინტერვიუირება თეორიულად რელევანტური მიდგომაა. ასევე, არსებობს გარკვეული მტკიცებულება მოტივაციური ინტერვიუირების დადებითი ეფექტის შესახებ აღნიშნული პოპულაციის ქცევითი ცვლილების მიღწევაში.

მიუხედავად მიღწევებისა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მოტივაციურ ინტერვიუირებას არაერთი გამოწვევა ელის. აღნიშნული გამოწვევები მოიცავს იმას, რომ ხშირად ბენეფიციარები იძულებით/სასამართლოს გადაწყვეტილების გამო მოდიან პრაქტიკოსთან. ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტები შესაძლოა სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი და იფიქრონ, რომ პატიმართან მუშაობას აზრი არ აქვს; კორექციული გეგმები ხშირად გვკარნახობს თერაპიულ მიზანს; დიდია ცდუნება, ვუკარნახოთ ბენეფიციარს, რა

უნდა აკეთოს; სხვა ბენეფიციარებმა, შესაძლოა, გააძლიერონ ანტისოციალური განწყობები და ქცევა; ხშირია ბენეფიციარის მხრიდან დანაშაულის ჩადენის უარყოფა (Miller & Rollnick, 2002).

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ სამართლის სფეროში მოტივაციური ინტერვიუირების დანერგვა გულისხმობს სერიოზულ ცვლილებებს ყველა დონეზე. როგორც მილერი და როლნიკი (2002) ამბობენ: „...სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს პერსონალის მომზადება მოტივაციურ ინტერვიუირებაში არ შეიძლება გაკეთდეს სანახევროდ ან მწირი რესურსებით და ვერც კულტურული ცვლილება ვერ მოხდება ერთ დღეში. სხვა წარმატებული ინტერვენციების მსგავსად მისი დანერგვა მოითხოვს ორგანიზაციის ყველა დონის მენეჯმენტისგან (მათ შორის, ყველაზე ზედა) მხარდაჭერასა და პრაქტიკაში გატარებას. მოტივაციური ინტერვიუირების სისხლის სამართლის სფეროში დანერგვას, ხშირ შემთხვევაში, დასჭირდება კორპორაციული ხედვის სერიოზული ცვლილება - ძალისმიერი კონტროლიდან გადასვლა მსჯავრდებულთა მიმართ პატივისცემით მოპყრობის ფილოსოფიაზე.“ (გვ.335)

გამოყენებული ლიტერატურა:

შეყრილაძე, ი. (2012), *მოტივაციური ინტერვიუირება სასჯელაღსრულებით სფეროში, ტრენინგის სახელმძღვანელო,* საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია

შეყრილაძე, ი. (2012), *მოტივაციური ინტერვიუირება სასჯელაღსრულებით სფეროში, ტრენინგის პრეზენტაცია,* საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია

Chui, W. H. & Nellis, M. (Eds.) (2003). *Moving Probation Forward, Evidence*, *Arguments and Practice*. Harlow: Pearson Longman

Feldstein, S. W. & Ginsburg, J. I. (2006). Motivational Interviewing With Dually Diagnosed Adolescents in Juvenile Justice Settings, 2006. *Oxford University Press*: *Brief Treatment and Crisis Intervention*, Volume 6, Number 3, 218-233. Retrieved from World Wide Web http://btci.edina.clockss.org/cgi/reprint/6/3/218

Fleet, F. & Annison, J. (2003). In support of effectiveness: facilitating participation and sustaining change. In W. H. Chui & M. Nellis (Eds.) *Moving Probation Forward, Evidence*, *Arguments and Practice* (pp. 129-144). Harlow: Pearson Longman

Hohman, M. (2012). *Motivational Interviewing in Social Work Practice: Applications of Motivational Interviewing*. (S. M. Rollnick, Ed.) London: Guildford Press

Innovations Means Prisons and Communities Together (IMPACT). (2012) *Motivational Interviewing Training Manual*. Retrieved from http://www.cmcainternational.org/wp-content/uploads/2012/01/Motivational_Interviewing.pdf

Miller, W. R. & Rollnick, S. M. (2002). *Motivational Interviewing: Preparing People for Change (Vol. 2nd)*. New York: The Guildford Press

Miller, W.R. & Rollnick, S. (2010). *What's new since MI-2? Presentation at the International Conference on Motivational Interviewing (ICMI)*. Stockholm, June 6, 2010. Retrieved from:

http://www.motivationalinterview.org/Documents/1%20A%20MI%20Definition%20Principles%20&%20Approach%20V4%20012911.pdf

Scott, W. (2008) *Effective Clinical Practices Treating Clients in Criminal Justice System*. Crime and Justice Institute and the National Institute of Corrections, retrieved from http://nicic.gov/library/023362

Velicer, W. F, Prochaska, J. O., Fava, J. L., Norman, G. J., & Redding, C. A. (1998) Smoking cessation and stress management: Applications of the Transtheoretical Model of behavior change. *Homeostasis*, 38, 216-233. Detailed Overview of the Transtheoretical Model. Retrieved from http://www.uri.edu/research/cprc/TTM/detailedoverview.htm

http://www.motivationalinterview.org/quick_links/about_mi.html

თავი 13

სამართალდამრღვევებთან მუშაობის მეთოდები (3)

შორენა საძაგლიშვილი, MSW, PhD,
ასოცირებული პროფესორი სოციალური მუშაობის მიმართულებით,
სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, დამფუძნებელი

რისკის წარმოქმნა 135

შეფასება: შემთხვევაზე მუშაობის საფუძველი 136

საჭიროებები: კრიმინოგენული და არაკრიმინოგენული 138

„რისკი - საჭიროება - რეაგირება“ მოდელი
(Risk-need-responsivity model – The RNR model) 139

„რისკი - საჭიროება - რეაგირება“ მოდელის შეზღუდვები და ძლიერი მხარეები 143

რისკის წარმოქმნა

დიდი ბრიტანეთის მართლმსაჯულების სისტემაში რისკის წარმოქმნა უკავშირდება ორ მოვლენას: ,,საზოგადოებრივი დაცვის“ გეგმის გამოჩენა მართლმსაჯულების სისტემაში და, ამის პარალელურად, ,,რა მუშაობს“ ცოდნის გაჩენა განმეორებითი დანაშაულის შემცირებაში. 1990 წლიდან საკანონმდებლო დადგენილებამ გამოკვეთა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის სამართალდამრღვევები, კერძოდ, სქესობრივი დანაშაულებისთვის მსჯავრდებული სამართალდამრღვევები და, ასევე, სერიოზული ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენები. სამართალდამრღვევთა ეს განსაკუთრებული კატეგორია მოითხოვდა კონტროლის და/ან მეთვალყურეობის გაზრდილ დონეებს (Kemshall, 2001; Maguire et al, 2001). ამ საკანონმდებლო დადგენილებამ ახალი პასუხისმგებლობები დააკისრა მართლმსაჯულების სისტემის სააგენტოებს იმ თვალსაზრისით, რომ მათ დაევალათ მაღალი ზიანის რისკის მქონე სამართალდამრღვევების იდენტიფიცირება და მართვა. მაგალითად, საჭირო გახდა მაღალი ზიანის რისკის მქონედ შეფასებული ყველა სამართალდამრღვევის ცენტრალური რეგისტრაცია ყველა შესაძლო მომსახურებაში. ფიქრობდნენ, რომ ეს ადამიანები საზოგადოებისათვის განსაკუთრებით პოტენციური საფრთხის შემცველები იყვნენ და საჭირო იყო მათ მიმართ სპეციალური ზომების გატარება. კერძოდ, პოტენციურად საშიში სამართალდამრღვევების ზედამხედველობა უფრო მეტად პრიორიტიზირებული გახდა, ვიდრე სხვა კატეგორიის პატიმრების ზედამხედველობა; საჭირო გახდა უწყებათაშორისი (მრავალუწყებრივი) უსაფრთხოების დაცვის კომიტეტების ჩამოყალიბება, სადაც პრობაციის სერვისები წამყვან როლს შეასრულებდნენ; ამ უწყებათაშორისი კომიტეტების დაარსება და მოქმედებები სახელმწიფო დონეზე განისაზღვრა; კანონი მოითხოვდა პოლიციისა და პრობაციის სერვისების მიერ მაღალი ზიანის რისკის შემცველი პატიმრის ერთობლივ შეფასებას, მისი შემთხვევის ერთობლივ მართვას და ა.შ.

ზემოთ აღნიშნული აშკარად ფოკუსირდება სამართალდამრღვევის რისკის ერთ განზომილებაზე. კერძოდ, ეს არის სერიოზული ზიანის რისკი. შესაბამისად, ,,რისკის მართვის“ ცნება პირველად შემოვიდა პრობაციის პრაქტიკაში, რათა საშიშროების აღქმულ დონეებზე მომხდარიყო რეაგირება. ამრიგად, აქტუალური გახდა მართლმსაჯულების

სისტემის მომსახურებების ახალი როლი - ,,საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა". იმავდროულად, ,,რა მუშაობს" კვლევა კონცენტრირდებოდა პრობაციის რეაბილიტაციის ეფექტებზე, რომლებმაც მთავარი როლი შეასრულა რისკის შეფასების სხვა განზომილების გამოვლენაში (McGuire &Priestley, 1995; Vanstone, 2000; Robinson, 2001, 2010). კერძოდ, ,,რა მუშაობს" კვლევამ წინ წამოსწია *რისკის კლასიფიკაციის* პრინციპი. რისკი ამ კონტექსტში განიხილებოდა, როგორც დანაშაულის განმეორების ალბათობა და არა როგორც, ზიანის რისკი. კანადური კვლევების მიხედვით, კოგნიტურ-ბიჰევიორალური პროგრამები ყველაზე ეფექტური იყო მაღალი რისკის მქონე სამართალდამრღვევებისათვის, თუმცა დაბალი რისკის მქონე პატიმრებისათვის მსგავსი ინტენსიური პროგრამების შეთავაზებას უარყოფითი შედეგი ჰქონდა (Andrews, Bonta and Hoge, 1990). ამრიგად, სარეაბილიტაციო მომსახურების ეფექტის მაქსიმალიზაციისათვის მნიშვნელოვანია სამართალდამრღვევის რისკის დონის და სერვისის, ინტერვენციის ინტენსივობის შეთანხმება. კერძოდ, დაბალი რისკის სამართალდამრღვევებმა უნდა მიიღონ მინიმალური ინტერვენცია, ხოლო მაღალი რისკის ინდივიდებმა კი - ინტენსიური მომსახურებები (McGuire & Priestley, 1995). 1990 წლის ბოლოსათვის, მართლმსაჯულების სისტემაში სამართალდამრღვევის რისკის შეფასება მთავარ ამოცანად იქცა. შესაბამისად, რისკის შეფასება აერთიანებდა ორივეს: ზიანის რისკს და, იმავდროულად, განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკს. რისკის შეფასება ყველა ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სამართალდამრღვევისათვის რეგულარული მოთხოვნა გახდა.

კემშალი (Kemshall 1998) განმარტავს, რომ რისკის შეფასება არ არის ზუსტი მეცნიერება, რადგანაც იგი მიზნად ისახავს ,,წინასწარ უცნობი" მომავალი ქცევის წინასწარმეტყველებას. ამ მხრივ, რისკის შეფასების ინსტრუმენტს აქვს თავისი შეზღუდვები და მხოლოდ იმდენად არის ობიექტური, რამდენადაც ეს შესაძლებელია (Carson, 1996, Kemshall, 1998).

შეფასება: შემთხვევაზე მუშაობის საფუძველი

1990 წლიდან დღემდე ინგლისსა და უელსში მართლმსაჯულების პრაქტიკა მიისწრაფვის იმისკენ, რომ შეფასებასა და ინტერვენციას შორის არსებული დაშორება ამოავსოს და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებით უზრუნველყოს ზედამხედველობა (Burnett et al, 2007). ზედამხედველობის ამ მეტად სტრუქტურირებული მიდგომის მთავარი ელემენტია ფორმალური შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება, რათა აქცენტი გაკეთდეს ზედამხედველობის უფლებრივ ასპექტებზე. ეს ინსტრუმენტები შეიქმნა, რათა შეფასება გამხდარიყო სტრუქტურირებული, უფრო მეტად დახმარებოდა პროფესიულ მსჯელობას. შეფასების ინსტრუმენტები მუდმივად იხვეწება. მისი განვითარების ისტორია შეიძლება დახასიათდეს, როგორც მოგზაურობა ინდივიდუალიზებული კლინიკური მიდგომიდან ობიექტურ, სტატისტიკურ, უფრო ფორმალიზებულ რისკის ინსტრუმენტებამდე(რომლებიც იძლევა განმეორებითი დანაშაულის (რეციდივის) რისკის ალბათობის დაგროვებით ქულებს) და უფრო უახლეს, სტრუქტურირებულ, პროფესიულ მსჯელობაზე დაფუძნებულ ინსტრუმენტებამდე, რომლებიც შეიცავს რისკებს, საჭიროებებსა და სიძლიერეებს, რაც ქმნის ინდივიდუალიზებულ და, იმავდროულად, უფრო ჰოლისტურ შეფასებებს (Kemshall, 2010). ქვემოთ, მოკლედ არის აღწერილი რისკის, საჭიროებისა და რეაგირების შეფასების ინსტრუმენტების განვითარების ისტორია.

პირველი თაობის შეფასების ინსტრუმენტი ეფუძნებოდა პრობაციის ოფიცრის, ციხის ან კლინიკური პერსონალის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი და სოციალური მუშაკი) პროფესიულ განსჯას, რომელსაც ისინი რუტინულად აწარმოებდნენ. მაგალითად, მსჯელობდნენ გაზრდილ უსაფრთხოებაზე და ზედამხედველობაზე იმ სამართალდამრღვევებისათვის, რომელთაც ჰქონდათ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაღალი ალბათობა. ამიტომ პირველი თაობის შეფასების ინსტრუმენტი არის არსებითად სტრუქტურირებული კლინიკური მიდგომა. „კლინიკური" შეფასების ცნება წარმოიქმნა ერთი-ერთ შემთხვევაზე მუშაობის ტრადიციიდან სამედიცინო, სოციალური მუშაობისა და პრობაციის კონტექსტებში.

იგი ეფუძნება პრაქტიკოსის გამოცდილებას, ინტერვიუს ჩატარებისა და დაკვირვების უნარ-ჩვევებს (Robinson, 2010). 1970 წლის დასაწყისიდან აღიარებულია, რომ რისკის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს უფრო მეტად სტატისტიკურ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მეცნიერებას და არა უბრალოდ პროფესიულ განსჯას.

მეორე თაობის ინსტრუმენტები (ე.წ. სტატისტიკური რისკის შეფასების ინსტრუმენტები) განიხილავს სამართალდამრღვევის ინდივიდუალურ ასპექტებს (მაგ., ნივთიერებაზე დამოკიდებულების ისტორიას, კრიმინალური წარსულის ისტორიას და ა.შ.), რომლებიც, როგორც წესი, განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის გაზრდას უწყობს ხელს. ამ ასპექტებს ანიჭებენ რაოდენობრივ ქულებს. რაც უფრო მაღალია ქულა, მით უფრო მაღალია იმის რისკი, რომ ამ მახასიათებლების მქონე სამართალდამრღვევი ჩაიდენს განმეორებით დანაშაულს. გაერთიანებული სამეფოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო „სამართალდამრღვევთა ჯგუფში ხელახალი დანაშაულის საზომის“ – OGRS-ის გამოყენება, რომელიც Window-ზე დაფუძნებული კომპიუტერული პროგრამაა, რომლის გამოყენებაც შეუძლია პრობაციის პერსონალს (Home Office, 1996; Copas& Marshall, 1998; Taylor, 1999). OGRS ეფუძნება სამართალდამრღვევთა დიდი შერჩევითი ერთობლიობის დემოგრაფიულ მახასიათებლებს, დანაშულის ისტორიებს და შექმნილია 17 წელზე ზემოთ ასაკის ქალი და მამაკაცი სამართალდამრღვევთათვის. ეს ინსტრუმენტები იძლევა ერთი ან მეტი რეციდივის ალბათობის შეფასებას გათავისუფლებიდან 2 წლის განმავლობაში, ან საზოგადოებრივი სასჯელის დასაწყისიდან. OGRS-ის კრიტიკული ცვლადები რეციდივის სტატისტიკური ალბათობის გამოსათვლელად არის შემდეგი: ასაკი; სქესი; დანაშაული; საპატიმრო სასჯელის რაოდენობა 21 წლამდე; ზოგადად ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა და პირველი დანაშულის ჩადენის ასაკი.

ცნობილია სტატისტიკური რისკის შეფასების სკალები, რომლებიც დღესაც გამოიყენება. კერძოდ, „ჩუმი ფაქტორის შეფასება“ (Salient Factor Score), რომელიც შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში (Hoffman & Beck, 1974) და „სტატისტიკური მონაცემი რეციდივის მაჩვენებელზე“ (the Statistical Information on Recidivism scale), რომელიც განვითარდა კანადის სასჯელაღსრულების სამსახურის მიერ (Nuffield, 1982). კვლევის ანგარიშები განმეორებითად აჩვენებდა, რომ სტატისტიკური ინსტრუმენტები ადამიანის ქცევის უფრო უკეთ წინასწარმეტყველებას ახდენდა, ვიდრე კლინიკურ ან პროფესიულ განსჯაზე დაფუძნებული ინსტრუმენტები (Andrews, Bonta&Wormith, 2006, Grove et al, 2000). მეორე თაობის შეფასების ინსტრუმენტებს შეუძლია სანდო განსხვავების გაკეთება დაბალი რისკისა და მაღალი რისკის სამართალდამრღვევებს შორის. თუმცა, მათ აქვთ გარკვეული შეზღუდვები: (1) ისინი არიან ათეორეტიკულები. ინსტრუმენტის ცალკეული ასპექტები შერჩეულია იმ მიზეზით, რომ ისინი ადვილად მისაწვდომია და დაკავშირებულია რეციდივთან; (2) მეორე თაობის სკალები არ ითვალისწინებს სამართალდამრღვევის უკეთესობისკენ ცვლილებას. კრიმინალური ისტორია და სხვა ფაქტორები განხილულია, როგორც სტატიკური რისკის ფაქტორები; (3) სტატისტიკური წინასწარმეტყველება განკუთვნილია დამანაშავეთა ამ მახასიათებლების მქონე პოპულაციისთვის და არ შეუძლია ინდივიდუალური განმეორებითი დანაშაულის ქცევის წინასწარმეტყველება. ამრიგად, ეს მონაცემები შემფასებელმა ინდივიდუალურ პროფესიონალთან ერთად ან კლინიკურ შეფასებასთან ერთად უნდა გამოიყენოს. სწორედ ეს განსაზღვრავს, ინდივიდი რამდენად ტიპურია იმ პოპულაციისთვის, რომლის წინასწარმეტყველებაც ხდება და შემფასებელს აჩვენებს, რომ სახეზეა სწორედ ის ფაქტორები, რომლებიც იწვევს ან ხელს უწყობს განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობას. უფრო გვიანდელი თაობის ინსტრუმენტები უკვე ინდივიდუალური შეფასების საშუალებას იძლევა, რადგან მასში წარმოდგენილია ე.წ. დინამიკური ფაქტორებიც.

მესამე თაობის ინსტრუმენტები განვითარდა მეორე თაობის რისკის შეფასების შეზღუდვების საპასუხოდ 1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწყისში. მესამე თაობის ინსტრუმენტებში კრიმინალურ ისტორიასთან და სხვა სტატიკურ ასპექტებთან ერთად, როგორიცაა წარსულში ნივთიერებაზე დამოკიდებულება და ა.შ. გაერთიანებულია დინამიკური რისკფაქტორებიც (Bonta&Wormith, 2007). კერძოდ, დინამიკური

რისკფაქტორები ახდენს სამართალდამრღვევის მიმდინარე და მუდმივად ცვალებადი სიტუაციის გამოკვლევას (დასაქმების ამჟამინდელი სტატუსი, სამართალდამრღვევი მეგობრები, ოჯახური ურთიერთობები და ა.შ.). მესამე თაობის რისკის ინსტრუმენტები განხილულია, როგორც „რისკი- საჭიროების“ ინსტრუმენტები და ზოგიერთი მათგანი, ასევე, დაფუძნებულია გარკვეულ თეორიაზე (მაგ.,,the Level of Service Inventory-Revised“; Andrews &Bonta, 1995). მესამე თაობის რისკის ინსტრუმენტები კორექციული დაწესებულებების პერსონალს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სამართალდამრღვევის რა საჭიროება უნდა იყოს გათვალისწინებული ინტერვენციის დროს. არსებობს მტკიცებულება, რომ რისკი - საჭიროების ინსტრუმენტებში დინამიკური ფაქტორებიდან წარმოქმნილ ქულებში მნიშვნელოვანი ცვლილებები უკავშირდება დანაშაულის განმეორებაში ცვლილებებს (Anderws& Robinson, 1984; Arnold, 2007; Motiuk, Bonta& Andrews, 1990; Raynor, 2007; Raynor et al, 2000). უფრო მეტიც, ისინი პროგრამებისა და ზედამხედველობის სტრატეგიების ეფექტურობის მონიტორინგის შესაძლებლობასაც გვთავაზობს.

მეოთხე თაობის ინსტრუმენტები შემოვიდა 2000 წლიდან და ისინი აერთიანებს სისტემატურ ინტერვენციას და მონიტორინგს სამართალდამრღვევის უფრო გაფართოებული რისკების არეალის შეფასებასთან და, ასევე, სხვა პიროვნულ ფაქტორებთან, რომლებიც მნიშვნელოვანია რეაბილიტაციისათვის (Andrews, Bonta&Wormith, 2006). მეოთხე თობის შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშია „the Level of Service/Case Management Inventory“ (LS/CMI; Andrews, Bonta, Wormith, 2004). LS/CMI-ის პირველადი მიზნებია შეფასებისა და შემთხვევის მართვის ინტეგრაციის ხელშეწყობა და სპეციფიკური რისკი/საჭიროების კრიტერიუმის შემოღება ინდივიდუალური შეფასების დახვეწისათვის (Bontaand Wormith. 2007). ამ თვალსაზრისით, რისკის წინასწარმეტყველებამ რაღაც ხარისხით გადაინაცვლა მეორე ადგილზე, ხოლო უფრო აქტუალური გახდა შემთხვევის მართვის ინსტრუმენტის განვითარება და შეფასების ტექნიკების დახვეწა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო სამართალდამრღვევის ინტერვენციასთან მორგება.

ბონტა და ენდრიუ (Bonta and Andrews 2007) გვთავაზობენ სამართალდამრღვევის შეფასებისა და რეაბილიტაციის რისკი-საჭიროება- რეაგირების მოდელს, რომელიც ამდიდრებს მესამე და მეოთხე თაობის რისკის შეფასების ინსტრუმენტებს და ხდის მათ უფრო განხორციელებადს და მიღწევადს. ქვემოთ რისკი-საჭიროება-რეაგირების მოდელი უფრო დეტალურადაა განხილული.

საჭიროებები: კრიმინოგენული და არაკრიმინოგენული

საჭიროების პრინციპი ასხვავებს კრიმინოგენულ და არაკრიმინოგენულ საჭიროებებს (Bonta& Andrews, 2010). სამართალდამრღვევებს აქვთ უამრავი საჭიროება, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი უკავშირდება ფუნქციონალურად კრიმინალურ ქცევას. 1990 წლებში „რა მუშაობს“ კვლევამ იდენტიფიკაცია გაუკეთა მთელ რიგ არასტატიკურ ფაქტორებს, რომლებიც ქმნიდა სამართალდამრღვევთა ცხოვრებისეულ სტილსა და მახასიათებლებს, რაც შესაძლოა სამართალდამრღვევის ქცევას უკავშირდებოდეს (Andrews, et al., Andrews &Bonta, 1994, 1995). ეს ფაქტორები ცნობილია, როგორც დინამიკური ფაქტორები ან კრიმინოგენული ფაქტორები, რომლებიც, რეალურად, რისკის წინასწარმეტყველია. კრიმინოგენული საჭიროების შეცვლით შესაძლებელია კრიმინალური ქცევის ჩადენის ალბათობის შეცვლა (Bonta, 1996).

კრიმინოგენული საჭიროების შეფასებას მივყავართ რისკის უფრო ინდივიდუალიზებულ შეფასებამდე, რომელსაც შეუძლია სამართალდამრღვევის ცხოვრების ისეთი ასპექტების მითითება, როგორიცაა: მისი საცხოვრებელი, დასაქმების სტატუსი, ნარკოტიკების ან ალკოჰოლის მოხმარება ან დამოკიდებულებები. თუ ინტერვენცია წარიმართება ამ დინამიკური რისკის ფაქტორების შემცირებაზე, მაშინ ეს შეამცირებს მის მიერ დანაშაულის განმეორების რისკს. ზოგიერთი ავტორი ამ დინამიკურ რისკფაქტორებს მოიხსენებს, როგორც „სოციალურ“ რისკფაქტორებს (Robinson, 2010).

კრიმინოგენული საჭიროება რეაბილიტაციის პროგრამის ე.წ. შუალედურ სამიზნედ განიხილება (ზოგად მიზნებსა და შემთხვევის სპეციფიკურ ფაქტორებს შორის) და რეაბილიტაციის პროგრამის შედეგებში სპეციფიკური ცვლილებები მომავალში შესაძლო რეციდივის შემთხვევების ცვლილებებში აისახება (Bonta& Andrews, 2010).

„რისკი - საჭიროება - რეაგირება“ მოდელი
(Risk-need-responsivity model – The RNR model)

რისკი-საჭიროება-რეაგირება (RNR) მოდელი არის ყველაზე გავლენიანი მოდელი, რომელიც გამოიყენება სამართალდამრღვევის შეფასების და რეაბილიტაციის სახელმძღვანელოდ. პირველად ეს მოდელი შეიქმნა ენდრიუს, ბონტასა და ჰოგის (Andrews, Bonta and Hoge) მიერ 1990 წელს, ხოლო შემდგომ მოხდა ამ მოდელის გადამუშავება პიროვნების და სოციალური დასწავლის თეორიის ჩარჩოებში (Andrews&Bonta, 2010). რისკი-საჭიროება-რეაგირება მოდელის პრინციპები ეფუძნება ფსიქოლოგიურ თეორიას, ქცევის შეცვლის ყველაზე ეფექტურ ტექნიკებს, ორგანიზაციისა და მომსახურე პერსონალის მახასიათებლებს, რაც შესაძლებელს გახდის სამართალდამრღვევის ქცევის მაქსიმალურ ცვლილებას. თეორიის ზოგადი პიროვნული ასპექტი უფრო სიღრმისეულად არის განხილული, ვიდრე უბრალოდ სამართალდამრღვევისთვის ანტისოციალური პიროვნული აშლილობის ან ფსიქოპათიის დიაგნოზის იარლიყის მიწერა და მოიცავს ისეთ პიროვნულ ფაქტორებს, რომლებიც კრიმინოგენულ საჭიროებას წარმოადგენს (მაგ., იმპულსურობა, მე-დაკავშირებულობა) და კიდევ - რეაგირების ფაქტორებს (მაგ., აღგზნება, აღელვება). თეორიის კოგნიტური ასპექტი მოიცავს თვითგაცნობიერებულ და ავტომატურ თვითრეგულაციებს და ხაზს უსვამს კრიმინალური ქცევის გამომწვევი პროკრიმინალური დამოკიდებულებების, ღირებულებებისა და რწმენების მნიშვნელობას. თეორიის სოციალური დასწავლის ასპექტი ხაზს უსვამს სწავლის მნიშვნელობას მეგობრების, ოჯახის, სკოლის, მუშაობისა და თავისუფალი დროის სოციალურ კონტექსტში. კრიმინალური, პროსოციალური ქცევის ჯილდოებისა და ღირებულებების ამ სოციალურ კონტექსტებში შეფასება და, ამასთან ერთად, ზოგიერთ ქცევასთან ასოცირებული ავტომატური ჯილდოებისა და ღირებულებების (მაგ. ნივთიერების მოხმარება) შეფასება უზრუნველყოფს კრიმინოგენული საჭიროებისა და სიძლიერის კარგად სტრუქტურირებულ გამოკვლევას. ე. წ. „ცენტრალური რვის“ შეფასება შემდგომში იძლევა ეფექტური ინტერვენციის დაგეგმვის შესაძლებლობას, სადაც აქცენტი გაკეთებულია უშუალოდ კრიმინალურ ქცევასთან გადაჯაჭვულ რისკფაქტორებზე მიმართულ სერვისებზე (Andrews &Bonta, 2006, Andrews et al., 2006).

„რისკი- საჭიროება - რეაგირება“ მოდელს აქვს 17 პრინციპი. *1-დან 4-მდე პრინციპები ზემდგომი პრინციპების* სახით არის ცნობილი (*პრინციპი 1* - ხაზს უსვამს ადამიანებისადმი პატივისცემას, *მე-2 პრინციპი* ხაზს უსვამს პიროვნების და კოგნიტური სოციალური დასწავლის მიდგომას, *მე-3 პრინციპი* ხაზს უსვამს ადამიანური სერვისების როლს მართლმსაჯულების კონტექსტში, *მე-4 პრინციპი* აფართოებს მოდელს მართლმსაჯულების სააგენტოების გარეთ და ახალისებს სხვა სააგენტოებს - ჯანდაცვის, სოციალურ სერვისებს, სკოლებს, ახალგაზრდულ და ოჯახურ სერვისებს ჩაერთონ დანაშაულის და ვიქტიმიზაციის შემცირების ძალისხმევაში). *ზემდგომი პრინციპები* აღწერენ ამ მოდელის ზოგად ღირებულებებს, *მაგალითად, 5-დან 11-მდე პრინციპები* ამ მოდელის ძირითად ღირებულებებს გამოხატავს. *მე-5 პრინციპის - რისკის პრინციპის* - მიხედვით სამართალდამრღვევის რეციდივიზმი შეიძლება შემცირდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევის გამოსწორებაზე მიმართული სერვისები დანაშაულის განმეორების რისკის პროპორციულია. კერძოდ, ინტენსიური სარეაბილიტაციო სერვისები შეთავაზებულ უნდა იქნეს მაღალი და საშუალო რისკის შემთხვევებისათვის, ხოლო დაბალი რისკის შემთხვევების დროს შეთავაზებულ უნდა იქნეს მინიმალური სარეაბილიტაციო სერვისები, რადგანაც კვლევები ადასტურებს, რომ დაბალი რისკის შემთხვევებს აქვს რეციდივის დაბალი ალბათობა ამ სერვისების არარსებობის შემთხვევაში.

მე-6 პრინციპი ცნობილია *საჭიროების პრინციპის* სახით,რომლის მიხედვით ხდება

კრიმინოგენული და არაკრიმინოგენული საჭიროებების ერთმანეთისაგან განსხვავება. კრიმინოგენული საჭიროება შეჯამებულია კრიმინალური ქცევის ძირითადი გამომწვევი ფაქტორების (ე.წ. პრედიქტორების) ქვეშ. სულ რვა ცენტრალური რისკი/საჭიროების ფაქტორი არის გამოყოფილი, რომელიც ცნობილია „ცენტრალური რვის“ სახელწოდებით (Anderws&Bonta, 2006; Andrews et al., 2006).

პირველ ცხრილში მოცემულია რისკი-საჭიროების მთავარი ფაქტორების - კრიმინოგენული საჭიროების შეჯამება და, ასევე, არაკრიმინოგენული საჭიროებაც, რომელიც ინტერვენციისთვის ნაკლებად ეფექტური სამიზნე შეიძლება გახდეს. „ცენტრალური რვის“ შიგნით მოცემულია შვიდი მთავარი რისკი/საჭიროების ფაქტორი და, ასევე, მათი შესატყვისი ინტერვენციებიც. მერვე ფაქტორი არის კრიმინალური ისტორია, რომელიც სტატიკური ფაქტორია, დანარჩენი შვიდი ფაქტორი კი დინამიკურია.

ცხრილი 1. შვიდი მთავარი რისკი/საჭიროების ფაქტორი სხვა უფრო ნაკლები რისკი/ საჭიროების ფაქტორებთან ერთად.

რისკების/საჭიროების შვიდი ძირითადი ფაქტორი	**ინდიკატორები**	**ინტერვენციის მიზნები**
ანტისოციალური პიროვნული მახასიათებლები	იმპულსურობა, თავგადასავლებისა და სიამოვნების ძიება, აგრესიულობა/ გამაღიზიანებლობა	პიროვნული უნარების განვითარება, სიბრაზის მართვა
პროკრიმინალური დამოკიდებულებები	დანაშაულის რაციონალიზება, ნეგატიური დამოკიდებულებები კანონთან მიმართებაში	საპირისპირო რაციონალიზება პროსოციალურ დამოკიდებულებებთან მიმართებაში; პროსოციალური დამოკიდებულებების განვითარება
სამართალდამრღვევის სოციალური მხარდაჭერა	კრიმინალი მეგობრების ყოლა, პროსოციალური მეგობრებისგან იზოლირება	პროკრიმინალური მეგობრების ჩანაცვლება პროსოციალურით
ნივთიერების მოხმარება	ალკოჰოლის/ნარკოტიკის მოხმარება	ნივთიერების მოხმარების შემცირება, ალტერნატიული აქტივობების გაზრდა
ოჯახური ურთიერთობები	მწირი ოჯახური ურთიერთობები, ბენეფიციარის, როგორც მშობლის ყურადღებისა და დისციპლინის ნაკლებობა	მშობლის უნარ-ჩვევების განვითარება, ზრუნვისა და მოვლის გაზრდა
განათლება/სამუშაო	მიღწევების დაბალი დონე	სამუშაო/სასწავლო უნარების განვითარება პიროვნებათაშორისი ურთიერთობების სწავლება
პროსოციალური რეკრეაციული აქტივობები	პროსოციალურ/რეკრეაციულ აქტივობებში ჩართულობის ნაკლებობა	პროსოციალურ/რეკრეაციულ აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობა

არაკრიმინოგენული საჭიროება	**ინდიკატორები**
თვითშეფასება	თვითშეფასების, თვითღირებულების დაბალი დონე
პიროვნული დისტრესი	შფოთვის მაღალი დონე
ფსიქიკური აშლილობები	შიზოფრენია, მანიაკალური დეპრესია
ფიზიკური ჯანმრთელობა	ფიზიკური დეფორმაცია, კვების ნაკლოვანება

მე-7 პრინციპის მიხედვით, მაღალი რისკის სამართალდამრღვევებს ექნებათ უფრო მეტი კრიმინოგენული საჭიროება, რაც, თავისთავად, გულისხმობს იმას, რომ მათთვის საჭიროა უფრო ექსტენსიური, მომცველობითი, მეტი სერვისების მიწოდება.

მე-8 პრინციპი, ე.წ. ზოგადი რეაგირების პრინციპი, ყურადღებას ამახვილებს სოციალური დასწავლის სტრატეგიების შერჩევაზე. ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, რომ თერაპიული ურთიერთობის ხარისხი და კლიენტ-თერაპევტის ალიანსი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კოგნიტურ ბიჰევიორალური ინტერვენციის ფაქტორები(Ahn & Wampold, 2001; Wampold, 2007). თუმცა, ზოგადი რეაგირების პრინციპი არ უარყოფს თერაპიული ურთიერთობის მნიშვნელობას და უფრო მეტიც, მას ამატებს სტრუქტურირებულ, კოგნიტურ ბიჰევიორალურ ინტერვენციას, რომელიც აუცილებელია ეფექტური კორექციისათვის. კოგნიტურ-სოციალური დასწავლის ინტერვენციები ყველაზე ეფექტურია ახალი ქცევების სწავლისათვის. ეფექტური კოგნიტური სოციალური დასწავლის სტრატეგიები ოპერირებენ შემდეგი პრინციპების მიხედვით: (1) ურთიერთობის პრინციპი (თბილი, პატივსაცემი და კლიენტთან თანამშრომლობითი სამუშაო ალიანსი) და (2) სტრუქტურირების პრინციპი (პროსოციალური მიმართულებით ცვლილების ხელშეწყობა შესაბამისი მოდელირებით, განმტკიცებით, პრობლემის გადაჭრით და ა.შ.).

მე-9 პრინციპი, სპეციფიკური პასუხისმგებლობა, ფოკუსირდება ინდივიდუალური მიდგომების გამოყენების მნიშვნელობაზე, კერძოდ, ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: სამართალდამრღვევის ძლიერი მხარეები, უნარი (სწავლის სირთულეები, ინტელექტი), მოტივაცია, სოციალურ-ეკონომიური ფაქტორები (სიღარიბე, კულტურა), პიროვნული ფაქტორები (შფოთვა, ფსიქიკური აშლილობა) და ისეთი ბიოლოგიური ცვლადები, როგორიცაა: გენდერი, რასა და ასაკი. ეს პრინციპი აუცილებელია სიძლიერეზე დაფუძნებული, კლიენტზე ორიენტირებული ინტერვენციის გამოყენებისათვის. ამ პრინციპის არსი ის არის, რომ ეფექტური რეაბილიტაცია შესაძლოა განხორციელდეს სწავლის ხელშემწყობ პიროვნულ ფაქტორებზე ყურადღების მიქცევით. მაგალითად, განსხვავებული სწავლების მეთოდები უნდა გამოიყენონ იმ ადამიანებისათვის, ვინც სწავლობს მხედველობით და სმენით. პირველ რიგში, სერვისის მიმწოდებელი უნდა დაინტერესდეს ინდივიდის შფოთვის დონით და ფსიქიკური აშლილობით, იმისათვის, რომ შემდგომ ეს ადამიანი ჩართოს პროგრამაში, რომელიც უშუალოდ კრიმინოგენულ საჭიროებაზეა მორგებული. თუ სამართალდამრღვევს აქვს შეზღუდული ვერბალური უნარ-ჩვევები და კონკრეტული აზროვნების სტილი, მაშინ პროგრამა უნდა კონცენტრირდეს კონკრეტულ ცნებებსა და უფრო მეტ პრაქტიკაზე, ვიდრე საუბარსა და აბსტრაქტულ ცნებებზე, თეორიულ აზროვნებაზე და ა.შ. ასევე, კულტურული უმცირესობები და ქალები უნდა ჩაერთონ ინდივიდუალურ და სპეციფიკურ სარეაბილიტაციო პროგრამებში, რომლებიც ითვალისწინებს იმ ფაქტორებს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მათი ნაკლები მონაწილეობა და ჩართულობა ამ სერვისებში (მაგ. ქალისთვის მნიშვნელოვანია, რომ მას ჰყავდეს ბავშვის დამტოვებელი და ადამიანი, რომელიც მიხედავს საოჯახო საქმეებს, აბორიგენი სამართალდამრღვევისთვის შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს სპირიტუალური ცერემონიები, პატივსაცემი თემის მეთაურების ჩართვა კოგნიტურ-ბიჰევიორალურ მიდგომებთან ერთად და ა.შ.).

პრინციპი 10 გულისხმობს ძლიერი მხარეების შეფასებას, რაც უფრო შესაძლებელს ხდის ანტისოციალური შედეგების, ასევე, სპეციფიკურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ფაქტორების წინასწარმეტყველებას (მაგ., ძლიერი მხარეების გამოყენება ინტერვენციის პროცესში).

პრინციპი 11, პროფესიიული დისკრეცია, მოითხოვს, რომ ზოგჯერ შესაძლებელი გახდეს „რისკი-საჭიროება-რეაგირება“ მოდელის მთავარი პრინციპებიდან გადახვევა სპეციფიკური მიზნების მისაღწევად (მაგ., ფუნქციონალური ანალიზი გამოავლენს, რომ პიროვნული დისტრესი არის ამ პიროვნებისთვის რისკის ფაქტორი). კერძოდ, „რისკი-საჭიროება-რეაგირება“ მოდელის მიერ კრიმინოგენულ საჭიროებაზე ხაზგასმა არ უნდა მოხდეს იმ არაკრიმინოგენული საჭიროების ხარჯზე, რომელიც ამ პიროვნების ბედნიერებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს. ამ შემთხვევაში, „რისკი-საჭიროება-რეაგირება“ მოდელი არ გამორიცხავს დისტრესის პიროვნულ დონეებზე ყურადღების მიქცევას. როგორც ზემოთ იყო მინიშნებული, სამართალდამრღვევების მიერ პიროვნული კმაყოფილების მიღწევა მოიცავს ყურადღების მიქცევას როგორც კრიმინოგენულ, ასევე არაკრიმინოგენულ საჭიროებებზე (Bonta & Andrews, 2010). თუმცა, დამანაშავის კრიმინოგენულ საჭიროებაზე ინტერვენციის მიმართვით შესაძლებელი ხდება მათი კრიმინალური ცხოვრებიდან ჩამოშორება და პროსოციალური ცხოვრების სტილში ჩართვა, რაც შესაძლებელს ხდის მათი სიბრაზის და უსუსურობის გრძნობების შემცირებას.

მე-13 და მე-14 პრინციპები (სიძლიერისა და რისკი-საჭიროება-რეაგირების ფაქტორების შეფასება სტრუქტურირებული და ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების, ინტეგრირებული შეფასებისა და ინტერვენციის გამოყენებით. ყველა დაგეგმილი ინტერვენცია უნდა ეფუძნებოდეს შეფასებას) შემოტანილ იქნა იმ მიზეზით, რომ პრაქტიკაში ბევრი სააგენტო ვერ ახერხებდა ვალიდური რისკი/საჭიროება შეფასების განხორციელებას (Andrews, 2006; Bonta et al., 2008).

მე-14 პრინციპი გარკვეულწილად უკავშირდება რისკის პრინციპს და ხაზს უსვამს სააგენტოს ვალდებულებას გამოიჩინოს დიდი ძალისხმევა, რომ დააინტერესოს და ჩართოს მაღალი რისკის მქონე კლიენტი სარეაბილიტაციო პროგრამაში. როგორც წესი, ხშირად ბევრი პროგრამა გამორიცხავს ასეთი სამართალდამრღვევების მონაწილეობას, რადგანაც მათ მიაწერენ „არამოტივირებულის“, „ფსიქოპათის“ იარლიყებს.

მე-15 პრინციპი ეხება თავად პროგრამის მიწოდების გარემოს, რაც კრიტიკული მნიშვნელობისაა. „რისკი-საჭიროება-რეაგირება“ მოდელი განიხილავს კორექციული პრაქტიკის ორ სპეციფიკურ უნარ-ჩვევას: 1. ურთიერთობის უნარ-ჩვევები (სამართლიანობა, ზრუნვა) და სტრუქტურირების უნარ-ჩვევები (მაგ., პროსოციალური მოდელირება, ჯილდოს და დასჯის შესატყვისი გამოყენება, ახალი უნარების ქცევითი განმტკიცება და ა.შ.).

მე-16 პრინციპში აღიარებულია, რომ სერვისების მიწოდების ეფექტურობა იცვლება სერვისების მიწოდების კონტექსტის ცვლილებებით. მაგალითად, თემში სერვისების მიწოდება საპატიმრო დაწესებულებაში სერვისების მიწოდებაზე უფრო ეფექტურია.

ბოლოს, *მე-17 პრინციპი* ხაზს უსვამს ადამიანური სერვისის მიწოდების მენეჯმენტის, მართვის ფაქტორების მნიშვნელობას და ეფექტური მენეჯმენტის განხორციელებაზე პასუხისმგებლობის აღებას. კერძოდ, აქ იგულისხმება მომსახურე პერსონალის ტრენინგები და სუპერვიზია „რისკი-საჭიროება-რეაგირება“ მოდელის მიხედვით მონიტორინგის, უკუკავშირისა და შეგუების სისტემების წარმოდგენა; ზრუნვის უწყვეტობისა და ეფექტური პრაქტიკის მხარდამჭერი კულტურისა და სისტემის შენება.

ამრიგად, „რისკი-საჭიროება-რეაგირება“ მოდელი, ძირითადად, ეყრდნობა სამ მთავარ ასპექტს: (1) რისკის პრინციპი, (2) საჭიროების პრინციპი და (3) რეაგირების პრინციპი. რისკის პრინციპი ორი კომპონენტისგან შეგება: პირველი ხაზს უსვამს კრიმინალური ქცევის წინასწარმეტყველების სანდოობის მნიშვნელობას და, შესაბამისად, მტკიცებულებებზე დაფუძნებული რისკის ინსტრუმენტების საჭიროებას, ხოლო მეორე კი აღიარებს იმის

საჭიროებას, რომ სერვისის დონე შეესაბამებოდეს სამართალდამრღვევის რისკის დონეს. ეს ნიშნავს იმას, რომ როდესაც რისკის დონე იზრდება (სხვა სიტყვებით, მაღალი რისკის მქონე სამართალდამრღვევებს აქვთ უფრო მეტი კრიმინოგენული საჭიროება, რომელზეც უნდა მიემართოს ინტერვენცია), უფრო მეტი სარეაბილიტაციო სერვისის ჩართვაა საჭირო რეციდივიზმის დასაძლევად. არაპროპორციულად შერჩეული ინტერვენციის ინტენსივობის დონე შესაძლოა დასრულდეს მარცხით და საწინააღმდეგო შედეგებით. რისკის პრინციპი ეხება იმას, თუ **ვინ** უნდა იყოს სამიზნე (სამართალდამრღვევის რისკის დონე), საჭიროების პრინციპი ეხება იმას, თუ **რა** უნდა გახდეს სამიზნე (კრიმინოგენული საჭიროება), ხოლო რეაგირების პრინციპი კი მოიაზრებს იმას, თუ **როგორ** უნდა განხორციელდეს რეაბილიტაცია.

კვლევამ აჩვენა, რომ „რისკი-საჭიროება-რეაგირება“ მოდელი რელევანტურია ისეთი ტიპის სამართალდამრღვევების მიმართ (Blanchette& Brown, 2006; Dowden & Andrews, 1999), როგორიცაა: ფსიქიკური აშლილობის მქონე სამართალდამრღვევები (Andrews, Dowden &Rettinger, 2001; Bonta et al., 1998); ღატაკი და ფინანსური პრობლემების არმქონე სამართალდამრღვევები (Andrews et al., 2001); ახალგაზრდა სამართალდამრღვევები (Dowden & Andrews, 1999); სექსუალური დანაშაულის ჩამდენი სამართალდამრღვევები (Hansen, 2006; Hansen &Bourgon, 2007) და აბორიგენი სამართალდამრღვევები (Rugge, 2006).

„რისკი - საჭიროება - რეაგირება“ მოდელის შეზღუდვები და ძლიერი მხარეები

„რისკი-საჭიროება-რეაგირება“ მოდელი და მისგან წარმოშობილი კოგნიტურ-ბიჰევიორალური ინტერვენციები დომინირებს ანგლოფონური მართლმსაჯულების სისტემაში. თუმცა, ეს მიდგომა ინტენსიური კრიტიკის საგანია (Ward and Maruna, 2007).

„რისკი- საჭიროება - რეაგირება“ მოდელის ძირითადი კრიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ გადაჭარბებული ყურადღება ექცევა სამართალდამრღვევის რისკებს და ნაკლები მის ძლიერ მხარეებს. დღესდღეობით უფრო მეტი უპირატესობა ენიჭება ჰოლისტური ინტერვენციის მიდგომებს (მაგ., კარგი ცხოვრების მოდელი - Good Lives Model - GLM), რომელიც ხაზს უსვამს „თერაპიული ალიანსის“ მნიშვნელობას. კემშალის (Kemshall 2008) მიხედვით, ზედამხედველობა და ინტერვენციის სტრატეგიები, რომლებიც ხელს უწყობს პროსოციალურ მოდელირებას და „ძლიერ მხარეებს“, რისკის დაძლევისა და სამართალდამრღვევის საზოგადოებაში ინტეგრირების ეფექტურ მექანიზმებს წარმოადგენს. თავად სამართალდამრღვევები ასეთ ინტერვენციებს მხარდამჭერად ეფექტურად და ლეგიტიმურად განიხილავენ და ამგვარი მიდგომები სამართალდამრღვევთა მონაწილეობას ხშირად უწყობს ხელს (Wood and Kemshall, 2007).

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ „რისკი-საჭიროება-რეაგირება“ მოდელი არ გამორიცხავს დამაშინებელ-დეტერენტულ (deterrence) მიდგომას, რაც გულისხმობს ქმედების ჩადენისაგან დაშინებით შეკავებას. ლიპსი (Lipsey's 1992) აჯამებს რა 400 სხვადასხვა კვლევას, რომელიც ეხებოდა ახალგაზრდა დელიკვენტებისთვის რეაბილიტაციის პროგრამებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კოგნიტურ-ბიჰევიორალური ინტერვენციები, რომლებიც იქნა მიწოდებული ზუსტი და შესატყვისი ფორმით, დასრულდა განმეორებითი დანაშაულის შემცირებით (სულ მცირე 10 %). ამდენად, სამართალდამრღვევის მახასიათებლების ცვლილებების მისაღწევად აქტიური მცდელობა უკავშირდება მომავალი რისკის შემცირებას. მეორე მხრივ, დაშინებაზე დაფუძნებული მიდგომები არ იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს. მტიცებულებები მიუთითებს, რომ დეტერენტული (დაშინების) ტიპის მიდგომები, რომლებიც მოიცავს ინტენსიური ზედამხედველობის პროგრამებს, ნივთიერებაზე დამოკიდებულების სკრინინგს, ელექტრონულ მონიტორინგს და ა.შ., არაეფექტურია რეციდივიზმის შემცირებაში (Gendreau, et al, 2000; MacKenzie, Wilson & Kider, 2001).

ყველაზე დიდი სირთულე უკავშირდება „რისკი- საჭიროება - რეაგირება“ მოდელის „რეალურ“ გარემოში გამოყენებას. ენდრიუსა და ბონტას (Andrews and Bonta 2006) მიხედვით, რეალურ სიტუაციაში ამ მოდელის გამოყენება ექსპერიმენტულ, სადემონსტრაციო სიტუაციასთან

შედარებით ნახევარ ეფექტს იძლევა. ერთია, რომ მეცნიერი დემონტრაციას უკეთებს რისკის ინსტრუმენტს ან სარეაბილიტაციო პროგრამის ეფექტურობას, მაგრამ კორექციულ სააგენტოებში ამის განხორციელება გართულებულია ისეთი ფაქტორების გამო, როგორიცაა: მომსახურე პერსონალის განათლება, ღირებულებები, გამოცდილება, მართლმსაჯულების პოლიტიკასთან ამ პრაქტიკის კონფლიქტი, მართვის/მენეჯმენტის პრაქტიკასთან კონფლიქტი და ა.შ. (Bonta, Bogue, Crowley & Motiuk, 2001; Lowenkamp, Latessa, & Holsinger, 2004).

გამოყენებული ლიტერატურა:

Bonta J. Andrews D (2007) *Risk-Need-Responsivity Model for Offender Assessment and Rehabilitation* https://cpoc.memberclicks.net/assets/Realignment/risk_need_2007-06_e.pdf

Chui, W. H & Nellis, M. (Eds.). (2003) Moving Probation Forward, Evidence, Arguments and Practice, Pearson: Longman

McNeill, F., Raynor, P., & Trotter, C. (Eds.). (2010). Offender Supervision: New Directions in Theory, Research and Practice. Abingdon: Willan Publishing.

Persson, A., & Svensson, K. (2011). Signs of resistance? Swedish probation officers' attitudes towards risk assessments. *European Journal Of Probation vol 3 no 3*

http://www.ejprob.ro/index.pl/signs_of_resistance_swedish_probation_officers_attitudes_towards_risk_assessments

თავი 14

სამართალდამრღვევებთან მუშაობის მეთოდები (4)

შორენა საძაგლიშვილი, MSW, PhD,
ასოცირებული პროფესორი სოციალური მუშაობის მიმართულებით,
სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, დამფუძნებელი

ხანმოკლე მუშაობა 145
ამოცანაზე ცენტრირებული მუშაობა 146
გადაწყვეტაზე ფოკუსირებული მუშაობა 149
კოგნიტურ - ბიჰევიორალური თერაპია: სიძლიერე და შეზღუდვა 151

ხანმოკლე მუშაობა

დროში შეზღუდული სერვისების მიწოდება თარიღდება 1940-იანი წლების შუა რიცხვებიდან, როდესაც ფსიქიატრებს უხდებოდათ მუშაობა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან (Budman & Gurman, 1988), თუმცა უფრო გვიანდელი მიდგომები ეკუთვნის მილტონ ერიკსონს 1950 -იან წლებში (De Shazer et al., 1986). ხანმოკლე მუშაობის (Brief Work) თანამედროვე პრაქტიკის თეორიული მიდგომები, მოსაზრებები და ტექნიკები ეფუძნება ორი ცენტრის მუშაობას - კალიფორნიის პალო ალტოს (Palo Alto) ფსიქიკური ჯანმრთელობის კვლევითი ინსტიტუტის ხანმოკლე თერაპიის ცენტრს და მილვოკის (Milwaukee) მოკლე ოჯახური თერაპიის ცენტრს (Ligon, 2002).

მოკლე მკურნალობის პრაქტიკაში განასხვავებენ 5 ძირითად სფეროს. იან ლიგონის (Jan Ligon 2002) მიხედვით, ეს ძირითადი სფეროებია:

(1) **დროის გამოყენება: ჩარევამდელი ან წინასამკურნალო ცვლილებები, საშინაო დავალება:** ზოგადად, კლიენტებისათვის დაგეგმილია 6 სესია. ბევრი კლიენტი ადრე მოდის სესიაზე და ეს დრო შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მკურნალობის დასაწყებად. მაგალითად, პრობლემების გასაზომად შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეფასების სტანდარტული ინსტრუმენტები, ან საწყისი შეფასების ფორმა და ა.შ. შემდგომ კლიენტს ეკითხებიან, თუ რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც პირველი სესია დაგეგმა და პირველი სესიის დროს? რა არის ახლა განსხვავებული და როგორ მიაღწია კლიენტმა მკურნალობის ამ საწყის ცვლილებებს? და ა.შ.

(2) **პრობლემისადმი დამოკიდებულება: პრობლემის გადაწყვეტაზე ფოკუსი:** მნიშვნელოვანია, რომ კლიენტის პრობლემა/პრობლემები იყოს აღიარებული. კლიენტის პრობლემების ვალიდაციის შემდეგ მათ ეკითხებიან, მანამდე თუ ჰქონიათ მსგავსი პრობლემები და სთხოვენ, მოჰყვნენ, თუ როგორ მოახერხეს ამ პრობლემებთან გამკლავება. ეს ინფორმაცია აუცილებელია მიზნების და, შესაბამისად, გადაწყვეტების (პრობლემის გადაჭრის) ჩამოსაყალიბებლად. ეს, ასევე, კლიენტის ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებას უწყობს ხელს. გარდა ამისა, კრიტიკულია, თუ გამორკვეული იქნება პრობლემისგან თავისუფალი სფეროები და გამონაკლისები.

(3) **ენის გამოყენება: შერჩეულია სიტყვები, რომლებიც აძლიერებს ქმედებას და ქცევას:**

გამოყენებულმა სასაუბრო ენამ (მეტყველებამ), სიტყვებმა საჭიროა გააძლიეროს ქმედება, გახსნილობა, ღიაობა, მომავლის აღქმა და, ზოგადად, გააჩინოს გრძნობა, რომ წარმატების მიღწევა აქტივობაზეა დამოკიდებული. ზოგადად, კითხვები შემდეგი ფორმატით დაისმის: რა ხდება და როგორ შეიძლება ცვლილების მოხდენა? კითხვა „რატომ"-ის დასმა არ არის რეკომენდირებული. „ჯერ არ" -ის გამოყენება ძალიან ეფექტურია. მაგალითად, კარგია კითხვა: „თქვენ ჯერ არ გიპოვნიათ სამსახური?" „როდის" გამოყენება იმედიანი დიალოგის გასაგრძელებლად. მაგალითად, კითხვა: „როდის იწყებ ისევ მუშაობას?" მოიცავს მომავლის იმედს.

(4) **მიზნები: მკურნალობა არის განზრახული, მიზანზე ორიენტირებული და გაზომვადი:** ხანმოკლე მუშაობის მიზანი კლიენტზე ორიენტირებულია. იგი არის მოკლე, კონკრეტული, სპეციფიკური, ქცევითი, რეალისტური, ღირებული და ეძებს რამის არსებობას, ვიდრე რამის გამორიცხვას. მიღწეული შედეგის შეფასებას კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება. შედეგები იზომება სპეციალური ინსტრუმენტებით ან თვითშეფასებითი სკალებით, ხოლო პროგრესის აღსაბეჭდათ შესაძლოა პრე და პოსტ და განმეორებითი გაზომვების გამოყენება.

(5) **გაძლიერების პერსპექტივა: იყენებს კლიენტის ძლიერ მხარეებს და რესურსებს:** სიძლიერეზე დაფუძნებული სოციალური მუშაობის პრაქტიკა აღიარებს სოციალური მუშაკის და კლიენტის რესურსების გამოყენების მნიშვნელობას. ამიტომაც ხანმოკლე თერაპიაში კლიენტისა და სოციალური მუშაკის ურთიერთობა თანამშრომლობით და არაიერარქიულ ხასიათს ატარებს. ამ მიდგომის მთავარი მიზანია კლიენტისათვის უფლებამოსილების მინიჭება, მისი გაძლიერება. ეს პერსპექტივა აღიარებს, რომ კლიენტს აქვს ცოდნა, უნარები, გამძლეობა, გამკლავების უნარი, პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევები, რომელიც სოციალურმა მუშაკმა კიდევ უფრო მეტად უნდა წარმოაჩინოს. სოციალური მუშაკის მიერ კლიენტის ძლიერ მხარეებზე ხაზგასმა კლიენტს დაეხმარება თავიდან აღმოაჩინოს თავისი ძლიერი მხარეები, რომელიც მან წარსულში წარმატებით გამოიყენა.

ხანმოკლე თერაპია ძალიან ეფექტურია სხვადასხვა პრობლემის მქონე ადამიანებისათვის (Miller, Hubble & Duncan, 1996).

ამოცანაზე ცენტრირებული მუშაობა

ამოცანაზე ცენტრირებული მოდელი (Task Focused Case Work) არის სოციალური მუშობის პრაქტიკის მოკლევადიანი, პრობლემაზე დაფუძნებული მიდგომა (Doel & Marsh, 1992, Reid & Epstein, 1972, Reid, 1992, 2000). ამოცანაზე ცენტრირებული სოციალური მუშაობა განვითარდა შემთხვევაზე მუშაობის მოდელიდან 1960-იანი წლების შუაში (Reid & Shyne, 1969). ეს მოდელი არ ეყრდნობა ადამიანის ფუნქციონირების რომელიმე ერთ კერძო თეორიას. იგი აერთიანებს 7 ბაზისურ პრინციპს. ეს პრინციპებია:

1. **ემპირიული ორიენტაცია:** უპირატესობა ენიჭება ემპირიულ კვლევაზე დაფუძნებულ მეთოდებს და თეორიებს;
2. **ინტეგრაცია:** მოდელში გაერთიანებულია სელექციურად შერჩეული ემპირიულად დაფუძნებული ერთმანეთის შესატყვისი თეორიები და მეთოდები: მაგ., პრობლემის გადაჭრის, კოგნიტური ბიჰევიორიზმის, კოგნიტური, ოჯახის სტრუქტურული თეორიები;
3. **კლიენტისმიერაღიარებულპრობლემებზეფოკუსირება:** სერვისისფოკუსიმიმართულია კლიენტის მიერ ექსპლიციტურად აღიარებულ სპეციფიკურ პრობლემებზე;
4. **სისტემები და კონტექსტები:** პრობლემები მიმდინარეობს მულტისისტემების კონტექსტში. კონტექტური ცვლილებები შესაძლოა საჭირო გახდეს პრობლემის გადაჭრისათვის ან პრობლემების განმეორების პრევენციისათვის;

5. **დაგეგმილი ხანგრძლივობა:** სერვისი მოკლევადიანია. დაახლოებით არის ექვსიდან თორმეტ სესიამდე 4 თვის განმავლობაში;

6. **თანამშრომლობითი ურთიერთობა:** კლიენტთან ურთიერთობაში მნიშვნელობა ენიჭება როგორც მასზე ზრუნვას, ასევე, მასთან თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. პრაქტიკოსი კლიენტს უზიარებს მისი შეფასების შესახებ ინფორმაციას. როგორც წესი, არ არსებობს დამალული მიზნები და გეგმები. მკურნალობის სტრატეგიის განვითარებაში ეფექტური ინტერვენციის დაგეგმვისათვის კლიენტის წვლილს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მხრივ ხაზგასმულია კლიენტის პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებაზე მუშაობის მნიშვნელობა;

7. **სტრუქტურა:** მკურნალობის სესიები სტრუქტურირებულია კარგად განსაზღვრულ აქტივობებად.

ამოცანაზე ცენტრირებული მოდელი მოიცავს **საწყის ფაზას** (1-2 სესია), **შუალედურ ფაზას** და **დასკვნით ფაზას.** ქვემოთ დეტალურად არის განხილული ეს ფაზები.

საწყის ფაზაზე (ე.წ. პრობლემის გამორკვევის და სპეციფიკაციის ფაზა, შეფასება) პრობლემები არის გამორკვეული და განსაზღვრული ერთობლივად, სოციალური მუშაკისა და კლიენტის მიერ. ფოკუსი კეთდება იმაზე, თუ რა სურს კლიენტს და არა იმაზე, თუ რას ფიქრობს პრაქტიკოსი, თუ რა შეიძლება სჭირდებოდეს კლიენტს. დასაშვებია, სოციალურმა მუშაკმა კლიენტს მიუთითოს პოტენციურ სირთულეებზე, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ კლიენტი არ ითვალისწინებს მნიშვნელოვან გარემოებებს. ამის შედეგად, შესაძლოა, კლიენტის მიერ თავისი პრობლემების აღქმა შეიცვალოს, ხოლო „იძულებითი კლიენტობის“ დროს კი, შესაძლოა მათ გააცნობიერონ თავიანთი სირთულეები, რომლებზე მუშაობაც საჭიროა. ამ პროცესის ბოლოს, ჩვეულებრივ, პირველი ან მეორე ინტერვიუს დასასრულს, სოციალური მუშაკი და კლიენტი უნდა მივიდნენ აშკარა შეთანხმებამდე იმ პრობლემების შესახებ, რომელზე მუშაობაც შემდგომში უნდა წარიმართოს. პრობლემა შეჯამდება მოკლე წინადადებით, რომელსაც პრობლემის ჩამოყალიბება ან განსაზღვრა ეწოდება და შემდეგ მოხდება მისი სპეციფიკაცია, ანუ დეტალურად განხილვა. პრობლემების გამორკვევისა და შეფასების დროს სოციალური მუშაკი არ იყენებს თეორიას პრობლემის ფორმულირებისათვის. იგი თავდაპირველად მხოლოდ აღწერს პრობლემას, ხოლო შემდეგ იყენებს შესაბამის ცოდნას, მათ შორის, თეორიებს, რათა შეძლოს ამ აღწერილი პრობლემის ახსნა და თეორიული ინტერპრეტაცია. გარდა ამისა, სოციალური მუშაკი ალტერნატიულ ახსნებსაც განიხილავს, რათა უკეთ შეძლოს კლიენტის პრობლემის მოგვარება.

შუალედურ ფაზაზე სოციალური მუშაკი-კლიენტის სხვადასხვა აქტივობა ხორციელდება. ეს აქტივობებია:

კონტრაქტის დადება - ეს არის სიტყვიერი ან წერილობითი კონტრაქტი, რომელიც სულ მცირე ერთ პრობლემასთან დაკავშირებით ფორმდება, რომელზეც კლიენტმა და სოციალურმა მუშაკმა უნდა წარმართოს მუშაობა. კონტრაქტი გულისხმობს მკურნალობის ფორმატსაც, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ჩასატარებელი სესიების მიახლოებით რაოდენობას და სესიების ხანგრძლივობას. ამ მოდელის მიხედვით, როგორც წესი, 8-12 ინტერვიუ ტარდება, კვირაში ერთხელ ან ორჯერ, ერთიდან სამი თვის განმავლობაში. კონტრაქტში, ასევე, შესაძლოა მოცემული იყოს თითოეულ პრობლემასთან მიმართებაში მიზნები და პრობლემის შესაძლო გადაწყვეტები. კონტრაქტი არ არის უცვლელი, სტატიკური და მან შესაძლოა განიცადოს ცვლილებები საჭიროების მიხედვით.

ამოცანის დაგეგმვა - ძალისხმევა მიმართულია იმისკენ, რომ უფრო ფართო ამოცანები სპეციფიკურ ოპერაციულ ამოცანებად ჩამოყალიბდეს. ამოცანა განსაზღვრავს, თუ კლიენტმა რა უნდა გააკეთოს, რომ მოახდინოს თავისი პრობლემის მოგვარება. განასხვავებენ ზოგად და სპეციფიკურ ამოცანებს. ზოგადი ამოცანები კლიენტს აძლევს აქტივობის მიმართულებას, მაგრამ არა სპეციფიკურ ქცევას, რომელიც უნდა განახორციელოს. ამის საწინააღმდეგოდ სპეციფიკური ამოცანები, ე.წ. ოპერაციული ამოცანები, ზუსტად განსაზღვრავს თუ რა

კონკრეტული ქცევები და აქტივობები უნდა განახორციელოს კლიენტმა თავისი მიზნების მისაღწევად. ამასთან, კლიენტის მიერ ამ ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღება კრიტიკული მნიშვნელობისაა.

ქცევის მოტივატორები და განხორციელების მიზეზები - სოციალური მუშაკი და კლიენტი განიხილავენ ამ ამოცანის შესრულების პოტენციურ ბენეფიტებს. სოციალური მუშაკი მიუთითებს იმ პოზიტიურ შედეგებზე, რომელსაც შესაძლოა კლიენტი ვერ ხედავდეს.

წინასწარ განჭვრეტილი წინააღმდეგობები - სოციალური მუშაკი კლიენტს ამოცანის შესრულების გზაზე პოტენციური სირთულეების იდენტიფიცირებაში ეხმარება. ამასთან, ეხმარება ამ წინააღმდეგობების დაძლევის თავიდან აცილების ან მინიმალიზების დაგეგმვაში. ამ საკითხის შინაგანი, ბუნებრივი მოგვარება ხდება, როდესაც სოციალური მუშაკი ძალიან სპეციფიკურ, კონკრეტულ ინფორმაციას ითხოვს კლიენტისაგან ამოცანების ოპერაციონალიზაციის მიზნით, ხოლო უფრო ექსპლიციტური მიდგომაა, როცა სოციალური მუშაკი ეკითხება კლიენტს, თუ მისი აზრით, რომელი ამოცანის შესრულება შეიძლება გაუჭირდეს ან საერთოდ ვერ შეძლოს განხორციელება?

კონტექსტუალური ანალიზის ტექნიკები - ეს ტექნიკები გამოიყენება ამოცანის განხორციელების გზაზე არსებითი წინააღმდეგობების წარმოშობისას. ამ დროს შესაძლოა შეიცვალოს ან ჩამოყალიბდეს ახალი ამოცანა.

სიმულაცია და პრაქტიკული მუშაობა/გავარჯიშება - სოციალურმა მუშაკმა შესაძლოა მოახდინოს განსახორციელებელი ქცევის მოდელირება (ის, რის თქმას ან გაკეთებასაც აპირებს კლიენტი) და სთხოვოს კლიენტს მისი გამეორება. საჭიროების შემთხვევაში, მოდელირება და გამეორება შესაძლოა როლური თამაშით ჩატარდეს. ხოლო ზედამხედველობის ქვეშ პრაქტიკა შესაძლოა გავრცელდეს რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებზე. ვთქვათ, სოციალური მუშაკი გაჰყვეს კლიენტს (რომელსაც ეშინია კბილის ექიმის) სამედიცინო კლინიკაში.

პრობლემა და ამოცანის გადახედვა - ყოველი სესიის დასაწყისში პრობლემის გადაჭრისა და ამოცანის შესრულების მიმართულებით კლიენტის პროგრესის რუტინული გადახედვა ხდება. განხილვა ეხება პრობლემის გადაჭრაში მიღწეულ პროგრესს, ანუ იმას, თუ კლიენტმა რა ამოცანა შეასრულა ან რა ვერ შეასრულა. იმ შემთხვევაში, თუ ამოცანები, ძირითადად, შესრულებულია, შესაძლებელია, სოციალურმა მუშაკმა კლიენტთან ერთად იგივე პრობლემასთან ან სხვა პრობლემასთან მიმართებაში სხვა ამოცანა ჩამოაყალიბოს. თუ ამოცანა ვერ შესრულდა, ან ნაწილობრივ შესრულდა, სოციალური მუშაკი და კლიენტი განიხილავენ სირთულეებს და აყალიბებენ სხვა გეგმას ამოცანის შესასრულებლად ან იყენებენ ამ ამოცანის განსახორციელებელ სხვა აქტივობებს. შესაბამისად, ამოცანა შესაძლოა დაიხვეწოს ან სხვა ამოცანით შეიცვალოს ან შესაძლოა თავად პრობლემაც რეფორმულირდეს.

კონტექსტუალური ანალიზი - სოციალური მუშაკი ეხმარება კლიენტებს წინააღმდეგობების იდენტიფიკაციასა და დაძლევაში, ასევე, რესურსების განსაზღვრასა და გამოყენებაში. ძირითად რესურსად გამოყენებულია თავად კლიენტის ძლიერი მხარეები და კომპეტენციები და, ასევე, გარესისტემების მატერიალური და არამატერიალური დახმარება. დისკუსია ფოკუსირდება პრობლემის გამორკვევაზე, ახსნაზე, და, ასევე, სხვა მეთოდებზე, რომლებიც ხელს უწყობს კლიენტის მიერ პრობლემის გაგებას. სოციალური მუშაკი ეხმარება კლიენტს დამახინჯებული აღქმების ან არარეალისტური მოლოდინების მოდიფიცირებაში. სოციალური მუშაკი კლიენტს მიუთითებს ქცევის ან ურთიერთობის დისფუნქციურ ნიმუშებზე. გარესისტემებში არსებული წინააღმდეგობები იდენტიფიცირებულია და განხილულია ამ წინააღმდეგობების დაძლევის მცდელობა გარესისტემებში რესურსების მოძიებით.

დასკვნით ფაზაზე, სოციალური მუშაკი და კლიენტი გადახედავენ, თუ რა პროგრესი განიცადა მოცემული პრობლემის გადაჭრამ. იგეგმება, თუ კლიენტმა მომავალში რა უნდა გააკეთოს დამოუკიდებლად. თუ კლიენტი კვლავ საჭიროებს დახმარებას, შესაძლოა გაიზარდოს სესიების რაოდენობაც.

ეს მოდელი გამოიყენება, ასევე, ოჯახებთან და ჯგუფებთან (Fortune, 1985), შემთხვევის მართვის დროს (Reid & Bailey-Dempey, 1995; Naleppa & Reid, 1992), იძულებით კლიენტებთან (Rooney, 1992) და, ზოგად, პრაქტიკაში (Tolson, Reid & Garvin, 1994). მოდელი აღიარებულია მთელ მსოფლიოში სოციალური მუშაობის სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან მუშაობის დროს.

გადაწყვეტაზე ფოკუსირებული მუშაობა

გადაწყვეტაზეფოკუსირებულიმიდგომების(SolutionFocusedWork)განვითარებაუკავშირდება კონსულტირებაში ხანმოკლე მკურნალობის მოდალობების განვითარებას. ეს მიდგომები პრობლემაზე ფოკუსირებული მიდგომებიდან ინაცვლებენ ინდივიდებთან და ოჯახებთან პოზიტიური მიდგომების ძიებაზე. სასურველი შედეგის ძიების სასარგებლოდ პრობლემის გადაჭრა გვერდზე ინაცვლებს. ამრიგად, შეიძლება, წარმატებული შედეგი პრობლემასთან ერთად დადგეს, მაგრამ, მთავარია, შეიცვალოს ფოკუსი პრობლემიდან სასურველ შედეგამდე, რაც ამ მიდგომას მომავალზე ორიენტირებულს ხდის და ამით წარსული სირთულეების განმტკიცებას ნაკლებად ახდენს (Miller, 2006). გადაწყვეტაზე ფოკუსირებული მიდგომები არის მოკლევადიანი და მოიცავს მინიმალურ ინტერვენციას (Fleet and Annison, 2003). ეს მიდგომები არ ინტერესდება პრობლემის სიღრმეების გამორკვევით, არამედ ეფუძნება „აქ და ამჟამად“ პრინციპებს და მომავალს. ამ მიდგომის მთავარი ავტორი და პრაქტიკოსია დე შაზერი (De Shazer 1985). თუმცა, ამ მხრივ, მილტონ ერიკსონის (Milton Erickson) ინოვაციურმა ნაშრომმა საკმაოდ დიდი ზეგავლენა იქონია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოკლე და გადაწყვეტაზე ფოკუსირებული მიდგომები არ არიან მთლიანად ურთიერთშემცვლელი, თუმცა პრაქტიკაში პრობლემების ამოცნობა - აღიარება, გაგება და შემდგომ გადაწყვეტა ამ ორ მოდელს ერთმანეთთან ძალიან აახლოებს. სოციალური კონსტრუქტივიზმი (მთავარი აზრი: „ჩვენ რეალურად ვერასოდეს გავიგებთ საკუთარ ან სხვის რეალობას“) საფუძვლად უდევს გადაწყვეტაზე ფოკუსირებულ თერაპიას (Hoffman, 2002). სოციალური კონსტრუქტივიზმის მთავარი ასპექტია სოციალური კონტექსტის ჩართვა ადამიანის აღქმის, რწმენისა და ქცევის განსავითარებლად.

ამ მეთოდის მთავარი პრინციპია პიროვნებასთან და არა პრობლემასთან მუშაობა. დიდი აქცენტი კეთდება ინდივიდზე, რომელიც საკუთარი მიზნების ჩამოყალიბებას ახდენს. მთავარი ამოცანაა იმის იდენტიფიცირება, თუ ამ ინდივიდისთვის რას ნიშნავს პრობლემის მიღწევადი გადაჭრა. ძალიან სპეციფიკური ინფორმაციის მოპოვებით დგინდება, თუ პიროვნებისთვის როგორ გახდა ცნობილი, რომ მისი პრობლემა გადაიჭრა. შესაძლო კითხვებია: რა განსხვავებები იქნება იდენტიფიცირებული? კიდევ ვინ შეამჩნევს ამ ცვლილებებს და კონკრეტულად რას შეამჩნევენ? მთავარი მიზანია, რომ უკვე „აქ და ამჟამად“ გახდეს შესაძლებელი იმ ნიშნების ამოცნობა, რომელიც მიანიშნებს, რომ გადაჭრის რაღაც ელემენტები უკვე სახეზეა. მუშაკი და პიროვნება თანამშრომლობითი ძალისხმევით ცდილობენ პიროვნების „სასურველი მომავლის“ მიღწევადი გზის აღმოჩენას. ინდივიდის შეხედულებას საკუთარ კომპეტენციებზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეს მიდგომა იყენებს თვითშეფასებით სკალებს, რომლითაც ინდივიდს მოცემულ საკითხებთან მიმართებაში საკუთარი პოზიციის დანახვა შეუძლია. ასევე, ეს მეთოდი უბიძგებს პიროვნებას იმ ფაქტორების დეტალურ იდენტიფიცირებაზე, რომლითაც იგი სკალაზე მოცემულ პოზიციას ირჩევს. ამით შესაძლებელი ხდება იმ ხილვადი კრიტერიუმების შემუშავება, რომლითაც მომავალში მიღწეული ცვლილებები შეფასდება. ეს მეთოდი მკაცრად მიჰყვება კლიენტთან პრაქტიკული მუშაობის სამართლებრივსა და ეთიკურ სტანდარტებს (George, Iveson and Ratner, 1999).

დე შაზერის (De Shazer 1994) მიხედვით, გადაწყვეტაზე ფოკუსირებულ მიდგომაში განიხილება მთელი რიგი მთავარი პრინციპები. ეს პრინციპებია:

გადაწყვეტაზე ფოკუსირებული საუბარი - გადაწყვეტაზე ფოკუსირებული მეტყველება უარს ამბობს ისეთი ტიპის წინადადებებზე, რომლებიც გამოხატავს მუდმივობას, სტაბილურობას, შინაგან ბუნებას, გლობალურობას. მაგალითად, წინადადება: „მე ბუნებით მორცხვი ვარ, რაც

ნიშნავს ვერასდროს შევძლებ მეგობრების შეძენას“ უნდა გადავთარგმნოთ შემდეგნაირად: „რა კარგია, შეგეძლოს სხვა ადამიანებთან საუბარი და მათთან გაზიარება“. რასაკვირველია, მომავალი სასურველი შედეგების ძიება რაღაც ხარისხში პრობლემის გარკვეულ აღიარებას გულისხმობს. „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ შესახებ დიაგნოსტიკური იარლიყების მიწებება პიროვნების პოზიტიური შედეგების ძიების პროცესში განსაკუთრებით არარელევანტურია.

მიზნების ჩამოყალიბება - სამუშაო ალიანსის ფორმირების შემდეგ შესაძლებელი ხდება კლიენტთან სპეციფიკურ მიზნებზე შეთანხმება. ეს შეთანხმება უნდა მოხდეს ორ მხარეს შორის: სოციალურ მუშაკსა და კლიენტს შორის. მთავარი მიზანია, ცვლილების მოტივაციის ხელშეწყობა შესაბამისი მოტივატორების გამოყენებით და მუშაობაზე ფოკუსირებით, რაც განაპირობებს ამ მიდგომის მოკლევადიანობას. მიზნები უნდა იყოს მიღწევადი, სპეციფიკური და კარგად განსაზღვრული. მათი ჩამოყალიბება კლიენტის და არა სოციალური მუშაკის იდეებით უნდა მოხდეს. სოციალურმა მუშაკმა უნდა აღიაროს კლიენტის ძლიერი მხარეები, უნარები, რაც საჭიროა მიზნების მისაღწევად. მიზნების ჩამოყალიბების შეკითხვების მაგალითებია: როგორ გეცოდინება, რომ აქ მოსვლა ღირებული იქნება შენთვის? რას გინდა რომ მიაღწიო ამ სესიაზე? შენი აზრით, როგორ დაგეხმარება აქ მოსვლა? როგორ მიხვდები, რომ საქმეები უკეთ მიდის? რა მიგანიშნებს ამაზე? რა გაწუხებს ყველაზე მეტად? საიდან გინდა რომ დაიწყო? რომ შეგეძლოს ცვილებების მოხდენა უახლოეს პერიოდში, რა დაგეხმარებოდა ყველაზე მეტად?

პროგრესის კონსოლიდირება და გადახედვა - შემდგომი შეხვედრები მიზნად ისახავს პროგრესის შედეგების გაერთიანებასა და მიზნებზე თავიდან შეთანხმებას, რაც საჭიროა სასურველი შედეგის მისაღწევად. უკვე მეორე სესიაზე სოციალური მუშაკი მოითხოვს სპეციფიკურ მიზნებთან დაკავშირებით პროგრესის განსაზღვრას. ასეთი განხილვის მთავარი პრინციპია იმის გაგება, თუ როგორ მიაღწია კლიენტმა ან გაართვა თავი იმას, რასაც მიაღწია. ეს საუბრები კლიენტებს მათ მიღწევებთან მიმართებაში საკუთარი მნიშვნელობების გამომუშავებაში ეხმარებათ. კლიენტები მიზნებთან მიმართებაში პატარ-პატარა ცვლილებების მოხდენის აღიარების ძალისხმევაში ერთვებიან. მარცხის შემთხვევაში ხდება შესაძლო ,,სრული წარმატების“, ე.წ. ,,მიღწევის“ ახალი ფორმულირება, რადგან ადგილი აქვს უკვე გამოჩენილი ძალისხმევისა და მიღწეული პროგრესის დეკონსტრუქტირებას. ამ მიმართულებით ე.წ. „სკალირების კითხვების“ გამოყენება ძალიან სასარგებლოა. მაგალითად, თუ 0 არის ის, თუ ჩვენი მუშაობის დასაწყისში რა მოცემულობა გვქონდა და 10 არის „ყველაფერი რიგზეა“, სად ხართ ახლა? ეს მიდგომა გამორიცხავს პასუხს ,,ყველაფერი ან არაფერი“ ცვლილებების მიმართულებით. სკალირების შეკითხვებით შესაძლებელი ხდება მიზნებისაკენ მოძრაობა პატარა გაზომვადი ნაბიჯებით.

პროგრესის შემდგომი კონსოლიდირება და დასასრული - ხანმოკლე და გადაწყვეტაზე ფოკუსირებულ მიდგომებში დასასრული უკვე წარმოდგენილია სამუშაო ურთიერთობის დასაწყისშიც. მიზანი ის არის, რომ დაეხმაროს კლიენტს საკუთარ ცხოვრებაზე მაქსიმალური კონტროლის მოპოვებაში. ამ კუთხით აუცილებელია, რომ ჩამოყალიბდეს სამუშაო ურთიერთობის დროებითი ტიპი. როგორც წესი, ამ დასასრულის განსასაზღვრავად დაისმის შემდეგი სტანდარტული კითხვა: როგორ გეცოდინება, თუ აღარ დაგჭირდება ჩემგან დახმარება? სკალირების შეკითხვების მუდმივი გამოყენება და კლიენტის კომპეტენციის აფირმაცია მუშაობის პროცესში კლიენტის გაძლიერებას ემსახურება, რათა მან აიღოს საკუთარ მიღწევებზე პასუხისმგებლობა და ნაკლებად გახდეს სოციალურ მუშაკზე დამოკიდებული. პირველი სესიიდანვე ეს მომენტი კლიენტს კონტროლის ელემენტის გამომუშავებაში ეხმარება და უადვილებს მუშაობის პროცესის დასასრულის ეფექტურ მართვას.

გადაწყვეტაზე ფოკუსირებული მოკლე თერაპია გამოიყენება სოციალური მუშაობისა და მართლმსაჯულების პრაქტიკაში იძულებითი კლიენტების მიმართ (O'Connel, 1998). George, Iveson და Rather (1999) მიუთითებენ მთელ რიგ კვლევებზე, რომლებიც ხაზს უსვამს ამ მიდგომის პოზიტიურ გამოყენებას ციხეში.

კოგნიტურ - ბიჰევიორალური თერაპია: სიძლიერე და შეზღუდვა

კოგნიტურ - ბიჰევიორალური თერაპია (Cognitive Behavioural Therapy - CBT) წარმოიშვა ორი თერაპიის ინტეგრაციით, კოგნიტური თერაპიით და ბიჰევიორალური თერაპიით. ამ ორი თერაპიის გაერთიანების შედეგად აღიარეს, რომ აზროვნების პროცესი ზეგავლენას ახდენს ქცევაზე ორი გზით: ინდივიდის მოტივირებით გარკვეული ქცევის მიმართულებით ან ქცევის ისე წარმართვით, რაც მთავრდება გარკვეული სიტუაციების ან გამოცდილების განრიდებით (თავიდან აცილებით). აღსანიშნავია, რომ ეს ორი თერაპია ერთ თერაპიად არ გადაქცეულა. თუმცა, კოგნიტური თერაპიები ბიჰევიორალურ ტექნიკებთან ერთად გამოიყენება ფიქრის პროცესებისა და ქცევის შედეგების შესაცვლელად და აქედან ერთ-ერთი ან ორივე რაღაც ტიპის დისტრესს იწვევს ინდივიდში (Miller, 2006). პრობლემა განხილულია სისტემურად: გარემოს ზეგავლენები, ისევე როგორც პიროვნებათაშორისი ურთიერთობები და ინდივიდის პიროვნული მახასიათებლები/დისპოზიციები, განხილულია პრობლემების გამომწვევ ფაქტორებად.

ბეკის **„სქემატა“** ან **„სქემა“** განისაზღვრება, როგორც „სტაბილური ცოდნის სტრუქტურები, რომლებიც წარმოაჩენს ინდივიდის ცოდნას საკუთარი თავისა და მისი გარემოს შესახებ“ (Blackburn & Davidson, 1995). ცოდნის სტრუქტურები შეიცავს ინდივიდის რწმენას ადამიანების შესახებ; თეორიებს, თუ რა ქცევებს განახორციელებენ ადამიანები კონკრეტულ სიტუაციებში; თეორიებს, რომლებიც შეეხება გარესამყაროს და საკუთარ თავს და, რომელიც, ასევე, შეიცავს საკუთარი თავის იმიჯსა და საკუთარი ღირსების გრძნობას. კოგნიტური სქემები მუდმივად ვითარდება. მათი განვითარება იწყება ადრეული ბავშვობიდან და ისინი თანდათან იძენენ მნიშვნელობებს (Beck & Emery, 1985). გამოცდილება უფრო მეტად სუბიექტური ხდება, ვიდრე ობიექტური. ადამიანს უვითარდება სტრუქტურული ფილტრები, რომელთა გავლითაც ხდება მოვლენების ინტერპრეტაცია და ყოველი გამოცდილებისთვის მნიშვნელობის მინიჭება უკვე არსებულ კონტექსტში.

ავტომატური ფიქრები ჩვევითი რეფლექსური აქტებია, რომლებიც თან სდევს სტრესორის აღქმას და ინტერპრეტირებულია ან როგორც ნეგატიური მოვლენა ან რაღაცის საშიშროება (Beck, 1976). ამას ელისი (Ellis 1999) განიხილავს, როგორც „მე განცხადებებს“ (self-statements). ავტომატური ფიქრები ნებისმიერ ადამიანს აქვს, იგი ეფუძნება ადამიანის ინდივიდუალურ კოგნიტურ სქემას. შესაბამისად, თითოეული ჩვენგანი „კოგნიტურ მოწყვლადობას“ განიცდის. რაც უფრო ხელისშემშლელია ვარაუდები, რომელსაც ადამიანი ავტომატური ფიქრის რეჟიმში განიცდის, მით უფრო მოწყვლადი ხდება იგი ემოციური და ბიჰევიორალური პრობლემების განცდების თვალსაზრისით. სტრესული სიტუაციები იწვევს ავტომატურ ფიქრებს, რეფლექსებს, რომლებიც თავის ფილტრში ატარებენ მოვლენათა ინტერპრეტაციას. ავტომატური ფიქრები ხელს უშლის ადამიანს, რადგანაც ეს ფიქრები ამახინჯებს გამოცდილებას იმ მიზნით, რომ მოერგონ ფუნდამენტურ რწმენას ან კოგნიტურ სქემას. ამას კოგნიტური დამახინჯება ეწოდება. ამდენად, საკმაოდ რთულია იმის ინტერპრეტაცია, თუ როდის არის პიროვნების გამოცდილება დამახინჯებული. შეიძლება ითქვას, როდესაც აზროვნების ნიმუშები ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს პიროვნების ცხოვრებაზე იმ თვალსაზრისით, რომ ეს ზიანს აყენებს თავად პიროვნებას ან სხვა ადამიანებს და თუ იგი ითხოვს დახმარებას, სოციალური მუშაკისთვის ეს უნდა იყოს სიგნალი, რათა იგი დაეხმაროს კლიენტს, შეცვალოს მისი ხელისშემშლელი მოსაზრებები (ე.წ. ირაციონალური აზრები) ცხოვრების შესახებ.

კოგნიტურ-ბიჰევიორალური მიდგომები იყენებს სხვადასხვა ტექნიკას. ეს ტექნიკებია:

თერაპიული ურთიერთობა: კოგნიტურ-ბიჰევიორალურ მიდგომებში გაერთიანდა როჯერსის მუშაობის ძირითადი მახასიათებლები, როგორიცაა: სითბო, ნამდვილობა, უპირობო პოზიტიური დამოკიდებულება. მნიშვნელოვანია გამჭვირვალობის უზრუნველყოფა (კლიენტისაგან დაფარული გეგმები და ა.შ არ უნდა არსებობდეს) ნდობითი ურთიერთობის ფორმირებისათვის. თანამშრომლობა მოიცავს ნაბიჯ-ნაბიჯ ორმხრივი ურთიერთობის

შენებას, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს უკუკავშირსა და რეფლექსიას, იმ გრძნობის ჩამოყალიბებას, რომ ორივე მხარე მუშაობს საერთო მიზნის მისაღწევად.

პრობლემისიდენტიფიკაციადასოციალურიმუშაობისშეფასება-კოგნიტურ-ბიჰევიორალური მოდელი ფოკუსირდება ფიქრებსა და ქცევაზე მას შემდეგ, რაც გათვალისწინებული იქნება გარემო ფაქტორების (სიღარიბისა და დეპრივაციის, ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ისტორიის) ზეგავლენა. ამდენად, პრობლემის იდენტიფიკაცია უნდა გახდეს უფრო ფართო სოციალური მუშაობის შეფასების ნაწილი, რათა მან მოახდინოს ქცევითი თუ პიროვნულ დისპოზიციური პრობლემების წარმოჩენა. ამ მოდელის მიხედვით პრობლემის იდენტიფიკაცია ეხება იმის აღნუსხვას, თუ ცხოვრებისეულ სიტუაციებზე ხელისშემშლელი ემოციური და ქცევითი პასუხები სად და როდის ახდენს ადამიანის სოციალური და ემოციური ფუნქციონირების დარღვევას.

კოგნიტურ- ბიჰევიორალური შეფასება - დეტალების განსაზღვრა, თუ რა იწვევს და ინარჩუნებს პრობლემურ ქცევას ან პიროვნულ დისპოზიციას/ხასიათს. ამის განსაზღვრა ექვს ძირითად სფეროში მიმდინარეობს. ეს სფეროებია: 1. სიტუაციური – გარემოს რა ფაქტორები არის წარმოდგენილი; 2. ქცევითი - რა ქცევა განახორციელა; 3.კოგნიტური - რა ფიქრები იყო ამ დროს წარმოდგენილი; 4. აფექტური - რა ემოციურ რეაქციებს ჰქონდა ადგილი - ზოგადი მდგომარეობა; 5. პიროვნებათაშორისი - კიდევ ვინ იყო ჩართული; 6. ფიზიოლოგიური - სხეულის რა რეაქციები დაფიქსირდა. ასევე, სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებია პრობლემის შესახებ პიროვნების რწმენის გაგება, ფსიქოსოციალური ფაქტორების მხედველობაში მიღება, რაც უფრო ფართო სოციალური მუშაობის შეფასების ნაწილია.

სოკრატესეული დიალოგი - ამ მეთოდს აქვს სამი ფუნდამენტური მახასიათებელი: სისტემური შეკითხვების დასმა, ინდუქციური აზროვნება, უნივერსალური განსაზღვრებების კონსტრუირება.

სისტემური შეკითხვების დასმა პრაქტიკოსისგან მოითხოვს გახდეს ცნობისმოყვარე და დასვას ღია შეკითხვები პრობლემის სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტის შესახებ. რუტერი (Rutter) და ფრაიდბერგი (Friedberg 1999) სოკრატული დიალოგის განვითარებაში ხუთ ნაწილიან პროცესს განიხილავენ: 1. ავტომატური ფიქრის გამოწვევა და იდენტიფიცირება; 2. ავტომატური ფიქრის გრძნობასთან და ქცევასთან დაკავშირება; 3. ფიქრის -- გრძნობისა და ქცევის თანამიმდევრობის დაკავშირება ემპატიური პასუხით; 4. თანამშრომლობის მოპოვება მესამე საფეხურზე და მუშაობის გაგრძელებაზე თანხმობა; 5. რწმენის სოკრატული ტესტირება. ავტომატური ფიქრების გამოვლენა და იდენტიფიცირება, პირდაპირი შეკითხვების დასმა (მაგ., როგორიცაა: „მაშინ თქვენ თავში რა აზრი გაგიჩნდათ?“) კარგია, თუ კლიენტს მიეცემა საკმარისი დრო თავისი პრობლემატური მოვლენის აღწერისათვის. ეს დაეხმარება კლიენტს ხელისშემშლელი ემოციური და ქცევითი რეაქციის თანმდევი საკუთარი ავტომატური ფიქრების აღნუსხვასა და პრაქტიკოსთან გაზიარებაში. პროცესს, ასევე, დაეხმარება მიმართული შეკითხვები, რომელიც აფართოებს კლიენტის მიერ იმ სიტუაციის აღწერას, სადაც ხდება პრობლემა. ავტომატური ფიქრები საჭიროა დისპუტირდეს არა კრიტიკული და თანამშრომლობითი ფორმით. მტკიცებულების გამოკვლევა და შეფასება ავტომატური ფიქრების დისპუტირებისათვის პრობლემისაგან დისტანცირების და უფრო რეალისტური პოზიციის ადაპტირების სახელწოდებითაა ცნობილი. სოციალური მუშაკი, ასევე, ეხმარება კლიენტს უნივერსალური განსაზღვრებების ჩამოყალიბებაში, ახდენს რა მათ მიერ საკუთარი თავისა და გარესამყაროს განსაზღვრებების გაფართოებას მათი კოგნიციების დისპუტირებით და მათი ქცევების შემცვლელი აქტივობების დაგეგმვით.

რეატრიბუცია - ეს ეხმარება კლიენტს აღქმული შინაგანი და თვითკრიტიკული კაუზაციიდან თავისი გამოცდილების ან მოვლენების ნეგატიური შედეგების რეატრიბუციაში და დროთა მანძილზე საკუთარი რწმენებისა და ვარაუდების, როგორც სიტუაციური ფაქტორების (სოციუმი, ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური, ურთიერთობის ადრეული ნეგატიური გამოცდილებები) შედეგის ფორმირებაში. რეატრიბუციის ტექნიკა ხელს უწყობს კლიენტს საკუთარი ფუნდამენტური რწმენისა და ვარაუდის შეცვლაში, რომელიც

სხვადასხვა ხელისშემშლელ ნეგატიურ ფიქრსა და გრძნობას იწვევს და რომლებიც ასუსტებს თვითკონტროლს და მე-ქმედებას არადამაკმაყოფილებელი შედეგების არსებობის პირობებში.

ზოგადი წესების განსჯა - ზოგადი წესები ეხება იმ ბაზისურ მონახაზებს (რაციონალურ მოსაზრებებს), რითაც ვახდენთ ჩვენი გამოცდილებისა და ცხოვრების წინასწარ განჭვრეტას. მაგალითად, „ადამიანებს ვერ ენდობი", „ცხოვრება აუცილებლად ძირს დაგცემს" და ა.შ. ეს მოდელი გვეხმარება ამ „ზოგადი წესების" განსჯაში პრობლემისაგან საკმარისი დისტანცირებით, რათა განვიხილოთ მტკიცებულება, რომელიც ამ ბაზისურ რწმენას მხარს უჭერს ან უარყოფს. ეს შესაძლებელია სოკრატესეული ტექნიკის გამოყენებით, ამ რწმენის შენარჩუნებაში პრო და კონტრა არგუმენტების აწონ-დაწონით. სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, რათა ეს ტექნიკა არ იქნეს გამოყენებული ისეთ ინდივიდებთან, რომელთა მსოფლმხედველობისთვისაც ეს მიდგომა არარელევანტურია.

დესენსუალიზაცია - ეს ეხმარება ადამიანებს თავის არიდების ქცევის კონფრონტაციასა და შეცვლაში სპეციფიკური სიტუაციების მიმართ მაღალი შფოთვითი პასუხების (მაგ., ფობია) არსებობის შემთხვევაში. მისი მიზანია ასეთი პიროვნების ნაბიჯ-ნაბიჯ დახმარება სიტუაციური სტრესორების თანდათანობითი ექსპოზიციით და პროცესში შფოთვით გრძნობებზე ტოლერანტობის გამომუშავებით, სწავლებით.

შეზღუდვები:

ამ მოდელს აქვს თავისი შეზღუდვები. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილების ფოკუსი ეხება ინდივიდებს და არა - გარემოს. სოციალური მუშაობის პრაქტიკაში ამ მეთოდის გამოყენება უნდა მოხდეს სოციალური და გარემო ფაქტორების განხილვით, რომელთაც, ასევე, შეაქვს წვლილი პრობლემის ფორმირებაში. სოციალური მუშაკი უნდა აცნობიერებდეს გარემოს, სოციალური და პოლიტიკური ასპექტების ურთიერთკავშირს ინფორმაციის შინაგან პროცესირებასთან. როცა ურთიერთკავშირი ბალანსირებულია, მაგ., გარემოს სტრესორები არ ახდენს შინაგანი გამკლავების მექანიზმების (ფუნდამენტური რწმენა) ჩახშობას, ინდივიდს შეუძლია თავის სოციალურ გარემოში ადეკვატური ფუნქციონირება. ამდენად, კოგნიტურ-ბიჰევიორალური მიდგომის სოციალური მუშაობის პრაქტიკასთან გაერთიანება შესაძლებელია სოციალური გარემოს პრობლემების გათვალისწინებით (Miller, 2006).

ამ მიდგომის მიხედვით კლიენტმა უნდა მოახდინოს ცვლილება, რომელიც არ არის სხვის მიერ, მაგ., სამართლებრივი სისტემის მიერ ნაკარნახევი. შეიძლება ითქვას, რომ მუშაკისა და კლიენტის თანამშრომლობა ახდენს ცვლილებების გენერირებას ისე, რომ კლიენტს ინდივიდუალური ქცევის პასუხისმგებლობა არ ეხსნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

Miller, L. (2011). Counselling Skills For Social Work. Sage Publications

Roberts, A.R & Gilbert, J.G. (Eds.). (2002) Social Worker's Desk Reference, Oxford: University Press

Winbolt B. (2011) Solution Focused Therapy For The Helping Professions; Jessica Kingsley Publishers

Turner F.J. (Editor), (1996), Social Work Treatment, Interlocking theoretical approaches, The Free Press

Payne M. (2005). Modern Social Work Theory. Palgrave

თავი 15

სამართალდამრღვევებთან მუშაობის მეთოდები (5)

შორენა სამაგლიშვილი, MSW, PhD,
ასოცირებული პროფესორი სოციალური მუშაობის მიმართულებით,
სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, დამფუძნებელი

დეზისტანსის შენება **154**
კარგი ცხოვრების მოდელი **157**
რეაბილიტაციის ზოგადი იდეები **157**
ეტიოლოგიური წინაპირობები **158**
პრაქტიკული გამოყენება **160**
პროსოციალური მოდელირება **162**

დეზისტანსის შენება

ზოგადად, კრიმინოლოგიის სფეროში დეზისტანსი განმარტებულია, როგორც დანაშაულის ან ანტისოციალური ქცევის შეწყვეტა. დეზისტანსის შესახებ ლიტერატურაში განხილულია „უფრო ფართო სოციალური პროცესები, რომლებიც ადამიანებს შინაგანად უბიძგებს დანაშაულებრივი ქცევის შეწყვეტისაკენ“ (Rex, 1999, გვ.366). ამდენად, დეზისტანსში არ იგულისხმება მართლმსაჯულების ინტერვენციის შედეგი. მარუნა (Maruna 2000) მიუთითებს, ე.წ. „სპონტანურ დეზისტანსზე“ - რომელიც მიიღწევა მართლმსაჯულების სისტემის „დახმარების“ გარეშე. ეს ფოკუსი გამოწვევას უკეთებს „გამოსწორების სამედიცინო მოდელს“, სადაც შესატყვისი მიდგომები, „მკურნალობა“ სისტემურად ადმინისტრირებულია სწორი „დოზით“, რათა „განკურნოს“ ან „მოუაროს“ კარგად განსაზღვრულ სიმპტომს. საუკეთესო სარეაბილიტაციო მოდელმა აქცენტი უნდა გააკეთოს პიროვნულ, პიროვნებათაშორის და სოციალურ ფაქტორებზე, რომლებიც მუშაობის კონტექსტს ქმნის. მარუნა (Maruna 2000) ამტკიცებს, რომ თეორიასა და პრაქტიკაში, დეზისტანსსა და რეაბილიტაციას შორის საზღვრები არ არის ნათელი. მაგალითად, ცვლილების პროცესები დეზისტანსისკენ, მაშინ როცა ის სპონტანურად მიმდინარეობს და მაშინ როცა, ის პროფესიული დახმარებით ხდება, ერთმანეთში ბევრ საერთოს იზიარებს. ამდენად, კრიტიკული ხდება არა მხოლოდ იმის გაგება, თუ ინტერვენციების თვალსაზრისით *„რა მუშაობს“*, არამედ ყოფილი სამართალდამრღვევები როგორ და რატომ ცვლიან თავიანთ ქცევებს (ე.წ. *„როგორ მუშაობს ცვლილება“*).

ამრიგად, დეზისტანსის კვლევა ძალიან პოპულარული საკვლევი თემა გახდა (დეზისტანსის კაუზალური პროცესები) ბოლო წლებში. Maruna (2000)-ს მიხედვით, დეზისტანსის კვლევამ ინტერვენციის დიზაინში იდენტიფიკაცია უნდა გაუკეთოს დახმარების პროცესებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ან გაზრდის სპონტანური ცვლილების ეფექტს. დეზისტანსის კვლევა უნდა ფოკუსირდეს ყოფილი სამართალდამრღვევების წარმატებულ ისტორიებზე, რომლებმაც „ინდივიდუალურ დონეზე“ გადაწყვიტა დეზისტანსი. იმავდროულად, უნდა შეფასდეს ლიტერატურაში განხილული რეაბილიტაციის ზოგადი პრაქტიკა, რომელიც წარმატებულია. ორივე მათგანის ერთობლივი განხილვა უკეთ დაგვეხმარება ცვლილების პროცესის გაგებაში (Maruna, 2000).

დეზისტანსის კვლევაში განხილულია დეზისტანსის, ასაკს, გენდერს, მოტივაციასა და დამოკიდებულებას, ურთიერთობებსა და ინტერვენციებს შორის ურთიერთმიმართების საკითხები. ასაკს, გენდერსა და დეზისტანსს შორის კავშირმა გამოავლინა, რომ ცხოვრების ტრანზიციები - გარდამავალი საფეხურები - (სამსახურის შოვნა, პარტნიორის მონახვა, ოჯახური ცხოვრების დაწყება) ქმნის დეზისტანსის შესაძლებლობებს. აქვე უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა ადამიანი ყოველთვის განიცდის ასეთი ტრანზიციების ნაკლებობას. გრეჰემის და ბოულინგის (Graham and Bowling 1995) კვლევაში მხოლოდ ორი ფაქტორი არის პოზიტიურად ასოცირებული დეზისტანსსთან 16-25 წლის მამაკაცებში. კერძოდ, ერთი, რომ მათ მიერ საკუთარი სკოლის მიღწევების აღქმა საშუალოზე მაღალი იყო და მეორე, ოჯახში ცხოვრება (პოზიტიური ურთიერთობა მშობლებთან და ნაკლები დროის გატარება დელიკვანტ თანატოლებთან). უგენმა, კრუტშნიტმა (Uggen and Kruttschnitt 1998), ფლად-პეიჯმა და სხვებმა (Flood-Page et al 2000) აღმოაჩინეს, რომ მუშაობა და ინტიმური ურთიერთობა იძლევა გარკვეულ ცვლილებას, მაგრამ ეს ცვლილება უფრო შესამჩნევია 25 წლის ზემოთ მამაკაცებისთვის. გრეჰემის და ბოულინგის (Graham and Bowling 1995) მიხედვით, ახალგაზრდა ქალები საკუთარი დეზისტანსის გადაწყვეტილებას მიაწერენ მშობლის პასუხისმგებლობას, მაშინ როცა ახალგაზრდა კაცები მიუთითებენ პიროვნულ არჩევანზე. ახალგაზრდა კაცების დეზისტანსის მარცხი შესაძლოა აიხსნას სამი რისკფაქტორით: მანამდე ჩადენილი დანაშაულების სიხშირე, დელინკვენტ თანატოლებთან ხშირი კონტაქტი და ნივთიერებაზე დამოკიდებულების ჩვევები - ალკოჰოლიზმი და ნარკოტიკების მოხმარება. „დეზისტენტები“ უფრო მეტად არიან საკუთრ თავში დარწმუნებულები და ცვლილების მიმართ დეტერმინირებულნი ანუ განზრახული აქვთ ცვლილების მოხდენა. მათთვის ახალი მიღწევები წარმოადგენს „სწორად სიარულის“ ზეინტერესს. ამდენად, დეზისტანსი არა მხოლოდ სამართალდამრღვევების ცხოვრებისეულ მოვლენებს ეხება, არამედ იმასაც, თუ ისინი ამ მოვლენებს რა მნიშვნელობას ანიჭებენ (Burnett, 2000). რაქსის (Rax's 1999) კვლევამ გამოავლინა, რომ ის ადამიანები, რომლებიც ცვლილებას უკავშირებდნენ პრობაციის სუპერვიზიას/ზედამხედველობას, ამ პროცესს ახასიათებდნენ, როგორც აქტიურს და თანამონაწილეობითს. ტროტერმა (Trotter 1996) შემოგვთავაზა „პროსოციალური მოდელირება“, როგორც ინტერვენციის საუკეთესო მოდელი, რომელიც ეყრდნობა ზედამხედველობით ურთიერთობებს (იხ. ქვემოთ ქვეთავი „პროსოციალური მოდელირება“). ტროტერის ემპირიულმა კვლევამ აჩვენა, რომ იმ კლიენტების, რომელთა პრობაციის ოფიცრებმაც გამოიყენეს პროსოციალური მოდელირების პრინციპები, პრობლემებიცა და განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებლებიც უფრო შემცირდა, ვიდრე იმათი, ვინც საკონტროლო ჯგუფში იმყოფებოდნენ და მათ მიმართ ზედამხედველები პროსოციალური მოდელირების პრინციპებს არ იყენებდნენ. ამდენად, პროსოციალური მოდელირების გამოყენება მუდმივად, ძლიერად და მნიშვნელოვნად კორელირდებოდა დანაშულის და ციხეში მოხვედრის დაბალ მაჩვენებლებთან.

სხვადასხვა ავტორმა (McNeill, 2006; Reynor & Robinson, 2005) შეადარა დეზისტანსის ჩარჩო ე.წ. „არა მკურნალობით პარადიგმას“, რომელიც პირველად განვითარდა ბოტომსისა და მაკვილიამსის (Bottoms and McWilliams 1979) -ის მიერ. ეს პარადიგმა ასოცირდება „დახმარების მოდელთან“, „გაზიარებულ შეფასებასთან“, „ერთობლივად განსაზღვრულ ამოცანებთან“ და არა „მკურნალობის მოდელთან“, „დიაგნოზთან“, ექსპერტის მიერ განსაზღვრულ „კლიენტის საჭიროებასთან“. ფარალი (Farrall 2004) განასხვავებს „დეზისტანსზე ფოკუსირებულ პერსპექტივებს“ „დამნაშავეობასთან დაკავშირებულ“ მიდგომებისაგან იმის საფუძველზე, რომ ეს უკანასკნელნი კონცენტრირებულნი არიან სამართალდამრღვევის დეფიციტის, ნაკლოვანების კორექტირებაზე, ხოლო პირველი კი ცდილობს დეზისტანსთან ასოცირებული ასპექტების (ძლიერი სოციალური კავშირები, პროსოციალური ჩართულობა, სოციალური კაპიტალი) წახალისებას. სხვა ავტორები მიუთითებენ „დეფიციტზე დაფუძნებული“ ინტერვენციებიდან (ფოკუსირებულია რისკფაქტორებზე და ექსპერტის მიერ განსაზღრულ „კლიენტის საჭიროებაზე“) „სიძლიერეზე დაფუძნებულ“ მიდგომებზე გადასვლას, რომელიც ცდილობს პიროვნების მიერვე განსაზღვრულ „კარგი ცხოვრების“ ხელშეწყობას (Burnett &

Maruna, 2006; Ward & Maruna, 2007). დეზისტანსზე ფოკუსირებული ინტერვენცია ცდილობს ინდივიდების გაძლიერებას, რათა მათ ისეთ მიჯაჭვულობას, როლებს და ცხოვრებისეულ სიტუაციებს მიაღწიონ, რომლებიც ასოცირდება წარმატებულ სოციალურ ჩართულობასთან გათავისუფლების შემდეგ (Farrall, 2004; Ward & Brown, 2004). ბევრი ავტორი პარალელებს ავლებს თემში რეინტეგრაციასთან (Petesilla, 2003 Travis, 2005), აღდგენით სამართალთან (Bazemore & Maruna, 2009) და „უფლებებზე დაფუძნებულ რეაბილიტაციასთან" (Rotman, 1990), სადაც ნებისმიერი ტიპის „მკურნალობის" პირველადი მიზანია ციხის გვერდითი საზიანო ეფექტების შეწინააღმდეგება და მინიმალიზაცია.

დეზისტანსის პარადიგმა სამართალდამრღვევების წარმატებულ გამოცდილებებს, მათ შეხედულებებს, ცვლილების მოხდენის „მოტივაციებს" მნიშვნელოვან როლს ანიჭებს (Farrall, 2004; McMurran & Ward, 2004). დეზისტანსი გაგებულია, როგორც პიროვნებაზე დამოკიდებული პროცესი. ციხეში მყოფთათვის და პრობაციონერებისათვის რეაბილიტაციას თავად ამ ადამიანებისთვის უნდა ჰქონდეს აზრი და მათ უნდა უქმნიდეს იმის დანახვის შანსს, რომ უკეთესი ცხოვრებით შეძლონ ცხოვრება (Miller and Rollnick, 2002; Prochaska & Levesque, 2002, Trotter, 1999).

დეზისტანსის კვლევებიდან გამომდინარე ზოგადი დასკვნაა, რომ დეზისტანსზე ფოკუსირებული შეფასება და ინტერვენცია სრულიად ინდივიდუალიზებული უნდა იყოს. დეზისტანსის მიზეზი პიროვნების დაღვინების, ზრდის, კონკრეტულ ცხოვრებისეულ ტრანზიციებთან ასოცირებულ სოციალურ კავშირებში ცვლილებების და ამ არსებითი მოვლენებისა და ცვლილებების გარშემო სამართალდამრღვევის მიერ შექმნილი სუბიექტური ნარატიული კონსტრუქციების ურთიერთკავშირში დევს. პრაქტიკოსმა უნდა ჩართოს სამართალდამრღვევი ამ სხვადასხვა შესაძლებლობის გააზრებაში; მან უნდა გამოიკვლიოს სამი განზომილება: ზრდა და ასაკი, ცხოვრებისეული ტრანზიციები და სოციალური კავშირები და, ბოლოს, ცვლილების სუბიექტური ნარატივები, რომლებიც ასოცირებულია სამართალდამრღვევის ატიტუდებთან და მოტივაციებთან. ამ სამკუთხედის სამი ასპექტის გამოკვლევის შემდეგ, შეფასების მომდევნო საფეხურია ამ სამ სფეროს შორის ურთიერთმიმართების განვითარება. თუ ამ სამ შორის თანხვედრაა და ისინი „ერთმანეთისკენ იქაჩებიან" დეზისტანსის მიმართულებით, მაშინ რაციონალური იქნება განმამტკიცებელი მხარდამჭერი გეგმის მოფიქრება.

დეზისტანსის კვლევებიდან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა ეხება კლიენტის ჩართვის პროცესს (Burnett, 1992, 2000; Rex, 1999; Trotter, 1996, 1999, 2000). ეს ავტორები მუშაკი-კლიენტის ურთიერთობის მნიშვნელობას უსვამენ ხაზს (ნდობა, ოპტიმიზმი, ლოიალურობა). ასევე, ხაზგასმულია „ადამიანური კაპიტალის" შენება, ცვლილების შესაძლებლობების მისაწვდომობა და მხარდაჭერა, მაგალითად, საცხოვრებელი და დასაქმება, და ინდივიდის „სოციალური კაპიტალის" განვითარება. ეს კი ხაზს უსვამს ადვოკატობის, როგორც მთავარი პროფესიული ამოცანის და უნარ-ჩვევის მნიშვნელობას. ასევე, კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება სამართალდამრღვევების ოჯახებთან მუშაობის ეფექტური მეთოდების განვითარებას (Graham & Bowling, 1995; Utting & Vennard, 2000). საცხოვრებლის ფორმების ძიება, რომელიც ხელს უწყობს დეზისტანსის პროცესების განვითარებას, „მნიშვნელოვან სხვებთან" პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებით სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ბოლოს, ეფექტური პრაქტიკის განვითარებისათვის მონიტორინგი და შეფასება კრიტიკულია. საჭიროა ინტერვენციის ლოგიკურობის ექსპლიციტურობის უზრუნველყოფა, ანუ იმის დასაბუთება, თუ ეს გეგმა რატომ არის ამ კონკრეტული პიროვნებისთვის განვითარებული და როგორ და რატომ არის მოსალოდნელი, რომ ეს ადამიანი მიაღწევს სასიკეთო ცვლილებას. ასეთი მიდგომა მხოლოდ პროცესის დასაწყისია, რომელსაც სჭირდება ადეკვატური რესურსები და მუდმივი გადახედვა. ინდივიდუალიზებული ჰიპოთეზა საჭიროა ზუსტ ვარაუდს გვაძლევდეს, თუ კონკრეტულ პიროვნებასთან რა ტიპის მუშაობაა საჭირო მისი დანაშაულის შემცირებისა და შეწყვეტის თვალსაზრისით და რატომ არის ამგვარი მუშაობა აუცილებელი და ამ კონკრეტული პიროვნებისთვის შესატყვისი.

კარგი ცხოვრების მოდელი

სამართალდამრღვევის რეაბილიტაციის „კარგი ცხოვრების მოდელი“ (The Good Lives Model - GLM) არის დეზისტანსზე ორიენტირებული, სიძლიერეზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც უკავშირდება პოზიტიურ ფსიქოლოგიას (Linley and Joseph, 2004). „კარგი ცხოვრების მოდელი“ გვთავაზობს სამართალდამრღვევებთან სარეაბილიტაციო მუშაობის სრულყოფილ, მიმართულ და ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე ჩარჩოს. „კარგი ცხოვრების მოდელი“ ემსახურება სამართალდამრღვევების კეთილდღეობის ხელშეწყობას (Purvis et al, 2011). ეს მიდგომა მიზნად ისახავს სამართალდამრღვევებთან კონსტრუქციული და თანამშრომლობითი გზებით მუშაობას, რათა მათ მიაღწიონ პროსოციალურ და პიროვნულად მნიშვნელოვან ცხოვრებას. ეს მიდგომა განვითარდა „რისკი- საჭიროება - რეაგირება“ მოდელის ალტერნატივად, რომელიც გამოიყენება კორექციული მკურნალობის დროს (Andrews and Bonta, 2007). „კარგი ცხოვრების მოდელში“ მუშაკი ფოკუსირდება როგორც რისკის მართვაზე, ასევე „სიკეთეების“ პრომოციაზე, წინწამოწევაზე. ფაქტობრივად, „სიკეთეების“ ხელშეწყობის კომპონენტის კარგად დაგეგმილი გამოყენება ემსახურება რისკის მართვას, მაგრამ პოზიტიური გზით, რაც ზრდის სამართალდამრღვევის მოტივაციას (Ward & Maruna, 2007). კრიმინალური ქცევა არის საკუთარი ღირებულებების პროსოციალური საშუალებებით დაკმაყოფილებისთვის პიროვნების მიერ შინაგანი და გარეგანი რესურსების გამოყენების ნაკლებობის შედეგი. სხვა სიტყვებით, კრიმინალური ქცევა წარმოადგენს ცუდად ადაპტირებულ მცდელობას შეხვდეს ცხოვრებისეულ ღირებულებებს (Ward and Stewart, 2003). ამ მიზნით რეაბილიტაციამ სამართალდამრღვევი უნდა აღჭურვოს ცოდნით, უნარ-ჩვევებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით, რომლებიც საჭიროა საკუთარი ცხოვრებისეული ღირებულებების დასაკმაყოფილებლად სხვა ადამიანებისთვის ზიანის მიყენების გარეშე. „კარგი ცხოვრების მოდელის“ ორმაგი ყურადღება, ერთი მხრივ, სამართალდამრღვევის შინაგან ღირებულებებსა და ცხოვრებისეულ უპირატესობებზე და, მეორე მხრივ, ისეთ გარეფაქტორებზე, როგორიცაა: რესურსები და შესაძლებლობები, შესაძლებელს ხდის ამ დეზისტანსზე ორიენტირებული ინტერვენციის პრაქტიკულ გამოყენებას. ეს ინტერვენცია დანახულია, როგორც აქტივობა, რომელიც ამატებს ინდივიდის პიროვნულ ფუნქციონირებას და არ ახდენს პრობლემის მარტივ აღმოფხვრას.

„კარგი ცხოვრების მოდელი“ სამი იერარქიული ასპექტისგან შედგება: 1) ზოგადი იდეები, რომელიც ეხება რეაბილიტაციის მიზნებს; 2) ეტიოლოგიური წინაპირობები, რომელიც ეხება დანაშაულის შენარჩუნებას; 3) პრაქტიკული გამოყენება.

რეაბილიტაციის ზოგადი იდეები

„კარგი ცხოვრების მოდელი“ საფუძველს იღებს „ადამიანური ღირსების“ ეთიკური კონცეფციიდან (Ward and Syversen, 2009), უნივერსალური ადამიანური უფლებებიდან და იგი დაინტერესებულია ინდივიდების უნარით, ჩამოაყალიბონ და შეარჩიონ მიზნები, შექმნან გეგმები და იმოქმედონ თავისუფლად ამ გეგმის განხორციელებისათვის. სამართალდამრღვევები, სხვა ადამიანების მსგავსად, ღირებულებას ანიჭებენ გარკვეულ პიროვნულ მახასიათებლებს, აზროვნებას, გამოცდილებებს, რომლებიც ამ მოდელის მიერ განხილულია, როგორც პირველადი სიკეთეები. პურვისი (Purvis 2006; 2010) ეყრდნობა რა მისი კოლეგების ნამუშევარს, იდენტიფიკაციას უკეთებს პირველადი სიკეთეების თერთმეტ ჯგუფს. ეს არის: (1) სიცოცხლე (მოიცავს ჯანმრთელ ცხოვრებას და ფუნქციონირებას); (2) ცოდნა (რამდენად ინფორმირებულად გრძნობს თავს ადამიანი მისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ); (3) ჰობი და რეკრეაციული აქტივობების განხორციელებაში უპირატესობა; (4) მუშაობაში უპირატესობა (მოიცავს გარკვეულ დახელოვნებას, პროფესიულ გამოცდილებას); (5) პიროვნების ავტონომიურობა და თვითმიმართულება; (6) შინაგანი სიმშვიდე (თავისუფლება ემოციური ქაოსისგან და სტრესისაგან); (7) ურთიერთდამოკიდებულება (მოიცავს ინტიმურ, რომანტიკულ, ოჯახურ ურთიერთობებს); (8) თემის, საზოგადოების წევრობა (უფრო ფართო სოციალურ ჯგუფთან კავშირი); (9) სულიერება (უფრო ფართო

გაგებით ცხოვრების მნიშვნელობისა და საზრისის ძიება); 10)სიამოვნება (ბედნიერების მდგომარეობა ან „აქ და ამჟამად“ კარგად ყოფნა); 11) შემოქმედებითობა (საკუთარი თავის გამოხატვა ალტერნატიული ფორმებით). იგულისხმება, რომ ყველა ადამიანი მიისწრაფვის პირველადი სიკეთეებისკენ რაღაც ხარისხით, თუმცა სამართალდამრღვევის ღირებულებებზე და ცხოვრებისეულ უპირატესობებზეა დამოკიდებული, თუ რომელ სიკეთეებს მიანიჭებს იგი მეტ მნიშვნელობას.

მეორადი სიკეთეები ან ე.წ. ინსტრუმენტალური სიკეთეები უზრუნველყოფს კონკრეტულ საშუალებებს პირველადი სიკეთეების მისაღწევად (Ward, Vess et al. 2006). მაგალითად, უმაღლესში ჩაბარების სწრაფვა აკმაყოფილებს ცოდნისა და მუშაობის პირველად სიკეთეებს, ხოლო მოზრდილთა სპორტულ გუნდში გაერთიანება მიუთითებს საზოგადოების წევრობის პირველადი სიკეთის დაკმაყოფილებაზე.

ეტიოლოგიური წინაპირობები

უახლესი ემპირიული კვლევა, რომლითაც შემოწმდა „კარგი ცხოვრების მოდელის“ საწყისი ეტიოლოგიური მოსაზრებები, იძლევა დასაბუთებულ მხარდაჭერას ამ მოდელისათვის (Purvis, 2010). ამ კვლევის მიხედვით, არსებობს ორი ძირითადი გზა, რომელსაც მივყავართ დანაშაულამდე: პირდაპირი და არაპირდაპირი. პირველადი გზა არის, როდესაც სამართალდამრღვევი აქტიურად ცდილობს (ხშირად არაპირდაპირ) საკუთარი პირველადი სიკეთეების დაკმაყოფილებას თავისი დანაშაულებრივი ქცევით. მაგალითად, ინდივიდი განიცდის ინტიმურობის სიკეთის დაკმაყოფილებაში ნაკლებობას და იგი შესაძლოა ამ სიკეთის მიღწევას შეეცადოს ბავშვის წინააღმდეგ სექსუალური დანაშაულით. არაპირდაპირი გზაა, როცა ერთი ან რამდენიმე სიკეთის მიღწევის გზაზე, „რაღაც კარგად ვერ მიდის“, რაც ქმნის კასკადურ ეფექტს, რომელსაც, თავის მხრივ, დანაშაულის ჩადენამდე მივყავართ. მაგალითად, ინტიმურობის და ავტონომიურობის სიკეთეებს შორის კონფლიქტმა შესაძლოა გამოიწვიოს ურთიერთობის დანგრევა, ასევე, მისი შემდგომი მარტოობისა და დისტრესის გრძნობები. სირთულეებთან გამკლავების ისეთმა არაეფექტურმა სტრატეგიამ, როგორიცაა ალკოჰოლის გამოყენება დისტრესის თავიდან ასაცილებლად, შესაძლოა კონკრეტულ გარემოებებში ადამიანს დააკარგვინოს კონტროლი, რაც შეიძლება სექსუალური დანაშაულით დასრულდეს (Ward, Mann et al., 2007).

„კარგი ცხოვრების მოდელის“ მიხედვით, არსებობს ოთხი ტიპის სირთულე ან პრობლემა, რომელსაც ადამიანები ხვდებიან (1) თავიანთ „ცხოვრების გზაზე“ - რეალურ ცხოვრებაში (ე.წ. ცხოვრების სტილი) ან (2) მათ მიერ გონებრივად წარმოსახულ „ცხოვრებისეულ გეგმებში“. „ცხოვრების გზა“ ეხება იმას, თუ პიროვნება როგორ ცხოვრობს ყოველდღიურად. მისი აქტივობები, ფუნქციონირება, ქცევები და ა.შ. წარმოადგენს მისი ცხოვრების სტილს, რომელიც გამოხატავს კონკრეტულ ინდივიდუალურ ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს. „ცხოვრების გეგმა“ ეხება იმას, თუ პიროვნება როგორ გეგმავს (იმპლიციტურად ან ექსპლიციტურად) თავის ცხოვრებას ამჟამად და მომავალში. ხშირად ის, თუ როგორ ცხოვრობს ადამიანი, მნიშვნელოვანწილად განსხვავდება იმისგან, რასაც გეგმავს ან რაც დაგეგმილი ჰქონდა. ვარდის (Ward 2002a; 2002b; Ward and Fisher, 2005) მიხედვით, არსებობს ოთხი პირველადი ტიპის პრობლემა, რომელიც აშკარაა ადამიანის „ცხოვრების გზაზე“ ან მის მიერ შემუშავებულ „ცხოვრებისეულ გეგმაში“. ეს პრობლემებია: საშუალება, მოცვადობა, კოჰერენტულობა/შესატყვისობა და უნარიანობა/შესაძლებლობები.

საშუალება: ეხება საშუალების შესატყვისობას. საშუალებასთან დაკავშირებული პრობლემის მქონე ადამიანი აუცილებელი პირველადი სიკეთეების მისაღწევად იყენებს არაშესატყვის სტრატეგიებს, რომლებიც „კარგი ცხოვრებისთვისაა“ საჭირო. მაგალითად, სამართალდამრღვევი შესაძლოა კარგ ურთიერთობას ესწრაფვოდეს ბავშვთან სექსუალური ურთიერთობის დამყარების გზით (Ward 2002). ამდენად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ სამართალდამრღვევი მიაღწევს ამ პირველად სიკეთეს (ანუ მისი საჭიროება დაკმაყოფილდება) საშუალების არაშესატყვისობის გამო.

მოცვადობა: ეხება იმას, რომ მთელი რიგი მნიშვნელოვანი სიკეთეები პიროვნების ყურადღების გარეშე რჩება და არ შედის პიროვნების ცხოვრებისეულ გეგმაში. სიკეთეების რომელიმე ჯგუფის უგულებელყოფამ, იქნება ეს სხეულთან, სელფთან თუ სოციალურ ცხოვრებასთან დაკავშირებით, შესაძლოა იგი მიიყვანოს ფიზიოლოგიურ დისფუნქციამდე, ფსიქოლოგიურ დისტრესამდე, ფსიქიკური ჯანმთრელობისა და სოციალური ადაპტაციის პრობლემებამდე (Ward 2002). ყველაფერ ამას კი ინდივიდი ცხოვრებისეული ბედნიერების ზოგადი დონის შემცირებამდე მიჰყავს. მოცვადობაში პრობლემები შესაძლოა მარტივად გამოწვეული იყოს ზოგიერთი სიკეთეების მიმართ ნაკლები ინტერესით. თუმცა, ნაკლები მოცვადობა ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია სამართალდამრღვევის *შესაძლებლობებში/უნარებში* პრობლემებით. მაგალითად, პიროვნებათაშორისი უნარების და სხვების მიმართ ნდობის ნაკლებობამ შესაძლოა გამოიწვიოს ურთიერთობის და, ასევე, სოციუმთან, საზოგადოებასთან ინტეგრაციის პრობლემები, რაც, თავის მხრივ, სამუშაოსთან დაკავშირებულ პრობლემებს წარმოშობს და შეამცირებს გასართობ აქტივობებში ჩართვას, სადაც სხვებიც მონაწილეობენ. ამდენად, მთელი რიგი სიკეთეები დაუკმაყოფილებელი რჩება. პიროვნების ასეთ ცხოვრებას, რომელიც ხასიათდება სიკეთეების დაბალი მოცვადობით, ნეგატიური ზეგავლენა ექნება მის ფსიქოლოგიურ ფუნქციონირებასა და ბედნიერების ზოგად დონეზე.

კოჰერენტულობა: ზოგიერთი ადამიანი შესაძლოა ხასიათდებოდეს სხვადასხვა სიკეთეებსა და მათთან დაკავშირებულ „პრაქტიკულ იდენტობებს" შორის კონფლიქტით და, შესაბამისად, განიცდიდეს მწვავე ფსიქოლოგიურ სტრესსა და ბედნიერების ნაკლებ განცდას (Emmons, 1999).

არსებობს ორი ტიპის კოჰერენტულობის პრობლემა: ჰორიზონტალური და ვერტიკალური კოჰერენტულობა. ჰორიზონტალური კოჰერენტულობა ეხება იმ ხარისხს, რითაც სიკეთეები ექსპლიციტურად ერთმანეთთან არის დაკავშირებული (ურთერთ კონსისტენტურია, რაც შესაძლებელს ხდის მათ განხორციელებას). მაგალითად, პიროვნება შესაძლოა ცდილობდეს ურთიერთდამოკიდებულების სიკეთის რომანტიკული ურთიერთობით მოპოვებას და, იმავდროულად, ზრუნავდეს საკუთარ დამოუკიდებლობასა და თვითმიმართულებაზე. შესაძლოა, ამ ორ სიკეთეს შორის, რომელიც პიროვნებისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია, წარმოიშვას კონფლიქტი. მაგალითად, ინდივიდს სურდეს ვინმესთან სიახლოვე, მაგრამ, იმავდროულად, იყოს მჩაგვრელი და შეურაცხმყოფელი, რათა თავი იგრძნოს ავტონომიურად და მაკონტროლებლად. მოსალოდნელია, ამ ტიპის სიკეთეებს შორის კონფლიქტმა ურთერთობაში შექმნას სირთულეები, ემოციური დისტრესი და ბედნიერების ნაკლები განცდა.

შესატყვისობის მეორე ფორმა, ვერტიკალური შესატყვისობა, მოითხოვს სიკეთეებს შორის იერარქიულ სიცხადეს (ე.წ. რანჟირება). მართალია, „კარგი ცხოვრების მოდელი" ამბობს, რომ ადამიანი უნდა ცდილობდეს ყველა სიკეთისკენ სწრაფვას, მაგრამ არ ახდენს სპეციფიკაციას, თუ რა მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს თითოეულ სიკეთეს. ეს არის მთლიანად ინდივიდუალური პროცესი, რომელიც დამოკიდებულია თითოეული ადამიანის უპირატესობებზე, უნარ-ჩვევებზე, სიმპათიებსა და ანტიპათიებზე, სოციალურ ნორმებსა და კულტურულ ღირებულებებზე. ადამიანი, რომელიც უფრო დიდ ღირებულებას ანიჭებს ურთიერთდამოკიდებულებას, ვიდრე მუშაობას, თავს უბედურად იგრძნობს, თუკი იგი თავის რეალურ ცხოვრებაში მარტოხელაა და მუშაობს დიდი დატვირთვით, კვირაში შვიდი დღე (Ward and Stewart, 2003).

შესაძლებლობები: ბოლო პრობლემაა, როდესაც პიროვნება განიცდის შესაძლებლობების ნაკლებობას (ცოდნა და უნარ-ჩვევები), რათა შეძლოს საკუთარი ცხოვრებისეული გეგმის თავის რეალურ ცხოვრებაში ეფექტური განხორციელება ან თავისი მიზნების ცვალებად გარემო პირობებთან შეგუება. არსებობს ორი ტიპის შესაძლებლობა: შინაგანი და გარეგანი შესაძლებლობა. შინაგანი შესაძლებლობა ეხება პიროვნების ისეთ შინაგან პირობებს, როგორიცაა სიკეთის მისაღწევად ადამიანის უნარ-ჩვევის დონე. შესაძლოა, ადამიანის მთლიან ფუნქციონირებაში ბარიერები სხვადასხვა დონეზე არსებობდეს. ეს დონეებია:

კოგნიტური (ინდივიდს აქვს ცოდნისა და გონებრივი შესაძლებლობების ნაკლებობა), ფსიქოლოგიური (ინდივიდის ნაკლები თვითრწმენა და მოტივაციური პრობლემები) და ქცევითი (კოგნიტური და ფსიქოლოგიური საკითხები მთავრდება ქცევითი პრობლემებით, რომლებიც ავიწროებს ინდივიდის შესაძლებლობებს).

მეორე მხრივ, გარეგანი შესაძლებლობები ეხება ინდივიდის კონტექსტს, გარე პირობებს, რომელიც ინდივიდისთვის ექსტერნალურია (მაგალითად, სოციალური მხარდაჭერის არსებობა, დასაქმების შესაძლებლობები, განათლების მისაწვდომობა) და აუცილებელია მიზნების მისაღწევად და სიკეთეების მოსაპოვებლად. პრობლემები, რომლებიც ეხება ინტერნალურ შესაძლებლობებს, განიხილება, როგორც შინაგანი წინააღმდეგობები, ხოლო პრობლემები, რომლებიც ეხება გარეგან შესაძლებლობებს, განხილულია გარეგან წინააღმდეგობებად. შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობები განაგებს იმას, თუ კონკრეტული სიკეთის მოსაპოვებლად რა საშუალება იქნება გამოყენებული. უნდა აღინიშნოს, რომ ემპირიულად იდენტიფიცირებული კრიმინოგენული საჭიროებები „კარგი ცხოვრების მოდელში" კონცეპტუალიზებულია შინაგან და გარეგან დაბრკოლებებად/წინააღმდეგობებად, რომელიც ხელს უშლის პირველადი სიკეთეების დაუფლებას (Ward & Maruna, 2007). ამდენად, შინაგან და გარეგან პირობებს განვიხილავთ, როგორც ცვალებად ფაქტორებს (რომლებიც სამართალდამრღვევის ქცევას წარმართავს) და როგორც დინამიკურ რისკფაქტორებს. ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანები, ბევრი შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობებით და ნაკლები სიძლიერით, დანაშაულში ჩართვის დიდი რისკის ქვეშ იმყოფებიან.

ამრიგად, ადამიანების ცხოვრებაში ან ცხოვრებისეულ გეგმებში ბევრი ტიპის პრობლემაა. რეაბილიტაციის მიზანია პრობლემების იდენტიფიცირება, რაც შემდგომ ისე შეცვლის ადამიანების ცხოვრებისეულ სტილსა და გეგმებს, რომ მოარგოს სამართალდამრღვევის უპირატესობებს, უნარ-ჩვევებს, ტემპერამენტსა და შესაძლებლობებს. ეს სამართალდამრღვევს მისცემს სიკეთეების პროსოციალური გზებით მიღწევის შესაძლებლობას, რომელიც მას შინაგანადაც დააკმაყოფილებს და მისთვის არსებითად სასარგებლო და აზრიანი იქნება.

პრაქტიკული გამოყენება

„კარგი ცხოვრების მოდელის" კორექციული ინტერვენციის მიზანია პირველადი სიკეთის ან ადამიანური საჭიროების წინწამოწევა, პრომოცია სამართალდამრღვევის ფსიქოლოგიური კეთილდღეობის გასაზრდელად (Ward and Brown, 2004).

ავტორები „კარგი ცხოვრების მოდელის" რეაბილიტაციის პროცესში გამოყოფენ ხუთ ფაზას (Ward et al, 2007, Ward and Maruna, 2007, Ward nad Stewart, 2003). **პირველი ფაზა** მოიცავს სამართალდამრღვევის სოციალური, ფსიქოლოგიური და მატერიალური ასპექტების აღმოჩენას. ეს მოითხოვს სამართალდამრღვევის რისკის დონის დეტალურ ანალიზს, ასევე, მისი ცხოვრებისეული ვითარებების, ფიზიკური და სოციალური პრობლემების, ფსიქოლოგიური შესაძლებლობების ანალიზს დანაშაულის ჩადენის დროს და წარსულში. გამორიცხული არ არის, რომ სამართალდამრღვევებს ჰქონდეთ ისეთი მრავალმხრივი პრობლემები, როგორიცაა: სიღარიბე, ნივთიერებაზე დამოკიდებულება, საცხოვრებლის პრობლემა, იმპულსურობის, აგრესიული ქცევის და ა.შ. მაღალი დონე (Ward, 2010).

„კარგი ცხოვრების მოდელის" **მეორე ფაზის** პერიოდში ხდება დანაშაულის ფუნქციის დადგენა ანუ რისი მიღწევა სურდა ინდივიდს თავისი დანაშაულით. ამ მიზნით ხდება პირველადი სიკეთეების იდენტიფიკაცია, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დაკავშირებული კრიმინალურ ქცევებთან. უფრო მეტიც, ხდება ზემდგომი სიკეთის ან ღირებულების იდენტიფიკაცია, რომლის გარშემოც სხვა სიკეთეებიც ერთიანდება. პრაქტიკოსი ახდენს სამართალდამრღვევის კარგი ცხოვრების კონცეპტუალიზაციას სხვადასხვა პირველადი სიკეთის წონის განსაზღვრით. ამის მიღწევა შესაძლებელია შემდეგით: 1. დეტალური შეკითხვების დასმა სამართალდამრღვევის ცხოვრების ძირეული მოვალეობების, მისთვის ღირებული ყოველდღიური აქტივობების და გამოცდილებების შესახებ; 2.

მიზნების და მის საფუძვლად მდებარე ღირებულებების იდენტიფიცირება, რომელიც ხილვადია სამართალდამრღვევის დანაშაულებრივ აქტივობებში. ეს საფეხური მოითხოვს სამართალდამრღვევის პრაქტიკული იდენტობების აღმოჩენას და იმის განსაზღვრას, თუ ეს პრაქტიკული იდენტობები რამდენად უკავშირდებიან მის დანაშაულებრივ საქმიანობას. იგულისხმება, რომ ძირეული სიკეთეები უნდა გადაითარგმნოს უფრო კონკრეტულ ღირებულებებში და ამოცანებში, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სამართალდამრღვევის ზოგად ცხოვრებისეულ ვითარებებს და მის დანაშაულთან დაკავშირებულ აქტივობებს (Ward, 2010).

„კარგი ცხოვრების მოდელის“ **მესამე ფაზაში** ადგილი აქვს პრაქტიკული იდენტობების შერჩევას, მისი ზემდგომი სიკეთეებისა და ღირებულებების განსაზღვრას და გეგმის ფოკუსის განვითარებას. პრაქტიკული იდენტობები და მათი მიზნები, სტრატეგიები და გამოცდილებები განსაზღვრავს იმ დეტალებს, რომლებიც საჭიროა სამართალდამრღვევთან ეფექტური მუშაობისთვის. მაგალითად, პიროვნებამ შესაძლოა დაასახელოს ცოდნა და დამოკიდებულება, როგორც ორი ყველაზე მნიშვნელოვანი სიკეთე და გადაწყვიტოს, რომ მისი მიზნის მიღწევის საშუალებაა უნივერსიტეტში სწავლა და ინტიმური ურთიერთობის დამყარება (Ward, 2010).

მეოთხე ფაზაში უფრო მეტი დეტალურობა ემატება ზემოთ განვითარებულ გეგმას და, ძირითადად, ხდება მეორადი სიკეთეების ან ღირებულებების შერჩევა, რომლის მიხედვითაც ზუსტად დგინდება, თუ პირველადი სიკეთეები როგორ უნდა გადაითარგმნოს ცხოვრების და ფუნქციონირების საშუალებებად. ამ ეტაპზე პიროვნების ის კონტექსტი და გარემო, სადაც მან უნდა იცხოვროს და შემდგომი ინტრევენცია იდენტიფიცირებულია. მაგალითად, უნივერსიტეტის სტუდენტისა და ინტიმური ურთიერთობის პარტნიორის პრაქტიკული იდენტობები არის დეტალურად შესწავლილი შესაძლო გარემო საგანმანათლებლო, სოციალური, ფსიქოლოგიური და მატერიალური რესურსების განსაზღვრის საფუძველზე (Ward, 2010).

მეხუთე ფაზაში პრაქტიკოსი სამართალდამრღვევისთვის დეტალური ინტერვენციის გეგმას ადგენს. ეს გეგმა ეფუძნება მომავალზე ორიენტირებულ მეორად სიკეთეებს, რომელიც მიზნად ისახავს სამართალდამრღვევის პირველადი სიკეთეების დაკმაყოფილებას სოციალურად მისაღები გზებით. ეს გეგმა ფორმულირებულია სამართალდამრღვევთან თანამშრომლობით და „კარგი ცხოვრების“ სარეაბილიტაციო გეგმის სახით არის მოცემული. გეგმა უნდა იყოს ჰოლისტური, ახდენდეს შინაგანი და გარეგანი პირობების სპეციფიკაციას, რომელიც აუცილებელია ამ გეგმის წარმატებული განხორციელებისათვის. ამ მიზნით დეტალურადაა მოცემული სხვადასხვა ამოცანა, რომელიც პრაქტიკოსმა და სამართალდამრღვევმა უნდა განახორციელონ. დინამიკური რისკფაქტორები და კრიმინოგენული საჭიროებები ინტერვენციის არაპირდაპირი სამიზნე ხდება, როცა სამართალდამრღვევის კომპეტენციების გასაგებად კოგნიტურ-ბიჰევიორალური ტექნიკები და სოციალური ინტერვენციები არის გამოყენებული. ეს გეგმა ინდივიდუალურია და მიზნად ისახავს სამართალდამრღვევის კარგი ცხოვრების ინტერვენციის გეგმის განხორციელებაში დახმარებას და, იმავდროულად, მიმართულია მის კრიმინოგენულ საჭიროებაზე, რომელიც შესაძლოა ბლოკავდეს მისი სიკეთეების დაკმაყოფილებას. შესაბამისად, ინტერვენცია უნდა მოიცავდეს შინაგანი შესაძლებლობების და უნარ-ჩვევების შენებას, გარერესურსებისა და სოციალური მხარდაჭერის მაქსიმალიზაციას, რათა პირველადი ადამიანური სიკეთეების დაკმაყოფილება სოციალურად მისაღები გზებით გახდეს შესაძლებელი (Ward, 2010).

„კარგი ცხოვრების მოდელი“ წარმატებით გამოიყენეს სხვადასხვა კრიმინალური ქცევის მქონე სამართალდამრღვევების მიმართ. კერძოდ: სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული დანაშაული; ახალგაზრდა სამართალდამრღვევები; პიროვნული აშლილობის მქონე სამართალდამრღვევები; ნივთიერებაზე დამოკიდებული სამართალდამრღვევები; სამედიცინო შეზღუდვების მქონე სამართალდამრღვევები (McGrath, Cumming, Burchard, Zeoli & Ellerby, 2010). ეს მოდელი წარმატებით გამოიყენება სამართალდამრღვევებთან „შემთხვევის მართვის“ პროცესში.

პროსოციალური მოდელირება

კვლევებმა აჩვენეს, რომ პროსოციალური მოდელირება და განმტკიცება ეფექტური პრაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტებია კორექციული ინტერვენციების დროს (Gendreau, 1996; Ranor, 2003; McNeill, 2003; Andrews and Bonta, 2006; Trotter, 2006). ზოგიერთი კვლევა, ასევე, მიუთითებს პროსოციალური მოდელირებისა და განმტკიცების ეფექტურობაზე თემზე დაფუძნებული კორექციული მუშაობის დროს. კანადურმა კვლევამ აღმოაჩინა, რომ იმ პრობაციის ოფიცრების კლიენტები, რომლებსაც ჰქონდათ პროსოციალური დისპოზიციის სკალაზე მაღალი ქულები (რაც კალიფორნიის პიროვნების საკვლევი სკალით იზომებოდა) და, რომელთაც, ასევე, მაღალი ემპატიურობის დონე ჰქონდათ, ხასიათდებოდნენ 50%-ით ნაკლები რეციდივიზმის დონით სხვა პრობაციის ოფიცრების კლიენტებთან შედარებით.

პროსოციალური მიმართულებების უპირატესობის შემდგომი მხარდაჭერა აშკარაა სხვა უახლეს კვლევებში, რომლებიც ჩატარდა ბავშვთა დაცვის სფეროში (Trotter, 2004). ამ კვლევების მიხედვით, უფრო პოზიტიური შედეგები (კლიენტის კმაყოფილება, მუშაკის კმაყოფილება და შემთხვევის დახურვის დრო) ჰქონდათ იმ კლიენტებს, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ მათი მუშაკი აჩვენებდა პროსოციალური მოდელირების საბაზისო უნარ-ჩვევებს.

ტროტერის მიხედვით, პროსოციალური მიდგომა შეიცავს ოთხ საფეხურს: (1) კლიენტის პროსოციალური ქცევების და კომენტარების იდენტიფიცირება; (2) პროსოციალური ქცევების და კომენტარების დაჯილდოება; (3) პროსოციალური მოდელის წარმოდგენა; (4) პროკრიმინალური ქცევების და კომენტარების დისპუტირება და გამოწვევა.

(1) კლიენტის პროსოციალური კომენტარების ან ქცევების იდენტიფიცირება: პროსოციალური აქტები და კომენტარები მოიცავს დაქვემდებარებას, როგორიცაა: შეხვედრებზე დასწრება; პუნქტუალურობა; საზოგადოებრივი შრომის შესრულება; არადანაშაულებრივი ქმედებები; ნივთიერებაზე დამოკიდებულების მკურნალობაში ჩართვა. კლიენტის სხვა პროსოციალური აქტოვობებია: პრობლემის გადაჭრის პროცესებში ჩართვა; დანაშაულზე პასუხისმგებლობის აღება; იმის კომენტირება, თუ რა ზიანი მიაყენა მისმა ჩადენილმა კანონდარღვევამ სხვა ადამიანს ან ადამიანებს ან თავად მას; დაზარალებულის მიმართ ემპათია; იმის აღიარება, რომ დანაშაულის ჩადენა შეცდომაა. სხვა პროსოციალური კომენტარები ეხება იმას, თუ რამდენად აფასებს იგი ისეთ არაკრიმინალურ აქტივობებსა და ასოციაციებს, როგორიცაა: ოჯახი, სპორტი, არაკრიმინალური მეგობრები, ჰობი, სკოლაში სიარული და სამუშაო. ასევე, კომენტარები, რომელიც არის სამართლიანი, არარასისტული, არასექსისტული და, ზოგადად, არადისკრიმინაციული, გამოხატავს ოპტიმისტურ დამოკიდებულებებს. მაგალითად, გამოხატავს, რომ დანაშაულის გარეშე ცხოვრება მიღწევადია და მიზნების მიღწევა შესაძლებელია; რომ მუშაკს შეუძლია დახმარება და კლიენტებს შეუძლიათ ცვლილება.

(2) პროსოციალური ქცევების და კომენტარების დაჯილდოება: განმტკიცებისუზრუნველყოფის უპირველესი და ყველაზე ნათელი მეთოდია სხეულის ენის (მაგ., ღიმილი, ყურადღებიანი მოსმენა, სწორი გადახრა) და შექების გამოყენება. მუშაკის მიერ გამოყენებული ჯილდოებია, ასევე: კლიენტისთვის დროის მიცემა; სასამართლოზე დასწრება კლიენტთან ერთად და მისთვის პოზიტიური მტკიცებულებების მიწოდება; კონტაქტების რაოდენობის შემცირება; კლიენტისათვის საცხოვრებლის და სამუშაოს პოვნაში დახმარება; სახლში ვიზიტები; ოფისის გარეთ კლიენტთან შეხვედრა; პოზიტიური ანგარიშის მომზადება სასამართლოსთვის; სხვა სააგენტოებთან ადვოკატობა, როგორიცაა სოციალური დაცვა, პოლიცია და ა.შ.; კლიენტის საჭიროების შესახებ და კლიენტის საქმეში პოზიტიური შენიშვნების გაკეთება.

პროსოციალური განმტკიცების იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ჯილდოებს განაპირობებს ქცევა. განმტკიცება უნდა იქნეს ნათლად შეთავაზებული უშუალოდ პროსოციალური ქცევის საპასუხოდ. კლიენტს სჭირდება ამ კავშირის ნათლად დანახვა. კლიენტმა უნდა გაიგოს, რომ ვიზიტების შემცირება, ზედამხედველის მიერ გამოხატული შექება ან სასამართლოში ვიზიტი პირდაპირ უკავშირდება მის პროსოციალურ ქცევას (მაგალითად, შეხვედრებზე დასწრება, პუნქტუალობა, სამუშაო ინტერვიუებზე დასწრება და ახალ დანაშაულებრივ ქმედებაში ჩურთველობა).

(3) პროსოციალური მოდელის წარმოდგენა: პროსოციალური მოდელირება მოიცავს მუშაკის მიერ შეხვედრების ორგანიზებას და დახვედრას, პუნქტუალობას, გულწრფელობას, სანდოობას, ამოცანების მონიტორინგს, სხვა ადამიანის გრძნობების გაგებას, კრიმინალური ქცევის უარყოფით შედეგებზე აზრის გამოხატვას, არაკრიმინალური მეგობრების ყოლის მნიშვნელობის წინ წამოწევას, კარგი ოჯახური ურთიერთობის მნიშვნელობისა და მუშაობის ღირებულების ხაზგასმას.

ეს მოიცავს ადამიანების მოტივების პოზიტიურ ინტერპრეტაციას, მაგალითად, „პოლიციელები არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ თავიანთი საქმის შესრულებას და მათ იგივე საჭიროებები აქვთ, რაც ადამიანთა უმრავლესობას“ და არა „ყველა პოლიციელი ძაღლია“. ეს გულისხმობს იმას, რომ მუშაკი იყოს ღია და გულწრფელი, თუკი იგი სამართალდამრღვევის მსგავს პრობლემას განიცდის. მაგალითად, „მეც ვიყავი ერთ დროს უმუშევარი და მაშინ დეპრესიას განვიცდიდი“. ეს იმასაც გულისხმობს, რომ მუშაკი იყოს ოპტიმისტურად განწყობილი იმასთან დაკავშირებით, რომ სამართალდამრღვევი შეძლებს კანონის ფარგლებში ცხოვრებას და ამის შესაბამისად ჯილდოების მიღებას.

(4) პროკრიმინალური ქცევების და კომენტარების განსჯა და გამოწვევა: იძულებით კლიენტებთან კონფრონტაციის საკითხი საკმაოდ რთულია. კვლევები გვიჩვენებს აგრესიული და კრიტიკული კონფრონტაციის დროს ნაკლებ დადებით შედეგებს. თვისებრივი კვლევა (Burns 1994), რომელიც ჩატარდა ავსტრალიის პრობაციის ოფიცრებზე, მიუთითებს, რომ უფრო ეფექტური პრობაციის ოფიცრები (ისინი, ვისაც ჰყავთ კლიენტები, რომლებმაც რეციდივიზმის დაბალი დონე აჩვენეს), ძირითადად, მობილიზებულნი იყვნენ კლიენტის ნათქვამისა და ქცევის პოზიტიურ მხარეებზე და გამოირჩეოდნენ კონფრონტაციის დაბალი დონით.

ტროტერმა (Trotter 2004) აღმოაჩინა, რომ კონფრონტაცია, რომელიც დაკავშირებულია პოზიტიურ შედეგებთან, შემდეგი სახისაა: კლიენტს სთავაზობს სიტუაციასთან გამკლავების უფრო პოზიტიურ გზებს; აღიარებს, რომ ნეგატიური გრძნობების დასაბუთება შესაძლებელია და ეძებს მიზეზებს, თუ რატომ გრძნობენ და იქცევიან კლიენტები გარკვეული გზით. მეორე მხრივ, კონფრონტაცია, რომელიც კლიენტს აკრიტიკებს ან მიუთითებს მის არასწორ შეხედულებებზე, დაკავშირებულია ნაკლებ პოზიტიურ შედეგებთან, როგორც კლიენტისთვის, ისე მუშაკისთვის. პროკრიმინალური ან ანტისოციალური კომენტარებისა და ქცევების იგნორირება, ასევე, უარყოფით შედეგებს უკავშირდება. ამრიგად, საჭიროა კონფრონტაცია დიდი სიფრთხილით იქნეს გამოყენებული. კანადური კვლევა გვთავაზობს „ოთხი-ერთი“ წესს (Andrews 1982). ყოველ ერთ ნეგატიურ კომენტარზე გააკეთეთ ოთხი დადებითი კომენტარი. ტროტერის (Trotter 1996, 2004) კვლევა ამტკიცებს, რომ უფრო მოსალოდნელია, ადამიანებმა ისწავლონ პოზიტიური განმტკიცებისაგან, ვიდრე ნეგატიური განმტკიცებისაგან.

მთელი რიგი კვლევები მიუთითებს, რომ სამართალდამრღვევებთან თანამშრომლობითი მუშაობის სტრატეგიების გამოყენებას და, ასევე, იმ პრობლემებსა და საკითხებზე ფოკუსირებას, რომელსაც თავად სამართალდამრღვევი ახდენს, რეციდივიზმის დაბალ დონესთან მივყავართ (Trotter, 1996, 2006; McNeill & Whyte, 2007). ტროტერი (Trotter 1996) გვთავაზობს პრობლემაზე მუშაობის საფეხურებს: (1) პრობლემის კვლევა; (2) პრობლემის რანჟირება; (3) პრობლემის გამოკვლევა; (4) მიზნების დასახვა; (5) კონტრაქტის განვითარება; (6) სტრატეგიების ან ამოცანების იდენტიფიცირება; (7) მიმდინარე გადახედვა/მონიტორინგი.

სამართალდამრღვევებთან მუშაობის დიდი ნაწილი მოიცავს ე.წ. კლიენტთან სოციალიზაციას (Rooney, 1992) და როლის დაზუსტებას (Trotter, 2006). როლის დაზუსტების ერთი ასპექტი მოიცავს კლიენტის დახმარებას, გაითავისოს ის ფაქტი, რომ მუშაკს შეუძლია მისი დახმარება პრობლემის გადაჭრაში, იმის მიუხედავად, რომ მუშაკს აქვს სოციალური მაკონტროლებლის როლი. როლის დაზუსტების მეორე ასპექტი ეხება კლიენტის მოლოდინების გამორკვევას; კლიენტისთვის იმის გაგებინებას, თუ რაზე შეიძლება მოლაპარაკება, კომპრომისი და რაზე არ შეიძლება; კონფიდენციალობის საზღვრების დადგენას; მუშაკის ავტორიტეტის

ბუნების გაგებას და კლიენტის დახმარებას იმის გაგებაში, რომ მუშაკს აქვს დამხმარის და, იმავდროულად, სოციალური მაკონტროლებლის როლი (Shulman, 1991; Videka, Sherman, 1988; Trotter, 2006).

გამოყენებული ლიტერატურა:

Purvis, M., Ward, T., & Willis, G. (2011). The Good Lives Model In Practice: Offence Pathways And Case Management. *European Journal Of Probation*, 3(2), 4-28

Trotter C (2006) Effective Supervision of Offenders http://www.unafei.or.jp/english/pdf/PDF_rms/no82/08_P27-40.pdf

McNeill, F., Raynor, P., & Trotter, C. (Eds.). (2010). Offender Supervision: New directions in theory and practice. Abingdon: Willan Publishing

Chui, W. H & Nellis, M. (Eds.). (2003) Moving Probation Forward, Evidence, Arguments and Practice, Pearson: Longman

Herzog-Evans, M. (2011). Judicial rehabilitation in France: Helping with the desisting process and acknowledging achieved desistance. *European Journal of Probation*, *3*(1), 4-19

Raynor, P., & Robinson, G. (2009). Why help offenders? Arguments for rehabilitation as a penal strategy. *European Journal of Probation*, *1*(1), 3-20

კურსის სილაბუსი

კურსის სახელწოდება	სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში
ავტორები	ენდრიუ ბერნჰარდტი, რანდელ ბაროუზი, ია შეყრილაძე, შორენა საძაგლიშვილი, სალომე ნამიჭეიშვილი, ანტონ ქელბაქიანი.
ლექტორები	კურსს უძღვება ორი ლექტორი: სოციალური მუშაკი და იურისტი. კონსულტაციის საათები შეთანხმების მიხედვით.
კურსის კოდი	
კურსის სტატუსი	სამაგისტრო დონის კურსი, არჩევითი
კურსის მიზნები და ამოცანები	1. დანაშაულის გამომწვევი ძირითადი თეორიებისა და სისხლის სამართლის შედარებითი საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ ცოდნის გაზრდა; 2. სამართალდამრღვევთა მართვის და რეაბილიტაციის სოციალური მუშაობის საერთაშორისო სისტემების გააზრება; 3. მართლმასაჯულების სისტემაში სოციალური მუშაკის როლის და ფუნქციების შესახებ გაცნობიერებულობის გაზრდა (ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილებს გაზიარება); 4. საგნის ინტერდისციპლინური ბუნების გაცნობიერება; 5. მრავალუწყებრივი მიდგომების საჭიროების გაცნობიერებულობის გაზრდა, რომელიც ფოკუსირებულია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის წამყვან უწყებებზე, მათ შორის პოლიციაზე, სასჯელაღსრულებაზე, სასამართლოზე და არასამთავრობო სექტორზე; 6. სამართალდამრღვევის შეფასების დროს მისი კრიმინოგენული და არაკრიმინოგენული საჭიროებების პრიორიტიზირების და განსხვავების უნარების განვითარება; 7. დაზარალებულის პერსპექტივის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში დაზარალებულის როლის გაცნობიერებულობის გაზრდა; 8. საზოგადოებრივი უსაფრთხოების საკითხების გაცნობიერებულობის განვითარება; 9. რისკის ყველა ფორმის გაცნობიერების და გაგების გაზრდა; 10. სამართალდამრღვევის შეფასების სტატისტიკური და კლინიკური მეთოდების ცოდნის განვითარება; 11. სამართალდამრღვევთან სოციალური მუშაობის ძირითადი მეთოდების ცოდნა და გამოყენება; 12. ქართულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში არსებული დამოკიდებულებების და პრაქტიკის კრიტიკული შეფასების და რეალისტური რეფორმების შესაძლებლობების განხილვის უნარი.

	13. სტუდენტის მომზადება თეორიული და პრაქტიკული ცოდნით მონაწილეობა მიიღოს ამ ინტერდისციპლინური სფეროს რეფორმირების პროცესში.
ECTS	**კურსის ხანგრძლივობა - 15 კვირა - 45 აკადემიური საათი (1 აკადემიური საათი=45-50 წთ.), 2 საათი ლექცია, 1 საათი სემინარი**
კურსის წინაპირობა	სოციალური მუშაობის მეთოდების და პრინციპების ბაზისური ცოდნა. სასურველია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის და/ან კანონების საწყისი ცოდნა და გამოცდილება.
სწავლის შედეგები	აღნიშნული კურსის სრულყოფილი გავლის შედეგად სტუდენტები შეძლებენ შემდეგს: **დარგობრივი კომპეტენციები:** 1. სტუდენტს შეუძლია დანაშაულის თეორიების გაგება და სისხლის სამართლის პოლიტიკის რეაგირების შეფასება; 2. სტუდენტი აცნობიერებს კანონთან კონფლიქტში მყოფ სამართალდამრღვევებთან მიმართებაში არსებული მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტების ძირითად პრინციპებს და მათ მნიშვნელობას საქართველოსთვის; 3. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების არსებული სისტემის შესახებ; 4. სტუდენტებმა იციან სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საერთაშორისო მოდელები და მიმართულებები და შეუძლიათ მისი საქართველოს სისტემასთან შედარება. 5. სტუდენტებს აქვთ სისხლის სამართლის სანქციებისა და ღონისძიებების ეფექტიანობის კრიტიკული ანალიზის უნარი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ძირითად მიზანთან მიმართებაში, რაც მდგომარეობს სამართალდამრღვევის რეაბილიტაციასა და დანაშაულის შემცირებაში. 6. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია კონსტრუქციული და რეალისტური რეკომენდაციების ჩამოყალიბება სისტემის გაუმჯობესების მიზნით; 7. სტუდენტებს აქვთ დანაშაულთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური, სოციალური და ფსიქიატრიული ფაქტორების ცოდნა; 8. სტუდენტებს შეუძლიათ იმ ადამიანების საჭიროებების, უფლებების და პასუხისმგებლობების გაცნობიერება, რომლებიც ჩადიან დანაშაულს. 9. სტუდენტებს შეუძლიათ სამართალდამრღვევის მიერ ზიანის რისკის ძირითადი ტიპების, მასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიების, წინასწარი ვარაუდის და პრევენციის გაგება; 10. სტუდენტი აცნობიერებს დანაშაულზე "დაზარალებულის პერსპექტივას" და დაზარალებულის როლს და საჭიროებებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში.

	11. სტუდენტს შეუძლია ინტერდისციპლინური აზროვნება და მუშაობა; 12. სტუდენტს იდენტიფიცირებული აქვს პროფესიული ღირებულებები, რომელიც საჭიროა სამართალდამრღვევთან მუშაობის დროს. 13. სტუდენტს შეუძლია კრიტიკული აზროვნება და პრაქტიკული ამოცანების შესრულება (კერძოდ, სიტუაციური ანალიზისთვის შესაბამისი თეორიების და ცოდნის გამოყენება). **ზოგადი, ტრანსფერული კომპეტენციები:** 14. სტუდენტს შეუძლია კომუნიკაცია, პრეზენტაციის გაკეთება, დისკუსიაში მონაწილეობა და ჯგუფური მუშაობა.
კურსის შინაარსი	იხ. დანართი #1
სწავლების მეთოდები	- Power Point პრეზენტაცია, რომელიც შეიცავს ლექციის ძირითად ასპექტებს, რომელიც გავრცელდება კლასში, რათა სტუდენტმა შეძლოს თავისი შენიშვნების გაკეთება. - დისკუსია; - შემთხვევის ანალიზი და შედარებები, სოციალური მუშობის პრაქტიკის შემთხვევებზე დისკუსია; - ჯგუფური მუშაობა, რომელიც მოითხოვს სტუდენტის დასწრებას, მონაწილეობას, გაგებას. - მოწვეული ლექტორები - პრაქტიკოსები: პოლიციის ოფიცრები, პროკურორები, მოსამართლეები, მთავრობის წარმომადგენლები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, ყოფილი პატიმრები. - პრაქტიკული სემინარები/ როლური თამაშები - სხვადასხვა უწყებებში სასწავლო ვიზიტები, რათა შეძლონ თეორიის და პრაქტიკის ინტეგრაცია (სასამართლო, ციხე, წინასწარი პატიმრობის დაწესებულება, პრობაციის ბიურო, არასამთავრობო სექტორი, რომელიც უზრუნველყოფს სერვისებს სამართალდამრღვევებისთვის)
შეფასების კრიტერიუმები	დასწრება/ აქტიური მონაწილეობა – 10 % დავალება 1 – 30 % - წერითი ნაშრომი ესსეს დაწერა: სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში სოციალური მუშაობის ისტორიული და მიმდინარე განვითარების მიმოხილვა საერთაშორისო დონეზე; რა არის ის ძირითადი იდეა, რომელიც წარმართავს თანამედროვე პოლიტიკას და პრაქტიკას? საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რა წინააღმდეგობებს და შესაძლებლობებს ხედავთ? დავალება 2 – 30 % - საველე ვიზიტის დავალება იხ. დანართი 2: საველე ვიზიტის დავალება

	საბოლოო გამოცდა – 30 % კომბინირებული ტესტი აღწერა: ტესტი შედგება სამი ნაწილისაგან. ნაწილი 1 - კითხვები სავარაუდო პასუხებით, ნაწილი 2: ღია კითხვები, ნაწილი 3: შემთხვევის შესწავლა
ლიტერტურა	**აუცილებელი საკითხავი:** **სახელმძღვანელო" სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში" ქართულ ენაზე.** სოციალური მუშაობის სტანდარტები, პროფესია, რომელიც მხარს უჭერს ადამიანის უფლებებს, სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის ევროპული წარმომადგენლობა, 2010, ქართულ ენაზე; სოციალური მუშაობის პრაქტიკის სტანდარტები, 2010, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, ქართულ ენაზე. **კურსის საკითხავი მასალის კრებული:** **საერთაშორისო სტანდარტების დამდგენი დოკუმენტები (ხელმისაწვდომია კრებულში ქართულად):** - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)1 ევროპის საბჭოს ქვეყნების მიმართ პრობაციის წესების შესახებ; - კომენტარი მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე CM/Rec(2010)1 ევროპის საბჭოს ქვეყნების მიმართ პრობაციის წესების შესახებ; - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)22 წევრი ქვეყნების მიმართ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ; - პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები, 1957 წელი; - არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები (ტოკიოს წესები), 1990 წელი; - კომენტარი არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესებზე (ტოკიოს წესები)(ამონარიდი); - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი ქვეყნების მიმართ ევროპული ციხის წესების შესახებ; - კომენტარი მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციზე Rec(2006)2 წევრი ქვეყნების მიმართ

	ევროპული ციხის წესების შესახებ; - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)21 წევრი ქვეყნების მიმართ დანაშაულის პრევენციისას თანამშრომლობის შესახებ - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლი. **ეროვნული კანონმდებლობა (ამ ნორმატიულ აქტებს გაეცნობით საკითხავი მასალის კრებულში):[115]** - ამონარიდი საქართველოს კონსტიტუციიდან, მე-2 თავი; - ამონარიდი სისხლის სამართლის კოდექსიდან, თავი III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XII, XVI. - ამონარიდი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან, თავი III, XIV, XVIII, XX, XXI, XXV, XXVI, XXVII. - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონი; - პატიმრობის კოდექსი; - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულების - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დებულება, დამტკიცებულია მინისტრის #176 ბრძანებით, 17.12.2012; - პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებებისა და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დებულებები, დამტკიცებულია მინისტრის #97 ბრძანებით, 30.05.2011; - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის ქვეშ მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულება, დამტკიცებულია მინისტრის #903 ბრძანებით, 29.12.2009; - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს ტიპური დებულება, დამტკიცებულია მინისტრი #74 ბრძანებით, 26.04.2011; - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის წესდება, დამტკიცებულია მინისტრის #59, 25.02.2009; - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დანაშაულის პრევენციის ცენტრის დებულება, იუსტიციის მინისტრის #16 ბრძანება, 25.03.2014;

[115] ჩამოთვლილი ნორმატიული აქტების ბოლო რედაქციების შეგძილიათ მოიძიოთ საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე www.matsne.gov.ge

	- პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი; - მსჯავრდებულის რისკების შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპები, წესი და ფორმა, დამტკიცებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის #56 ბრძანებით, 7.04.2011 (პრობაციის სისტემაში მოქმედი აქტი); - არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპები, წესი და ფორმა, დამტკიცებულია მინისტრის #9 ბრძანებით, 18.01.2012 (პრობაციის სისტემაში მოქმედი აქტი); - სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქცია, დამტკიცებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის #19 ბრძანებით, 2.02.2012 (თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებთან სამუშაოდ); - რისკისა და საჭიროების შეფასების და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის სახელმძღვანელო და შესაბამისი ფორმები (სამუშაო ვერსია); - საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის სოციალური მუშაობის ეთიკის კოდექსი; - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი, დამტკიცებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის #183 ბრძანებით, 27.12.2010; - პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არასამთავრობო სექტორის ორგანიზაციების ეთიკის წესები, დამტკიცებულია მინისტრის #211 ბრძანებით, 19.08.2013; - სახელმძღვანელო მითითებები რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართული პროფესიონალებისთვის, დანაშაულის პრევენციის ცენტრი, 2013 წელი; - სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სტრატეგია, 2014-2015 წლებისთვის. - განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესი, დამტკიცებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის #29 ბრძანებით, 22.02.2011; - განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობები, დამტკიცებულია იუსტიციის მინისტრის #216 ბრძანებით, 12.11.2010; - სახელმძღვანელო მითითებები სოციალური მუშაკებისა და ოფიცრებისთვის განრიდების შესახებ; - არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორების საქმიანობის წესი და სამუშაო დოკუმენტაცია;

- პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში, 2013-2017;
- მართლმსაჯულება ბავშვებისთვის - რეფორმის სტრატეგია, 2013 წ.

სტატიები:

- Becker H. (1963) Outsiders (extract);
- Berman, G. (2012). A Thousand Small Sanities. London: Centre for Justice Innovation.
- Bonta J. Andrews D (2007) *Risk-Need-Responsivity Model for Offender Assessment and Rehabilitation*
- Durnescu Iaon (2008), Community sanctions and measures in Europe;
- Garland D, (2008) Crime, Media Culture, On the Subject of Moral Panic;
- Gelsthorpe, L., Raynor, P., & Robinson, G. (2010). Pre-sentence reports in England and Wales: Changing discourses of need, risk and quality. Offender Supervision: New Directions in Theory, Research and Practice. Abingdon: Willan, 471-91.
- Integrated Offender Managemant (IOM) (KEY PRINCIPLES)
- Maruna, S., Porter, L., & Carvalho, I. (2004). The Liverpool Desistance Study and probation practice: Opening the dialogue. Probation Journal, 51(3), 221-232.
- McNeill, Fergus (2009) What Works and What's Just? University of Glasgow
- Merrington, S. (2006). Is more better? The value and potential of intensive community supervision. *Probation Journal*, 53(4), 347-360.
- Millie, A., & Erol, R. (2006). Rehabilitation and Resettlement A Study of Prolific Offender Case Management in Birmingham, United Kingdom. International journal of offender therapy and comparative criminology, 50(6), 691-710.
- Purvis, M., Ward, T., & Willis, G. (2011). The Good Lives Model In Practice: Offence Pathways And Case Management. *European Journal Of Probation*, 3(2), 4-28.
- Rex S, Hoskin N. (2013) A collaborative approach to developing probation practice: Skills for effective engagement, development and supervision (SEEDS); Probation Journal September 2013 60: 332-338, first published on August 14, 2013
- Rooney, Ronald H. (1988). Socialization Strategies for Involuntary Clients. *The journal of Contemporary Social Work*
- Walmsley, R. (2013) World Prison Population List (10th Edition) , ICPS , London

	რეკომენდებული საკითხავი მასალა: **საერთაშორისო სტანდარტების დამდგენი დოკუმენტები:** - წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის და დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები (CPT-ის სტანდარტები), 2002 წ. (განახლებულია 2013 წელს) http://www.cpt.coe.int/en/docsstandards.htm - CPT-ის ანგარიშები საქართველოს შესახებ - 19-23 ნოემბერი, 2012 წელი და 5-15 თებერვალი, 2010 წელი, იხილეთ შემდეგ მისამართზე http://www.cpt.coe.int/en/states/geo.htm - წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კონვენცია, 1987 წ. http://conventions.coe.int/Treaty/en/Treaties/Html/126.htm - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)23 წევრ ქვეყნებს დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ უვადო პატიმრებისა და გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=75267&Site=CM - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია #r (92) 16 საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ევროპული წესების შესახებ (1992) https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=615689 - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (99)22 ციხის გადატვირთულობისა და ციხის პოპულაციის ინფლაციის შესახებ (1999) https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=422593&Site=CM - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)13 წინასწარი პატიმრობის გამოყენების, მისი აღსრულების პირობებისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან დაცვის გარანტიები https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1041281 - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)8 წევრი ქვეყნების მიმართ დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა დახმარების შესახებ https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1011109& - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2012)5 წევრი ქვეყნების მიმართ სასჯელაღსრულების სისტემის პერსონალის ევროპული ეთიკის კოდექსის შესახებ https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1932803&Site=CM - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11 წევრ ქვეყნებს სანქციებსა და ღონისძიებებს დაქვამდებარებულ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა შესახებ ევროპულ წესებზე https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1367113&Site=CM - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2014)4 წევრ ქვეყნებს ელექტრონული მონიტორინგის შესახებ https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=2163631&Site=CM - გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები“), 1985 წ. http://www.un.org/documents/ga/res/40/a40r033.htm - გაეროს სახელმძღვანელო მითითები არასრულწლოვანთა შორის დელინქვენტური ქცევის პრევენციის

	შესახებ (რიადის წესები), 1990 წ. http://www.un.org/documents/ga/res/45/a45r112.htm - ქალ პატიმართა მიმართ მოპყრობისა და ქალ სამართალდამრღვევთა მიმართ არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების შესახებ გაეროს წესები (ბანკოკის წესები),2010 წ. http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf - გაეროს კონვენცია წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის წინააღმდეგ, 1984 წ. http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CAT.aspx - გაეროს წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის წინააღმდეგ კონვენციის დამატებითი ოქმი, 2002 წ http://www.ohchr.org/en/ProfessionalInterest/Pages/OPCAT.aspx **ეროვნული კანონმდებლობა** (მოიძიეთ საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე) - საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ - საქართველოს კანონი საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ - საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2006-2013 წლებისთვის - საქართველოს ორგანული კანონი სახალხო დამცველის შესახებ - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების შესახებ მინისტრის ბრძანება #184, 27.12.2010 - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ, #151, 28.10.2010 - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, #185, 27.12.2010 - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება პატიმართა ხანგრძლივი პაემნის განხორციელების წესის შესახებ, #42, 18.03.2011 - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებითი დატოვების, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძების გამოყენებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის აღსრულების წესის განსაზღვრის თაობაზე, #160, 16.11.2010 - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება სამინისტროს სასჯელაღსრულების

	დეპარტამენტის სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ #10, 17.01.2013; - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. **წიგნები:** - Bryant, C. (2012). Handbook of Deviant Behaviour. London: CRC Press. - Canton R., Hancook D. Dictionary of Probation and Offender Management (2007) - Christie, N. (2000) Crime Control as Industry, Routledge: London - Chui, W. H., & Nellis, M. (2003). Moving Probation Forward: Evidence, Arguments and Practice. Harlow: Pearson Education. - Cohen, S., & Young, J. (1981). The manufacture of news: Social problems, deviance and the mass media. Sage Publication. - Gaines, L. K. (2012). Criminal Justice in Action: The Core. Cengage Learning. - Gelsthorpe, L., & Morgan, R. (Eds.). (2013). Handbook of Probation. Willan - Hohman, M. (2012). Motivational Interviewing in Social Work Practice (Applications of Motivational Interviewing). (S. M. Rollnick, Ed.) London: Guildford Press. - Mair, G. (2004). What Matters in Probation. Collumpton: Willan - Maguire M., Morgan R., & Reiner R. (Eds.). (2012). *The Oxford Handbook of Criminology*. Oxford University Press. - Miller, L. (2011). Counselling Skills For Social Work. Sage Publications Limited. - Miller, R. R. & Rollnick, S. M. (2002). Motivational Interviewing (Vol. 2nd). New York: The Guildford Press. - McNeill, F., Raynor, P., & Trotter, C. (Eds.). (2012). Offender Supervision: New Directions in Theory, Research and Practice. Routledge. - McNeill, F. (2013). Offender Supervision in Europe. London: Palgrave MacMillan. - Payne M. (2005). Modern Social Work Theory. Palgrave. - Pycroft, A., & Gough, D. (2010). Multi-Agency Working in Criminal Justice: Contemporary Correctional Practice. Bristol: The Policy Press. - Roberts, A.R & Gilbert, J.G. (Eds.). (2002) Social Worker's Desk Reference, Oxford: University Press. - Terrill R. (2012). World Criminal Justice Systems: A Comparative Survey - Turner F.J. (Editor), (1996), Social Work Treatment, Interlocking theoretical approaches, The Free Press - Winbolt B. (2011) Solution Focused Therapy For The Helping Professions; Jessica Kingsley Publishers.

ჟურნალები, სასარგებლო ვებ-გვერდები:

- European Journal of Probation: a useful resource for all subjects - http://www.euro-vista.org/
- A brief summary of the current UK multi-agency system of managing high risk offenders
- http://www.london-probation.org.uk/what_we_do/public_protection_mappa.aspx
- A link to the UK MOJ site. The search box can be useful to find the latest projects and debates - http://www.justice.gov.uk/
- International Journal of Offender Therapy and Comparative Criminology, http://ijo.sagepub.com
- Confederation of European Probation (CEP) http://www.cep-probation.org/
- Penal Reform International http://www.penalreform.org/
- The Europian Organisation of Prison and Correctional Services (Europris) http://www.europris.org/
- Institute for Economics and Peace http://economicsandpeace.org/

სტატიები/ კვლევითი ანგარიშები / სახელმძღვანელოები:

- A guide for Probation and Parole: Motivating Offenders to Change, 2007, US Department of Justice, National Institute of Corrections, http://www.nicic.org
- Cluley, E. (2009). Longitudinal survey of prisoners: Problems and needs of newly sentenced prisoners. *Probation Journal*, *56*(2), 183-184
- Daniels G, *Restorative Justice: Changing the paradigm* Probation Journal September 2013 vol. 60 no. 3, p. 302-315
- Flatley, J et al (2010) Crime in England and Wales 2009-10, *Home Office Statistical Bulletin 12/10;*
- Herzog-Evans, M. (2011). Judicial rehabilitation in France: Helping with the desisting process and acknowledging achieved desistance. *European Journal of Probation*, *3*(1), 4-19.
- Innovations Means Prisons and Communities Together (IMPACT). (2012) *Motivational Interviewing Training Manual*. Retrieved from World Wide Web http://www.cmcainternational.org/wp-content/uploads/2012/01/Motivational_Interviewing.pdf
- Marsh, K., Fox, C., & Sarmah, R. (2009). Is custody an effective sentencing option for the UK? Evidence from a meta-analysis of existing studies. *Probation Journal*, *56*(2), 129-151.
- McNeill, F. (2006). A desistance paradigm for offender management. Criminology and Criminal Justice, 6(1), 39-62.
- McNeill, F., & Weaver, B. (2010). Changing lives. Desistance Research and Offender Management. The Scottish Centre for Crime and Justice Research
- McWhinnie, A. (2006). The Principles and Practices Related to What Works in Correctional Programming, International Center for Criminal Law Reform and Criminal Justice Policy
- Millie, A., & Erol, R. (2006). Rehabilitation and Resettlement A Study of Prolific Offender Case Management in

	Birmingham, United Kingdom. International journal of offender therapy and comparative criminology, 50(6), 691-710. - Mingus, William ; Burchfield K; (2012) *From prison to integration: applying modified labeling theory to sex offenders* Criminal Justice Studies Vol. 25, Iss. 1, - Moore, R. (2012). Beyond the prison walls: Some thoughts on prisoner 'resettlement' in England and Wales. *Criminology and Criminal Justice*, 12(2), 129-147. - Persson, A., & Svensson, K. (2011). Signs of resistance? Swedish probation officers' attitudes towards risk assessments. European Journal Of Probation vol 3 no 3 - Raynor, P., & Robinson, G. (2009). Why help offenders? Arguments for rehabilitation as a penal strategy. *European Journal of Probation*, *1*(1), 3-20. - Roach K, *Four Models of the Criminal Process, 89 J. Crim. L. & And Criminology 671 (1998-1999).* - Rosenffed R. & Messner S. 2013, Crime and the Economy, Sage Publications, New York; - Sherman, L.W. (2013) The Rise of Evidence-Based Policing: Targeting, Testing,and Tracking. CEBCP, Fairfax , Va.; - Trotter C. (2012). Effective community-based supervision of young offenders. Trends and Issues in Crime and Criminal Justice, (448), 1. - Trotter C (2006) Effective Supervision of Offenders - Umbreit, M. (1998). Restorative justice through victim-offender mediation: a multisite assessment. Western Criminology Review, 1(1), 1-29. - Wolpaw Reye J. 2007. Environmental Policy as Social Policy? The Impact of Childhood Lead Exposure on Crime. National Bureau of Economic Research, Cambridge Mass.

დანართი 1
კურსის შინაარსი

No	მთავარი თემები (2 აკადემიური საათი) და კლასის აქტივობები (1 აკადემიური საათი)	საკითხავი მასალები
ლექცია 1	**სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში: წარმოშობა და განვითარება** დანაშაულის ისტორიული და თანამედროვე ახსნა: ბიოლოგიური, სოციალური და პოლიტიკური **ძირითადი თემები:** - შესავალი - კურსის ზოგადი მიმოხილვა (კურიკულუმი, შეფასების კრიტერიუმი, დავალებები და ტესტის მოთხოვნები) - რატომ უნდა ვიმუშაოთ სამართალდამრღვევთან? - პრობაცია: წარმოშობა და განვითარება - სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სოციალური მუშაობა: მოხალისეობიდან საერთაშორისო პრინციპებამდე: - ევროსაბჭოს წესები და საქართველო - მართლმსაჯულების სისტემები: ძირითადი ტიპოლოგიების მიმოხილვა - მართლმსაჯულების მოდელები და მიმართულებები: კეთილდღეობა, მართლმსაჯულება, განრიდება, შემცირება, აღდგენა, უფლებები.	**სავალდებულო საკითხავი:** - **სახელმძღვანელო "სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში" თავი 1** - - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)1 ევროპის საბჭოს ქვეყნების მიმართ პრობაციის წესების შესახებ; - კომენტარი მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე CM/Rec(2010)1 ევროპის საბჭოს ქვეყნების მიმართ პრობაციის წესების შესახებ; - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)22 წევრი ქვეყნების მიმართ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ; - პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები, 1957 წელი; - არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები (ტოკიოს წესები), 1990 წელი; - კომენტარი არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესებზე (ტოკიოს წესები)(ამონარიდი); - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი ქვეყნების მიმართ ევროპული ციხის წესების შესახებ; - კომენტარი მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციზე Rec(2006)2 წევრი ქვეყნების მიმართ ევროპული ციხის წესების შესახებ; - Durnescu Iaon (2008), Community sanctions and measures in Europe **რეკომენდებული საკითხავი:** - Daniels G, *Restorative Justice: Changing the paradigm* Probation

		Journal, September 2013 vol. 60 no. 3, p. 302-315 - Gaines, L. K. (2012). Criminal Justice in Action: The Core. Cengage Learning. - Terrill, R. (2012). World Criminal Justice Systems: A Comparative Survey. Newnes. - Cluley, E. (2009). Longitudinal survey of prisoners: Problems and needs of newly sentenced prisoners. *Probation Journal*, *56*(2), 183-184
ლექცია 2	**დანაშაულის თეორიები -** გაგრძელება **დანაშაულის მართვა და პრევენცია: სტატისტიკა, აღქმები და მიდგომები** **მთავარი თემები;** - ბიოლოგიური, სოციალური, პოლიტიკური ახსნები და შეზღუდვები: მერტონის დაძაბულობის თეორია (Merton's Strain Theory). - დანაშაული, როგორც კლასობრივი კონფლიქტი, იარლიყების მიკვრის თეორია - დანაშაულის სტატისტიკა: პოლიტიკა, საზოგადოების დამოკიდებულება და მორალური პანიკა. - 'ახალი რეალიზმი'	**სავალდებულო საკითხავი:** - **სახელმძღვანელო "სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში" თავი 2** - Becker H. (1963) Outsiders (extract) - Garland D, (2008) Crime, Media Culture, On the Subject of Moral Panic **რეკომენდებული საკითხავი:** - Bryant, C. (2012). Handbook of Deviant Behaviour. London: CRC Press. - Cohen, S., & Young, J. (1981). The manufacture of news: Social problems, deviance and the mass media. Sage Pubns. - Roach K, *Four Models of the Criminal Process, 89 J. Crim. L. & And Criminology 671 (1998-1999).* - Mair, G. (2004). What Matters in Probation. Collumpton: Willan. - Millie, A., & Erol, R. (2006). Rehabilitation and Resettlement A Study of Prolific Offender Case Management in Birmingham, United Kingdom. International journal of offender therapy and comparative criminology, 50(6), 691-710.
ლექცია 3	**დანაშაულის მართვა, გაგრძელება: პოლიტიკა, მრავალუწყებრივი მუშაობა** **დანაშაული: სოციალურ მუშაობასთან მიმართება** **მთავარი თემები:** - დანაშაულის რეგულირება: მძიმე და მსუბუქი სამიზნეები, ტექნოლოგიები და სამოქალაქო უფლებები;	**სავალდებულო საკითხავი:** - **სახელმძღვანელო "სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში" თავი 3** - Berman, G. (2012). A Thousand Small Sanities. London: Centre for Justice Innovation. - Integrated Offender Managemant (IOM) (KEY PRINCIPLES) - Maruna, S., Porter, L., & Carvalho, I. (2004). The Liverpool Desistance Study and probation practice: Opening the dialogue. Probation Journal, 51(3), 221-232. - Millie, A., & Erol, R. (2006). Rehabilitation and Resettlement A Study of Prolific Offender Case Management in Birmingham, United

	- ნულოვანი ტოლერანტობა – ნიუ იორკის ექსპერიმენტი - დანაშაულის ინტეგრირებული მართვა (IOM) - მრავალუწყებრივი მიდგომა - სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მომავალი? - კრიტიკული მცირე - MAPPA, დახმარების ციკლები - დეზისტანსი - გზა დანაშაულისკენ და დანაშაულიდან - სამართალდამრღვევის მოგზაურობა - სიძლიერებზე დაფუძნებული მიდგომები: რესურსების აღნუსხვა და პიროვნული კაპიტალი - სოციალური მუშაკი - როგორც რესურსი და კაპიტალი.	Kingdom. International journal of offender therapy and comparative criminology, 50(6), 691-710. **რეკომენდებული საკითხავი:** - McNeill, F., & Weaver, B. (2010). Changing lives. Desistance Research and Offender Management. The Scottish Centre for Crime and Justice Research - McNeill, F. (2006). A desistance paradigm for offender management. Criminology and Criminal Justice, 6(1), 39-62.
ლექცია 4	**სოციალური მუშაკი, სამართალდამრღვევის და სისტემა: 1** **მთავარი თემები:** - სოციალური მუშაკი, როგორც რისკის მენეჯერი - პრევენცია, განრიდება და მედიაცია - პოლიციასთან მუშაობა: თანამშრომლობის ახალი იდეები - სოციალური მუშაობა და პრევენციული პრაქტიკა - ანტი-სოციალურ კულტურასთან გამკლავება: სუბ-კულტურული ჩანაცვლება - მედიაცია: სამართალდამრღვევი	**სავალდებულო საკითხავი:** - **სახელმძღვანელო "სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში" თავი 4** - Merrington, S. (2006). Is more better? The value and potential of intensive community supervision. *Probation Journal*, 53(4), 347-360. - Rex S, Hoskin N. (2013) A collaborative approach to developing probation practice: Skills for effective engagement, development and supervision (SEEDS); Probation Journal September 2013 60: 332-338, first published on August 14, 2013 **რეკომენდებული საკითხავი:** - Mingus, William ; Burchfield K; (2012) *From prison to integration: applying modified labeling theory to sex offenders* Criminal Justice Studies Vol. 25, Iss. 1, - Umbreit, M. (1998). Restorative justice through victim-offender mediation: a multisite assessment. Western Criminology Review, 1(1), 1-29.

	დაზარალებულის პირისპირ? - განრიდება და იარლიყების ხელახალი მიკვრა - დაზარალებულის პერპექტივა - თემის მიერ დანაშაულის კონტროლი და აღდგენითი მართლმსაჯულება	
ლექცია 5	**სოციალური მუშაკი, სამართალდამრღვევი და სისტემა: 2** **მთავარი თემები:** - სასამართლოს მოსამსახურე? სასამართლო ხელისუფლებასთან მუშაობა - ანგარიშები სასამართლოსთვის - საზოგადოებრივი სანქციები: სანდოობა და აღსრულება - ციხე და პრობაცია: ნაკლებსავარაუდო ქორწინება?	**სავალდებულო საკითხავი:** - **სახელმძღვანელო "სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში" თავი 5** - Gelsthorpe, L., Raynor, P., & Robinson, G. (2010). Pre-sentence reports in England and Wales: Changing discourses of need, risk and quality. Offender Supervision: New Directions in Theory, Research and Practice. Abingdon: Willan, 471-91. - McNeill, Fergus (2009) What Works and What's Just? University of Glasgow **რეკომენდებული საკითხავი:** - Chui, W. H., & Nellis, M. (2003). Moving Probation Forward: Evidence, Arguments and Practice. Harlow: Pearson Education. - Pycroft, A., & Gough, D. (2010). Multi-Agency Working in Criminal Justice: Contemporary Correctional Practice. Bristol: The Policy Press. - Maguire, M. (2006). The Resettlement of Ex-prisoners. In Gelsthorpe, L., & Morgan, R. (Eds.). Handbook of Probation. Willan. - Marsh, K., Fox, C., & Sarmah, R. (2009). Is custody an effective sentencing option for the UK? Evidence from a meta-analysis of existing studies. *Probation Journal*, *56*(2), 129-151. - Moore, R. (2012). Beyond the prison walls: Some thoughts on prisoner 'resettlement' in England and Wales. *Criminology and Criminal Justice*, 12(2), 129-147.
ლექცია 6	**საერთაშორისო სტანდარტები პატიმრებთან და პრობაციონერებთან მოპყრობისა და არასაპატიმრო სანქციების გამოყენების შესახებ**	**სავალდებულო საკითხავი:** - **სახელმძღვანელო "სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში" თავი 6** - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)1 ევროპის

	ძირითადი საკითხები: - გაეროს სტანდარტები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ; - ევროსაბჭოს სტანდარტები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ - გაეროს სტანდარტები პრობაციონერებთან მოპყრობისა და საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების გამოყენების შესახებ - ევროსაბჭოს სტანდარტები პრობაციონერებთან მოპყრობისა და საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების გამოყენების შესახებ	საბჭოს ქვეყნების მიმართ პრობაციის წესების შესახებ; - კომენტარი მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე CM/Rec(2010)1 ევროპის საბჭოს ქვეყნების მიმართ პრობაციის წესების შესახებ; - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)22 წევრი ქვეყნების მიმართ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ; - პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები, 1957 წელი; - არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები (ტოკიოს წესები), 1990 წელი; - კომენტარი არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესებზე (ტოკიოს წესები)(ამონარიდი); - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი ქვეყნების მიმართ ევროპული ციხის წესების შესახებ; - კომენტარი მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციზე Rec(2006)2 წევრი ქვეყნების მიმართ ევროპული ციხის წესების შესახებ; - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლი. **რეკომენდებული საკითხავი:** - წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები (CPT-ის სტანდარტები), 2002 წ. (განახლებულია 2013 წელს) http://www.cpt.coe.int/en/docsstandards.htm - CPT-ის ანგარიშები საქართველოს შესახებ - 19-23 ნოემბერი, 2012 წელი და 5-15 თებერვალი, 2010 წელი, იხილეთ შემდეგ მისამართზე http://www.cpt.coe.int/en/states/geo.htm - წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კონვენცია, 1987 წ. http://conventions.coe.int/Treaty/en/Treaties/Html/126.htm - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)23 წევრ ქვეყნებს დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ უვადო პატიმრებისა და გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ

		https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=75267&Site=CM - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია no. r (92) 16 საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ევროპული წესების შესახებ (1992) https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=615689 - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (99)22 ციხის გადატვირთულობისა და ციხის პოპულაციის ინფლაციის შესახებ (1999) https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=422593&Site=CM - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)13 წინასწარი პატიმრობის გამოყენების, მისი აღსრულების პირობებისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან დაცვის გარანტიები https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1041281 - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)8 წევრი ქვეყნების მიმართ დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა დახმარების გარეშე https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1011109& - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2012)5 წევრი ქვეყნების მიმართ სასჯელაღსრულების სისტემის პერსონალის ევროპული ეთიკის კოდექსის შესახებ https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1932803&Site=CM - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11 წევრ ქვეყნებს სანქციებსა და ღონისძიებებს დაქვამდებარებულ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა შესახებ ევროპულ წესებზე https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1367113&Site=CM - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2014)4 წევრ ქვეყნებს ელექტრონული მონიტორინგის შესახებ https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=2163631&Site=CM - გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები“), 1985 წ. http://www.un.org/documents/ga/res/40/a40r033.htm - გაეროს სახელმძღვანელო მითითები არასრულწლოვანთა შორის დელინქვენტური ქცევის პრევენციის შესახებ (რიადის წესები), 1990 წ. http://www.un.org/documents/ga/res/45/a45r112.htm - ქალ პატიმართა მიმართ მოპყრობისა და ქალ სამართალდამრღვევთა მიმართ არასაპატიმრო ღონისძიებების

		გამოყენების შესახებ გაეროს წესები (ბანკოკის წესები), 2010 წ. http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf - გაეროს კონვენცია წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის წინააღმდეგ, 1984 წ. http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CAT.aspx - გაეროს წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის წინააღმდეგ კონვენციის დამატებითი ოქმი, 2002 წ http://www.ohchr.org/en/ProfessionalInterest/Pages/OPCAT.aspx
ლექცია 7	**ადგილობრივი სტანდარტები - სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესი** **ძირითადი საკითხები:** - დანაშაული - სასჯელის მიზნები და სახეები - პირობითი მსჯავრი - პოლიციის მიერ დაკავება - აღკვეთის ღონისძიებები და მათი გამოყენება - სისხლის სამართალის საქმის წარმოება - სასამართლო განხილვა და გასაჩივრება	**სავალდებულო საკითხავი:** - **სახელმძღვანელო "სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში" თავი 7** - ამონარიდი საქართველოს კონსტიტუციიდან, მე-2 თავი; - ამონარიდი სისხლის სამართლის კოდექსიდან, თავი III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XII, XVI. - ამონარიდი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან, თავი III, XIV, XVIII, XX, XXI, XXV, XXVI, XXVII. **რეკომენდებული საკითხავი:** - საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ - საქართველოს კანონი საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ
ლექცია 8	**ადგილობრივი სტანდარტები - პატიმრებთან და პრობაციონერებთან მოპყრობა, ალტერნატიული სასჯელები** **ძირითადი საკითხები:** - პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის სისტემა - წინასწარ პატიმრობაში მყოფთა და თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა უფლებები და	**სავალდებულო საკითხავი:** - **სახელმძღვანელო "სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში" თავი 8** - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონი; - პატიმრობის კოდექსი; - განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესი, დამტკიცებულია

	მოვალეობები - პატიმრობიდან გათავისუფლების მექანიზმები - სასჯელაღსრულების დაწესებულებათა ტიპები და მსჯავრდებულთა კატეგორიზება - დისციპლინური და ადმინისტრაციული სახდელები, საჩივრის წარდგენის პროცედურა სასჯელაღსრულების სისტემაში - გარდამავალი მენეჯმენტი (სასჯელაღსრულების სისტემიდან პრობაციის სისტემაში გადასვლა) - პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურა, ფუნქცია და ამოცანები - არასაპატიმრო სასჯელათა აღსრულება	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის #29 ბრძანებით, 22.02.2011; - განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობები, დამტკიცებულია იუსტიციის მინისტრის #216 ბრძანებით, 12.11.2010; **რეკომენდებული საკითხავი:** - საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2006-2013 წლებისთვის - საქართველოს ორგანული კანონი სახალხო დამცველის შესახებ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ, #151, 28.10.2010 - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, #185, 27.12.2010 - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულების - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დებულება, დამტკიცებულია მინისტრის #176 ბრძანებით, 17.12.2012; - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება პატიმართა ხანგრძლივი პაემნის განხორციელების წესის შესახებ, #42, 18.03.2011 - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებითი დატოვების, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, თავისუფლების

		აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის აღსრულების წესის განსაზღვრის თაობაზე, #160, 16.11.2010 - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ #10, 17.01.2013; - დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებებისა და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დებულებები, დამტკიცებულია მინისტრის #97 ბრძანებით, 30.05.2011; - სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქცია, დამტკიცებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის #19 ბრძანებით, 2.02.2012 (თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებთან სამუშაოდ); - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის ქვეშ მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულება, დამტკიცებულია მინისტრის #903 ბრძანებით, 29.12.2009; - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს ტიპიური დებულება, დამტკიცებულია მინისტრი #74 ბრძანებით, 26.04.2011; - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

ლექცია 9	**არსებული ინსტიტუციური ჩარჩო და პროგრამები:** **მთავარი თემები:** - სოციალური მუშაობის განვითარება საქართველოში: მოკლე მიმოხილვა - არსებული სახელმწიფო სტრუქტურები დანაშაულის პრევენციის ცენტრში - პრობაციის სოციალური მუშაობის სერვისები - სასჯელაღსრულების სოციალური მუშაობის სერვისები - დანაშაულის პრევენციის პროგრამები და სოციალური მუშაობის სერვისები - განრიდების პროგრამა - დაზარალებულისა და მოწმის კოორდინატორის პროგრამა	**სავალდებულო საკითხავი:** - **სახელმძღვანელო "სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში" თავი 9** - მსჯავრდებულის რისკების შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპები, წესი და ფორმა, დამტკიცებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის #56 ბრძანებით, 7.04.2011 (პრობაციის სისტემაში მოქმედი აქტი); - არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპები, წესი და ფორმა, დამტკიცებულია მინისტრის #9 ბრძანებით, 18.01.2012 (პრობაციის სისტემაში მოქმედი აქტი); - სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქცია, დამტკიცებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის #19 ბრძანებით, 2.02.2012 (თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებთან სამუშაოდ); - რისკისა და საჭიროების შეფასების და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის სახელმძღვანელო და შესაბამისი ფორმები (სამუშაო ვერსია); - საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის სოციალური მუშაობის ეთიკის კოდექსი; - პატიმრობის კოდექსი; - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი, დამტკიცებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის #183 ბრძანება, 27.12.2010; - პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არასამთავრობო სექტორის ორგანიზაციების ეთიკის წესები, დამტკიცებულია მინისტრის #211 ბრძანებით, 19.08.2013; - სახელმძღვანელო მითითებები რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართული პროფესიონალებისთვის,

		დანაშაულის პრევენციის ცენტრი, 2013 წელი; - სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სტრატეგია, 2014-2015 წლებისთვის. - განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესი, დამტკიცებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის #29 ბრძანებით, 22.02.2011; - განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობები, დამტკიცებულია იუსტიციის მინისტრის #216 ბრძანებით, 12.11.2010; - სახელმძღვანელო მითითებები სოციალური მუშაკებისა და ოფიცრებისთვის განრიდების შესახებ; - არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორების საქმიანობის წესი და სამუშაო დოკუმენტაცია; - მართლმსაჯულება ბავშვებისთვის - რეფორმის სტრატეგია, 2013 წ. **რეკომენდებული საკითხავი:** - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულების - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დებულება, დამტკიცებულია მინისტრის #176 ბრძანებით, 17.12.2012; - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების შესახებ მინისტრის ბრძანება #184, 27.12.2010 - პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების,

		ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებებისა და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დებულებები, დამტკიცებულია მინისტრის #97 ბრძანებით, 30.05.2011; - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის ქვეშ მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირის არასაპატიმრო სასჯელათა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულება, დამტკიცებულია მინისტრის #903 ბრძანებით, 29.12.2009; - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს ტიპური დებულება, დამტკიცებულია მინისტრი #74 ბრძანებით, 26.04.2011; - პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში, 2013-2017; - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის წესდება, დამტკიცებულია მინისტრის #59, 25.02.2009; - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დანაშაულის პრევენციის ცენტრის დებულება, იუსტიციის მინისტრის #16 ბრძანება, 25.03.2014; - პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი; - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონი; - პატიმრობის კოდექსი.

ლექცია 10	**სისხლის სამართლის პოლიტიკა და დანაშაული: კრიტიკული საერთაშორისო მიმოხილვა** **მთავარი თემები:** - პატიმრობის მაჩვენებელი: საერთაშორისო შედარება; - თავისუფლების აღკვეთა და დანაშაული - თავისუფლების აღკვეთა და თანამედროვეობა	**სავალდებულო საკითხავი:** - **სახელმძღვანელო "სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში" თავი 10** მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)21 წევრი ქვეყნების მიმართ დანაშაულის პრევენციისას თანამშრომლობის შესახებ; Ashworth A. And Rberts J., Sentencing: Theory, Principle and Practice (Chapter 29); Liebling A. And Crewe B., Prison Life, Penal Power and Prison Effects (Chapter 30); Raynor P. C, Community Penalties, Probation and Offender Management (Chapter 31) in M. Maguire, R. Morgan and R. Reiner (eds.) The Oxford Handbook of Criminology pp 866 – 955; Walmsley, R. (2013) World Prison Population List (10th Edition) , ICPS , London **რეკომენდებული საკითხავი:** Christie, N. (2000) *Crime Control as Industry,* Routledge: London; M. Maguire, R. Morgan and R. Reiner (eds.) *The Oxford Handbook of Criminology, Fifth Edition, 2012, Part V, Reactions to Crime, p. 743 – 1017;* Flatley, J et al (2010) Crime in England and Wales 2009-10, *Home Office Statistical Bulletin 12/10;* Sherman, L.W. (2013) The Rise of Evidence-Based Policing: Targeting, Testing,and Tracking. CEBCP, Fairfax , Va.; Jessica Wolpaw Reye 2007. *ENVIRONMENTAL POLICY AS SOCIAL POLICY? THE IMPACT OF CHILDHOOD LEAD EXPOSURE ON CRIME.* NATIONAL BUREAU OF ECONOMIC RESEARCH, Cambridge Mass; Rosenffed R. & Messner S. 2013, Crime and the Economy, Sage Publications, New York; Exploring the fabric of peace in the UK from 2003 to 2012 http://www.visionofhumanity.org/pdf/ukpi/UK_Peace_Index_report_2013.pdf ; UK Peace index http://www.visionofhumanity.org/#/page/indexes/uk-peace-index, Institute for Economics and Peace 2013; Fall in UK crime rate baffles experts, The classic theory that property crime rises faster in times of economic strife no longer seems to apply, latest figures

		show http://www.theguardian.com/uk/2013/jan/24/fall-uk-crime-rate-baffles-experts
ლექცია 11	**სამართალდამრღვევებთან მუშაობა: მეთოდები (1)** **მთავარი თემები:** - რეაბილიტაციური მიდგომის ციკლები: ეპოქიდან „ვერაფერი მუშაობს“ ეპოქამდე „რა მუშაობს“ - მიდგომის ეფექტიანობის პრინციპები კორექციულ სფეროში - თანამედროვე, მტკიცებულებაზე დაფუძნებული, პერსპექტიული პრაქტიკის მაგალითები - პერსონალის უნარები და ქცევა	**სავალდებულო საკითხავი:** - **სახელმძღვანელო ”სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში” თავი 11** **რეკომენდებული საკითხავი:** - McWhinnie, A. (2006). The Principles and Practices Related to What Works in Correctional Programming, International Center for Criminal Law Reform and Criminal Justice Policy - Chui, W. H & Nellis, M. editors (2003) Moving Probation Forward, Evidence, Arguments and Practice - Trotter, C. (2012). Effective community-based supervision of young offenders. Trends and Issues in Crime and Criminal Justice, (448), 1.
ლექცია 12	**სამართალდამრღვევებთან მუშაობა: მეთოდები (2)** **მთავარი თემები:** - მოტივაციური ინტერვიუირება და მისი გამოყენება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში - მოტივაციური ინტერვიუირების ფილოსოფია - მოტივაციური ინტერვიუირება და ცვლილების ეტაპები - მოტივაციური ინტერვიუირების ოთხი ძირითადი პრინციპი - მოტივაციური ინტერვიუირების უნარები და სტრატეგიები - მოტივაციური ინტერვიუირების გამოყენება კორექციულ სფეროში	**სავალდებულო საკითხავი:** - **სახელმძღვანელო” სოციალური მუშაობა მართლმსაჯულების სისტემაში” თავი 12** **რეკომენდებული საკითხავი:** - Hohman, M. (2012). Motivational Interviewing in Social Work Practice (Applications of Motivational Interviewing). (S. M. Rollnick, Ed.) London: Guildford Press. - Miller, R. R. & Rollnick, S. M. (2002). Motivational Interviewing (Vol. 2nd). New York: The Guildford Press. - Innovations Means Prisons and Communities Together (IMPACT). (2012) *Motivational Interviewing Training Manual*. Retrieved from World Wide Web http://www.cmcainternational.org/wp-content/uploads/2012/01/Motivational_Interviewing.pdf - A guide for Probation and Parole: Motivating Offenders to Change, 2007, US Department of Justice, National Institute of Corrections, http://www.nicic.org

ლექცია 13	**სამართალდამრღვევებთან მუშაობა: მეთოდები (3)** **მთავარი თემები:** - რისკის წარმოქმნა - შეფასება: "შემთხვევაზე მუშაობის" საფუძველი - საჭიროებები: კრიმინოგენული და არა-კრიმინოგენული - რისკის- საჭიროების- რეაგირების მოდელი (The RNR model) - რისკის- საჭიროების- რეაგირების მოდელი: შეზღუდვები	**სავალდებულო საკითხავი:** - **სახელმძღვანელო "სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში" თავი 13** - Bonta J. Andrews D (2007) *Risk-Need-Responsivity Model for Offender Assessment and Rehabilitation* **რეკომენდებული საკითხავი:** - Chui, W. H & Nellis, M. (Eds.). (2003) Moving Probation Forward, Evidence, Arguments and Practice, Pearson: Longman (p.108-125) - McNeill, F., Raynor, P., & Trotter, C. (Eds.). (2010). Offender Supervision: New Directions in Theory, Research and Practice. Abingdon: Willan Publishing. (p 19-40, p155-171) - Persson, A., & Svensson, K. (2011). Signs of resistance? Swedish probation officers' attitudes towards risk assessments. European Journal Of Probation vol 3 no 3 - http://www.ejprob.ro/index.pl/signs_of_resistance_swedish_probation_officers_attitudes_towards_risk_assessments
ლექცია 14	**სამართალდამრღვევებთან მუშაობა: მეთოდები (4)** **მთავარი თემები:** - მოკლე ვადიანი მუშაობა - ამოცანაზე ფოკუსირებული შემთხვევაზე მუშაობა - გადაწყვეტაზე ფოკუსირებული მუშაობა - კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია - სიძლიერეები და შეზღუდვები	**სავალდებულო საკითხავი:** - **სახელმძღვანელო "სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში" თავი 14** - Rooney, Ronald H. (1988). Socialization Strategies for Involuntary Clients. *The journal of Contemporary Social Work* **რეკომენდებული საკითხავი:** - Miller, L. (2011). Counselling Skills For Social Work. Sage Publications. (p. 49-79. P.125-140) - Roberts, A.R & Gilbert, J.G. (Eds.). (2002) Social Worker's Desk Reference, Oxford: University Press. (p. 96-100) - Winbolt B. (2011) Solution Focused Therapy For The Helping Professions; Jessica Kingsley Publishers. - Turner F.J. (Editor), (1996), Social Work Treatment, Interlocking theoretical approaches, The Free Press (p. 617-640) - Payne M. (2005). Modern Social Work Theory. Palgrave. (p. 119- 141)

ლექცია 15	**სამართალდამრღვევებთან მუშაობა: მეთოდები (5)** **მთავარი თემები:** - დეზისტანსის შენება - ”კარგი ცხოვრების მოდელი” - პრო-სოციალური მოდელირება **კურსის შეფასება**	**სავალდებულო საკითხავი:** - **სახელმძღვანელო ”სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში” თავი 15** - Purvis, M., Ward, T., & Willis, G. (2011). The Good Lives Model In Practice: Offence Pathways And Case Management. *European Journal Of Probation*, 3(2), 4-28. **რეკომენდებული საკითხავი:** - Trotter C (2006) Effective Supervision of Offenders http://www.unafei.or.jp/english/pdf/PDF_rms/no82/08_P27-40.pdf - McNeill, F., Raynor, P., & Trotter, C. (Eds.). (2010). Offender Supervision: New directions in theory and practice. Abingdon: Willan Publishing. (p. 41-65; p. 65-89; p. 130-151). - Chui, W. H & Nellis, M. (Eds.). (2003) Moving Probation Forward, Evidence, Arguments and Practice, Pearson: Longman (p. 146-162) - Herzog-Evans, M. (2011). Judicial rehabilitation in France: Helping with the desisting process and acknowledging achieved desistance. *European Journal of Probation*, *3*(1), 4-19. - Raynor, P., & Robinson, G. (2009). Why help offenders? Arguments for rehabilitation as a penal strategy. *European Journal of Probation*, *1*(1), 3-20.

დანართი 2: საველე ვიზიტის დავალება

სტუდენტები დაიყოფიან პატარა ჯგუფებად (4-5 კაციან ჯგუფებად დამოკიდებულია კლასის ზომაზე). თითოეული ჯგუფი მოინახულებს სხვადასხვა ორგანიზაციას.მაგ. 1. სასჯელაღსრულების დაწესებულება, 2. პრობაციის ბიურო, 3. დანაშაულის პრევენციის ცენტრი, 4. არასამთავრობო სექტორი და ა.შ.

თქვენი ვიზიტის საფუძველზე გააკეთეთ ერთობლივი არაუმეტეს 10 წუთიანი პრეზენტაცია ქვემოთ მოცემულ თემაზე.

თქვენ შესაძლოა გამოიყენოთ PowerPoint, ვიდეო, დაფა, ან სხვა სადემოსტრაციო საშუალებები.

ჯგუფის ყველა წევრმა მონაწილეობა უნდა მიიღოს პრეზენტაციაში, წარმოადგენს რა პრეზენტაციის რაღაც ნაწილს.

პრეზენტაციის ბოლოს იქნება მოკლე კითხვა-პასუხის სესია.

შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კრიტიკულ აზროვნებას, ჯგუფურ მუშაობას, წარმოდგენილი არგუმენტების სიცხადეს და მტკიცებულებებს.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ორგანოს მუშაობის და როლის კრიტიკული განხილვა

პრეზენტაციის გაკეთებისას მიაქციეთ ყურადღება შემდეგ საკითხებს:

- აღწერეთ სააგენტოს როლი და უფლებამოსილების გადანაწილების სტრუქტურა. ვინ არიან მთავარი მოქმედი მხარეები და ვინ ან რა უწყება ახორციელებს მათ მუშაობაზე ზედამხედველობას?
- როგორ მუშაობს ეს სააგენტო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სხვა ორგანოებთან მიმართებაში? აღწერეთ თანამშრომლობის დონე (თუ არის ასეთი) და ძალაუფლებრივი მიმართება ამ სააგენტოსა და მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ სხვა სააგენტოებს შორის.
- რა არის ამ სააგენტოს ძლიერი და სუსტი მხარეები?
- წარმოადგინეთ ერთი შესაძლო არსებითი და დაბალხარჯიანი ან ხარჯ-ნეიტრალური პროექტის იდეა, რომელიც გაუმჯობესებს ამ სააგენტოს მომსახურებას.
- განიხილეთ ამ სააგენტოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური აღქმა. რა სტატუსი აქვს მას საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში? როგორ არის მოსახლეობის მიერ დანახული და იმათ მიერ, ვინც მას იყენებს. როგორ შეიძლება ამ აღქმის გაუმჯობესება.
- კრიტიკულად შეადარეთ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ორი სააგენტო ერთმანეთს. განიხილეთ მათი ოფიციალური/ფორმალური როლი და რეალური, ფაქტობრივი პრაქტიკა. აღწერეთ მათი ძირითადი განსხვავებები, რეალური, თუ პოტენციური თანამშრომლობის ან კონფლიქტის სფეროები.

პრეზენტაციის დროს რჩევები:

- მეტი ყურადღებით მოეკიდეთ ინფორმაციის ხარისხს და არა რაოდენობრივ ინფორმაციას და სტატისტიკას. მცირე, მაგრამ არსებით მონაცემებს უფრო მეტი ზეგავლენა აქვთ ვიდრე სტატისტიკის გრძელ სიას.
- პრეზენტაციის სლაიდები ეცადეთ იყოს ნაკლებად გადატვირთული და გასაგები. შემოქმედებითობა კარგია, მაგრამ ეცადეთ ზედმეტად არ გაართულოთ პრეზენტაცია ზედმეტი მედია ინფორმაციით.

- მოწოდებული ინფორმაცია სასურევლია იყოს მოკლე და წარმოდგენილი ნათელი წინადადებებით.
- მტკიცებულება წარმოადგინეთ ფაქტებით ან აშკარა არგუმენტებით.
- ისაუბრეთ გარკვევით, აუჩქარებლად!

დანართი 3: საკლასო აქტივობების ნიმუშები და საშინაო დავალებები

<u>კლასი 1</u>

საშინაო დავალება: 1

'მართლმსაჯულება არის უბრალოდ კანონების შეფარდება'

მოამზადეთ ამ თემასთან დაკავშირებული ერთ გვერდიანი შეჯამება. ეს დავალება არ შეფასდება.

საკლასო აქტივობა:

სამ კაციან ჯგუფს გაუზიარეთ თქვენი შეჯამება ზემოთ აღნიშნულ თემაზე. ჯგუფის სპიკერი მოკლედ ისაუბრებს, რამდენად ეთანხმებიან ჯგუფის წევრები, რაში ეთანმხმებიან და რაში ვერ ეთანხმებიან.

კლასის დისკუსია ამ თემაზე.

საშინაო დავალება: 2

შეისწავლეთ ადგილობრივი და ეროვნული მედია (ელექტრონული და ბეჭდური). აიღეთ ორი სტატია, რომელიც აკეთებს კომენტარს დანაშაულზე და მოახდინეთ ფაქტების, აზრების და ვარაუდების ერთ-გვერდიანი ანალიზი.

<u>კლასი 2</u>

საკლასო აქტივობა:

პატარა ჯგუფებში განიხილეთ მედიის თქვენი მაგალითები. გაითვალისწინეთ იდეა, რომ "დანაშაული არის სოციალურად და პოლიტიკურად ჩამოყალიბებული ცნება". შეაჯამეთ თქვენი იდეები ჯგუფში და წარმოადგინეთ კლასის წინაშე.

კლასის დისკუსია ამ თემაზე.

საშინაო დავალება: 3

მართლმსაჯულების იდეალური სისტემა:

მიმოიხილეთ მართლმსაჯულების სისტემა, რომელი თქვენ აქამდე შეისწავლეთ. ერთ გვერდზე აღწერეთ თქვენთვის იდეალური მართლმსაჯულების სისტემა, სადაც იქნება დაბალანსებული ადამიანის თავისუფლება, უფლებები და პასუხისმგებლობები.

განიხილე: ვინ წარმართავს ამ სისტემას? ვინ მოახდენს მონიტორინგს? ეს სისტემა ვის წინაშე იქნება პასუხისმგებელი?

<u>კლასი 3</u>

საკლასო აქტივობა:

გამოიყენეთ თქვენს მიერ მომზადებული ნაშრომი "მართლმსაჯულების იდეალური სისტემა" და იმუშავეთ წყვილებში. გაცვალეთ თქვენი ნაშორმები და კრიტიკულად შეაფასეთ.

ჩამოთვალეთ ძლიერი და სუსტი მხარეები. წარმოადგინეთ კონსტურქციული შესწორებები და დაასაბუთეთ თქვენი ცვლილებები.

კლასის დისკუსია ამ თემაზე.

საშინაო დავალება: 4

პროექტი: ”საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში სოციალური მუშკის როლია, დაიცვას სუსტი და მოწყვლადი სოციალური და ეკონომიკური უსამართლობისაგან”. მოამზადეთ მოკლე სიტყვა (მაქსიმუმ 5 წუთიანი), რომელიც ან მხარს დაუჭერს ან კრიტიკულად შეეწინაღმდეგება ამ მოსაზრებას.

<u>კლასი 4</u>

საკლასო აქტივობა:

ქართულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში სოციალური მუშაობის როლი.

გაიყავით ზემოთ მოცემული მოსაზრების მომხრეები და მოწინააღმდეგეები. 3-3 სპიკერი ორივე მხარიდან.

შეაჯამეთ ძირითადი საკითხები.

კლასის დისკუსია ამ თემაზე.

საშინაო დავალება: 5

ევროპაში მხარდაჭერილი მრავალუწყებრივი მუშაობის გათვალისწინებით დაწერეთ ერთ-გვერდიანი ანალიზი, რამდენად შესაძლებელი ამის განხორციელება საქართველოში არსებულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში. რა წინააღმდეგობებს შეიძლება შევხვდეთ?

<u>კლასი 5:</u>

საკლასო აქტივობები:

მცირე ჯგუფებში ერთმანეთს გაუზიარეთ თქვენი კრიტიკა. ერთი წევრი შეაჯამებს და მთელი კლასის წინაშე წარმოადგენს.

კლასის დისკუსია ამ თემაზე.

<u>კლასი 9:</u>

საშინაო დავალება: 10

წაიკითხეთ თავი 10 და განიხილეთ პატიმრობის შემთხვევების შემცირების შესაძლებლოებები საქართველოში. არის თუ არა ეს პოლიტიკის სასურველი მიზანი? რა დამატებითი ინფორმაცია დაგეხმარებათ უპასუხოთ ამ შეკითხვას?

<u>კლასი 10:</u>

საკლასო აქტივობა:

ევროპული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის 5 მიზანი

მცირე ჯგუფებში შეაჯამეთ თქვენი მოსაზრებები. თქვენი იდეები გაამყარეთ მტკიცებულებებით. ჯგუფის ერთმა წევრმა შეაჯეროს არსებული მოსაზრეები და მოახსენოს მთელ კლასს.

კლასის დისკუსია ამ თემაზე.

საშინაო დავალება: 11

წაიკითხეთ მე-11 თავი სახელმძღვანელოში და ერთი შესაბამისი სტატია წასაკითხი ლიტერტურის სიიდან. შეაჯამეთ ერთ გვერდზე, თუ რა გზა გაიარა სოციალურმა მუშაობამ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში ბოლო 30 წლის მანძილზე. რა მტკიცებულებები არსებობს, რომ ეს მიდგომა მუშაობს?

<u>კლასი 11:</u>

საკლასო აქტივობა:

გაყავით კლასი ორ ჯგუფად დებატებისთვის.

"არაფერი მუშაობს" vs. "ეს მუშაობს"

თითოეულ ჯგუფს ეძლევა 20 წუთი, რომ შეადგინოს 5 ქულიანი ქეისი, რომელიც ადასტურებს მათ მოსაზრებას.

სპიკერები შეაჯამებენ თავიანთი გუნდის არგუმენტებს. ლექტორი აჯამებს ორივე გუნდის ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს.

კენჭისყრა და კლასის დისკუსია.

საშინაო დავალება: 12

წაიკითხეთ თავი 12

მოიფიქრეთ შესაბამისი ქეისი.

განიხილეთ თავი12- დან ერთი მეთოდი. როგორ ახდენს სოციალური მუშაკი სამართალდამრღვევის მოტივირებას? დაწერეთ ერთი გვერდი, რომელიც ახდენს ამ მეთოდის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვლევას, რას ეყრდნობა მოტივაცია, როდესაც საქმე გვაქვს ეკონომიკურად და სოციალურად დაუცველ სამართალდამრღვევებთან?

<u>კლასი 12:</u>

საკლასო აქტივობა:

წყვილში განიხილეთ მოტივაციური ტექნიკების ერთ გვერდიანი შეჯამება. აღწერეთ თქვენი ცხოვრებიდან ერთი მაგალითი, როდესაც ცდილობდით საკუთარი არასასურველი ქცევის შეცვლას. რა დაგეხმარათ? რა არ დაგეხმარათ?

კლასის დისკუსია.

საშინაო დავალება:13

წაიკითხეთ თავი 13.

დაწერეთ რისკზე დაფუძნებული სოციალური მუშობის სისტემის ერთ გვერდიანი კრიტიკა, რას ვიგებთ და რას ვკარგავთ პროფესიულად და პოლიტიკურად?

კლასი 13:

საკლასო აქტივობა:

რისკზე დაფუძნებული სოციალური მუშაობა: მცირე ჯგუფებში განიხილეთ თქვენი დასკვნები. ერთი წევრი აჯამებს ჯგუფის მოსაზრებებს სოციალური მუშაობის პრაქტიკასთან მიმართებაში.

გააზიარეთ უკუკავშირი.

კლასის დისკუსია.

საშინაო დავალება: 13

წაიკითხეთ თავი 14 სახელმძღვანელოდან.

დაწერეთ ამ თავში აღწერილი ნებისმიერი ორი მეთოდის ერთგვერდიანი კრიტიკული შედარება.

<u>კლასი 14:</u>

საკლასო აქტივობა

წყვილში აღწერეთ თქვენს მიერ შერჩეული ორი მეთოდი და შეაჯამეთ ძლიერი და სუსტი მხარეები.

მთლიანი კლასი: განიხილეთ თითოეული მეთოდი, მხედველობაში გქონდეთ საქართველოში სოციალური მუშაობის განვითარების რეალობა, კლიენტის შესაძლებლობები და რესურსები, შემთხვევების რაოდენობა თითოეულ პრაქტკოსზე, პროფესიული გადაწვა და ა.შ.

საშინაო დავალება: 15

წაიკითხეთ თავი 15

განიხილეთ ყველა მეთოდი, რომელიც შეგხვდათ. რომელი მეთოდია ყველაზე ვალიდური და სანდო? ყველაზე ნაკლებად ვალიდური და სანდო?

დაწერეთ ერთ გვერდიანი შეჯამება, მზად იყავით თქვენი მოსაზრების დასაცავად!

<u>კლასი 15:</u>

საკლასო აქტივობა:

განიხილეთ ყველა მეთოდი:

ერთი სტუდენტი ახდენს მის მიერ შერჩეული მეთოდის 3 წუთიან შეჯამებას. ამას მოყვება კლასის კრიტიკა და შეფასება.